საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.net

№29 (120)

10 - 16 აგვისტო, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net



## ნითელი ვარდი ნარინჯისფერ ზონაში

11

## რას სთავაზობს პრეზიდენტი მედვედევი საქართველოს

2



ეს ინტერვიუ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი შესავალი რთული, მტკივნეული, თუმცა აუცილებელი და, რაც მთავარია, გარდაუვალი საუბრის წინ, რომელიც ქართველებსა და რუსებს შორის ადრე თუ გვიან შედგება.

## დამარცხებული მთავარსარდლის შურისძიება



4

საააკაშვილი ვერ იტანს ეროვნულ გმირებს, გამარჯვების აღმნიშვნელ სიმბოლოებს, რადგან გმირობა და გამარჯვება მისთვის უცხოა.

## რა უნდა გვესწავლა აგვისტოს ომისგან

9

## «აგენტების თაობა»



6

ზოგიერთი ახალგაზრდისთვის დავით ბაქრაძის ფოტოებიდან უკვე ენერგეტიკული ემანაციები მოედინება და იმის გაფიქრებაც კი მეშინია, რა გრძნობებს აღძრავს მათში მიხეილ სააკაშვილის ფოტო.

## ანუ სადილი ბაქრაძესთან

## საქართველოს ხელისუფლებამ დსთ-დან გასვლით თავად შექმნა სოხუმისა და ცხინვალის აღიარების წინაპირობა

7



## 14 ახლა სააკაშვილი ახლობლებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე მტრებისთვის

მამა თეოდორე (გიგნაძე):

## 15 ჩვენი საზოგადოება სიძვისა და გარყვნილების მდგომარეობაშია!

დეკანოზი დავით ისაკაძე:

## 16 მორწმუნე ადამიანი საკუთარ ხალხს ტერორს არ უწყობს



## ვისაც ჰგონია, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც შეშფოთებისა თუ ფარატინა რევოლუციის გამო უკან დაიხევს, გადახედოს ისტორიას!

8

რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ უნდა შეიცვალოს არსებული ხელისუფლება, რომლის პირობებშიც ამ ქვეყანას არც საშინაო და მით უფრო საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე არანაირი მომავალი და პერსპექტივა, უბრალოდ, არ აქვს...

## ვის ეკუთვნის საქართველო



როგორ შეიძლება ქვეყნის „პირველი ლედის“ ქმარი, სახელმწიფოს პირველი პირი ქვეყანაში საკუთარ ადგილს ვერ ხედავდეს?

## ანუ არის თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირი?

30

მამა ელიზბარი:

## 17 მინდა ჩვენს ძმებს, აფხაზებს, თვალებში ჩავხედო და შენდობა პირველმა მე ვთხოვო, რომ ოდესღაც ერთმანეთს ვესროლეთ

## პერუ გარქობილები

12

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცრუ მოლოდინი ამერიკელების დახმარებასთან დაკავშირებით ნამდვილად არსებობდა. ეს ომის დროს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის განცხადებებს აშკარად ეტყობოდა. ეს პათოლოგიურად არაადეკვატური იმედები ახლახან გადაღებულ ფილმშიც კი („აგვისტოს 5 დღე“) აისახა, სააკაშვილის როლის შემსრულებლის — ენდი გარსიას რეპლიკებს თუ დავუკვირდებით. მთავარი საკითხი კი მარტივად დგას: ამერიკელებმა გააღვივეს ეს იმედები თუ ისინი სააკაშვილის წარმოსახვაში თავისით დაიბადა? პასუხის ორადორი ვარიანტი არსებობს: ან ამერიკელმა პარტნიორებმა ხელი შეუწყვეს აგვისტოს კატასტროფას, ან კიდევ, ერთ, ცალკე აღებულ, თავში იმდენად მძიმე აშლილობა სუფევს, რომ საქმეში წამყვანი სპეციალისტები უნდა ჩაერიონ.**



## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება გაავრცელა

**საქართველოს საპატრიარქო, წმინდა სინოდის წევრებთან დაკავშირებით, ბოლო დროს ქართულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციებს გამოეხმაურა.**

განცხადებაში ნათქვამია, რომ ინტერნეტისა და პრესის საშუალებით შეურაცხმყოფელი, არასწორი ინფორმაციები ვრცელდება, რაც ხალხის დაბნევასა და მრევლში უნდობლობის დანერგვას უწყობს ხელს. საპატრიარქო მოუწოდებს საზოგადოებას, არ აჰყვეს ამგვარ ქმედებებს, რადგან ეს ყურადღების გადატანის, ეკლესიაში შფოთის შეტანისა და მისი დასუსტების მცდელობაა.

## საერთაშორისო კრიზისჯგუფის რეკომენდაცია რუსეთსა და საქართველოს

**საერთაშორისო კრიზისჯგუფმა გამოაქვეყნა დოკუმენტი „საქართველო-რუსეთი: მეზობლური თანაარსებობის სწავლა“, რომელშიც ორ ქვეყანას შორის ომის შემდგომი ურთიერთობაა მიმოხილული.**

საერთაშორისო კრიზისჯგუფის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მათთან საუბარში განაცხადა, რომ, რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემთხვევაში, საქართველო მზადაა, გახსნას რკინიგზა აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გავლით. ამ გზით შესაძლებელია, ბათუმისა და ფოთის პორტებმა ოლიმპიური თამაშებისთვის სოჭში მიმდინარე მშენებლობები საჭირო მასალებით მომარაგდეს.

საერთაშორისო კრიზის ჯგუფი მიუთითებს, რომ ბრალდებებისა და თავდასხმების ნაცვლად, რუსეთმა და საქართველომ უნდა იზრუნონ რეგიონში უსაფრთხოებაზე, ვაჭრობისა და სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებაზე. ეს მათ ცივილიზებული დიალოგის დაწყებაში დაეხმარებათ.

# რას სთავაზობს პრეზიდენტი მედვედევი საქართველოს



**4 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა Russia Today-ს, Эхо Москвы-ს და Первый Информационный Кавказский-ს ჟურნალისტებს ვრცელი ინტერვიუ მისცა. აქამდე, რუსეთის არც ერთ ხელისუფალს საქართველოსთან ურთიერთობებზე ასე დეტალურად არ უსაუბრია. მედვედევის ინტერვიუ მთელ რიგ საინტერესო გზავნილებს შეიცავს და აშკარად სერიოზულ დაკვირვებას საჭიროებს. როგორ აფასებენ კრემლში აგვისტოს ომთან დაკავშირებულ მოვლენებს, რუსეთ-საქართველოს დღევანდელ ურთიერთობებს (თუ ამას შეიძლება ,,ურთიერთობები“ ვუწოდოთ) და სამომავლო პერსპექტივას?**

### 08.08.08 – ამერიკული კვალი

მთავარი პასუხისმგებლობა „ხუთდღიანი ომის“ დაწყებაზე რუსეთის პრეზიდენტმა, ისევე, როგორც ადრე, მიხეილ სააკაშვილს დააკისრა, თუმცა პირველად მიანიშნა იმაზე, რომ გარკვეული წვლილი ომის პროვოცირებაში შეიძლება ვაშინგტონს მიუძღოდეს. **„საქართველოში იმ დროს სიარულს მოუხშირეს, საბჭოთა დროს რომ იტყოდნენ, ოკეანისგაღმელმა ემისრებმა,** — თქვა მედვედევმა და დასძინა, რომ კონდოლიზა რაისის თბილისში ვიზიტის შემდეგ (2008 წლის 9-10 ივლისი) სააკაშვილი **„აღარ მწერდა, აღარ მირეკავდა და აღარ მიკავშირდებოდა. სავარაუდოდ, გაჩნდა ახალი გეგმები და ისინი რეალიზებულ იქნა“**. ჟურნალისტის კითხვაზე, ნიშნავს თუ რა ეს, რომ აშშ სააკაშვილს კონფლიქტის გაღვივებისკენ უბიძგებდა, მედვედევმა უპასუხა: **„მე არ ვთვლი, რომ ამერიკელები უბიძგებდნენ საქართველოს მმართველს აგრესიისკენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ გარკვეულ ნიუანსებს, გარკვეულ აქცენტებს, სიტყვებს იმის თაობაზე, რომ დროა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, დროა უფრო გაბედული მოქმედება, შეეძლო გაეღვივებინა სავსებით ცხადი იმედები იმის თაობაზე, რომ, ნებისმიერი კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, „ამერიკელები ჩვენ არ მიგვატოვებენ, გამოგვესარჩლებიან და ბოლოს და ბოლოს რუსებთან ომს მოაწყობენ“. ამიტომ მე მაინც ვუკავშირებ ერთმანეთს ამ ვიზიტს და შემდგომ მოვლენებს. იმისათვის, რომ ეს ვთქვა, როგორც მინიმუმ, ოფიციალური ან აგენტურული მონაცემები უნდა მქონდეს. მე ისინი არ მაქვს, მაგრამ ანალიზის უნარი ყველას გვაქვს“.**

ყველა ამერიკულმა გამოცემამ, რომელმაც მედვედევის ინტერვიუ მიმოიხილა, განსაკუთრებული ყურადღება ამ მონაკვეთს დაუთმო. სააკაშვილის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ კი მას შემდეგი კომენტარი მოაყოლა: **„ჩვენ კვლავ მოვისმინეთ ცივი ომის დროინდელი ფრაზები დასავლეთის შეთქმულების თაობაზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ“**, მაშინ, როდესაც მედვედევის მრავალრიცხოვან ბრალდებებზე სააკაშვილის მისამართით არაფერი უთქვამს (საკმაოდ საგულისხმო მომენტია; ოფიციალური თბილისისთვის პრიორიტეტულ ამოცანას, როგორც ჩანს, ამერიკელი პარტნიორების ღირსების დაცვა წარმოადგენდა). რაც შეეხება „არაოფიციალურ თბილისს“, ანუ ოპოზიციის ლიდერებს, მედვედევის ინტერვიუს შემდეგ „ამერიკის ხმა“ ირაკლი ალასანიას და ნინო ბურჯანაძეს გაესაუბრა.

ალასანია, რომელმაც მწვავედ გააკრიტიკა სააკაშვილი საქართველოს ომში ჩათრევისთვის, კონკრეტულად ამ თემასთან დაკავშირებით „კანონიკური ვერსიის“ ჩარჩოებში დარჩა: **„საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, საქართველოში ჩამოვიდნენ შტაინმაიერი (გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი) და ქალბატონი რაისი. ჩვენ მათთან ერთად ვიხილავდით რუსეთის შესაძლო განზრახვებს და იმას, თუ რა უნდა გავაკეთოთ სამხედრო მოქმედებების თავიდან ასაცილებლად“.** ნინო ბურჯანაძე ოდნავ უფრო შორს წავიდა: **„რაც შეეხება აშშ-ის როლს, ცალკეული პოლიტიკოსების როლს, მე პატიოსანი არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ ოფიციალურად აშშ-ის ყველა წარმომადგენელი ყოველთვის ამბობდა, რომ საჭიროა ნებისმიერ ფასად სამხედრო დაპირისპირების თავიდან არიდება ცხინვალშიც და აფხაზეთშიც. მაგრამ შესაძლოა არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც სააკაშვილს აქეზებდნენ, რომელთაც ანტირუსული ისტერია სჭირდებოდათ“.**

თუმცა არც ალასანიას, არც ბურჯანაძეს არ უთქვამს არაფერი მსგავსი იმისა, რაც ამა წლის მაისში კიდევ ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა (რუსეთის „პირველ არხთან“ ინტერვიუში): **„მან (ჯორჯ ბუშმა 2005 წელს თბილისში ვიზიტის დროს) პირდაპირ გვითხრა: „ბიჭებო, თუ რამეს აპირებთ ან ერთი, ან მეორე მიმართულებით, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს ვგულისხმობ, გაითვალისწინეთ, რომ (მისი სიტყვები პირდაპირ მომყავს), რომ ჩემი ჯარისკაცებით ვერ დაგეხმარებით“**. ეს ყველამ გაიგო, ყველამ ჩაიწერა. გავიდა ერთი დღე, მოვიდა მეთიუ ბრაიზა, დასრულებული ვიზიტი განვიხილეთ და ყველამ ბუშის სიტყვები გაიხსენა. მან კი (ბრაიზამ) გვითხრა: **„მან (ბუშმა) თქვა, რომ თავისი ჯარისკაცებით ვერ დაგეხმარებათ და არა ის, რომ ამის გაკეთება არ ღირს“**. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ოქრუაშვილი საუბრობს არა რაისის, არამედ ბუშის ვიზიტზე, თანაც, გარემოებათა გამო, მის სიტყვებს დღეს, ოპოზიციის ორი ხსენებული ლიდერისგან განსხვავებით, სავარაუდოდ, ნაკლები წონა აქვს, თუმცა ეს, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ოქრუაშვილის ეს განცხადება სათვალავში ჩასაგდები და განხილვის ღირსი საერთოდ არ არის.

ფაქტი ერთია: **ცრუ მოლოდინი ამერიკელების დახმარებასთან დაკავშირებით ნამდვილად არსებობდა. ეს ომის დროს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის განცხადებებს აშკარად ეტყობოდა. ეს პათოლოგიურად არაადეკვატური იმედები ახლახან გადაღებულ ფილმშიც კი („აგვისტოს 5 დღე“) აისახა, სააკაშვილის როლის შემსრულებლის — ენდი გარსიას რეპლიკებს თუ დავუკვირდებით. მთავარი საკითხი კი მარტივად დგას: ამერიკელებმა გააღვივეს ეს იმედები თუ ისინი სააკაშვილის წარმოსახვაში თავისით დაიბადა? პასუხის ორადორი ვარიანტი არსებობს: ან ამერიკელმა პარტნიორებმა ხელი შეუწყვეს აგვისტოს კატასტროფას, ან კიდევ, ერთ, ცალკე აღებულ, თავში იმდენად მძიმე აშლილობა სუფევს, რომ საქმეში წამყვანი სპეციალისტები უნდა ჩაერიონ.**

საინტერესოა, რატომ დაიწყო საუბარი მედვედევმა, ამერიკელების შესაძლო ბრალეულობაზე ომის გაჩაღებაში? სავარაუდოდ, მან მიანიშნა თეთრ სახლს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული რიტორიკა **(სენატის რეზოლუცია, რომელიც მედვედევმა ძალიან აგდებულად მოიხსენია, განცხადებები რუსების შესაძლო კავშირზე თბილისში აშშ-ის საელჩოს აფეთქებასთან, რომელსაც მან „მონაჩმახი, ტყუილი და პროვოკაცია“ უწოდა და ა.შ.)** მომავალშიც გაგრძელდება, კრემლი სულ უფრო ხმამაღლა ილაპარაკებს იმაზე, რომ ომის პროვოცირებაში ამერიკელებს სერიოზული წვლილი მიუძღვის. **გამორიცხული არაა, რომ ამ სიტყვიერი დუელის რაღაც ეტაპზე ორმა ზესახელმწიფომ „ოფიციალური ან აგენტურული მონაცემების“ (ან სხვა მსგავსი დოკუმენტების) დემონსტრაციული ფრიალი დაიწყოს და მოგებული ამით არავინ დარჩება. მედვედევის გზავნილის კიდევ ერთი ადრესატი, სავარაუდოდ, ქართული აუდიტორია გახლდათ; ქვეტექსტი „ეს მოკავშირე ტაძრამდე ვერ მიგიყვანთ“ მისი სიტყვების მიღმა, ალბათ, მაინც იყო.**

### ვისია ბურთი და მოედანი?

რუსეთის პრეზიდენტმა საკმაოდ მკაფიოდ გამიჯნა ერთმანეთისგან პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე კრემლმა შეიძლება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან იმუშაოს (ოღონდ არა სააკაშვილთან, რომლის ადგილს მოლაპარაკებების მაგიდასთან მედვედევი საერთოდ ვერ ხედავს) და პრობლემები, რომლებზეც მხოლოდ მომავალ ხელისუფლებასთან ისაუბრებს. პირველ შემთხვევაში, საუბარი ტაქტიკურ საკითხებს ეხება: საქართველოს თანხმობა რუსეთის გაწევრიანებაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და, შესაძლოა, სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა.

**მსო-სთან დაკავშირებით, მედვედევმა საკმაოდ ხისტი და, რაც მთავარია, საბოლოო პოზიცია დააფიქსირა. მაქსიმუმი, რაც მან შეიძლება თბილისს შესთავაზოს, არის ამომწურავი ინფორმაცია სეპარატისტული რეს-** ▶

**მედვედევის გზავნილის კიდევ ერთი ადრესატი, სავარაუდოდ, ქართული აუდიტორია გახლდათ**

### ევროპა კოსოვოში სამხედროებს გზავნის

**კოსოვოსა და სერბეთის საზღვარზე შექმნილი დაძაბულობის გამო გერმანია და ავსტრია საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტს დამატებითი ძალებით აძლიერებენ.** ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრესსამსახურის განცხადებით, გერმანიის ხელისუფლება ამ რეგიონში დამატებით 550 სამხედრო მოსამსახურეს, ავსტრია კი 150-კაციან კონტინგენტს გაგზავნის.




### პოლონელმა პოლიტიკოსმა თავი მოიკლა

**პოლონეთში ცნობილი პოლიტიკოსი, პარტია „სამოობორონას“ ლიდერი ანჯეი ზბიგნევ ლეპერი, რომელიც იაროსლავ კაჩინსკის მთავრობაში ვიცე-პრემიერის თანამდებობას იკავებდა, ვარშავაში, პარტიის ოფისში გარდაცვლილი იპოვეს.** სამართალდამცავთა თქმით, ყველაფერი თვითმკვლელობაზე მეტყველებს — ყოფილმა ვიცე-პრემიერმა თავი ჩამოიხრჩო. ანჯეი ლეპერი 2006 წლის მაისიდან სექტემბრამდე პოლონეთის ვიცე-პრემიერად, 2006 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის ივლისამდე კი სოფლის მეურნეობის მინისტრად მუშაობდა.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მედვედევს თითქოსდა სურს, მოისმინოს პასუხი (ინტერვიუს რიგი მონაკვეთებისა ამის მყარ შთაბეჭდილებას ტოვებს) საკუთარ წინადადებებზე და არა იმდენად სააკაშვილის ხელისუფლებისგან, რამდენადაც მთელი ქართული ელიტისგან და საზოგადოებისგან; საბოლოო ჯამში კი, ეს ინტერვიუ, შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი შესავალი რთული, მტკივნეული, თუმცა აუცილებელი და, რაც მთავარია, გარდაუვალი საუბრის წინ, რომელიც ქართველებსა და რუსებს შორის ადრე თუ გვიან შედგება. რამდენად შედეგიანი იქნება ეს საუბარი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, მას ვერსად გავექცევით.**

◀ **პუბლიკების საზღვრებზე ტვირთის გადაადგილების შესახებ. მედვედევმა, ფაქტობრივად, გამორიცხა რუსეთის საზღვრებზე უცხოელი ინსპექტორების ჩაყენების შესაძლებლობა. მან აღნიშნა, რომ ამ თემაზე უკვე ესაუბრა შვეიცარიისა და აშშ-ის პრეზიდენტებს; ბოლოს კი თქვა: „ახლა ბურთი მათ მხარეზეა“, სავარაუდოდ, „მათში“ მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლება არ იგულისხმა.**

მომავალი წლის გაზაფხულზე რუსეთის პრეზიდენტი შეიძლება ვლადიმერ პუტინი გახდეს და რუსეთისთვის მსო-ში დაახლოებით იმავე მოცულობის პრეფერენციები მოითხოვოს, როგორიც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს ჩინეთმა მიიღო. რუსეთის მსო-ში გაწევრიანება მედვედევის მმართველობის პერიოდში კი დასავლეთს (მას ეს არანაკლებ სჭირდება, ვიდრე რუსეთს და, შესაძლოა, უფრო მეტად) გაცილებით უფრო „იაფი დაუჯდება“. კრემლში დღეს, როგორც ჩანს, მიიჩნევენ, რომ მოახერხეს ისეთი სიტუაციის შექმნა, როდესაც ვაშინგტონი მედვედევის სავარაუდო წასვლამდე დარჩენილ მცირე დროში იძულებული გახდება, სააკაშვილზე ზეწოლა მოახდინოს. ამასთანავე, მედვედევმა ეს საკითხი წარმოადგინა, როგორც ერთგვარი ტესტი ოფიციალური თბილისისთვის: **„მე მგონი, ახლა ერთ-ერთი ისეთი მომენტია, რომელიც შეიძლება გახდეს გარდატეხის წერტილი თუ არა, შეხების წერტილი მაინც, რომლის გარშემო შესაძლებელი გახდება მომავალში ჯერ ნორმალური სავაჭრო-ეკონომიკური, შემდეგ კი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაც“.**

სააკაშვილის ხელისუფლების პირველი რეაქცია ამ განცხადებაზე ნეგატიური იყო: **„თუკი რუსეთი როკისა და ფსოუს საბაჟო პუნქტების გამჭვირვალობისა და მათზე ეფექტური კონტროლის გადაწყვეტილებას მიიღებს, საქართველო მსო-ში მის შესვლას მხარს დაუჭერს, თუ არა და — არა“,** — განაცხადა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა და დასძინა, რომ რუსეთი „საკუთარ იმპერიალისტ თავს უნდა გადაახტეს“. მისგან განსხვავებით, ირაკლი ალასანიამ გაცილებით მოქნილი პოზიცია დააფიქსირა: **„მოლაპარაკების პროცესში ჩვენ უფრო კონკრეტულები და კრეატიულები უნდა ვიყოთ. ამ შემთხვევაში, ეს მოლაპარაკებები შეიძლება გახდეს პირველი ნაბიჯი რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ“. „ამერიკის ხმამ“ (ამ მედია-საშუალებას ოფიციალურად აშშ-ის ხელისუფლება აკონტროლებს) აღნიშნა, რომ მედვედევისა და ალასანიას მოსაზრებები ამ საკითხზე ერთმანეთის „ანალოგიურია“. ობამას ადმინისტრაციისთვის, ალბათ, გაცილებით კომფორტული იქნებოდა, თუ ოფიციალური თბილისი ასეთ პოზიციას დაიკავებდა** (სიტყვამ მოიტანა და, ბოლო დროს ამერიკული მედია და რიგი ექსპერტები ალასანიას მიმართ ხაზგასმულ, თითქმის გადაჭარბებულ კეთილგანწყობას ავლენენ; რუსები რომ იტყვიან, „К чему бы это?!“).

საბოლოოდ, სააკაშვილის ხელისუფლების პოზიცია მსოსთან დაკავშირებით ცნობილი გახდება სექტემბერში, მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე. რაც შეეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის უფრო მნიშვნელოვან საკითხებს, მედვედევმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ მათზე კრემლი მხოლოდ საქართველოს მომდევნო ხელისუფლებასთან ისაუბრებს.

## სად ვართ და საით მივდივართ?

**„რუსეთის პოზიცია მარტივია, მედვედევ-სარკოზის გეგმა ა) შედგა; ბ) ასი პროცენტით შესრულდა. ნებისმიერი სხვა ინტერპრეტაციის მოსმენას არ ვაპირებ, რადგან მათ არასწორად მივიჩნევ“**, — ამ განცხადებით (და რიგი შემდგომი ფრაზებით) რუსეთის პრეზიდენტმა, სავარაუდოდ, მიანიშნა, რომ თბილისის სტრატეგია, რომელიც სამშვიდობო შეთანხმების შეუსრულებლობაზე საუბარს, ტერმინ „ოკუპაციის“ დამკვიდრებას და დასავლეთის მიმართ მუდმივ აპელირებას გულისხმობს, კრემლის წინააღმდეგობას წააწყდება, რომ ამ გზით საქართველოს ხელისუფლება ვერაფერს მიაღწევს.

ხოლო დადებითი პერსპექტივა მედვედევმა ასე აღწერა: **„მოხარული ვიქნები, თუ, ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლება და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან და იფიქრებენ იმაზე, თუ როგორ იცხოვრონ მომავალში, როგორ იქნება უზრუნველყოფილი მშვიდობა და მართლწესრიგი რეგიონში და ძალიან ახლობელი ერების ბედი, რა შეიძლება მათ პოტენციურად ოდესმე შექმნან. ეს მათი საქმეა და, თუ ოდესმე აქამდე მივა, ბედნიერი ვიქნები, რუსეთი ამას არასოდეს შეეწინააღმდეგება“.** მედვედევს არ დაუკონკრეტებია, გულისხმობდა თუ არა მისი „რა შეიძლება მათ პოტენციურად ოდესმე შექმნან“ ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით **„არანაირი იურიდიული წინაპირობები არ არსებობს. ცხადია, არ შეიძლება წინასწარ განჭვრეტა, თუ რა იქნება. მომავალში შესაძლებელია მოვლენების სხვადასხვაგვარი განვითარება. მაგრამ თუ დღევანდელ სიტუაციაზე ვისაუბრებთ, ჩემი აზრით, არც იურიდიული, არც ფაქტობრივი წინაპირობები ამისთვის არ არსებობს“.**



# ნინო ბურჯანაძე: შესაძლოა არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც სააკაშვილს აქეზებდნენ, რომელთაც ანტირუსული ისტერია სჭირდებოდათ

ეს განცხადება ასევე მოექცა მედიის ყურადღების ცენტრში, რადგან რამდენიმე დღით ადრე ვლადიმერ პუტინმა ახალგაზრდებთან შეხვედრის დროს არ გამორიცხა, რომ სამხრეთ ოსეთი შეიძლება რუსეთს შეუერთდეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ კრემლში დაიწყო საუბარი სამხრეთ ოსეთის შესაძლო შეერთებაზე რუსეთთან, იყო პუტინის შედარებით პირდაპირი განცხადება და მედვედევის შეფარული „შესაძლებელია მოვლენების სხვადასხვაგვარი განვითარება“, თუმცა, ამასთანავე, არცთუ დიდი ხნის წინ იყო მინიშნებები საქართველოს მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზეც; **გასული წლის 6 სექტემბერს პუტინმა ამაზე კლუბ „ვალდაის“ წევრებთან ისაუბრა. „მას თითქოსდა უნდოდა ეთქვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზები არსებობს“, — განუცხადა Wall Street Journal-ს რობერტ ლეგვოლდმა კოლუმბიის უნივერსიტეტიდან და დასძინა, რომ „პუტინის სიტყვებით საქართველოს შესახებ გაკვირვებული დარჩა“; ხოლო სემიუელ ჩარაპმა, „ამერიკული პროგრესის ცენტრიდან“, „ამერიკის ხმასთან“ საუბარში თქვა: „პუტინმა განაცხადა, რომ ოდესმე საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მოუწევს ერთად გადაწყვიტონ მათი მომავალი ურთიერთობის ფორმა და მან არ იცის, იქნება ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი თუ არა, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარადიულ დამოუკიდებლობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა“**; იყო პუტინის დაახლოებით ამავე შინაარსის გამოსვლაც ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე. მოვლენათა განვითარების ორ შესაძლო სცენარზე მინიშნებით, კრემლი საქართველოს, სავარაუდოდ, შემდეგ მესიჯს უგზავნის: **„აშშ-ისა და ნატოსკენ სვლა ქვეყნის გამთლიანებას სულ უფრო გაშორებთ, ხოლო რუსეთისკენ გადადგმული ნაბიჯებით მას შეიძლება მიუახლოვდეთ. აირჩიეთ, რა გზით წახვალთ“.**

ცხადია, მედვედევის ინტერვიუს სრულყოფილი ანალიზი ერთი სტატიის ფარგლებში ვერ მოხერხდება. მისი ზოგიერთი ფორმულირება ბევრს შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ მკაფიო, პრაგმატიზმის ნიადაგზე ჩამოყალიბებული პოზიცია, ალბათ, მაინც გაცილებით ბევრს იწონის, ვიდრე უსაგნო რიტორიკა და ამ მხრივ მედვედევის ინტერვიუ ნამდვილად ღირებულია. ის რუსეთის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებას მოითხოვს და ამაზე პირდაპირ საუბრობს. **ამასთანავე, მედვედევს თითქოსდა სურს, მოისმინოს პასუხი (ინტერვიუს რიგი მონაკვეთებისა ამის მყარ შთაბეჭდილებას ტოვებს) საკუთარ წინადადებებზე და არა იმდენად სააკაშვილის ხელისუფლებისგან, რამდენადაც მთელი ქართული ელიტისგან და საზოგადოებისგან; საბოლოო ჯამში კი, ეს ინტერვიუ, შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი შესავალი რთული, მტკივნეული, თუმცა აუცილებელი და, რაც მთავარია, გარდაუვალი საუბრის წინ, რომელიც ქართველებსა და რუსებს შორის ადრე თუ გვიან შედგება. რამდენად შედეგიანი იქნება ეს საუბარი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, მას ვერსად გავექცევით.**

**დიმიტრი მონიავა**



**ვლადიმერ პუტინმა ახალგაზრდებთან შეხვედრის დროს არ გამორიცხა, რომ სამხრეთ ოსეთი შეიძლება რუსეთს შეუერთდეს**

**ამერიკული მედია და რიგი ექსპერტები ალასანიას მიმართ ხაზგასმულ, თითქმის გადაჭარბებულ კეთილგანწყობას ავლენენ; რუსები რომ იტყვიან, «К ЧЕМУ БЫ ЭТО?!»**



## კახეთში ბენზინგასამართი სადგურები დაიხურა

**დედოფლისწყაროში საწვავის დეფიციტის გამო ბენზინგასამართი სადგურების დაიხურა.** როგორც სადგურის მფლობელები აცხადებენ, მათ კომპანია „სოკარი“ საშუალებას არ აძლევს, საწვავი ბაზაში საბითუმო ფასად შეიძინონ და სანაცვლოდ ბენზინს „სოკარის“ ქსელიდან სთავაზობს. ამის გამო რეგიონში საწვავის დეფიციტია და შესაბამისად, გლეხებსაც მოსავლის დაბინავება უჭირთ.

## თბილისში უბნის საგადასახადო ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა

**შემოსავლების სამსახურის განცხადებით, გადამხდელებს ხშირად უჩნდებათ შეკითხვები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ამიერიდან კი ისინი პასუხების მიღებას ობიექტიდან გაუსვლელად შეძლებენ უბნის საგადასახადო ოფიცრის დახმარებით, რომელიც საჭირო ტექნიკით იქნება აღჭურვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ადგილზევე შეეძლებათ გარკვეული პროცედურების მოგვარება, რაც აქამდე მხოლოდ სერვის ცენტრებში იყო შესაძლებელი.**

თითოეულ მეწარმეს ექნება საკუთარი უბნის ოფიცრის ტელეფონის ნომერი და შეძლებს კონსულტაციის მიღებას. უბნის საგადასახადო ოფიცრის ფუნქციაში არ შედის მოქალაქეთა დაჯარიმება; რაიმე უზუსტობის შემთხვევაში, არ მოჰყვება საგადასახადო შემოწმება.

ამ ეტაპზე პროექტი მხოლოდ თბილისში მოქმედებს, ახლო მომავალში კი მისი ამოქმედება რეგიონებშიც იგეგმება. პროექტში 80 საგადასახადო ოფიცერია ჩართული, რომლებიც შესაბამის ტრენინგებსაც გადიან.

## გერმანია-საფრანგეთის ერთობლივი სამხედრო გემები

**გერმანია და საფრანგეთი ერთობლივ სამხედრო-საზღვაო კონსორციუმს ქმნიან.** მოლაპარაკებებში ჩართულია როგორც ორი ქვეყნის ხელისუფლება, ასევე ამ ქვეყნების გემთმშენებელი კომპანიების წარმომადგენლები. საფრანგეთი გერმანიასთან სამხედრო-საზღვაო პოტენციალის გაერთიანებას, დიდი ხანია, აპირებდა. ეს თემა ნიკოლა სარკოზიმ ანგელა მერკელთან შეხვედრისას არაერთხელ წამოჭრა, მაგრამ გერმანია ამ ალიანსის შექმნას არ ჩქარობდა.



## თურქეთის შეიარაღებულ ძალებს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს

**თურქეთში შეიარაღებული ძალების მეთაური, ასევე არმიის, საზღვაო და საჰაერო ძალების ახალი სარდლები ოფიციალურად წარადგინეს.** თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა ის კანდიდატურები დაამტკიცა, რომლებიც უმაღლესი სამხედრო საბჭოს ოთხდღიან შეხვედრაზე აირჩიეს. შეიარაღებული ძალები ჩაიბარა გენერალმა ნეჩდეტ ოზელმა, რომელიც აქამდე გასამხედროებულ ჟანდარმერიას ხელმძღვანელობდა.

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნაც-რეალობა

**სააკაშვილი ვერ იტანს ეროვნულ გმირებს, გამარჯვების აღმნიშვნელ სიმბოლოებს (მონუმენტებს), რადგან გმირობა და გამარჯვება მისი პიროვნებისა და მმართველობისთვის დამახასიათებელი არ არის. შეიძლება ითქვას, ის ანტიაღმაშენებელია და ამიტომაც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დიადი მეფის სახელი შეურაცხყოს. ეს ერთგვარი შურისძიებაა, რადგან აღმაშენებელი მთავარსარდალია, ოღონდ, სააკაშვილისგან განსხვავებით, გამარჯვებული მთავარსარდალი, რომელმაც მოქნილი დიპლომატიური და სამხედრო პოლიტიკის გატარებით შეძლო ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სააკაშვილის მმართველობა კი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებასთან და ტერიტორიების დაკარგვასთან ასოცირდება.**

## გაფროზებული



**ირაკლი ალასანია,**
**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

საპროტესტო აქციების გარეშეც საზოგადოება უაღრესად პოლარიზებულია, რაც არეულობებს იწვევს, რომელიც აღარ შეჩერდება, ვიდრე ხელისუფლება არ შეიცვლება და დემოკრატიული რეფორმები საბოლოოდ არ განხორციელდება.

*Washington Times*



**მამუკა არეშიძე,**
**ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**

ბევრ ადამიანს გავაბრაზებ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ აფხაზეთის ომის ხარჯზე ბევრმა ცხოვრება მოიწყო და კარიერა გაიკეთა.

*obieqtivi.net*



**გიორგი თარგამაძე,**
**„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი:**

ის სამშვიდობო ინიციატივები, რომელთაც ქართული მხარე რუსეთ-საქართველოს ომამდე აჟღერებდა, არასაკმარისად ჩანდა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა პარალელურად მილიტარისტული რიტორიკა გრძელდებოდა და სამხედრო შეიარაღებისთვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობა უფრო და უფრო იზრდებოდა.

*„პირველი“*



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

საქართველო დღეს რეალურად “ცივი ომის” პერიოდში ცხოვრობს. მაშინ როდესაც სახელმწიფოებმა “ცივი ომის” პერიოდში ცხოვრება შეწყვიტეს და პირველ რიგში აშშ-მა და რუსეთმა, საქართველო მაინც “ცივი ომის” პერიოდში ცხოვრობს.

*ტელეკომპანია HTB*



**გიორგი მამულია,**
**ექსპერტის კავკასიის საკითხებში:**

მსო-ში რუსეთის გაწევრიანება არ ღირს იმ ფასად, რომ კრემლმა საქართველოს ამ ორი რეგიონის მიმართ თავისი პოლიტიკა გადასინჯოს.

*„პირველი“*

# დამარცხებული მთავარსარდლის შურისძიება



ძეგლი, მონუმენტი თუ ობელისკი — ეს არის ღირსეულ მამულიშვილთა გამარჯვების, მათი გმირობის, დიდებისა და სახელის უკვდავყოფის სიმბოლური გამოხატულება, ერის, საზოგადოების მეხსიერება, რომელიც შეგვახსენებს, ვისი გორისანი ვართ და საიდან მოვდივართ. ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლება, უპირველესად კი, ქვეყნის პირველი პირი, მიზანმიმართულად ებრძვის ერის მეხსიერებას და ცდილობს, საყოველთაო სკლეროზი, ამნეზია დამართოს საკუთარ მოსახლეობას, რათა ჭეშმარიტად მაღალზნეობრივი სიმბოლოები ადვილად ჩაანაცვლოს უსახური ფსევდოფასეულობებით.



## „ჰეროსტრატეს კომპლექსი“

**მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული არტემიდეს ტაძარი ეფესოში ჰეროსტრატემ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო გადაწვა, რომ ისტორიაში შესულიყო, და მიზანსაც მიაღწია. როგორც ტომას ბრაუნი ამბობდა: „ჰეროსტრატე ცოცხლობს, დიანას (რომაელები არტემიდეს დიანას ეძახდნენ. — ზ.ჯ.) ტაძრის დამწველი, ხოლო მისი ამგები თითქმის აღარავის ახსოვს“.**

დღესაც მრავლად არსებობენ ადამიანები, რომლებიც განდიდების მანიით არიან შეპყრობილი და სასურველი მიზნის მისაღწევად მზად არიან ყველანაირი უკეთური საქციელის ჩასადენად. მათთვის მთავარია, მათ სახელს ხალხი ყოველთვის ახსენებდეს, მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს — რა კონტექსტში. ამ მოვლენას ფსიქოლოგიაში „ჰეროსტრატეს კომპლექსს“ უწოდებენ.

**საქართველოში „ძეგლთმებრძოლობა“ გრძელდება. უფრო სწორად, სააკაშვილის ბრძანებით ხელყოფა ხდება იმ ძეგლების, რომლებიც ეროვნული სიამაყის, გამარჯვებისა და გმირობისადმი მიძღვნილ სიმბოლოებს წარმოადგენს.**

**ამჯერად სააკაშვილის რეჟიმის მორიგი მსხვერპლი ჩვენი სათაყვანებელი მეფის — დავით აღმაშენებლის ძეგლი აღმოჩნდა, რომელიც ქუთაისის ცენტრში, მესხიშვილის თეატრის წინ იდგა და ამაყად გადაჰყურებდა იმ ქალაქს, საიდანაც დაიწყო საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა.**

როგორც ჩანს, სააკაშვილი ჰეროსტრატეს კომპლექსით არის დაავადებული, რადგან სხვა ვერაფრით აიხსნება ის ვანდალური ქმედება, რომელიც 7 აგვისტოს, ღამის ორ საათზე, ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლის მიმართ განხორციელდა, როცა, ცხინვალის ომის დაწყებიდან მესამე წლისთავზე, მძინარე ქუთათურებს ცხვირწინ ააცალა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ძლევამოსილი მეფის ძეგლი.

**სააკაშვილის რეჟიმის მორიგი სამიზნე ბათუმის ცენტრში მდებარე მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ობელისკია, რომელსაც, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მალე ქალაქის გარეუბანში, უკაცრიელ ადგილას გადაიტანენ და აბსოლუტურ სიმყუდროვეში მოათავსებენ. ობელისკის ნაცვლად კი ტურისტების საამებლად ახალი საბაგირო აშენდება.**

**სააკაშვილი მიზანმიმართულად ატარებს ტურიზმის სახელს ამოფარებულ ანტიეროვნულ პოლიტიკას, რაც საქართველოს გადააქცევს უცხოელი ტურისტებისთვის მიმზიდველ ეგზოტიკურ ტერიტორიად, სადაც რუსთაველის, აღმაშენებლისა და ჭავჭავაძის გამზირებზე; ასევე სოფლის შარა-გზებზე ქართველების უმრავლესობა მათხოვრებად ჩამწკრივებული „გაალამაზებს“ კავკასიურ სამოთხეს.**

**ამ პოლიტიკას ემსახურებოდა სააკაშვილის გადაწყვეტილება, როცა ბათუმის ახალ ბულვარს აბუ-დაბის შეიხის, ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანის სახელი მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო უწოდა, რომ რამდენიმე ათასი ძირი პალმა გვაჩუქა (შეიხს მადლობა საჩუქრისთვის!), მაგრამ ორიოდ თვის წინათ ქუთაისში ყველასთვის საყვარელი ქართველი მწერლის, ოტია იოსელიანის თაოსნობით დარგული ხეივანი უსინდისოდ გაჩეხა ველოტრეკისთვის ადგილის გამოსათავისუფლებლად, ქუჩისთვის მწერლის სახელის დარქმევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.**

ჰეროსტრატე-სააკაშვილს დავით აღმაშენებლის ძეგლის მიმართ პირველად არ განუხორციელებია ასეთი ვანდალური აქტი. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ფიცი გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო, რითაც მან სცადა, შეექმნა ვირტუალური რეალობა, რომ თითქოს ის დავითის „მემკვიდრე“ და საქმის გამგრძელებელია. ამას ხელს უწყობდა ნაცპროპაგანდისტული მანქანა, რომელმაც მისი გაპრეზიდენტებისთანავე აქტიურად დაიწყო მითების გავრცელება, მიზნად სააკაშვილის, როგორც ახალი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლის, წარმოჩენას რომ ისახავდა და მისი სახელის უკვდავყოფას „მიხეილ რეფორმატორის“ ზედწოდებით ცდილობდა. მაგრამ სააკაშვილს დიადი მეფისთვის მიბაძვა არც უცდია. უფრო მეტიც, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მისი დაკნინება დაიწყო და საქართველოს გამაერთიანებელი და არაბების ოთხსაუკუნოვანი მმართველობისგან თბილისის განმანთავისუფლებელი მეფე ლამის დედაქალაქიდან „გააძევა“.

**უკვე არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სააკაშვილი ვერ იტანს ეროვნულ გმირებს, გამარჯვების აღმნიშვნელ სიმბოლოებს (მონუმენტებს), რადგან გმირობა და გამარჯვება მისი პიროვნებისა და მმართველობისთვის დამახასიათებელი არ არის. შეიძლება ითქვას, ის ანტიაღმაშენებელია და ამიტომაც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დიადი მეფის სახელი შეურაცხყოს. ეს ერთგვარი შურისძიებაა, რადგან აღმაშენებელი მთავარსარდალია, ოღონდ, სააკაშვილისგან განსხვავებით, გამარჯვებული მთავარსარდალი, რომელმაც მოქნილი დიპლომატიური და სამხედრო პოლიტიკის გატარებით შეძლო ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სააკაშვილის მმართველობა კი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებასთან და ტერიტორიების დაკარგვასთან ასოცირდება. ამიტომაც ებრძვის მაღალი მიხეილი დიდ ►**



**სააკაშვილის რეჟიმის მორიგი სამიზნე ბათუმის ცენტრში მდებარე მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ობელისკია**

მოკლედ

## კადაფის ფული ამბოხებულთათვის

**საფრანგეთმა ლიბიელ ამბოხებულებს მუამარ კადაფის გაყინული ანგარიშებიდან 259 მილიონი დოლარი მისცა.** საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ნაციონალური გარდამავალი საბჭო — ლიბიური ოპოზიციის ხელისუფლების ორგანო — ამ სახსრების დახარჯვას ჰუმანიტარულ საჭიროებებზე შეძლებს. პარიზში მეამბოხე ოპოზიციის ელჩმა მანსურ საიფ ალნასრმა დაადასტურა, რომ „ლიბიელი ხალხის კუთვნილი ფული“ სურსათისა და მედიკამენტების შესყიდვას მოხმარდება.



## მუბარაქის სასამართლო დაიწყო

**ეგვიპტის პოლიციის აკადემიაში ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, ხოსნი მუბარაქის სასამართლო პროცესი დაიწყო.** გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ექს-პრეზიდენტი შარმ-ეშ-შეიხის საავადმყოფოდან ქაიროში სამედიცინო თვითმფრინავით ჩაიყვანეს. განსასჯელის სკამის ნაცვლად, 83 წლის მუბარაქი სპეციალურად მისთვის დამონტაჟებულ ლოგინზე იწვა. სასამართლოზე მან ოთხი თვის მანძილზე პირველად ნახა თავისი შვილები, რომლებიც ასევე ბრალდებულები არიან. მუბარაქმა ყველა ბრალდება უარყო და კვლავ საავადმყოფოში დაბრუნდა.

**სააკაშვილის რეჟიმმა სტალინის ძეგლის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი სწორედ აგვისტოს ომის დროს განცდილი მარცხის შემდეგ დააყენა, ვინაიდან მაღალი მიხეილის სახელს დაჩრდილვით კიდევ ერთი გამარჯვებული მთავარსარდალი ემუქრებოდა, რადგან, მიუხედავად სტალინის პიროვნების კრიტიკული გააზრებისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა, შეუძლებელია უარყო სტალინის, როგორც მსოფლიოში უდიდესი მთავარსარდლის, გენიალურობა, რომელმაც იხსნა კაცობრიობა ფაშისტური ბოროტებისგან.**

# ნაც-რეალობა

www.geworld.net
...აქრაძის №6, ტელ: 234-32-95





**სააკაშვილის რეჟიმის მორიგი მსხვერპლი ჩვენი სათაყვანებელი მეფის — დავით აღმაშენებლის ძეგლი აღმოჩნდა, რომელიც ქუთაისის ცენტრში, მესხიშვილის თეატრის წინ იდგა და ამაყად გადაჰყურებდა იმ ქალაქს, საიდანაც დაიწყო საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა**

**◀ აღმაშენებელს. ამიტომაც აქცია საქართველოს ისტორიაში ყველაზე უძლიერესი მთავარსარდალი დილმის „საგზაო ინსპექტორად“.**

ასევე, ერთი წლის წინათ, სააკაშვილის ბრძანებით, გორის ცენტრიდან ღამით ბარბაროსული მეთოდებით, საქართველოს მოქალაქეებისგან მალულად და მათივე აზრის გაუთვალისწინებლად აიღეს სტალინის ძეგლი, სწორედ ის ძეგლი, რომლის სიახლოვეს აგვისტოს ომის დროს რუსული ავიაციის მიერ შეშინებული მაღალი მიხეილი ლამის ატირებული ფორთხავდა (ეს სამარცხვინო კადრი ქართველი ერის მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება) და ვინ იცის, იქნებ მსოფლიოში უდიდეს მთავარსარდალს დახმარებას სთხოვდა ან „ერთგულებას“ ეფიცებოდა, გადარჩენის შემთხვევაში. თუმცა ამას ვერასდროს გავიგებთ.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის რეჟიმმა სტალინის ძეგლის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი სწორედ აგვისტოს ომის დროს განცდილი მარცხის შემდეგ დააყენა, ვინაიდან მაღალი მიხეილის სახელს დაჩრდილვით კიდევ ერთი გამარჯვებული მთავარსარდალი ემუქრებოდა, რადგან, მიუხედავად სტალინის პიროვნების კრიტიკული გააზრებისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა, შეუძლებელია უარყო სტალინის, როგორც მსოფლიოში უდიდესი მთავარსარდლის, გენიალურობა, რომელმაც იხსნა კაცობრიობა ფაშისტური ბოროტებისგან. ამ რეალობას არა თუ მისი ძეგლის მალულად აღება, არამედ ცხრაკლიტულში გადამალვაც კი ვერ შეცვლის.

ჰეროსტრატე-სააკაშვილის ბრძანებითვე აიღეს ბათუმში რამდენიმე წლის წინათ ილია ჭავჭავაძის ძეგლი, რომელიც მწერლის სახელობის თეატრის წინ იდგა; სანაცვლოდ დაიდგა ნეპტუნის მოოქროვილი ქანდაკება, რომლის კვარცხლბეკი მკერდმოშიშვლებული ქალებით არის დამშვენებული მაღალი მიხეილის ეროტიკული ფანტაზიების გასაღვიძებლად.

**„ჰეროსტრატეს“ დენთმა ასევე შეიწირა ქუთაისის დიდების მემორიალი, რომლის აფეთქებამაც ორი ადამიანის (დედაშვილის) სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს მემორიალი ეძღვნებოდა იმ ასი ათასობით ქართველ მეომარს, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ომში დაიღუპნენ და თავი გასწირეს სამშობლოს გადასარჩენად.**

ეს ყოველივე დანაშაულებრივი პოლიტიკაა, რომელმაც ყველასთვის ცხადი გახადა, რომ სააკაშვილი ქართველი ერისთვის არა თუ ეროვნული გმირი, არამედ ანტიგმირია და მის მიერ გატარებული ავანტიურისტული და კოლაბორაციონისტული პოლიტიკის შედეგად საქართველო დაშლა-დაქუცმაცების, ეროვნული დეგრადაციის, სოციალური უსამართლობისა და ეკონომიკური სტაგნაციის გზას დაადგა.

## LA LIBERTE ECLAIRANT LE MONDE

„თავისუფლება მსოფლიოს განმანათლებელი“ — ასე ეწოდება მსოფლიოში ყველაზე ცნობილ მონუმენტს, რომელიც უფრო „თავისუფლების ქანდაკების“ სახელით არის ცნობილი. თავისუფლების ეს სიმბოლო ამერიკელებში სიამაყის განცდას, ხოლო ამერიკაში ჩასულ ტურისტებში აღტაცებას იწვევს, მისი სიმბოლური დატვირთვის გამო, თუმცა ამ მონუმენტის მრისხანე მზერას და გასხივოსნებულ გვირგვინს მსოფლიოში ყველასთვის თავისუფლება და კეთილდღეობა როდი მოაქვს, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

**ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ პრეზიდენტმა ობამამ ამერიკელებისა და კონგრესის დაუკითხავად მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება და „თავისუფლების ქანდაკება“ ლიბერთი-აილენდიდან (თავისუფლების კუნძული) სადმე ნიუ იორკის გარეუბანში გადაიტანა ან თუნდაც მის გემოვნებას შეეწირა ლინკოლნის მემორიალი — ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მონუმენტი, რომელიც ვაშინგტონში ნაციონალურ მოლზე არის აგებული.**

ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება გახდება ობამას იმპიჩმენტისა და საყოველთაო შერისხვის საფუძველი, მაგრამ საქართველო ხომ „სულ სხვაა“. აქ საზოგადოება მხოლოდ ამომრჩეველია, რომელიც ძალაუფლების მოსაპოვებლად გამოიყენება, მისი აზრი კი არავის აინტერესებს; საკანონმდებლო ორგანო სანოტარო ბიუროს როლს ასრულებს და პრეზიდენტის ნება-სურვილს ემორჩილება; კონსტიტუცია და კანონი მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ დაირღვეს; დემოკრატიას ავტორიტარული რეჟიმი შირმად იყენებს, უფრო სწორად დემოკრატიის სახელით დემოკრატიას ასამარებს; ესოდენ ნანატრი ლიბერალიზმის (როგორც სოციალიზმის მარწუხებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა) სახელით ეროვნული თავისთავადობა და პიროვნული თავისუფლება იდევნება და ა.შ.

**ზურაბ ჯამბურია**



**«ჰეროსტრატეს» დენთმა ასევე შეიწირა ქუთაისის დიდების მემორიალი, რომლის აფეთქებამაც ორი ადამიანის (დედა-შვილის) სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს მემორიალი ეძღვნებოდა იმ ასი ათასობით ქართველ მეომარს, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ომში დაიღუპნენ და თავი გასწირეს სამშობლოს გადასარჩენად**



**P.S. როგორც ჩანს, სააკაშვილს დამარცხებული მთავარსარდლის მდგომარეობა ძალიან აწუხებს, ამიტომ ყველა მონუმენტს, რომელიც ომში გამარჯვების და გმირობის სიმბოლოს წარმოადგენს, ვერ იტანს და დევნის სასტიკად (იქნებ ძეგლების დამარცხება მაინც შეძლოს). ისე, წლების შემდეგ ქართველმა ერმა დამარცხებული მთავარსარდლის ძეგლი სად უნდა დადგას?... ალბათ, გორში... „შიშისგან მიწაზე მფორთხავი პრეზიდენტის“ ძეგლის სანახავად უამრავი ტურისტი მოაწყდება საქართველოს.**

## გამოხმაურებები

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**



როცა ერთი პოლიტიკური ძალა ატარებს მიტინგს, ზოგიერთები ბულდოგებივით ეცემიან და მერე ყველაფერი ფუჭდება. მთელ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ ჩვენი მოთხოვნა ერთიანია, მაშინ ხალხიც გაურკვევლობაში აღარ იქნება და საერთო ბრძოლით ამ ტირან, დიქტატორ და მოძალადე ხელისუფლებას აუცილებლად დავამთავრებთ.

*„პირველი“*

**სოფიო ხორგუანი, „ქართული პარტიის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი:**



ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ საქართველოსთვის დაღუპული ბიჭების სახელი საკუთარი პიარისთვის გამოიყენოს. საზოგადოების დაცინვაა ის, როდესაც დღევანდელი რეჟიმი ომში გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მომადლიერებას იაფასიანი შოუებით ცდილობს. შემაძრწუნებელია, როდესაც ისმენ ომში დაღუპული ვაჟკაცის პატარა ბავშვის მადლობას იმისთვის, რომ ვიღაცამ ის საქანელაზე წაიყვანა.

*„პირველი“*

**თედო ჯაფარიძე, საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში:**



ჩემთვისაც უთქვამთ ამერიკელ მეგობრებს აქედან ჩასული ქართველი პოლიტიკოსების დანაქადები, ეს დაჟანგული ტანკები და მშიერი ჯარისკაცები ჩვენთვის არაფერია, ერთ დღეში გავანადგურებთო. ცხადია, ეს არ ნიშნავს ომის გამოცხადების დეკლარირებას, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება რომ არსებობდა, ცხადია.

*„კვირის პალიტრა“*

**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**



ომის დროს ოპოზიციის მორატორიუმი იყო შეცდომა, კრეტინული მორატორიუმი. სააკაშვილი ამ ომისთვის უნდა გადაგვეყოლებინა... ტერიტორიების დაბრუნების შანსები არსებობს, მაგრამ ერთადერთი და უმთავრესი პირობაა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს.

*„ახალი თაობა“*

## საფრანგეთი ლაგარდის წინააღმდეგ

**საფრანგეთის სასამართლომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახლახან დანიშნული კრისტინ ლაგარდის წინააღმდეგ საქმე აღძრა.** ლაგარდს ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს, ერთ-ერთი კომერციული დავის გადაწყვეტისას, უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. არსებობს ეჭვი, რომ მან 1993 წელს პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან დაახლოებული ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის, ბერნარ ტაპის კუთვნილი კომპანია Adidas-ის მხარდაჭერისას სამსახურეობრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა.



## კადაფი რადიკალ ისლამისტებს გამოიყენებს

**მუამარ კადაფის ხელისუფლება ოპოზიციონერ რადიკალებთან მოლაპარაკებებს იწყებს.** როგორც კადაფის ვაჟმა, სეიფ ალ-ისლამმა განაცხადა, ამ ნაბიჯით ტრიპოლი ლიბერალურად განწყობილი ამბოხებულების გზიდან ჩამოშორებას ცდილობს. მან დაუფარავად გამოხატა ნეგატიური განწყობა ისლამისტების მიმართ, მკვლელები და ტერორისტები უწოდა, თუმცა აღნიშნა, რომ იძულებულია, მათთან საქმე დაიჭიროს, ვინაიდან ისინი რეალურ ძალას წარმოადგენენ.

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აქამდე სულ ორ ადამიანს ვიცნობდი (პირველს დაუსწრებლად), ვინც აგენტების იარლიყებს მოსახლეობის ესოდენ დიდ ჯგუფებს აკრავდა: ერთი კამბოჯის ყოფილი დიქტატორი პოლ პოტი იყო, მეორე — ერთი ჩემი ნაცნობი, ასათიანის ქუჩიდან; ახლა ამ სახელოვან კოჰორტას კიდევ ორი გამოჩენილი მოღვაწე შეემატა.**

# «აგენტების თაობა», ანუ სადილი დავით ბაქრაძესთან




**გუშინ დავით ბაქრაძემ „Facebook“-ში შეძენილი თაყვანისმცემლების ჯგუფს პარლამენტი დაათვალიერებინა, შემდეგ კი მათთან ერთად ისადილა. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, როდესაც შეიტყო, რომ ბაქრაძე უმასპინძლებდა, იქვე „Facebook“-ში დაწერა: „უბედნიერესი ვარ, სულ ვამბობ, უფალს ძალიან ვუყვარვარ, სანამ ამ ამბავს გავიგებდი, ერთი რაღაც საქციელის გამო მითხრეს — შენზე დიდი მადლი გადმოვაო. ჰოდა, აი მეც 9-ში ვიქნები იქ, პარლამენტში, და დავით ბაქრაძის გაცნობის პატივიც მექნება. ჰოდა ასე, ბატონი დავითისგან და მისი ოჯახისგან, ფოტოებითაც კი დადებითი ენერგია იგრძნობა“. „არ ვიცი, როგორ გამოვხატო ეს სიხარული,“ — აღტაცებით წერდა ბაქრაძის მიერ სიაში შეყვანილი კიდევ ერთი სტუმარი.**

ვინაიდან (კვაზი)რელიგიური ექსტაზისა და მასობრივი (ან თუნდაც ჯგუფური) ფსიქოზის დარგში სპეციალისტი არ გახლავართ, ყველაზე მეტად იმ დადებითმა ენერგიამ დამაინტერესა, რომელიც თურმე ბაქრაძის ფოტოებიდან მოდის; ალტერნატიულ ენერგეტიკას ყველა მის გამოვლინებაში დიდ პატივს ვცემ. ბაქრაძის ფოტოს ჯერ ვენტილატორი შევუერთე, მაგრამ არ დატრიალდა ოხერი. შემდეგ გამახსენდა, რომ, პლუსის გარდა, საჭიროა მინუსი, ანუ, ალტერნატიული ენერგეტიკის ტერმინებით თუ ვისაუბრებთ, „უარყოფითი ენერგიის წყარო“. ავიღე სააკაშვილის ფოტო და ბაქრაძის გვერდით მეორე მავთულს შევუერთე; ვენტილატორი მაინც არ ამუშავდა. ხანგრძლივმა ექსპერიმენტებმა შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა: **სააკაშვილის, ბაქრაძისა და განსაკუთრებით ნუგზარ წიკლაურის ფოტოებისგან ენერგიის მიღების ერთადერთი საშუალება მათი ღუმელში დაწვაა; სხვა ვარიანტი არ არსებობს. ვინაიდან წინ ცივი და მშიერი ზამთარი გველის, ბევრი ჩვენგანი გათბობის ხარჯებს (გაზი, ელექტროენერგია), უბრალოდ, ვეღარ დაფარავს და ისევ შეშის ღუმელებთან (იმედია, არა კოცონებთან) ჯდომა მოგვიწევს, გავითვალისწინოთ, რომ ხელისუფალთა ფოტოები კარგად იწვის და ბევრ სითბოს გამოყოფს.**

თუმცა დავუბრუნდეთ დავით ბაქრაძის სადილს, რომელიც აგვისტოს ომის მესამე წლისთავზე გაიმართა. საინტერესოა, მოუთხრო თუ არა მან თავის თანამეინახეებს იმ ეპიკური ეპიზოდის შესახებ, როდესაც ტელეეკრანებზე სახეწაშლილი გამოჩნდა და მოსახლეობას მოგვიწოდა, რუსეთის არმიისთვის წინააღმდეგობა ჩვენ ხელთ არსებული ყველა საშუალებით გაგვეწია. ჩემი ერთადერთი თავდაცვითი საშუალება ბაბუაჩემის მასიური ჩაქუჩი იყო. მარჯვენა ხელში ავიღე და სევდიანად ველოდებოდი მომენტს, როდესაც ჩემს ქუჩაზე ჯავშანტექნიკაზე ამხედრებული რუსი მედესანტეები შემოიჭრებოდნენ. მარცხენა ხელი ამ დროს დაჭმუჭნულ ქაღალდზე ხაზავდა ტაქტიკურ სქემას საერთო სახელწოდებით „შეტევა სატანკო კოლონაზე ბაბუაჩემის ჩაქუჩის გამოყენებით“. პარალელურად ვიხსენებდი ძველ ანეგდოტს ჩინურ ტანკსაწინააღმდეგო ოცეულზე — ხუთასი კაცი სახრახნისებით, რომლებიც ტანკს თავს ესხმიან და ნაწილებად შლიან. ტელევიზორი არ გამომირთავს, რადგან **ველოდებოდი, რომ ეკრანზე წვერმოშვებული დავით ბაქრაძე გამოჩნდებოდა და წინააღმდეგობას სათავეში ჩაუდგებოდა. მაგრამ (Ах, какой пассаж!) ბაქრაძე არ გამოჩენილა. დაუდასტურებელი, მაგრამ ძალიან ფართოდ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმ ისტო(ისტე)რიული გამოსვლიდან გარკვეული დროის შემდეგ ის აზერბაიჯანში გაიქცა. არ მინდა ამ ინსინუაციებს დავუჯერო, თუმცა კითხვა „შენ სადღა იყავი, კომანდანტე?“, სამი წელია, უპასუხოდ რჩება.**

საერთოდ, **იმ დღეებში ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის ადგილსამყოფელის დადგენას, ალბათ, შერლოკ ჰოლმსიც ვერ მოახერხებდა.** მაგალითად, გორში ლადო ვარძელაშვილს ვერც რუსული და ვერც ქართული მხარე პოულობდა. ბოლოს რუსები, როგორც ჩანს, ძებნით დაიღალნენ და მათი 76-ე სადესანტო-მოიერიშე დივიზიის მეთაურმა ვარძელაშვილის კაბინეტის კედელზე დაწერა: „Губернатор, вернись к своему народу, трус!“ (გუბერნატორო, დაბრუნდი საკუთარ ხალხთან, შე ლაჩარო!). ამ დივიზიის ოფიცერი ანდრეი კრასოვი იხსენებს, რომ იმ მომენტში გორის მოსახლეობას არც პური და არც ფქვილი ჰქონდა (zaotechestvo.ru). ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის თქმით, **„გუბერნატორსა და მის მოადგილეს დიდი ხანი ვერ პოულობდნენ ცენტრალურ ხელისუფლებაში, ამიტომ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე მაისურაძე დანიშნეს. მაისურაძის დანიშვნის შემდეგ გუბერნატორი და მისი მოადგილეები იძულებული გახდნენ, გამოჩენილიყვნენ“.** ასე იყო თუ ისე, დღეს ვარძელაშვილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრია და, მისი უწყების ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მომავალ თაობას სამშობლოს სიყვარულს ასწავლის და, როგორც ჩანს, თავისებურ წარმატებებსაც აღწევს: **ზოგიერთი ახალგაზრდისთვის დავით ბაქრაძის ფოტოებიდან უკვე ენერგეტიკული ემანაციები მოედინება და იმის გაფიქრებაც კი მეშინია, რა გრძნობებს აღძრავს მათში მიხეილ სააკაშვილის ფოტო.**

**„სოფელ ვარსაჟის ბურგომისტრი ფლერე, რომელმაც მისი ხელისუფლების აღმნიშვნელი ლენტი ეკეთა, მთავარ მოედანზე იდგა, სადაც ბელგიურ ქვაფენილზე ფლოქვების თქარუნით გერმანული კავალერია მიდიოდა. მას ესკადრონის მეთაური მიუახლოვდა...“** (ციტატა ბარბარა ტაკმანის ლეგენდარული წიგნიდან „აგვისტოს ქვემეხები“, რომელიც I მსოფლიო ომის საწყის პერიოდს აღწერს). ფლერეს იმ მომენტში, ალბათ, ძალიან ეშინოდა. ერთი ჩვეულებრივი კაცი იყო, რომელიც, როგორც ყველა ხელისუფალი, ცოტ-ცოტას ცრუობდა, შესაძლოა, ცოტ-ცოტას იპარავდა კიდეც, მაგრამ, როდესაც „ჭეშმარიტების მომენტი“ დადგა, არ გაქცეულა და, ისევე, როგორც სხვა ბელგიელ ბურგომისტრებს და მერებს, საკუთარი მოსახლეობა არ მიუტოვებია. მისგან რამდენიმე მეტრში, წინ, ლიეჟისკენ და პარიზისკენ მიდიოდა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამხედრო მანქანა კაცობრიობის ისტორიაში, რომლის ფონზე ბურგომისტრი თავისი ლენტით ისევე გამოიყურებოდა (ჰემინგუეის თქმის არ იყოს) როგორც ფარვანა — ტანკის ფონზე.

**კაიზერის არმია ავკაცობით ვერმახტს კი ჩამოუვარდებოდა, მაგრამ დროდადრო ქალაქებსაც წვავდა, ბურგომისტრებსაც კლავდა და მშვიდობიან მოქალაქეებსაც ხვრეტდა. რატომ არ გაიქცა ის კაცი? იმიტომ ხომ არა, რომ ნორმალურმა ხელისუფლებამ არ შეიძლება საკუთარი მოსახლეობა უპატრონოდ მიაგდოს, როგორც ეს სააკაშვილის ხელისუფლებამ გორში გააკეთა?** თუ მისი წარმომადგენლები იატაკქვეშეთში გადავიდოდნენ და პარტიზანულ ბრძოლას სათავეში ჩაუდგებოდნენ, ეს გასაგები იქნებოდა (მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ხელისუფლების წარმომადგენლების მოქმედების კიდევ ერთი ვარიანტი), მაგრამ არაფერ მსგავსს ადგილი არ ჰქონია; გორი, უბრალოდ, უპატრონოდ მიატოვეს, თანაც ევაკუაციის ორგანიზების გარეშე. შესაძლოა, სწორედ ამ მომენტში დაიფშვნა ბევრი ადამიანის ნდობა სააკაშვილის მთავრობის მიმართ, რადგან მან ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობის ძველისძველი, დაუწერელი კანონი დაარღვია. ძნელია, ბურგომისტრის ლენტით დამშვენებული მოწინააღმდეგის ჯარისკაცებით სავსე მოედანზე გახვიდე, სადაც მოლაპარაკების ნაცვლად შეიძლება უმალვე თავი წაგაცალონ, მაგრამ სხვანაირად არ გამოდიოდა, რადგან მოსახლეობა შეიძლება გავეშებული მარადიორების მსხვერპლი გამხდარიყო და ულუკმაპუროდ დარჩენილიყო; ბურგომისტრ ფლერეს ეს, ალბათ, კარგად ესმოდა.

**იმედია, დავით ბაქრაძემ თავის „Facebook“-ელ თაყვანისმცემლებს მოუთხრო, თუ როგორ ზრუნავდა ხელისუფლება მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაზე, ევაკუაციაზე, მომარაგებაზე; რატომ მიატოვეს გორი და ჩააბარეს კოდორის ხეობა, რომელიც აქამდე ვერც ერთმა არმიამ არა მხოლოდ საუკუნეების, არამედ ათასწლეულების განმავლობაში ვერ დაიკავა. ეს საუბარი მისი სტუმრებისთვის, ალბათ, გაცილებით სასარგებლო იყო, ვიდრე პარლამენტის მრავალტანჯული შენობის დათვალიერება ან ბაქრაძის „ენერგეტიკული ფოტოების“ დაჟინებული დაკვირვება** (კარგი იქნება, თუ ექსტრასენსების გზას არ გაუყვება და თავისი სურათების ფართომასშტაბიან კომერციულ რეალიზაციას არ დაიწყებს).

კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ასეთ ახალგაზრდებთან თუ გამოუვათ რამე, თორემ სხვა ახალგაზრდები და შედარებით ასაკოვანი თაობა არაფერში გამოადგებათ. ამას, პრინციპში, თვითონაც აღიარებენ. ამ დასკვნამდე იმ სატელეფონო საუბრების ჩანაწერებსაც მივყავართ, რომლებიც ახლახან ინტერნეტში გამოჩნდა. ამ ჩანაწერებში ადამიანები, რომელთა ხმები ხელისუფლების პირველი პირების ხმებს ჰგავს, „ფოტოგრაფების საქმის“ დეტალებს განიხილავენ. პირადად მე ამ ჩანაწერების დაწვრილებითი ანალიზი არ მაინტერესებს, არც ის, ნამდვილია ისინი თუ „მოდელირებული“, ვინაიდან არანაირ ღირებულ ინფორმაციას ისინი არ შეიცავს. მათი ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე, სავარაუდოდ, ნულოვანთან მიახლოებული იქნება, რადგან მათ, ვისაც ფოტოგრაფების ბრალეულობის არ სჯერა, ეს ჩანაწერები საპირისპიროში, დიდი ალბათობით, ვერ დაარწმუნებს, ხოლო მათ, ვისაც სჯერა (ასეთები ცოტა შემხვედრია), დამატებითი არგუმენტები, ალბათ, არ სჭირდება. ამ ჩანაწერებში ერთადერთი საინტერესო მონაკვეთი ორი მამაკაცის საუბარში აღმოვაჩინე, რომელთაგან ერთის ხმა მერაბიშვილის, ხოლო მეორეს — სააკაშვილის ხმას მოაგონებდა.

**მ: ეგ დედა...**(უწმაწური გინება) **ყველა აგენტები როგორ არიან?**

**ს: ეგენი არიან იმ თაობის ხალხი, რომლებიც... ყველანი ეგენი...**

**მ: ჰო, ყველანი ეგენი არიან... მაშინ ვინც იყვნენ, 90-იან წლებში ვინც რამე იყო.**

**ს: მაშინ რუსები ბოლომდე დედას...**

**მ: ვინც უშიშროების მინისტრი იყო, მოვიდა და გვეუბნებოდა, რუსების კაცი ვარო და დამტოვეთო და რა გიკვირს?**

**ს: ეგეთი დრო იყო. ეგეთი ხალხი იყო, ამიტომაც ვერ განვითარდა და ეგეთები არიან ჩარჩენილები წარსულში. მაგრამ მაგ თაობაში აღარ არის კაცი. ეგ არის მათი პრობლემა.**

**მ: ჰო, მაგრამ ეგენი** (სავარაუდოდ, ფოტოგრაფებს გულისხმობდა. — რედ.) **ახალი თაობა მეგონა. ჩემზე ახალგაზრდები არიან ეგ** (უწმაწური გინება).

საერთოდ, ამ დიალოგის ერთობ ხელოვნურმა ელფერმა ცუდად დადგმული პიესა მომაგონა, თუმცა ეს სუბიექტური შთაბეჭდილებაა, მთავარი, ალბათ, ისაა რომ მასში „აგენტობა“, მთელ თაობას თუ არა, მის მნიშვნელოვან ნაწილს მიეწერება, რაც სააკაშვილის ხელისუფლების (დაუწერელ) იდეოლოგიაში სავსებით ბუნებრივად ჯდება. **აქამდე სულ ორ ადამიანს ვიცნობდი (პირველს დაუსწრებლად), ვინც აგენტების იარლიყებს მოსახლეობის ესოდენ დიდ ჯგუფებს აკრავდა: ერთი კამბოჯის ყოფილი დიქტატორი პოლ პოტი იყო, მეორე — ერთი ჩემი ნაცნობი, ასათიანის ქუჩიდან; ახლა ამ სახელოვან კოჰორტას კიდევ ორი გამოჩენილი მოღვაწე შეემატა.**

საინტერესოა, რომ ეს ორი პიროვნება, როგორც ჩანს, თავმდაბლად აღიარებს, რომ 90-იანებში „არავინ იყო“, „არაფერს წარმოდგენდა“, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათივე ლოგიკით, თავად აგენტები გამოდიან. თუმცა აქ ერთი ფსიქოლოგიური ნიუანსი არის, უფრო სწორად კი, განსხვავება ღირებულებათა სისტემებს შორის: ჩამოყალიბებული პიროვნება საკუთარ, ისევე, როგორც გარშემომყოფთა თვალში, ყოველთვის წარმოადგენს „რაღაცას“ და არის „ვიღაცას“ (90-იანებში იქნება თუ იმის იქით); არშემდგარი ადამიანი კი, ასე ვთქვათ, „მარადიული ლუზერი“ თავს „ვიღაცად“ ან „რამედ“ მხოლოდ მაშინ გრძნობს, როდესაც თანამდებობაზე ინიშნება.

თუმცა ეს წვრილმანებია, მთავარია განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიმართ, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ასაკობრივი აპარტეიდის“ პოლიტიკის ქვაკუთხედი; **ხელისუფალნი, დიდი ხანია, ირიბად აღიარებენ, რომ იმ ადამიანებთან** (მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, „აგენტების თაობასთან“), **რომლებმაც ნორმალური განათლება მიიღეს, ცხოვრებისეული გამოცდილება დააგროვეს და კრიტიკული აზროვნების უნარი შესწევთ, ის ვერაფერს გახდება და მათ ვეღარაფერში დაარწმუნებს. შესაბამისად, მისი არსებობის გახანგრძლივების ერთადერთი შანსი ახალი გენერაციის ჩამოყალიბებაა, რომლის წარმომადგენლები დავით ბაქრაძის ფოტოებისგან ენერგიას მიიღებენ** (სხვა საარსებო საშუალება მალე, სავარაუდოდ, აღარ დარჩება) **და მორჩილად დაიჯერებენ ბოდვას იმის თაობაზე, რომ 2008-ში ომი მოვიგეთ.**

ამ ჩანაფიქრის განეიტრალება საკმაოდ მარტივია; შვილებთან (და ზოგადად, უმცროსებთან) გატარებული დამატებითი საათები, მათთვის ცოდნის გაზიარება და, უბრალოდ, საუბარი, შეიძლება იქცეს ძალიან ეფექტურ „აცრად“, იმისათვის, რომ ისინი არასოდეს გახდნენ ისეთები, როგორიც სააკაშვილის ხელისუფლებას სჭირდება. ხოლო მათ, ვისაც სურს, რომ მათი შვილები წერილის დასაწყისში ციტირებულ დავით ბაქრაძის თაყვანისმცემლებს დაემსგავსონ, შეუძლიათ აღმზრდელობითი ფუნქციები სახელისუფლო პროპაგანდას გადააბარონ (ოღონდ მერე ვაივიში არ იყოს).

1993 წელს, როცა სოხუმს ვკარგავდით, პრემიერმინისტრმა ოთარ ფაცაციამ დეპუტატებს მისვლა გვთხოვა. შეხვედრაზე იგი დსთ-ში შესვლის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა. არგუმენტები იმდენად არასერიოზული იყო (თურმე ფქვილის, შაქრისა და ზეთის დეფიციტის გამო იყო აუცილებელი დსთ-ს წევრობა!), რომ აღშფოთება ვერ დავმალე: – ის მაინც თქვით, რომ აფხაზეთს ვკარგავთ, ქვეყანა შეიძლება დაგვეშალოს-მეთქი!



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველოს ხელისუფლებამ დსთ-დან გასვლით თავად შექმნა სოხუმისა და ცხინვალის აღიარების წინაპირობა

# ეს იყო პეტერბურგში, ანუ «ოქროს ფეკალიები»...

**გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სააკაშვილთან პირველი შეხვედრა გაიხსენა: „დღემდე მახსოვს, როგორ შევხვდით მე და მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთს პირველად. ეს იყო პეტერბურგში, კონსტანტინეს სასახლეში. მე მივედი მასთან და ვუთხარი: — თქვენ იცით, ახლა ძალიან ბევრი პრობლემაა რეგიონში, საქართველოს არაღიარებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, როგორც რუსეთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, რომ მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა თქვენ შეძლოთ და რაღაც კომპრომისები მონახოთ, ისეთი, რომელიც ყველასთვის ხელსაყრელი იქნება და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მათ რეინტეგრაციას საქართველოს შემადგენლობაში“.**



ორი პრეზიდენტის ბოლო შეხვედრა ასტანაში შედგა. მედვედევმა კვლავ შესთავაზა მას სოჭში ჩასვლა და ყველა პრობლემაზე მშვიდ ვითარებაში საუბარი. სააკაშვილი დაეთანხმა. **„ამის შემდეგ მე ერთი თვის განმავლობაში ვამოწმებდი, არის თუ არა ქართველი ლიდერისგან რაიმე ინფორმაცია. არაფერი ყოფილა. სამაგიეროდ, საქართველოში მოუხშირეს ვიზიტებს ოკეანის გაღმიდან, იყო აშშ სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ვიზიტი, რის შემდეგაც ჩემმა კოლეგამ ჩემთან კავშირი დაკარგა. მიატოვა წერა, დარეკვა და საერთოდ, კავშირზე გამოსვლა. როგორც ჩანს, ახალი გეგმები გაჩნდა, რომელთა რეალიზებაც შემდგომში მოხდა“** (საუბარია 2008 წლის ივლისზე, აგვისტოს ომამდე ერთი თვე იყო დარჩენილი).

**მედვედევმა ინტერვიუ სამ მედიასაშუალებას მისცა – „პირველ კავკასიურს“, რომელიც ძირითადად რუსეთის კრიტიკით არის დაკავებული (ამისთვის შეიქმნა), „რაშა თუდეის“, რომელიც ინგლისურ ენაზე მაუწყებლობს და „ეხო მოსკვის“ (ვენედიქტოვის სახით), რომელმაც სულ ახლახან სააკაშვილისგან ვრცელი ინტერვიუ აიღო და საქართველოდან მოხიბლული წავიდა. ჟურნალისტების ამგვარი შერჩევა რომ შემთხვევითი არ ყოფილა, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, მით უფრო, რომ რუსეთის ფედერალურმა ტელეარხებმა პრეზიდენტის ინტერვიუს მხოლოდ მცირე ციტატები გაუშვეს საინფორმაციო პროგრამებში.**

კავშირის იმგვარი დაკარგვა, რომელზეც მედვედევმა ილაპარაკა, აგვისტოს ომის დროს კიდევ ერთხელ მოხდა, ამჯერად სააკაშვილს სომხეთის ხელისუფლებამ ვერ მიაგნო. **WIKILEAKS-ზე გამოქვეყნდა მასალები, რომლებშიც 2008 წლის ომის დღეებია აღწერილი. სომხეთში აშშ-ის დროებითი წარმომადგენლის, ჯოზეფ პენინგტონის წერილიდან ირკვევა, რომ საომარი მოქმედებების დროს სომხეთის ხელმძღვანელობის სატელეფონო ზარებს ქართული მხარე, უბრალოდ, არ პასუხობდა.** იმ დღეებში სომხეთს სერიოზული პრობლემები შეექმნა სურსათით მომარაგებაში, რაც საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ხიდის აფეთქებამ გამოიწვია. **პენინგტონი წერს, რომ სომხური მხარე რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა საქართველოსთან კონტაქტის დამყარებას. 15 აგვისტოს დილით „ზვარტნოცის“ აეროპორტში მყოფმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი განაცხადა სომეხ კოლეგასთან, ედვარდ ნალბანდიანთან შეხვედრაზე. პენინგტონთან შეხვედრისას ნალბანდიანმა განაცხადა, რომ სომხეთი თავს არიდებს ნებისმიერ ნეგატიურ განცხადებას საქართველოს მისამართით, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდება, ამას შეიძლება ჯავახეთის სომხების მწვავე რეაქცია მოჰყვეს.** ამერიკელმა დიპლომატმა მას უპასუხა, რომ თავადაც ცდილობდა რამდენიმე დღის განმავლობაში სერჟ სარქსიანის სააკაშვილთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ.

**ამერიკელი დიპლომატი ასევე მიუთითებს, რომ საზღვრის დაკეტვის გამო შეყოვნდა სომხეთში მომავალი ტვირთები 30 ვაგონი მარცვლეულით, დიზელის საწვავით, ნავთით. იგი სადახლოზე გააჩერეს. სომხეთისთვის განკუთვნილი ტვირთი გააჩერეს ასევე ფოთის პორტშიც. გაზის მიწოდება კი განახევრდა, თუმცა რუსეთიდან საქართველოს იგი უწყვეტად მოეწოდებოდა. 9 აგვისტოს სომხეთში საავიაციო საწვავის მხოლოდ 6 დღის მარაგი ჰქონდათ დარჩენილი. სომხეთის ხელისუფლებამ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმართა, რათა დაეყოლიებინათ საქართველო ტვირთების გამოტარებაზე.**

2008 წლის აგვისტოში მიმდინარე მოვლენების მთელი ეს აღწერა გასაკვირი არ არის. სომხეთის ხელმძღვანელობა ვერანაირად ვერ დაუკავშირდებოდა ქართველ კოლეგებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თითქმის მთელი მმართველი ელიტა ქვეყნის საზღვრებს იყო მიმწყდარი და გაქცევას ლამობდა. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამის შესახებ, ბადრი ბიწაძისგან (მაშინდელი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი) განსხვავებით, არც ამერიკელები და არც სომხები ინფორმირებული არ ყოფილან.

**ცხადია, მთელ ამ ისტორიას ნორმალურ სახელმწიფო მმართველობასთან არაფერი აქვს საერთო. თუმცა ესეც კი არაფერია იმასთან შედარებით, რაც აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე ქართულმა ხელისუფლებამ ჩაიდინა — დსთ-დან გამოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ერთი შეხედვით, იმ თანამეგობრობიდან, რომლის ლიდერი ქვეყანაც შენს ტერიტორიაზე ჯარებს შემოიყვანს, დიახაც, უნდა გამოხვიდე, მაგრამ სინამდვილეში ეს სრულიად გაუთვლელი (ან გათვლილი და, შესაბამისად, ანტიქართული) ნაბიჯი იყო. ამან რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებისთვის. დსთ-ს შეთანხმებებით, წევრი სახელმწიფოს ტერიტორიებზე ახალი სახელმწიფოს ცნობა გამორიცხული იყო.**

თანამეგობრობა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეობის აღიარებას ეყრდნობა. უფრო დაზუსტებით რომ ითქვას, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის აღიარებაზე დგას, მაგრამ, **თუკი რომელიმე წევრი სახელმწიფო ტოვებს თანამდებობას, იგი თავად ამბობს უარს ამ შეთანხმებაზე. სრულიად კანონზომიერად, რუსეთმა ორ კვირაში აღიარა საქართველოს ტერიტორიაზე ორი ახალი სახელმწიფო.**

ის, რომ ჩვენი ხელისუფლება ყველაზე კრიტიკულ მომენტებში „კავშირს კარგავს“ საკუთარ მეზობლებთან, არაფერია იმასთან შედარებით, რაც დსთ-დან გასვლის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ მოგვიტანა. **საქართველოს ხელისუფლებამ ამ უდროო დემარშით თავად შექმნა მის ტერიტორიაზე ორი ახალი სახელმწიფოს აღიარების წინაპირობა.** ან მათ საქართველოს სახელით დადებული ხელშეკრულებები არ წაუკითხავთ (რაც თავისთავად უბედურებაა), ან კარგად იციან მათი შინაარსი და მაინც გადადგეს ეს ნაბიჯი (რაც საქართველოს ინტერესების პირდაპირი ღალატია).

შორს წაგვიყვანს იმაზე ლაპარაკი, რომ კოსოვოს პრეცედენტი „სულ სხვაა“, მაგრამ რომ არა ეს პრეცედენტი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება რუსეთისთვის ასე იოლი ვერ გახდებოდა. ჩვენმა ხელისუფლებამ შეიძლება ბევრი იქირქილოს ნაურუსა და ვენესუელაზე, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მერე რა, თუ დასავლეთი არ აღიარებს ამ ორ წარმონაქმნს, ამის პრეცედენტიც უამრავია: ჩრდილოეთ კვიპროსს, თურქეთის გარდა, არავინ აღიარებს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ნატოში მისი ყოფნისთვის. თავის მხრივ, საბერძნეთი მაკედონიას არ აღიარებს, რუსეთი — კოსოვოს და ა.შ.

**იმის მოიმედეობა, რომ დასავლეთი ამ ორი ტერიტორიის რუსეთის მიერ აღიარებაზე რაიმე მნიშვნელოვან რეაქციას მისცემდა, 2008 წლის სექტემბერშივე დასრულდა – დასავლეთს რუსეთის მიმართ არავითარი სანქციები არ მიუღია ან რა სანქციები უნდა მიელო – გაზისა და ნავთობის გარეშე დატოვებდა საკუთარ თავს, თუ საქართველოსავით რუსეთის უზარმაზარ ბაზარზე იტყოდა უარს? პირიქით, ახალი სადემარკაციო ზოლი უკვე მკვეთრად ყოფს რუსეთისა და დასავლეთის გავლენის ზონებს და მისი წყალობით დასავლეთს შეუძლია მშვიდად იყოს, თავისი ნავთობსადენის უსაფრთხოების თვალსაზრისით.**

ამერიკელი მკვლევარი მარკ ალმონდი, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში აკვირდება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, წერდა:

**„უკანასკნელად კავკასიაში ინტერვენციის შესახებ კამათი ბრიტანეთის იმპერიის ორ გიგანტს შორის წარმოებდა ზუსტად 90 წლის წინათ. ლორდი კერზონი ამტკიცებდა, რომ კავკასიაში ბრიტანეთის ყოფნა აუცილებელია იმისთვის, რომ არ შევუშვათ იქ რუსები და უზრუნველვყოთ ადგილობრივი სახელმწიფოების ნორმალური განვითარება. „ჩვენ უნდა დავრჩეთ კავკასიაში, რათა ფეხზე დავაყენოთ კავკასიის ხალხები“.**

კერზონს ეწინააღმდეგებოდა არტურ ბელფური, რომლის აზრით, საეჭვოა, დასავლურ ნეოკოლონიალიზმს საერთოდ შეეძლოს რაიმეს კეთება, გარდა საკუთარი ინტერესების დაცვისა. **„თუ მათ საკუთარი თავის გამათრახება სურთ, რატომ უნდა შევაჩეროთ?.. უნდა დავიცვათ ბათუმი, ბაქო, რკინიგზა მათ შორის და მილსადენი“.**

მერე კი მოვიდა წითელი არმია და ბოლო მოუღო როგორც კერზონის ნათელ იმედებს, ასევე — ბელფურის შავ ცინიზმსაც...“

ახლა, 90 წლის შემდეგ, ვითარება შეიცვალა, მაგრამ ჩვენთვის უკეთესობა არ ჩანს: დასავლეთი და რუსეთი საკუთარი ინტერესების დაბალანსებას საქართველოს ხარჯზე ახერხებენ. ჩვენმა ხელისუფლებამ კი იმდენი მოახერხა, რომ სტამბოლის სამიტის შემდეგ საქართველოდან მთლიანად გაყვანილი რუსული ბაზები ტრიუმფალურად დააბრუნა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!

## ახალი სადემარკაციო ზოლი უკვე მკვეთრად ყოფს რუსეთისა და დასავლეთის გავლენის ზონებს და მისი წყალობით დასავლეთს შეუძლია მშვიდად იყოს, თავისი ნავთობსადენის უსაფრთხოების თვალსაზრისით

P.S. 1993 წელს, როცა სოხუმს ვკარგავდით, პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ დეპუტატებს მისვლა გვთხოვა. შეხვედრაზე იგი დსთ-ში შესვლის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა. არგუმენტები იმდენად არასერიოზული იყო (თურმე ფქვილის, შაქრისა და ზეთის დეფიციტის გამო იყო აუცილებელი დსთ-ს წევრობა!), რომ აღშფოთება ვერ დავმალე: – ის მაინც თქვით, რომ აფხაზეთს ვკარგავთ, ქვეყანა შეიძლება დაგვეშალოს-მეთქი!

ვისაც დსთ-ში შესვლა დღესაც საქართველოს ღალატი ჰგონია, შევახსენებ, რომ იმ უბიუჯეტო და უჯარო სახელმწიფომ 13 თვე და 13 დღე იომა, ხუთ დღეში არ ჩაუბარებია აფხაზეთი! მას შემდეგ კიდევ 15 წლის განმავლობაში აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება რუსეთს თავშიც არ მოსვლია, თუმცა ოსები და აფხაზები ამას მუდმივად სთხოვდნენ. თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოებისთვის კუთვნილი პრეფერენციებით მთელი იმ წლების განმავლობაში საქართველოდან მხოლოდ არაქართველები სარგებლობდნენ, ეს კი უფასო ჯანდაცვის და უმაღლესი განათლების პროგრამები იყო, ხოლო ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრობლობაში დსთ-ს შეღავათები „ოქროს ფეკალიებს“ გადავაყოლეთ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს, სამწუხაროდ, საქართველოს, „ნაცმოძრაობის“ უგუნური პოლიტიკის შედეგად, ყველაფერი დაკარგული აქვს, რისი დაკარგვაც შეიძლებოდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა უკვე ინტერესის სფეროს ალარავისთვის წარმოადგენს, თვით ამერიკისთვისაც კი და, შესაბამისად, ომის საფრთხეც მაქსიმალურად მცირეა. მეტიც, ამ ეტაპზე ეს საფრთხე, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არსებობს. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობას, ქართველობას შეუძლია მშვიდად იყოს და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე იფიქროს ერთადერთ რამეზე — როგორმე, რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ შეცვალოს არსებული ხელისუფლება, რომლის პირობებშიც ამ ქვეყანას, ვიმეორებ, არც საშინაო და მით უფრო საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე არანაირი მომავალი და პერსპექტივა, უბრალოდ, არ აქვს...**



ჯიმი ჯალიაშვილი:

# ვისაც ჰგონია, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც შეშფოთებისა თუ ფარატინა რეზოლუციის გამო უკან დაიხევს, გადახედოს ისტორიას!

**2008 წლის 8-12 აგვისტოს ავბედითი მოვლენებიდან სამი წელი გავიდა... სახელისუფლო არხებმა ამაყად გვაუწყეს, რომ ამ დღის აღსანიშნავად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რუსეთის საელჩოებთან საპროტესტო აქციები გაიმართა. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება კი ევროპელ და ამერიკელ მძიმეწონიან პოლიტიკოსთა მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულა, რაც, თურმე, ნუ იტყვით და, კრემლის მესვეურთა იმიჯისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, კიდევ ერთი სასიკვდილო დარტყმა ყოფილა.**
**...რა გზა განვლო საქართველომ 2008 წლის აგვისტოდან დღემდე, რეალურად რა შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ კურსში ომის შემდეგ და რამდენად ადეკვატურია დღეს სააკაშვილის ხელისუფლების მიდგომა არსებული პრობლემებისადმი — ამ და ბოლოდროინდელ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.**



**— ბატონო ჯიმი, 2008 წლის აგვისტოს ომიდან სამი წლის თავზე სააკაშვილი და მისი გარემოცვა დაახლოებით იმავე შინაარსის განცხადებებს აკეთებს კონფლიქტური რეგიონებისა და რუსეთის მიმართ, რასაც სამი წლის წინათ ვისმენდით ხოლმე „ნაციონალური“ არხებიდან. თქვენი აზრით, რა შეიცვალა ომის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში და ზოგადად, როგორ აფასებთ დღესდღეობით საქართველოს მდგომარეობას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე?**

— უპირველესად, უნდა ითქვას ის, რომ სამი წელი არც ისე დიდი დროა მოვლენათა მასშტაბურად და მით უფრო ობიექტურად შესაფასებლად, მაგრამ, მეორეს მხრივ, დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს რეალობა, რომლის არდანახვაც და იგნორირებაც, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს რეალობა, უწინარესად, მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა განიცდის სრულ ეკონომიკურ სტაგნაციას, შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა კი უკვე იმხელა მასშტაბებს მიაღწია, რომ დღესდღეობით ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ არსებობს ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, რომელმაც შესაძლოა მმართველ გუნდზე რაიმე სერიოზული გავლენა მოახდინოს. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამას უკვე შეჩვეულია და ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ოპოზიციური ფლანგი, ფაქტობრივად, მკვდარია, მაგრამ რეალურად ცივილიზებული სამყაროსთვის ამაზე დიდი უბედურება და კატასტროფა არ არსებობს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ დღეს საქართველო, რომელსაც ამერიკელი ლიდერებიც სტუმრობენ ხოლმე და ევროპელი დიპლომატებიც, რითაც მერე ჩვენი პრეზიდენტი თავს გვაწონებს ეკრანებიდან, მსოფლიოს თვალში, როგორც არასდროს, დისკრედიტებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანას, არსებული პოლიტიკური კურსის პირობებში, არც შიდა და არც საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე არანაირი პერსპექტივა არ აქვს და მეტიც, ვშიშობ, რომ სულ მალე ჩვენ მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, როცა საბოლოოდ დავკარგავთ დასავლეთის მხარდაჭერას, რაც ჩვენთვის იქნება ის ჩიხი, რომლის იქითაც სახელმწიფომ, შესაძლოა, საერთოდ ველარ გააგრძელოს სუვერენულად არსებობა...

**— თქვენ თქვით, რომ დღეს საქართველო მსოფლის თვალში დისკრედიტებულია, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი ფიქრობს, რომ დისკრედიტებულია პიროვნულად სააკაშვილი და არა — ხალხი და ქვეყანა, თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პრობლემა არც პიროვნულად სააკაშვილშია და არც — საზოგადოებაში, პრობლემა ის პოლიტიკური კურსია, რომელიც არსებულმა ხელისუფლებამ აიღო და რომლის შეცვლაც მას, იმის მიუხედავად, რომ დღეს უკვე ცხადია, ამ კურსს საითაც მივყავართ, ცოცხალი თავით არ უნდა. თქვენ დასაწყისშიც აღნიშნეთ, რომ სააკაშვილი დღესაც იმავე შინაარსის განცხადებებს აკეთებს, რასაც სამი წლის წინათ აკეთებდა, ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადამიანმა ან ვერაფერი ისწავლა და ისევ ისეთივე გაუწონასწორებელი დარჩა, როგორიც წლების წინათ იყო, ან მას, უბრალოდ, არ სურს შეისმინოს მარტივი, მე ვიტყოდი, ისტორიული ჭეშმარიტება, — საქართველო რუსეთთან კეთილმეზობლობისა და პარტნიორობის გარეშე ვერც ეკონომიკური, ვერც პოლიტიკური, ვერც დემოკრატიული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც კულტურული თვალსაზრისით, წარმატებული სახელმწიფო ვერ იქნება, ვინაიდან თუ ოდნავ მაინც ჭკუა-გონება უჭრის ადამიანს, ძნელი არ არის მიხვდე, რომ შეუძლებელია, ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორიც საქართველოა მტრობდეს ისეთ ბუმბერაზ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია, და ამ დროს ეს მცირერიცხოვანი ქვეყანა ისე სწრაფად შენდებოდეს და აღორძინდებოდეს, რომ მალე მისგან მეორე სინგაპური და ლასვეგასი გამოვიდეს. ეს არის ილუზია, რომელიც ხელისუფლებამ თავს მოახვია საზოგადოებას, და ერთი პერიოდი საზოგადოების საკმაოდ დიდმა ნაწილმაც გულუბრყვილოდ დაიჯერა ეს ყველაფერი...

**— ბოლო დროს სააკაშვილი სულ უფრო იშვიათად საუბრობს აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვის პერსპექტივებზე. თქვენი აზრით, ეს ყველაფერი ხომ არ მიგვანიშნებს, რომ მან უკვე საბოლოოდ ხელი ჩაიქნია კონფლიქტურ რეგიონებზე?**

— ხელი ჩაიქნია, ცოტა არ იყოს, არაადეკვატური შეფასება მგონია. ჩემი აზრით, საქმე ისაა, რომ ამ ხელისუფლებისთვის პირველხარისხოვანი საკითხი არ არის არც აფხაზეთი და არც სამაჩაბლო, მისთვის, პირადად მიხეილ სააკაშვილისთვის, უმთავრესია ძალაუფლება და ამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭირო რაც იქნება, მისთვისაც ის საკითხი გახდება ყველაზე პრიორიტეტული. გარდა ამისა, ვფიქრობ, უკვე დარწმუნდა თვითონ სააკაშვილიც, რომ მისი მმართველობის პირობებში ტერიტორიების დაბრუნების მინიმალური შანსიც კი არ არსებობს, ამიტომ ამ საკითხით მანიპულირებას მისთვის არანაირი სარგებელი არ მოაქვს და შესაბამისად აქცენტიც სხვა მიმართულებებით კეთდება. ეს მიმართულებებია: კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები, ზეიმები და ტაშფანდურები, მოკლედ, ეს ყველაფერი ეფუძნება ერთ მარტივ პრინციპს: „მიეცით ხალხს პური და სანახაობა“... მორჩა და გათავდა, სხვა დანარჩენი არც ხალხს აინტერესებს და ხელისუფლებას — მით უმეტეს...

**— როგორ აფასებთ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შესაძლო შეერთების შესახებ მოსკოვში გაკეთებულ განცხადებებს?**

— როგორც კი ამ განცხადების შესახებ მედიაში ინფორმაცია გავრცელდა, მაშინვე ვთქვი, რომ ეს არის ძალიან ღრმაშინაარსიანი და ქვეტექსტებით, მინიშნებებით დატვირთული განცხადება... დარწმუნებული ვარ, რომ დღესდღეობით რუსეთს არ სჭირდება არც აფხაზეთი და მით უმეტეს, — არც სამაჩაბლო, მაგრამ ის, რომ კრემლში უკვე საუბრობენ ოსეთის მიერთებაზე, ვფიქრობ, ეს არის სერიოზული გაფრთხილება; ანუ, ჩემი აზრით, ამით მოსკოვი კიდევ ერთხელ ეუბნება დასავლეთს, და არა — საქართველოს, რომ იგი მყარად იცავს თავის პოზიციას, იცავს თავის ტერიტორიას და გეოპოლიტიკურ არეალს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს განცხადება უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს, პირველ რიგში, ჩვენმა ხელისუფლებამ, რადგან სწორედ ახლა, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ამ ურთულეს ეტაპზე, შესაძლოა, საბოლოოდ წყდებოდეს — აღსდგება თუ არა თუნდაც ძალიან შორეულ პერსპექტივაში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა...

**— ამ რამდენიმე დღის წინათ ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თქვა, რომ რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებებში საქართველოს საკითხი საერთოდ არ განიხილება. თქვენი აზრით, რამდენად სარწმუნოა ეს განცხადება და საერთოდ, რის თქმა სურდა ამით დიმიტრი მედვედევს?**

— **დავიწყოთ იმით, რომ ახალი და გაუგონარი ამ განცხადებაში არაფერი თქმულა, ისედაც ყველამ ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკა გადატვირთვის პოლიტიკის გზას დაადგა, რუსეთთან მოლაპარაკებებში საქართველოს საკითხზე მუსაიფობით თავს არავინ იწუხებს, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, როგორ ფიქრობთ, სულ მთლად ზედაც რომ გადაგვყვეს მთელი ევროპა და ამერიკა, ვისაც ჰგონია, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც „შეშფოთებისა“ თუ ფარატინა რეზოლუციის გამო უკან დაიხევს, გადახედოს ისტორიას!**

**რაც შეეხება მეორე კითხვას, რას ნიშნავდა ეს განცხადება, ვფიქრობ, ამას განმარტება არც სჭირდება. მედვედევმა, უბრალოდ, პირდაპირ გვითხრა, დასავლეთს ფეხებზე ჰკიდიხართ და დროა, ბოლოს და ბოლოს, აზრზე მოხვიდეთო. სხვათა შორის, ასეთი მწარე სიმართლის პირდაპირ მთქმელი კიდევ ბევრი რომ ჰყავდეს საქართველოს, ვფიქრობ, ქართველი ხალხი უფრო მალე მიხვდებოდა, რა უბედურებაც ტრიალებს დღეს ჩვენ გარშემო...**

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ქვეყანაში სრული ეკონომიკური სტაგნაციაა, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა პიკს მიაღწია და საქართველო, როგორც არასდროს, მსოფლიოს თვალში დისკრედიტებულია. თუ ეს ასეა, როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ სააკაშვილს მსოფლიოს ლიდერები და დიპლომატები თავის რეზიდენციაში ერთი მეორის მიყოლებით სტუმრობენ?**

— ის, რომ მიხეილ სააკაშვილს ხანდახან ინაუგურაციებზე ეძახიან (თუმცა ეგეც საკითხავია, ეძახიან თუ თვითონ მიდის), მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმებზე იწვევენ და არც თუ იშვიათად დასავლელი პოლიტიკოსებიც ესტუმრებიან ხოლმე, ნამდვილად არ ნიშნავს, რომ დასავლეთში, განსაკუთრებით ევროპაში, მასზე, როგორც „დემოკრატიის შუქურაზე“, პირდაპირ ჭკუა ეკეტებათ, სრულებით არა. ეს, უბრალოდ, დასავლური პრაგმატიზმისთვის დამახასიათებელი სპეციფიურობაა, — ისინი ყველასთან საუბრობენ და ცდილობენ, საერთო ენა ყველა ქვეყანასთან გამონახონ. სააკაშვილის მიმართაც მათი დამოკიდებულება ზუსტად ანალოგიურია, — **მათ არ აინტერესებთ, აქ რამდენად მაღალია დემოკრატიის ხარისხი, ამიტომ, რაც არ უნდა მკაცრი იყოს ჩვენთან ავტორიტარული რეჟიმი და რაც არ უნდა მძლავრად აბრკოლებდეს იგი დემოკრატიულ პროცესებს, ხმას არავინ ამოიღებს, პირიქით, ტაშს დაუკრავენ ამ ყველაფერს და იტყვიან, რომ სააკაშვილი აგრძელებს დემოკრატიული ფასეულობების მხარდაჭერას...**

**— ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აცხადებენ ხოლმე, რომ რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომში მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწია და საქართველოს სრული ოკუპაცია ვერ შეძლო. თქვენი აზრით, თუ ეს რეალურად ასეა, რამდენად დიდი ალბათობაა იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებები განახლდეს?**

— იცით რა, იმის ძახილი, რომ საქართველო მუდმივად ომის განახლების საფრთხეშია და კაცმა არ იცის, აქ ხვალ და ზეგ არ იქნება, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებშია, რადგან შეშინებული და დატერორებული ხალხი, მოგეხსენებათ, ბევრად უფრო ადვილი სამართავია, ვიდრე — თავისუფლებით გალაღებული. გარდა ამისა, 2008 წლის აგვისტოში პირადად სააკაშვილმა იმხელა შიში ჭამა, რომ, მგონი, ის უკვე სიზმარშიც კი მუდმივად ომს ხედავს; ეს, ალბათ, გარკვეულწილად ბუნებრივიცაა და ჩემი აზრით, ნამდვილად არ უნდა გვიკვირდეს, თუმცა, მეორეს მხრივ, რეალობა სულ სხვა რამეს გვეუბნება, — დღეს, სამწუხაროდ, საქართველოს, „ნაცმოძრაობის“ უგუნური პოლიტიკის შედეგად, ყველაფერი დაკარგული აქვს, რისი დაკარგვაც შეიძლებოდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა უკვე ინტერესის სფეროს ალარავისთვის წარმოადგენს, თვით ამერიკისთვისაც კი და, შესაბამისად, ომის საფრთხეც მაქსიმალურად მცირეა. მეტიც, ამ ეტაპზე ეს საფრთხე, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არსებობს. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობას, ქართველობას შეუძლია მშვიდად იყოს და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე იფიქროს ერთადერთ რამეზე — როგორმე, რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ შეცვალოს არსებული ხელისუფლება, რომლის პირობებშიც ამ ქვეყანას, ვიმეორებ, არც საშინაო და მით უფრო საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე არანაირი მომავალი და პერსპექტივა, უბრალოდ, არ აქვს...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

**სრულიად ნათელი იყო, რომ ამერიკელები წააქეზებდნენ სააკაშვილს აგვისტოს ავანტიურაზე, რათა შეემოწმებინათ, რამდენად მზად იყო რუსეთი, გადაჭრით დაეცვა თავისი სტრატეგიული ინტერესები საკუთარ საზღვარზე. და ამავე დროს ისიც შეამოწმეს, რამდენად ეფექტური იყო მათი გაწვრთნილი ქართული არმია და რამდენად შეძლებდა საქართველო (მისი ხელისუფლება) ყოფილიყო შტატების სამხედრო დასაყრდენი რეგიონში, განსაკუთრებით, ირანთან შესაძლო ომის ფონზე.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რა უნდა გვესწავლა აგვისტოს ომისგან

**უკვე სამი წელი შესრულდა აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებიდან. წესით, სამი წელი საკმარისი დროა იმისთვის, რომ დროის გადასახედიდან ცივი გონებით შეგვეფასებინა მომხდარი და აქედან დასკვნები გაგვეკეთებინა, მაგრამ საამისო არაფერი არ ჩანს. ხელისუფლება ისევ თავის „საფირმო“ იდეოლოგიურ კლიშეს იმეორებს: რუსეთი დაგვესხა თავს, დახოცა ჩვენი ჯარისკაცები, წაგვართვა ტერიტორიები, ჩვენ ამას არ შევეგუებით და ა.შ. და ა.შ.**

სამწუხარო რეალობა კი ცოტა სხვანაირია. ევროკავშირის ეგიდით შექმნილმა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიამ ჰ. ტალიავინის ხელმძღვანელობით თავის დასკვნაში პირდაპირ მიუთითა, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველომ განახორციელა არაპროვოცირებული სამხედრო ოპერაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ამის კონსტატაცია პირადად ჩემთვის და ალბათ მრავალი სხვა ქართველისთვისაც ფრიად მტკივნეულია და სამწუხარო, მაგრამ სიმართლეს ვერსად წაუვალთ: ყველას კარგად გვახსოვს ხელისუფლების ის საომარი რიტორიკა, რომელიც აგვისტოს მოვლენებს უძღოდა წინ, სამხედრო ბიუჯეტის, ტექნიკისა და შეიარაღების შესყიდვის მუდმივი ზრდა, უცხოელ სამხედრო სპეციალისტთა საიდუმლოდ მოწვევა, სააკაშვილის არაერთგზისი გოროზი განცხადებები ნებისმიერი მეთოდებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ და ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე მუდმივი უარის თქმა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფაქტიურ ხელისუფლებთან დიალოგისათვის დემონსტრაციული თავის არიდება, მათდამი ქედმაღლური და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება, მუდმივი პროვოკაციები რუს მშვიდობისმყოფელთა წინააღმდეგ და ბოლოს, **საკუთრივ 7 აგვისტოს ღამის და 8 აგვისტოს ოფიციალური განცხადებები ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის სპეცოპერაციის დაწყების შესახებ.**

ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და ე. შევარდნაძის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ საქართველომ ცალსახად აიღო კურსი რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაზე, მთლიანად გადაეწყო აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე და მათივე მოთხოვნით გამოაცხადა ნატოში ინტეგრაციის კურსი. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ნატო არის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელშიც კი არ შედიხარ, არამედ გღებულობენ. თუ გღებულობენ, ე.ი. რაღაცისთვის ხარ შენ საჭირო მათთვის და ამ საჭიროებიდან გამომდინარე გიყენებენ სხვადასხვა პირობებს და შესაბამისი პოლიტიკის, უპირველეს ყოვლისა, საგარეო პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ. **საქართველოს საგარეო პოლიტიკა, რაც ნატოში ინტეგრაციის კურსი გამოცხადდა, გამოიხატებოდა მხოლოდ ერთში — რუსეთთან კონფრონტაციაში. ნატოში გაწევრიანება კი თავისთავად გულისხმობს საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზის ან ბაზების შექმნას. შევხედოთ, რას ვესწრაფოდით ბოლო 20 წელი — რუსეთთან კონფრონტაციულ საგარეო პოლიტიკას, და მისი უფრო ეფექტურობისთვის — გამაგრებულს ნატო-ს სამხედრო ძალებით.**

რაში გვჭირდებოდა ეს? უფრო სწორად, — ამერიკელებს?

შევეცდები, ამ კითხვაზე ცნობილი ქართველი პოლიტოლოგისა და პოლიტიკოსის, ჩვენი საზოგადოების საზოგადოებრივი საბჭოს აქტიური წევრის, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებებით ვუპასუხო:

**ამერიკელებს საქართველო სამი რამის გამო სჭირდებათ: საქართველოზე შეიძლება გაატარო მილსადენები რუსეთის გვერდის ავლით, მეორე — აქ არის სამხედრო ინფრასტრუქტურა, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო აეროდრომები და მესამე — რუსეთის სამხრეთში ყოველგვარი ექსცესების ინსპირაციისთვის. ამ ამოცანების შესასრულებლად არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არ არის აუცილებელი — მილსადენები აქ არ გადის, ხოლო აეროდრომები და საზღვარი რუსეთთან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეცაა. სრულიად ნათელი იყო, რომ ამერიკელები წააქეზებდნენ სააკაშვილს აგვისტოს ავანტიურაზე, რათა შეემოწმებინათ, რამდენად მზად იყო რუსეთი, გადაჭრით დაეცვა თავისი სტრატეგიული ინტერესები საკუთარ საზღვარზე. და ამავე დროს ისიც შეამოწმეს, რამდენად ეფექტური იყო მათი გაწვრთნილი ქართული არმია და რამდენად შეძლებდა საქართველო (მისი ხელისუფლება) ყოფილიყო შტატების სამხედრო დასაყრდენი რეგიონში, განსაკუთრებით, ირანთან შესაძლო ომის ფონზე.**

**აგვისტოს ომში ჩაურევლობის შემთხვევაში რუსეთი მთლიანად დაკარგავდა სახეს და ავტორიტეტს ჩრდილოკავკასიელი ელიტების თვალში, ჩრდილოეთ კავკასიაში იფეთქებდა სეპარატისტული განწყობები, იქაური მოხალისეები გადმოვიდოდნენ ოსების დასახმარებლად და ჯამში დაიწყებოდა მასშტაბური კავკასიური ომი, ერთ-ერთ ეტაპზე საჭირო გახდებოდა მასში დიდი სახელმწიფოებისა და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების მონაწილეობა.**

დამოუკიდებელი აფხაზეთი არის მაგნიტი ჩრდილოეთ კავკასიის ყველა სეპარატისტული ძალისთვის. და თუკი ამ ჩრდილოკავკასიელ სეპარატისტებს ამერიკელები მხარს დაუჭერენ საქართველოდან, აღორძინდება თურქეთის გენშტაბის ძველი იდეა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შესახებ დედაქალაქით სოხუმში. ეს მომავალში რუსეთის სამხრეთის დაშლას გამოიწვევს, საქართველოს ისტორია კი ნათლად გვაჩვენებს, რომ რუსეთის კონტროლიდან გამოსული ჩრდილოეთ კავკასია საქართველოსთვის დაუძლეველი რისკია.

აი, ასეთია აგვისტოს ომის მიზეზები. სხვისი ინტერესების რეალიზაციას შევწირეთ ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლე, დავკარგეთ ტერიტორიები, ქვეყანა მოექცა სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში. სამაგიეროდ, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გულუხვი ძღვენი ვაი-ვაგლახით შესრულებული დავალებისთვის იმ 4,5 მლრდ. აშშ დოლარის სახით, რომელიც ვითომდა დევნილების დასახმარებლად და განადგურებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად გამოუყვეს საქართველოს.

**მაშ, რა უნდა ესწავლებინა ჩვენთვის აგვისტოს ომს?**

სამწუხაროდ და ქართველებისთვის სავალალოდ, ის დამღუპველი პოლიტიკა, რომელმაც აგვისტოს ომამდე მიგვიყვანა, დღესაც წარმატებით გრძელდება და დამატებითი მიმართულებებიც შეიძინა — ქვეყნის ტერიტორიულად დაკნინებისა და საქართველოს მოსახლეობის ფიზიკურად დამონების შემდეგ ინტენსიური შეტევები დაიწყო იმ უკანასკნელზე, რაც ქართველებს ჯერ კიდევ შემოგვრჩა — ჩვენს ენაზე და მართლმადიდებლურ რწმენაზე.

მავანნი დარწმუნებული არიან, რომ სხვა ყველაფერს, რაცკი ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართველობას განსაზღვრავს, უკვე ბოლო მოუღეს და გადამწყვეტი, განადგურების დამაგვირგვინებელი ეტაპის რეალიზაცია დაიწყეს.

მინდა ისევ ბ-ნ ალ. ჭაჭიას დავეთანხმო მის მოსაზრებებში:

**საქართველოს დღევანდელ ელიტას ეს აბსოლუტურად არ აღელვებს. ისინი ჩამოაყალიბეს, გამოზარდეს, დააფინანსეს, მათ მხარს უჭერენ და მთლიანად აკონტროლებენ შეერთებული შტატები. საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთ თითქოს მომავალი უზრუნველყოფილი აქვთ.**

სხვა საქმეა საქართველო. ამერიკაში აქტიურად განიხილავენ ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტას იმგვარად, რომ ერთ-ერთი მხარე დააკმაყოფილონ საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე — ყარაბაღი დარჩეთ სომხებს, სანაცვლოდ აზერბაიჯანმა მიიღოს აზერბაიჯანელებით დასახლებული საქართველოს მიწები, ანდა სომხეთი დათმობს ყარაბაღს და სანაცვლოდ მიიღებს სომხებით დასახლებულ საქართველოს ტერიტორიებს.

აჭარა, პრაქტიკულად, დაკარგულია. თურქები აჭარიდან აღარ გავლენ, იმიტომ, რომ იქ ჩადებული აქვთ ძალიან დიდი კაპიტალი. ამ რეგიონს უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თურქეთისთვის. ათასობით თურქი უკვე მუდმივად ცხოვრობს ბათუმში და ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ბათუმში უკვე თურქულ სახელებს არქმევენ ქუჩებს. ამერიკისთვის თურქეთი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი მუსლიმანურ სამყაროში, ამიტომ შეერთებული შტატები არ შეეწინააღმდეგება თურქეთს ექსპანსიის გაძლიერებაში. უფრო მეტიც, თურქეთი აუცილებლად შეეცდება, რომ აფხაზეთი აღიარონ დამოუკიდებელ ქვეყნად, ვინაიდან თურქეთს არ აწყობს ამ რეგიონში რუსეთის მონოპოლია. ამერიკა ამასაც არ შეეწინააღმდეგება.

**ამერიკელები არ მოითმენენ მართლმადიდებლობის გაძლიერებას საკუთარ კოლონიაში. ვერც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ისინი ვერ დამკვიდრდნენ, იმიტომ, რომ მართლმორწმუნე ხალხისთვის მიუღებელია მათი ღირებულებები. ამერიკის მიზანია, შეცვალოს ხალხის მენტალობა, ამიტომაც სააკაშვილი მუდმივად საუბრობს ამის თაობაზე.** ზბიგნევ ბჟეჟინსკი პირდაპირ ამბობდა, რომ კომუნიზმის დანგრევის შემდეგ ამერიკას ერთი მტერი დარჩება — მართლმადიდებლობა. საქართველოში არ არსებობს ოპოზიცია, რომელსაც გააჩნია ქვეყნის განვითარების ხელისუფლებისაგან განსხვავებული მოდელი. ქართველი პოლიტიკოსები არ ეძებენ ხალხის მხარდაჭერას. მათთვის მთავარი პერსონა არის აშშ-ის ელჩი საქართველოში. ოპოზიციას არა აქვს და არც ექნება ხალხის მხარდაჭერა, ვიდრე ის არ ჩამოყალიბდება ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად და არ დადგება ეროვნულ საწყისზე.

**ერთადერთი, რაც დღეს საქართველოს გადაარჩენს, ეს არის ეროვნულ ნიადაგზე მყოფი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც იმოქმედებს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში.**

**აი, ამ ყველაფერზე უნდა აეხილა ჩვენთვის თვალი აგვისტოს ომს.**

**აგვიხილა კი?**

დასასრულ, მინდა მკითხველს ერთი საგულისხმო ეპიზოდი გავახსენო, როცა ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი უნდა ჩამოსულიყო ბათუმში. სამთავრობო ტელევიზიებმა ჩვეული რიხით დააანონსეს, რომ იგი თბილისში სპეციალურად ჩამოვიდოდა პრეზიდენტთან შესახვედრად. ქ-ნმა რაისმა კი ბათუმში ჩამოსვლისთანავე დემონსტრაციულად აქცია ზურგი სააკაშვილს, აეროპორტს მიაშურა და სადღაც გაფრინდა გოლფის სათამაშოდ. ყველა ქართული მედია, ელექტრონულიც და ბეჭდვითიც, მაშინ ამას იმით ხსნიდა, რომ თურმე კ. რაისი განაწყენებული იყო მ. სააკაშვილზე ამ უკანასკნელის მიერ შავკანიანების აგდებულად მოხსენიების გამო. მე კი მგონია, რომ კ. რაისმა მ. სააკაშვილს ზურგი აქცია და მასთან საუბარზე უფრო მნიშვნელოვნად „გოლფის თამაში“ მიიჩნია იმიტომ, რომ საქართველოს პრეზიდენტთან გულთბილი შეხვედრით იგი მხოლოდ დაადასტურებდა ეჭვებს, რომ საქართველოს წაქეზება აგვისტოს ომზე თბილისში მისი ვიზიტის (2008 წლის ივლისში) მთავარი მიზანი იყო.

ასეთია ამერიკელთა დამოკიდებულება მარიონეტებთან — სანამ სჭირდები, გეფერებიან და „დემოკრატიის შუქურას“ გეძახიან, გამოგიყენებენ და მერე გოლფის სათამაშოდაც არ დაგპატიჟებენ. ესეც უკეთეს შემთხვევაში. წარსულში რომ არ დავიხიოთ, სულ ახლანდელი მაგალითები გავიხსენოთ, რა ბედი ეწიათ ერთ დროს ამერიკის ფავორიტებს: **სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩეს მისმა გუშინდელმა პატრონებმა, ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ჯერ ჩამოაგდეს, ახლა შინაპატიმრობაშია და ასამართლებენ, ლიბიის ლიდერს — მუამარ კადაფის გამუდმებით ბომბავენ და — თუ ცოცხლად ჩაიგდეს ხელში, სახრჩობელა არც მას ასცდება; ტუნისის პრეზიდენტი ჩამოგდების მერე კომაში „ჩავარდა“ და ა. შ. ხოლო უკლებლივ ყველას საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს და ფული წაართვეს.** ასე მოექცნენ ამერიკელები ედუარდ შევარდნაძესაც, რომელიც, მიუხედავად მათ წინაშე უზარმაზარი დამსახურებისა, პრეზიდენტის პოსტიდან სახელმწიფო გადატრიალებით გააძევეს და ასე მოექცევიან ისინი მ. სააკაშვილსაც, როცა ბოლომდე გამოწურავენ. კ. რაისმა ამაზე უკვე მიანიშნა.



**ტარიელ გაგნიძე,**
არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„არნოლდ სტეფანიანმა მითხრა, მე ვაკავებ ახალციხეში სომხებს, ჩემი დამსახურებაა, რომ ომი არ იწყება, თორემ ისინი მეხვეწებიან, თბილისისკენ დავიძრათო. ამ სიტყვებს სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. ის არის პროვოკატორი და უნდა დაიკითხოს როგორც რელიგიური და ეთნიკური შუღლის გამღვივებელი“**

ზაზა სვანაძე:

# როცა ხელისუფლებას ებრძვი, მისგან ფულიც არ უნდა აიღო

**არიან თუ არა საქართველოში პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული პოლიტპატიმრები, რატომ აკრიტიკებს დაჩი ცაგურიას და რატომ დაუპირისპირდა გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ რედაქციას — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ რეჟისორი ზაზა სვანაძე ესაუბრება.**

**— თქვენ ცოტა ხნის წინათ განაცხადეთ, რომ საქართველოში პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული პოლიტპატიმრები არიან. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას უკავშირდება თქვენი განცხადება და პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ პატიმრებში ვის გულისხმობდით?**

— უფლებადამცველებმა პოლიტპატიმრები საკუთარი სიმპათიის მიხედვით არ უნდა დაყონ, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში ასე ხშირად ხდება. მაგალითად, პრესტიჟული პოლიტპატიმარია ლევან გოგიჩაიშვილი, რომელიც ნამდვილად პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს. ის ღირსეული ადამიანია და არანაირი კრიმინალური იდეოლოგია მას არ გააჩნია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღეს ლევან გოგიჩაიშვილის მხარდაჭერა ითვლება პრესტიჟულად, ვინაიდან ის იყო ძლიერი ფიგურა, არასამთავრობო სექტორის გამორჩეული ახალგაზრდა სახე, რომელიც ირაკლი კაკაბაძესთან, ჯაბა ჯიშკარიანთან, ლაშა ჩხარტიშვილთან და ზურაბ რთველიაშვილთან ერთად, სააკაშვილის რეჟიმს ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა და ამის გამო, შეთითხნილი ბრალდებით დაისაჯა კიდეც. თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ ლევან გოგიჩაიშვილით არ შემოიფარგლება პოლიტპატიმრების სია და ამაზე ხმა უნდა ამოვიღოთ. **უამრავი ახალგაზრდა დააპატიმრეს — მელორ ვაჩნაძე, აკაკი დარასელია, ზურაბ ხუციშვილი, გიორგი ალხაზიშვილი, მამუკა შენგელია... ზოგიერთ მათგანს ნარკოტიკი, ზოგიერთს იარაღი „აღმოუჩინეს“. რადგან ეს არის ხელისუფლების ცნობილი მეთოდი.** შეიძლება ხვალ მეც აღმომიჩინონ ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება, იმის მიუხედავად, რომ არათუ ნარკოტიკს, ალკოჰოლსაც არ ვიღებ და ასეთ დროს, რა თქმა უნდა, უფლებადამცველების იმედი უნდა მქონდეს, რომლებიც პოლიტპატიმრებს პრივილეგირებულებად და არაპრივილეგირებულებად არ უნდა ჰყოფდნენ, ვინაიდან ადამიანის უფლებების დაცვა მათი მოვალეობაა.

**— ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების გახმაურებული ამბის შემდეგ, საზოგადოებაში გაჩნდა შიში, რომ შეიძლება მალე დაპატიმრების სერია გაგრძელდეს. თქვენც ფიქრობთ, რომ ეს შიში საფუძვლიანია?**

— ვფიქრობ, მოსალოდნელია, საფრთხე არასამთავრობო სექტორს, უფლებადამცველებს დაემუქროთ, რადგან საერთაშორისო საზოგადოება სიმართლეს სწორედ მათგან იგებს. ხელისუფლება კი, საკუთარი კრიმინალური მენტალიტეტიდან გამომდინარე, მათ ამგვარ საქციელს ღალატად აღიქვამს, რადგან ამ უფლებადამცველების საქმიანობა მათ სკამს არყევს და რეჟიმს საფრთხეს უქმნის. **გამორიცხული არაა, მალე უჩა ნანუაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, ეკა ბესელია, ნანა კაკაბაძე, ლია მუხაშავრია და სხვა უფლებადამცველები აღიარებითი ჩვენებებით მოღალატეებად შერაცხულები ვიხილოთ...**

**— თქვენ ასევე მოუწოდეთ უფლებადამცველებს, რომ ყურადღება მიაქციონ უკანონო პატიმრებს და განსაკუთრებით დაჩი ცაგურია გააკრიტიკეთ. რამ გამოიწვია თქვენი აღშფოთება?**

— მე დაჩი ცაგურიას მიმართ არანაირი პირადი წყენა არ გამაჩნია, მაგრამ ვინაიდან ის უფლებადამცველია, ვალდებულია, ყველა პოლიტპატიმრის საქმეს გამოეხმაუროს, მაგრამ ასე არ მომხდარა. იყო შემთხვევები, როდესაც ნაკლები ყურადღება დაუთმო პოლიტპატიმრების თემას. მართალია, დღეს აქტუალურია თემა, რომელიც სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის 30 თეთრით გაძვირებას ეხება, მაგრამ, როდესაც ახალგაზრდა ბიჭი, აკაკი დარასელია, შეთითხნილი ბრალდებით ციხეში ზის, ამაზე ნაკლებად თუ ფიქრობენ; არადა, ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

**— თქვენ გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ რედაქციის წინ სირცხვილის თოკზე ჭუჭყიანი საცვლები გამოფინეთ. რატომ აირჩიეთ მაინც და მაინც „პრაიმ ტაიმი“ და თქვენს თეატრალიზებულ წარმოდგენას რა გამოხმაურება მოჰყვა რედაქციიდან?**

— გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ არის კონტროლირებადი მედიის სახე. წინა დღეებში იყო წარმოდგენის ჩაშლის მცდელობა, რედაქციის ჟურნალისტებმა, პირადად თამარ გორთამაშვილმა შემომთავაზა, რომ ეთერსაც და გაზეთის ფურცლებსაც დამითმობდნენ. რა დაგიშავეთო, — მეუბნებოდნენ. ეტყობა, მაგათ ჰგონიათ, რომ მაინც და მაინც უნდა აწყენინო და პიროვნული კონფლიქტი გქონდეს ადამიანთან, რომ მისი ქმედება გააპროტესტო.

**როცა „მედიაპალიტრაში“ საგადასახადო სამსახური შევიდა, გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ რედაქტორმა, ქალბატონმა თამარ ფხაკაძემ განაცხადა, ეს ჩვეულებრივი შემოწმებააო. მან არ გამოუცხადა სოლიდარობა არც ფოტორეპორტიორებს.**



**ვფიქრობ, ქალბატონი თამარ ფხაკაძე ქართულ ჟურნალისტიკაში ზნეობრივი დაცემის სიმბოლოდ იქცა. ქალბატონი ძალიან ცუდ თამაშს თამაშობს და ჭუჭყიანი საცვლებით მივანიშნეთ, რომ ხელისუფლებას ბინძურად ემსახურებიან.**

ამგვარ აქციებს გავაგრძელებთ და ექსკლუზიურად გაგიმხელთ: **სულ მალე „კუდის“ ტელევიზიების მხილებას ვაპირებთ. მათ წინ ხუთი ცხოველის კუდს ჩამოვკიდებთ, რომლებზეც ამ ტელევიზიების ლოგოებს დავამაგრებთ.**

თუმცა აქვე მინდა ვთხოვო ომში გარდაცვლილი ქართველი გმირების ოჯახის წევრებს, გაზეთ „პრაიმ ტაიმში“ არის რუბრიკა „გმირი“, და ნუ მისცემენ ინტერვიუს და მათი შვილების ფოტოებს ამ უზნეო, ამორალურ გაზეთს. თვით გურამ დონაძეც კი არ კადრულობს იმ ფორმით ოპოზიციონერებისთვის ტალახის სროლას, როგორც თამარ ფხაკაძე იქცევა.

**— მაგრამ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული რუბრიკით გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ კარგ საქმეს აკეთებს. ხალხმა უნდა იცოდეს საკუთარი გმირების სახელები...**

— უნდა იცოდეს, მაგრამ არა ამ ტრიბუნიდან. როცა გაზეთის ერთ გვერდზე რომელიმე დიზაინერის მამათმავლური ისტორია წერია ან „ნაციონალური მოძრაობის“ რომელიმე წევრის გაზულუქებული საყვარლის ფოტოა დაბეჭდილი, რომელსაც ქვეყნის წინაშე არავითარი დამსახურება არ აქვს, იქვე გადაფურცლავ და მეორე გვერდზე გმირის ფოტოა დაბეჭდილი, ძალიან უხერხულია.

**— არნოლდ სტეფანიანმა, რამდენიმე სასულიერო და საერო პირთან ერთად, არმენოფობიურ და ქსენოფობიურ განცხადებებში თქვენც დაგადანაშაულათ და სარჩელის შეტანასაც აპირებდა თქვენს წინააღმდეგ.**

— ის არის ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ ლიდერი, რომელიც, წესით, აზერბაიჯანელების, ქურთების, ებრაელების ინტერესებსაც უნდა იცავდეს, მაგრამ სტეფანიანი მხოლოდ სომხური ინტერესების გატარებითაა დაინტერესებული. **სტეფანიანი ვან ბაიბურთთან და ზოგიერთ გვარგაქართულებულ, მაგრამ პირწავარდნილ სომეხთან ერთად, არის სომხური ლობის წარმომადგენელი საქართველოში.**

მე პირადად შევხვდი სტეფანიანს, მაინტერესებდა, რატომ აპირებდა ჩემ წინააღმდეგ საჩივრის შეტანას და მაშინ არნოლდ სტეფანიანმა მითხრა, მე ვაკავებ ახალციხეში სომხებს, ჩემი დამსახურებაა, რომ ომი არ იწყება, თორემ ისინი მეხვეწებიან, თბილისისკენ დავიძრათო. ამ სიტყვებს სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. ის არის პროვოკატორი და უნდა დაიკითხოს როგორც რელიგიური და ეთნიკური შუღლის გამღვივებელი. თუმცა მე ეჭვი მაქვს, ის მერაბიშვილთანაა შეკრული, ამიტომაც მისი ნებისმიერი განცხადება და ქმედება დაუსჯელი რჩება.

**— თქვენ იყავით მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრი. ზურაბ ნოღაიდელი აცხადებდა, რომ შსს-ს შეგზავნილმა აგენტებმა პარტია დაუშალეს...**

— მე პარტიიდან ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე წამოვედი, რადგან ჩემთვის საინტერესო არ აღმოჩნდა ამ პარტიაში საქმიანობა. ვფიქრობ, იქ გაწევრიანება ვიჩქარე. სერგო ჯავახაძეზე აღნიშნულ ინფორმაციას ვერ დავადასტურებ, მაგრამ ვიტყვი, რომ პარტიის წევრებს შორის განხეთქილება იყო.

**— თქვენ პროფესიით რეჟისორი ხართ და ოდესღაც ეროტიკული ფილმის გადაღების იდეაც კი გქონდათ. თქვენი პროფესიით თუ საქმიანობთ?**

— ამ რეჟიმის პირობებში ჩემი რეჟისორად მუშაობა წარმოუდგენელია. მე დაბლოკილი ვარ. მეორე მომენტიცაა: **როცა ხელისუფლებას ებრძვი, მისგან ფულიც არ უნდა აიღო. „მხედრიონელი“ ნიკა რურუას დაფინანსებული ფილმი არ მინდა. ჩემს თავს კინორეჟისორს ხმამაღლა ვერ ვუწოდებ, მაგრამ მქონდა მცდელობები და არცთუ ისე ცუდი, თუმცა ამ ეტაპზე ყველაფერი შეჩერებულია. საქართველოში თუ „პოლიტიკური ზურგი“ არ გაქვს, ხელოვნებაში დიდ შედეგს ვერ მიაღწევ.** მაგრამ გაგიმხელთ, რომ ორი საინტერესო და სკანდალური ფილმის სცენარი მაქვს და მომავალში მათ აუცილებლად გადავიღებ.

ხოლო ეს ფსევდოღირებულებების მქონე ფილმები, ახლა რომ იღებენ, კომუნისტების დროს, პროპაგანდისტული მიზნით, მეჩაიეებსა და კოლმეურნეებზე გადაღებულ ფილმებს ჰგავს, რომლებიც დღეს უკვე აღარავის ახსოვს. არ დაიჯეროთ, რომ საზღვარგარეთ ფესტივალებზე ვინმეს აინტერესებს ეს ქართული ფილმები, კინოთეატრ „რუსთაველს“ ვერ სცდებიან. **ქართველები ფულს იხდიან, რომ მათი ფილმები რომელიმე ფესტივალზე მოხვდეს. როგორც ბოლოს მოხდა, „აგვისტოს 5 დღის“ საჩვენებლად რესტორნის ფოიე რომ დაიქირავეს.**

**— თუმცა, ხელისუფლების განცხადებით, „აგვისტოს 5 დღე“ საერთაშორისო საზოგადოებაზე გავლენას მოახდენს.**

— ეს ფილმი გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ეს არის ჟან-კლოდ ვანდამის, ბრუსლისა და ჯეკი ჩანის დროინდელი ესთეტიკით გადაღებული პრიმიტიული „ტრილერი“.

**— ხელოვანისთვის საჭირო „პოლიტიკური ზურგი“ ახსენეთ, თქვენ ცოტა ხნის წინათ, ქართულ ესტრადაზე არსებულ სიტუაციასაც აკრიტიკებდით და შოუბიზნესში არსებულ კლანურ დაჯგუფებებზე საუბრობდით.**

— მარინა ბერიძემ სახელმწიფო კულტურული ღონისძიებების მოწყობის მონოპოლია წაართვა დათო ოქიტაშვილს და ხელისუფლების კარის მუსიკოსებში დღეს ის უპირობო ლიდერია. შესაძლოა, ის პროფესიონალია, მე არ ვარ მუსიკათმცოდნე და კომპეტენტური ამ საკითხში, მაგრამ უტაქტო, არაკორექტული და აგრესიული ადამიანია. ის ადამიანებს იმედს უკლავს. ოდესღაც ცნობილ ქიმიკოსს, მენდელეევსაც სამიანი ჰყავდა ქიმიაში. ასე რომ, არ შეიძლება ადამიანებს ასე სასტიკად მოექცე.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**«გამორიცხული არაა, მალე უჩა ნანუაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, ეკა ბესელია, ნანა კაკაბაძე, ლია მუხაშავრია და სხვა უფლებადამცველები აღიარებითი ჩვენებებით მოღალატეებად შერაცხულები ვიხილოთ...»**

**«სტეპანიანი, ვან ბაიბურთთან და ზოგიერთ გვარგაქართულებულ, მაგრამ პირწავარდნილ სომეხთან ერთად, არის სომხური ლობის წარმომადგენელი საქართველოში»**

**451 გრადუსი ფარენჰეიტით**

**ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის გარემოებაა, რომ „დემოკრატიის შუქურად“ მონათლული ქართული ხელისუფლება პრეზიდენტების დონიდან ნელ-ნელა, არათუ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწეების, არამედ უკვე კონგრესმენთა თანაშემწეების დონეზე ჩამოქვეითდა. იმ ვითარებაში, როდესაც ქართული ოპოზიციის წარმომადგენლები, მათი არაოფიციალური სტატუსის მიუხედავად, რუსეთის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრებს ახერხებენ, ხელისუფლების ამ დონის „მნიშვნელოვანი შეხვედრები“ ერთობ დამთრგუნველ ხასიათს ატარებს.**

საზოგადოება

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წითელი ვარდი ნარინჯისფერ ზონაში

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ბრძანა, შეიქმნას სააგენტო, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულებს აღკვეთს. სააგენტო მთელ მსოფლიოში მოძებნის ძალადობის მასშტაბური აქტების პოტენციურ შესაძლებლობებს. ობამას აზრით, „ჰოლოკოსტიდან 66 წლის შემდეგ და რუანდაში სამოქალაქო ომიდან 17 წლის შემდეგ აშშ-ში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მექანიზმი მსხვილმასშტაბიანი დანაშაულისა და გენოციდის თავიდან ასაცილებლად“.**

**ამას მოჰყვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკვე შედგენილია 33 ქვეყნის სია, რომელშიც ადამიანის უფლებები ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე დგას. თეთრი სახლის აზრით, ყველაზე რთულად საქმე ავღანეთში, კონგოში, ერაყში, მიანმაში, პაკისტანში, სომალიში, სუდანში და შრი-ლანკაზეა. ისინი „წითელ ჯგუფში“ მოხვდნენ.**



კიდევ 25 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, ნარინჯისფერ ჯგუფში მოხვდა. ამ ქვეყნებში ამერიკული ქვედანაყოფების გაგზავნა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოხდება. რაკი ჩვენ ჯერ „გვაცდიან”, იმ ქვეყანას მივაპყროთ ყურადღება, რომელიც პირველ ადგილზეა ამ „წითელ სიაში“. მართალია, იგი უფრო „შავ სიას წააგავს“, მაგრამ რაკი წითელი ფერი რევოლუციურ ეპოსში „ვარდების რევოლუციის“ ასოციაციებს აღძრავს, ჩვენც ქართული გადასახედიდან შევაფასოთ „საფრთხეები და გამოწვევები“.

სულ ახლახან ამერიკულ პრესაში ბენ ლადენის ლიკვიდაციის დეტალები გახმაურდა. წყარო ამ სპეცოპერაციის მონაწილე ერთ-ერთი ამერიკელი ოფიცერი იყო. მისი განცხადებით, 2 მაისის ოპერაციის ჩატარებისას ტყვეების აყვანას არავინ აპირებდა. ირკვევა, რომ **აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში ბენ ლადენის განადგურების მეთოდების შესახებ ერთიანი აზრი არ ყოფილა. თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სპეცრაზმის ვერტმფრენებით გადასროლას აბოტაბადში, პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადის მახლობლად, სადაც გამაგრებულ სახლში მსოფლიოს №1 ტერორისტი ეგულებოდათ.**

რობერტ გეიტსის შიშებს საფუძველი ჰქონდა: მან კოლეგებს შეახსენა იმ ოპერაციის კრახი, რომელიც 1980 წელს თეირანში ამერიკელი მძევლების გათავისუფლების მცდელობას მოჰყვა. მაშინ ორი ვერტმფრენი ერთმანეთს დაეჯახა და რვა ამერიკელი სამხედრო დაიღუპა. გეიტსის მიერ შეთავაზებული სტრატეგიული ბომბდამშენებით საჰაერო დარტყმის იდეა უარყოფილი იქნა, რადგან, თუ ბენ ლადენის სახლში ბუნკერები აღმოჩნდებოდა, მაშინ სულ ცოტა, 32 აფეთქება გახდებოდა საჭირო, რაც მიწისძვრის ტოლფასია.

1 მაისს, შუაღამისას ავღანეთის ქალაქ ჯალალაბადის აეროდრომიდან ორი (ისევ ორი!) ვერტმფრენი აფრინდა, რომლებშიც სპეცრაზმი, თარჯიმანი და ძაღლი იმყოფებოდნენ. გადაფრენას 90 წუთი დასჭირდა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციით, ბენ ლადენი სახლის მესამე სართულზე იმყოფებოდა. გეიტსის ცუდი წინათგრძნობა გამართლდა და მიზანთან მიახლოებისას ერთმა ვერტმფრენმა მართვა დაკარგა. ავარიული დაჯდომის შემდეგ სპეცრაზმელებმა მისი აღჭურვილობა გაანადგურეს. ბენ ლადენის სახლის ალაყაფი მებრძოლებმა ააფეთქეს და ეზოში შეაღწიეს. **მთელ მსოფლიოში გავრცელებული ინფორმაციის საპირისპიროდ, თითქოს ოპერაცია მყისიერად და სრულიად უხმაუროდ ჩატარდა, ამერიკულ პრესაში ვკითხულობთ: „პაკისტანურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა თარჯიმანმა აღელვებულ ხალხს მოუწოდა, დაშლილიყო და სახლებში წასულიყო“.**

ერთი სიტყვით, ამერიკულ ბოევიკებზე გაზრდილ მაყურებელს 2 მაისს, ქართული ნაციონალური არხების მსგავსად, მსოფლიო მედიამ არც აღელვებული ხალხი აჩვენა და არც ის დეტალები, რომლებიც ამ უცნობმა ოფიცერმა გაახმაურა. შემდგომ მოვლენები კვლავ გასცდა „მაღალპროფესიულად” ჩატარებული ოპერაციის ოფიციალურ ვერსიას: **„სახლის სიახლოვეს სპეცრაზმელებმა ბენ ლადენის კურიერი – აბუ ახმედ ალ-კუვეიტი დახვრიტეს. შემდეგ მისი ძმა – აბრარი და მისი უიარაღო ცოლი ბუშრა მოკლეს. მებრძოლებს სახლის გეგმა არ ჰქონდათ. შიგნით მათ „ალ ქაიდას“ ლიდერის ვაჟი — ხალიდი მოკლეს, რომელიც ასევე უიარაღო იყო. ბენ ლადენი საძინებელში იმყოფებოდა. წყაროს ინფორმაციით, იგი ცოლებს ამოეფარა. ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა ქალი ფეხში დაჭრა და ორივე უკუაგდო. ამის შემდეგ მეორე მებრძოლმა ბენ ლადენს ესროლა. მას ტყვიები მუცელსა და თვალის არეში მოხვდა. „ღვთისა და ქვეყნის სახელით — ჯერონიმო, ჯერონიმო, ჯერონიმო!“ — ასე შეატყობინეს სპეცრაზმელებმა ცენტრს დავალების წარმატებით შესრულების შესახებ. ამის შემდეგ ბენ ლადენის ცხედარი ცელოფანში მოათავსეს და ოკეანეში გადააგდეს”.**

## ბენ ლადენის ცხედარი ისე სასწრაფოდ გადააგდეს ოკეანეში, რომ ექსპერტიზა არავის ჩაუტარებია. ამის შემდეგ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმეზე ამერიკული ექსპერტიზის ჭეშმარიტების გჯერათ?

მხოლოდ ამ მცირე ფრაგმენტის მიხედვით რამდენი უიარაღო ადამიანია მოკლული? ან ვინ შეიძლება ზუსტად იცოდეს, ეზოში მოკლული მამაკაცი ბენ ლადენის კურიერი რომ იყო, თუკი სპეცრაზმელებს სახლის გეგმაც კი არ ჰქონდათ? **ვისაც ქუჩაში ჩაცხრილული ახალგაზრდების საქმეში ქართული პოლიციის მიერ ჩადებული იარაღის ამბავი ახსოვს, მთელ ამ ლეგენდას ასე იოლად ვერ დაიჯერებს, ისევე, როგორც იმას, რომ მოკლული ნამდვილად ბენ ლადენი იყო: იგი ისე სასწრაფოდ გადააგდეს ოკეანეში, რომ ექსპერტიზა არავის ჩაუტარებია. ამის შემდეგ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმეზე ამერიკული ექსპერტიზის ჭეშმარიტების გჯერათ?**

ბენ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაცია 18 წუთში დასრულდა. ვისაც სტალონეს და შვარცენეგერის საეკრანო „გმირობები“ ახსოვს, ის ივარაუდებს, რომ ამ დროის განმავლობაში ყოველმა ამერიკელმა „რემბომ“ სულ ცოტა 18-ჯერ 2000 ტყვია გაისროლა, მაგრამ ესეც კინო-მითია. ასე სწრაფად ოთახის „ტყვიებით მორწყვა“ მხოლოდ კინოში ხერხდება. სინამდვილეში, წუთში რომ 700 ვაზნა გაისროლო, სავაზნე კოლოფში ამდენივე ტყვია უნდა გეტეოდეს, იქ კი საშუალოდ 30 თავსდება.

მითებით ეს საქმე თავიდანვე დამძიმდა. ცოცხალი ბენ ლადენი არავის უნახავს, მკვდარი ოკეანეში მოისროლეს, მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ამ ინფორმაციის გავრცელებიდან ერთ კვირაში მოხდა: **მსოფლიო მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 7 აგვისტოს ავღანეთის პროვინცია ვარდაკში ვერტმფრენი ჩამოვარდა (ესეც გეიტსის ნაწინასწარმეტყველები მეორე ჩამოვარდნილი ვერტმფრენი!), რის შედეგადაც 38 ადამიანი დაიღუპა.**

**ახლა კი ყურადღებით! მათგან 30 ამერიკელი სპეცრაზმელი იყო, 7 – ავღანელი, ხოლო ერთი – თარჯიმანი! ამერიკული მედია მწუხარებით იუწყებოდა, რომ დაღუპულთა უმრავლესობა სწორედ ის სპეცრაზმელი იყო, რომელთაც ბენ ლადენის ლიკვიდაცია მოახდინეს. აქვე თუ „პაკისტანურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ თარჯიმანსაც“ გავიხსენებთ, რომელიც ბენ ლადენის სახლთან შეკრებილ ხალხს აშოშმინებდა, სრული კომპლექტი სახეზეა! ჩამოვარდნილ ვერტმფრენშიც ერთი თარჯიმანი დაიღუპა. ამერიკული ტრადიციის თანახმად, როდესაც ფილმში ცხოველებს იღებენ, ტიტრებში აუცილებლად უთითებენ, რომ გადაღებებისას არც ერთი ცხოველი არ დაღუპულა. ამ შემთხვევაშიც, დაღუპულთა შორის არ არის მოხსენიებული ძაღლი, რომელიც ლიკვიდაციის ოპერაციისას „პირად შემადგენლობაში ირიცხებოდა“.**

2001 წლიდან, ავღანეთში ოპერაციის დაწყებიდან ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი მსხვერპლია ამერიკელ სამხედროთა შორის. ცნობილია, როგორ მძაფრად რეაგირებს ამერიკა ყოველ დაღუპულ სამხედროზე, ამ შემთხვევაში კი ერთბაშად 30 საუკეთესო სპეცრაზმელი დაიღუპა, რომელთაც ამერიკის სარდლობამ თვით №1 ტერორისტის განადგურება ანდო. მიუხედავად ამისა, **ამერიკას არც ნაციონალური გლოვა გამოუცხადებია და არც ამ „ნიუსს“ უცოცხლია ერთ დღეზე მეტ ხანს.** დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ მთელი ეს ისტორია არცთუ დამაჯერებელია. **სამაგიეროდ, თუკი ვინმე ბენ ლადენის ლიკვიდაციის დეტალებში ჩაღრმავებას დააპირებს, მოკრძალებულ პასუხს მიიღებს, რომ ოპერაციის უკლებლივ ყველა მონაწილე დაიღუპა ძაღლის გარდა. ძაღლი კი, როგორც ცნობილია, ვერბალური ინფორმაციის წყაროდ არ გამოდგება.**

ნატოს სარდლობამ დაადასტურა ვერტმფრენის ჩამოგდება, ხოლო ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა ასოშეიტედ პრესს განუცხადა, რომ ვერტმფრენს მიწიდან ესროლეს. **პასუხისმგებლობა ვერტმფრენის ჩამოგდებაზე თალიბებმა აიღეს. თანაც განაცხადეს, რომ იგი თვითნაკეთი ყუმბარმტყორცნით ჩამოაგდეს! ამ ინფორმაციებს დილეტანტიზმის ისეთი მძაფრი სუნი ასდის, როგორც „მუხროვანის ამბოხის“ სცენარს. თუმცა როდის იყო, მოწაფე მასწავლებელს სჯობდა, მით უფრო პიარტექნოლოგიებში, რომლის ცოდნას ქართულ ხელისუფლებას დღემდე მტერიც უქებდა და მოყვარეც?**

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა თანაშემწეებს შეხვდნენ. **ეს ინფორმაცია ისეთი პომპეზურობით გაავრცელა საქართველოს პარლამენტმა, თითქოს პარლამენტარის შეხვედრა მისი ამერიკელი კოლეგის თანაშემწესთან სამარცხვინო არ ყოფილიყოს. რანგების შესახებ რომ ქართულ ნომენკლატურას წარმოდგენა არ აქვს, ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ, თუნდაც დონალდ ტრამპთან საქართველოს პრეზიდენტის გაუგებარი და შეურაცხმყოფელი შეხვედრის მაგალითზე, მაგრამ პიარი ხომ მაინც ეხერხებოდათ?**

მეორე დღეს ამ ინფორმაციას კიდევ ერთი „პიარ-შედევრი“ შეემატა – **კონგრესმენთა თანაშემწეებს ახლა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეც შეხვდა!** თურმე, არც მეტი და არც ნაკლები, **„შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხი. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას და ოკუპაციის საკითხს“.** ერთი სიტყვით, რაც პრეზიდენტებმა და გენერალურმა მდივნებმა ვერ გადაწყვიტეს, ახლა კონგრესმენთა თანაშემწეების გადასაწყვეტი გახდა!

„საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სტუმრებს. მათი შეფასებით, თანაშემწეები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ აშშ-ის კონგრესმენთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე და შესაბამისად, მათი სწორი და სრულყოფილად ინფორმირება მნიშვნელოვანი გარემოებაა“, — იუწყებოდნენ სააგენტოები.

**ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის გარემოებაა, რომ „დემოკრატიის შუქურად“ მონათლული ქართული ხელისუფლება პრეზიდენტების დონიდან ნელ-ნელა, არათუ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწეების, არამედ უკვე კონგრესმენთა თანაშემწეების დონეზე ჩამოქვეითდა.** იმ ვითარებაში, როდესაც ქართული ოპოზიციის წარმომადგენლები, მათი არაოფიციალური სტატუსის მიუხედავად, რუსეთის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრებს ახერხებენ, ხელისუფლების ამ დონის „მნიშვნელოვანი შეხვედრები“ ერთობ დამთრგუნველ ხასიათს ატარებს. სად გადის უფრო მოკლე გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოსაგვარებლად, ბავშვისთვისაც კი თვალსაჩინოა. ეს მხოლოდ იმ ქართველ ჩინოსნებს არ ესმით, რომელთა თავაწყვეტილმა პიარმა წითელი ვარდი ადამიანის უფლებათა საფრთხეების ნარინჯისფერ ზონაში მოისროლა.

**ნანა დევდარიანი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საააკაშვილი იყო ერთადერთი პრეზიდენტი, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტების გარდა, ვინც 9 მაისს ინაუგურაციაზე იყო მიწვეული. ამიტომაც უყურებდნენ გაოცებით — ნეტა, ეს თეთრი კაცი ვინ არისო... არადა, სწორედ ამ დღეს მსოფლიო ლიდერები, მოსკოვში, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხების 65-ე წლისთავს და იოსებ ჯუღაშვილის მთავარსარდლობით მიღწეულ დიად გამარჯვებას აღნიშნავდნენ.**

# პერშგარჭობილები

**ინაუგურაციებისადმი დაუცხრომელი სიყვარული სააკაშვილს არაერთხელ გამოუვლენია. თავის პრეზიდენტად კურთხევას როგორი ყურადღება დაუთმო ორივეჯერ, ყველას კარგად გვახსოვს. მაგრამ, თუ ასეთი „ქელეხუტა“ იყო, ამის წარმოდგენა თვით დიდი მიხეილისგანაც კი მოულოდნელია. სადაც ბიბლიას დადებენ ტრიბუნაზე თუ საპრეზიდენტო კვერთხს გააპრიალებენ, ყველგან „ციმციმებს“ ხოლმე ჩვენი „დემოკრატიის შუქურა“.**

თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა სააკაშვილის სურვილი მის შესაძლებლობებს აღემატება. პირველი ასეთი ფიასკო 2009 წლის იანვარში აშშ-ის პრეზიდენტად ბარაკ ობამას ინაუგურაციაზე განიცადა. არ მიიწვიეს. მართალია, მისი ადმინისტრაცია და საგარეო საქმეთა სამინისტრო საგულდაგულოდ ცდილობდა ამ ფაქტის სხვა „ნაკმაზით“ მოწოდებას, მაგრამ იგი ამ, მისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას ვერ დაესწრო. არდასწრება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იმით ახსნეს, რომ **„აშშ-ში არსებული ტრადიციით, ქვეყნის პირველი პირის ინაუგურაციაზე არც ერთი ქვეყნის ლიდერსა და ოფიციალურ პირს არ იწვევენ“.** ვაშაძის უწყებაში ასევე განმარტეს, რომ **„აღნიშნულ ცერემონიას, წესისამებრ, რიგითი მოქალაქეები ესწრებიან, რომელთათვისაც სპეციალურად ინაუგურაციისთვის გამოშვებული ბილეთები იყიდება. რიგითი მოქალაქის რანგში ინაუგურაციას სანდრა რულოვსი დაესწრება“.**

ახლა წარმოიდგინეთ სააკაშვილი, რომელსაც სადმე წასასვლელად მიწვევა სჭირდება. მიხვდა, რომ ხელში ამერიკის მცირე ზომის დროშით ქუჩაში დგომა და ობამას გამოჩენის მოლოდინში ფეხზე ჩამოწყდომა მოუწევდა და ვახშამზეც არავინ დაპატიჟებდა. აბა, რაში სჭირდებოდა ისეთი „ოფიციალური ვიზიტი“, თუკი სადილის დროს მაინც ვერ მოახერხებდა ობამასთან მიახლებას და ქლესა ღიმილით (სიცილისგან ღმერთმა დაიფაროს – ზეიმი ჩამწარდებოდა მისტერ ბარაკს!) „საუკუნის საიდუმლოს“ გამხელას — „თქვენი ვარ მე, თქვენი, ოვ დილა, ოვ დილა...“

**ბუნებრივია, მაკკეინის აქტიური მხარდამჭერი ვასალი ობამას დემოკრატთა გუნდში ფავორიტობის მოპოვებას ჯიუტად ცდილობდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო და მისი „ხელჩამოურთმეველი“ ლიდერი ამერიკისთვისაც თავის ტკივილად იქცა.** იმ დროისთვის ბევრი პრობლემა შეიქმნა არამხოლოდ რეგიონის მასშტაბით, თუმცა აშშ-ისთვის კავკასიური ინტერესები კვლავაც უმნიშვნელოვანესია და, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკული საბჭოს თანამშრომელმა ჯეფრი მანკოფმა განაცხადა: **„ვაშინგტონი ვერ უგულებელყოფს ქვეყანას, რომელიც ევროპისკენ მიმავალი ენერგეტიკული რესურსების ტრანზიტულ ტერიტორიას წარმოადგენს. არა მგონია, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ საქართველო მატარებლის ქვეშ შეაგდოს, თუმცა საქართველოზე აქცენტი აღარ გაკეთდება, როგორც გარდამავლობის მოდელზე, რომლის მსგავსის ნახვასაც ისინი სხვა ქვეყნებში ისურვებდნენ“.**

ასეთი განაჩენი გამოუტანეს ერთ დროს სასურველ კლიენტს, რომლის პირმოთნეობისა თუ გულამოსკვნილი გოდების მოსასმენად თეთრ სახლში აღარავის ეცალა.

მაგრამ ინაუგურაციების სიყვარულისთვის რა ექნა, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუოკებელი სურვილისთვის რა მოეხერხებინა? პრეზიდენტების მეტი რა არის მსოფლიოში, დახედა მათი „აფრენა-დაფრენის“ „გრაფიკს“ და... შეჯდა ჩემოდანზე! აგვისტოს ომის შემდეგ მთელი წელი „ხელჩამოურთმევლის“ სტატუსი ჰქონდა და ვინ და სად მიიპატიჟებდა?

**2010 წელს კი პირველი უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაცია უწევდა. გახსოვთ, რა ძმობა და ნათელ-მირონი აკავშირებთ სააკაშვილსა და უკრაინის ნარინჯისფერ ექს-პრეზიდენტ იუშჩენკოს? ისიც გახსოვთ, პრეზიდენტის რანგში პირველი ახალი წელი სააკაშვილმა კიევიდან რომ მოგვილოცა და ისიც, „ჩადგმით“ რომ სტუმრობდა „მშობლიურ“ უკრაინას? მაშინ არც ის დაგავიწყდებოდათ, როგორი თავგამოდებით ცდილობდნენ „ნაცები“ იანუკოვიჩის კონკურენტის, იულია ტიმოშენკოს დახმარებას — 2007 წლის ნოემბერში თბილისში ნავარჯიშები ზონდერები სხვადასხვა სტატუსით ჩაუყვანეს „მიშას იულიას“, მაგრამ იქაურებმა სასტუმროდან ცხვირი არ გამოაყოფინეს და ამას, ჩვენსას, შემოუთვალეს, უკან წაიყვანე, სანამ „გრუზ-200“-ით გამოგვიგზავნიაო.**

არ გაუმართლა ნაცხელისუფლებას, იმ არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩმა გაიმარჯვა (მეორე ტურში) და, ბედის ირონიით, ჩვენი უავგუსტესი იქ აღარავის მიუწვევია. არადა, ამერიკისგან განსხვავებით, უკრაინაში სახელმწიფოს მეთაურების მიწვევის წესი ყოფილა. **„მოწვევა 100 დელეგაციაზე მეტს გაეგზავნა. ჩვენთან სტუმრად ჩამოვა 11 სახელმწიფოს მეთაური, 4 გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, 15-ზე მეტი საგარეო საქმეთა მინისტრი და 4 პარლამენტის თავმჯდომარე. წარმომადგენლობის დონე საკმაოდ მაღალია, შეიძლება, ითქვას, უპრეცენდენტოც კი“,** — განაცხადა უკრაინის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა პეტრე პოროშენკომ.

აი, ასეთ უპრეცენდენტო ინაუგურაციაზე არ დაპატიჟეს სააკაშვილი. პოლიტოლოგებმა მაშინვე შეაფასეს ვითარება და მიზეზად წინასაარჩევნოდ საქართველოდან ატეხილი ისტერიკა დაასახელეს — მრავალრიცხოვანი „დამკვირვებლები“ და ყბადაღებული საუბრები იანუკოვიჩის პრორუსულობაზე: **„ინაუგურაციაზე ამა თუ იმ პირის მიწვევა იმის მიხედვით ხდება, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანა და რამდენად კარგი ურთიერთობებია ქვეყნის პირველ პირებს შორის. როცა პრეზიდენტი არ მიდის ამ ინაუგურაციაზე, ეს იმაზე მეტყველებს, რომ რაღაც თვალსაზრისით ეჭვქვეშ არის დაყენებული ქვეყნებს შორის ურთიერთობები. წარმოგიდგენიათ, რომ იუშჩენკოს ინაუგურაცია ყოფილიყო და სააკაშვილი არ მიეწვიათ? ტიმოშენკოს მიმართ ასეთი ღია მხარდაჭერა არ უნდა დაფიქსირებულიყო. მიუხედავად ამისა, მიწვევა გამოაგზავნეს, ოღონდ არა პირადად სააკაშვილზე, ალბათ, მხოლოდ ზოგადი დელეგაციის დონეზე. ამიტომაც არ მიდის პრეზიდენტი. საერთოდ არმიწვევა კი იქნებოდა დემარში ქვეყნის მისამართით და უკრაინის ხელმძღვანელები ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდნენ“.**


2010 წლის 9 მაისი, სან-ხოსე, კოსტა-რიკის პრეზიდენტის, ლაურა ჩინჩილია მირანდას ინაუგურაციაზე.

მოწვევა მართლაც მოვიდა საქართველოში. **„მივიღეთ ოფიციალური ნოტა, სადაც უკრაინის ადმინისტრაცია იწვევს საქართველოს მაღალ წარმომადგენლობას ინაუგურაციაზე, მაგრამ დელეგაციის დაკომპლექტება მოგვანდეს ჩვენ. შესაბამისად, მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ რა შემადგენლობის იქნება და ვისი ხელმძღვანელობით“,** — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის ამ სიტყვებით ცხადი გახდა, რომ მოწვევა პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის სახელზე არ მოვიდა და მას იქ არავინ ელოდა. ამიტომაც კიევში პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი გაემგზავრნენ.

**პრეზიდენტი სააკაშვილი კი კვლავაც ჩემოდანზე იჯდა.**

**მაგრამ უცებ ბედმა გაუღიმა — შორეულ კოსტარიკაში ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. ლაურა ჩინჩილია მირანდას უთქვამს, ჩემი ინაუგურაცია მთელ ხიბლს დაკარგავს, თუ „დემოკრატიის შუქურა“ არ გამინათებს წარმატებული პრეზიდენტობისკენ მიმავალ წინააღმდეგობებით აღსავსე გზასო.**

შორია, მაგრამ რა ექნა? ადგა და წავიდა. მაგრამ ჯერ ვატიკანში რომის პაპს, ბენედიქტ XVI-ს შეხვდა7 მაისს. შემდეგ კი სან-ხოსეში ჩავიდა და ლაურა ჩინჩილია მირანდაც დააფასა. **სააკაშვილი იყო ერთადერთი პრეზიდენტი, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტების გარდა, ვინც 9 მაისს ინაუგურაციაზე იყო მიწვეული. ამიტომაც უყურებდნენ გაოცებით — ნეტა, ეს თეთრი კაცი ვინ არისო...**

**არადა, სწორედ ამ დღეს მსოფლიო ლიდერები, მოსკოვში, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხების 65-ე წლისთავს და იოსებ ჯუღაშვილის მთავარსარდლობით მიღწეულ დიად გამარჯვებას აღნიშნავდნენ.**

სააკაშვილის პრესსამსახური კი სიამაყით გვამცნობდა, რომ **„საქართველოს პრეზიდენტი კოსტა-რიკის ახალ პრეზიდენტთან, ჰონდურასისა და გვატემალის პრეზიდენტებთან და სხვა სახელმწიფო მეთაურებთან საქმიან ვახშამზე იყო მიწვეული. შეხვედრებისას პრეზიდენტებს შორის საუბარი ესპანურ ენაზე მიმდინარეობდა“. ესპანურიც სცოდნია!..**

ეგ ყველაფერი კარგია, კარგი დაგემართოს, მაგრამ კოსტა-რიკიდან პრეზიდენტი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი დაკარგვა ვის გააკვირვებდა და ეწყინებოდა, მაგრამ მთლად გაურკვეველი სიტუაცია შეიქნა. თვითმმართველობის არჩევნების წინ უავგუსტესის გაუჩინარება შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ორთოდოქსი „ნაციონალებისთვის“. მანამდე, აპრილში, თითქმის სამი კვირა აშშ-ში იმყოფებოდა. იქიდან რუმინეთში აპირებდა ჩასვლას, მაგრამ რუმინელებმა, შენი ჭირიმე, ვის აქვს შენი დევნის თავი, ეროვნულ დღესასწაულს აღვნიშნავთ და ერთი თვეში გამოიარეო. თბილისში 3 მაისს დაბრუნებული 6 მაისს პოლიციის აღლუმს დაესწრო, მერე ბათუმში სამკერვალო ფაბრიკა, საავადმყოფო და შოთა რუსთაველის ძეგლი გახსნა და უკვე 7-ში, როგორც გითხარით, რომის პაპს „დაუკრა თავი.“ **პრეზიდენტის ადმინისტრაცია იუწყებოდა, შეხვედრაზე სააკაშვილმა და რომის პაპმა რამდენიმე კონკრეტული და მნიშვნელოვანი თემა განიხილეს. კერძოდ, ლაპარაკი შეეხო ორმხრივი ურთიერთობების საკითხებსო. ამაზე იტყვიან ხოლმე: ნეტა, იმის ეშმაკი მქნა და გამაგებინა, რა ორმხრივი ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეთ „ღმერთის მოადგილესა“ და „ჯოჯოხეთის მოციქულს“?**

დაიკარგა და დაიკარგა, სად უნდა გვეძებნა?! არ უნდა ამ კაცს პრობლემების მოგვარებაზე ფიქრი და რას ერჩით? ამისთვის აირჩიეთ, რომ ასეთი საზრუნავით დაგემძიმებინათ? კაცი ბევრად უკეთესად გრძნობს თავს საკუთარი სამშობლოსგან ▶

მოკლედ

## ნატომ კადაფის კიდევ ერთი შვილი მოუკლა

**ლიბიელი დიქტატორის, მუამარ კადაფის უმცროსი შვილი, 29 წლის ხამის კადაფი ნატოს ძალების ავიაიერიშის მსხვერპლი გახდა.** ხამის კადაფისთან ერთად ქალაქ ზლიტენში კიდევ 32 ადამიანი დაიღუპა. ბოლო დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კადაფის სამხედრო ძალებმა ამ ქალაქში შეღწევა შეძლეს. ხამის კადაფი ლიბიის არმიაში გატარებული რეფორმებით იყო ცნობილი, ერთ-ერთ ელიტურ დანაყოფს ხელმძღვანელობდა და მამამისის უდიდესი ნდობით სარგებლობდა.




## აშშ სირიის წინააღმდეგ სანქციებს ამზადებს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ ახალ სანქციებს ამზადებს.** ამის შესახებ აშშ-ის საგარეო უწყების წარმომადგენელმა მარკ ტონერმა განაცხადა. მისი განცხადებით, აშშ-ის მიზანი სირიის პრეზიდენტის, ბასარ ასადის პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოქცევაა. სირიის მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ვერ მიიღო გაეროს უშიშროების საბჭომ.

**მართლაც უნიკალური შემთხვევაა — პრეზიდენტობა იმიტომ უნდოდა, რომ სულ საზღვარგარეთ ყოფილიყო, ოღონდ სახელმწიფოს ხარჯზე, განცხრომაში. მოგეხსენებათ, პრესტიჟის ამბავია და, წარმოიდგინეთ, რა გვიჯდება პირველი პირის ხანგრძლივი ვოიაჟები! რა ოფიციალური შეხვედრები, იყიდიან რომელიმე ფასიან ვახშამზე რამდენიმე ბილეთს, გვიჩვენებენ რამდენიმეწამიანი შეხვედრისა და ხელის ჩამორთმევის კადრებს და „გაიხარე, მუშავ, წამებულო!“**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



2011 წლის 29 ივლისი, ლიმა, პერუს პრეზიდენტის, ოლანტა ჰუმალას ინაუგურაციაზე.

**სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) **კოლუმბიის პრეზიდენტი ხუან მანუელ სანტოსი, ჰონდურასის პრეზიდენტი პორფირიო ლობო, ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა როუსეფი, არგენტინის პრეზიდენტი ქრისტინა ფერნანდესი, ჩილეს პრეზიდენტი სებასტიან პინერა, ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი, ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორეა, პანამის პრეზიდენტი რიკარდო მარტინელი.**

**უკანა პლანზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) **საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუჯიკა ფერნანდესი და ესპანეთის პრინცი ფილიპე.**

◀ შორს, მით უფრო ვერ იტანს დედაქალაქს, რომელმაც არაერთხელ უარყო და რა გინდათ, სიძულვილზე სიყვარულითა და მზრუნველობით გიპასუხოთ? **მართლაც უნიკალური შემთხვევაა — პრეზიდენტობა იმიტომ უნდოდა, რომ სულ საზღვარგარეთ ყოფილიყო, ოღონდ სახელმწიფოს ხარჯზე, განცხრომაში. მოგეხსენებათ, პრესტიჟის ამბავია და, წარმოიდგინეთ, რა გვიჯდება პირველი პირის ხანგრძლივი ვოიაჟები! რა ოფიციალური შეხვედრები, იყიდიან რომელიმე ფასიან ვახშამზე რამდენიმე ბილეთს, გვიჩვენებენ რამდენიმეწამიანი შეხვედრისა და ხელის ჩამორთმევის კადრებს და „გაიხარე, მუშავ, წამებულო!“**

სამაგიეროდ, თავისი მოულოდნელი სტუმრობით ხომ „უხარებს გულს“ სიურპრიზით გაოცებულ მასპინძლებს! ამათ ისიც არ ესმით, რომ სხვა ქვეყნის პრეზიდენტის ჩასვლა ადგილობრივი ხელისუფლების დიდი პასუხისმგებლობაა, სულაც თავი რომ დავანებოთ ქვეყნის პრესტიჟის შელახვას ამგვარი თავქარიანი ვოიაჟებით.

მოკლედ, როგორც იქნა, გამოჩნდა და დავმშვიდდით, რომ ფარსაგს არსად გადაეყარა. გავიხარეთ, მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“

ჩვენც ასე დაგვემართა. **რაკი „ფანჯარა ლათინურ ამერიკაში“ უკვე გაქრილი იყო, ელდა გვეცა, როცა შევიტყვეთ, რომ 7 აგვისტოს, ბოგოტაში, კოლუმბიის ახლადარჩეული პრეზიდენტის — ხუან მანუელ სანტოს კალდერონის ინაუგურაცია უნდა გამართულიყო და, რაც მთავარია, ამ ევროპაში და ყოფილ საბჭოთა სივრცეში „ხელჩამოურთმეველ“ სააკაშვილს იქაც ეპატიჟებოდნენ, თანაც ოფიციალურად.** გაჩნდა მისი ხელმეორედ (თუ მერამდენედ?) დაკარგვის საფრთხე, მაგრამ რეინტეგრაციის საკითხებში მაშინდელმა სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა დაგვამშვიდა, **„პრეზიდენტი აუცილებლად უნდა წავიდეს კოლუმბიაში რადგან ლათინური ამერიკა ჩვენი პარტნიორიაო“** (მაინც რამდენ სისულელეს გათქმევინებს ადამიანს მინისტრობა?!). **ეს ისეთი სასიხარულო მოულოდნელობა იყო, რომ პრეზიდენტის ხანგრძლივ დაკარგვასაც გადავიტანდით, ოღონდ ეს „პარტნიორი კოლუმბია“ არ გაგვენაწყენებინა.**

ასე იყო თუ ისე, სააკაშვილი ბოგოტაში გაემგზავრა. ინაუგურაციის ცერემონიაზე ლათინური ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ლიდერებიც იმყოფებოდნენ. **სააკაშვილი აქაც ერთადერთი პრეზიდენტი იყო ევროპის კონტინენტიდან, რომელიც კოლუმბიის ხელისუფლებამ ბოგოტაში მიიწვია.**

**„მოხარული ვარ, რომ ვესწრები ამ ძალიან მნიშვნელოვან და ისტორიულ მოვლენას. მინდა აღვნიშნო, რომ იმ ადამიანებისთვის, რომელთათვისაც დემოკრატიული ღირებულებები ფასეულია, კოლუმბია მნიშვნელოვანი ქვეყანაა, ამიტომ დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ამ შემოთავაზებას და ვესწრები ინაუგურაციის ცერემონიას,“** — განაცხადა სააკაშვილმა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას კოლუმბიის დემოკრატიულობას, „ჩვენ ჩვენი ქეთო ვიტიროოთ“.

სააკაშვილმა კოლუმბიის ახლად არჩეულ პრეზიდენტს — ხუან მანუელ სანტოსს პირადად მიულოცა არჩევნებში გამარჯვება. ასევე, შეხვდა დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს. კოლუმბიისა და დომინიკის ლიდერებთან საუბარი ძირითადად ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და ქვეყნების დაახლოებას შეეხებოდა. შემდეგ მოქმედმა პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ სტუმრად ჩასული პრეზიდენტების პატივსაცემად ვახშამი გამართა. ქვეყნების პირველმა პირებმა არაოფიციალურ ვითარებაში ისაუბრეს. **მიხეილ სააკაშვილი ბრაზილიისა და ჰონდურასის პრეზიდენტებს ესაუბრა და, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ თავისი დემოკრატიულობის გამოცდილება გაუზიარა, ალბათ, ისევ ესპანურად!**

საღამოს ინაუგურაციაც გაიმართა და, რაკი ვიზიტის ოფიციალური ნაწილი ამით დასრულდა, თანაც აგვისტოს ომის ორი წლისთავი იყო, სამშობლოზე დამაშვრალი პრეზიდენტი სააკაშვილი სასწრაფოდ საქართველოში გამოეშურა...

**ნურას უკაცრავად! ისევ დაიკარგა გაურკვეველი ვადითა და მიმართულებით!**

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამჯერადაც დუმილი ამჯობინა ან რა უნდა ეთქვათ, როცა პრეზიდენტის ადგილსამყოფელის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მხოლოდ 11 აგვისტოს გავრცელდა. ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი ერთდღიანი ვიზიტით ნიდერლანდების სამეფოს შემადგენლობაში შემავალ კარიბის ზღვის კუნძულ არუბაზე იმყოფებოდა, სადაც არუბას პრემიერმინისტრს, მიშელ (გოლფრაიდ) ემანს, ასევე, არუბის გუბერნატორს, ფრედის რეფუნჯოლის შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს კარიბის რეგიონის ურთიერთობის თაობაზე სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან. ეს ინფორმაცია 11 აგვისტოს გავრცელდა.

**აი, კიდევ ერთი პარტნიორიც ვიპოვეთ, ბატონო თემურ (იაკობაშვილო)! მაგრამ არუბას საინფორმაციო საშუალებებში რომ არაფერი თქმულა ამ „ოფიციალური“ შეხვედრების შესახებ? გასაგებია, ვაცალოთ რა, კაცს დასვენება — ეს კუნძული ხომ მილიონერთა საყვარელ დასასვენებელ ადგილად ითვლება!**

**დაისვენე კაცო, ვინ გიშლის, მაგრამ გულებს მაინც ნუ დაგვიხეთქავ, გვითხარი, რომ კარგად ხარ და იყავი მანდ, სულ ნუ ჩამოხვალ, თუ ასე გეჯავრებით!**

არუბას შემდეგ სააკაშვილის კვალი ისევ დაიკარგა. საააგენტო „პირველი“ კი იტყობინებოდა, რომ არუბაში ერთდღიანი ვიზიტის შემდეგ სააკაშვილი მეორე დღესვე, 12 აგვისტოს აშშ-ში ჩაფრინდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ დაუკონკრეტდებიათ, რა იყო სტუმრობის მიზანი, „რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა“ და ვიზიტი ოფიციალური იყო თუ კერძო.

**ესეც მეორე დაკარგვა. არ დაგვცალდა სიხარული, მაინც გამოჩნდა — დაღლილი, გასავათებული... რამდენი უმუშავია, საქართველოზე ფიქრში ღამეები უთენებია...**

ასე გასრულდა დაკარგულის 2010 წელი.

**2011-ში სააკაშვილის კიდევ ერთი მცდელობა, ნიადაგი მოესინჯა პოსტსაბჭოთა სივრცეში, კრახით დამთავრდა.** ამ წერილში ბევრი რამის შეხსენება მიწევს თქვენთვის, მაგრამ რა უჭირს, მოვიწყოთ „გახსენების წუთები“. ხომ გახსოვთ, გივი თარგამაძემ ორაზროვნად რომ განაცხადა, ერთი კაცის სახე მაინტერესებს, პრეზიდენტობას როცა გამოეთხოვებაო. მაშინ გივი რევოლუციურ ტალღაზე იყო და „ჩეგევარობდა“. ის „ერთი კაცი“ მეოთხედ გახდა თავისი ქვეყნის პრეზიდენტი და, როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?

**გაგიკვირდებათ და პრეზიდენტმა სააკაშვილმა „იმ კაცს“ — ალექსანდრე ლუკაშენკოს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება ჯერ კიდევ არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე მიულოცა! მისი ინაუგურაცია 21 იანვარს გაიმართა და საკუთარ ინაუგურაციაზე ქართველი კოლეგა... არ მიიწვია!** ლუკაშენკოს პრესმდივანმა კი განაცხადა, ბელარუსში პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სხვა ქვეყნების ლიდერებს სპეციალურად არ იწვევენ. ყველა ქვეყანას საკუთარი ტრადიცია აქვს, მათ შორის ინაუგურაციის შემთხვევაშიცო.

სააკაშვილმა ყველას დაასწრო მილოცვა, უფლებადამცველი ორგანიზაცია Freedom House-ის ბოლო ანგარიშში კი ეწერა: **„ბელარუსმა არჩევნები საოცარი დარღვევით ჩაატარა, შემდეგ კი სასტიკად გაუსწორდნენ მათ, ვინც ამის გაპროტესტებას შეეცადა“.** Freedom House-ის კვლევითი განყოფილების დირექტორმა არჩი პადინგტონმა აღნიშნა, რომ **„მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ავტორიტარული რეჟიმების აგრესიულობის ზრდა დროში დაემთხვა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების უუნარობას, ავტორიტარული სამყაროს გამოწვევისთვის ეპასუხათ, ამას კი მთელ მსოფლიოში თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობისთვის სერიოზული შედეგები აქვს“.**

ამჯერადაც დარჩა ჩვენი უავგუსტესი საყვარელი სანახაობის გარეშე.

მაგრამ წლეულს მაინც არ გაუცრუვდა იმედი — აგერ არ არიან ჩვენი სამხრეთამერიკელი პარტნიორები? წელიწადში ერთხელ სადმე როგორ არ იქნება პრეზიდენტის არჩევნები?

ჰოდა, გამოჩნდა პერუს ვარიანტი. **29 ივლისს სააკაშვილი ლიმაში პერუს ახლადარჩეული პრეზიდენტის, ოლანტა ჰუმალას ინაუგურაციას დაესწრო.**

ასევე შეხვდა ალეხანდრო ტოლედოს, რომელიც პერუს პრეზიდენტი 2001-2006 წლებში იყო და პანამის პრეზიდენტს — რიკარდო მარტინელის. რასაკვირველია, ორმხრივი ურთიერთობისა და რეგიონალური მნიშვნელობის საკითხები განიხილეს და, **ბუნებრივია, ამჯერადაც ესპანურად ისაუბრებდნენ!**

სტუმრებს შორის **სააკაშვილი კვლავაც ერთადერთი არასამხრეთამერიკელი ლიდერი იყო, არადა, ინაუგურაციაზე მთავრობათა მეთაურები, მაღალი რანგის დელეგაციები და საპატიო სტუმრები 109 ქვეყნიდან ჩავიდნენ.**

მაგრამ მათ აღარაფერი აოცებდათ — **უკვე იცოდნენ, რომ „ის თეთრი კაცი“ მათი პარტნიორი იყო!**

მოგეხსენებათ, ერთი და იმავე სახეების ყურება მოსაბეზრებელია და ლიმას მერს — სუზანა ვილარანსაც შეხვდა, რომელიც საქართველოში განხორციელებული რეფორმებითა და მიღწეული წარმატებებით დაინტერესდა. საუბარი ასევე სამომავლო თანამშრომლობის გეგმებსაც შეეხო. მხარეებმა ქალაქების დამეგობრების პერსპექტივაც განიხილეს. გიგი უგულავა კი არ იყო ამ შეხვედრაზე, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მაინც დამეგობრდებიან თბილისი და ლიმა!

ამჯერად გადავრჩით — პრეზიდენტი მალე დაგვიბრუნდა, მაგრამ **მაინც როდემდე უნდა გაგრძელდეს სააკაშვილის ლათინურამერიკული სახიფათოდ ცეცხლოვანი ტანგო აშშ-თან და ევროპასთან? ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ რუსეთთან „კაზაჩოკის“ ცეკვამ რა მოგვწია?**

**ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველომ არჩევანი არა ევროპაზე ან თუნდაც აზიაზე, არამედ შორეულ ლათინურ ამერიკაზე შეაჩერა. შესაბამისად, არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ სულ მალე საქართველოში პერუგარჭობილები ვივლით და, რაც მთავარია, თავსაც მოვიწონებთ — ყველას განსხვავებული და ორიგინალური გვექნება...**

**დაისვენე, კაცო, ვინ გიშლის, მაგრამ გულებს მაინც ნუ დაგვიხეთქავ, გვითხარი, რომ კარგად ხარ და იყავი მანდ, სულ ნუ ჩამოხვალ, თუ ასე გეჯავრებით!**

**ბონდო მძინარაშვილი**

მოკლედ

## პოლონეთში საპარლამენტო არჩევნები 9 ოქტომბერს გაიმართება



**პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ საპარლამენტო არჩევნების თარიღი ოფიციალურად დაასახელა.** სეიმის არჩევნების შედეგების მიხედვით, პოლონეთის ახალი მთავრობის ფორმირება განხორციელდება. პოლონეთში საპარლამენტო არჩევნებს პრეზიდენტი ნიშნავს. არჩევნები პარლამენტის წინა მოწვევის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 30 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს.

## მსოფლიოს მორიგი რეცესიის მოლოდინში

**მსოფლიოს შესაძლოა, მორიგი რეცესია დაემუქროს. ეს მოსაზრება მსოფლიოს ექსპერტთა წრეებში მას შემდეგ გაჩნდა, რაც სარეიტინგო კომპანია „სტანდარდ ენდ პურსმა“ აშშ-ის საკრედიტო რეიტინგი უმაღლესი მაჩვენებლიდან — AAA, (სამმაგი A-ს) AA+-მდე ჩამოაქვეითა.** სააგენტოს ამ ნაბიჯმა ევროზონაში ვალებით გამოწვეული კრიზისის იტალიასა და ესპანეთზე გავრცელების საფრთხესთან ერთად, შეშფოთება გამოიწვია. ცნობისთვის, 8 აგვისტოს ევროპის ცენტრალურმა ბანკმა იტალიისა და ესპანეთის ობლიგაციების შესაძენად მილიონობით ევრო გაიღო.

ინტერვიუ
www.geworld.net



„როგორც კი საქართველო რჩება კულტურული კონტექსტის გარეშე — ან ბიზანტიიდან ამოვარდა, ან სპარსეთიდან, ან რუსეთის იმპერიიდან, ან ევროპული სივრციდან — და როდესაც ის რჩება მარტო, ყოველთვის მოდის ყვარყვარე თუთაბერი“

ზაზა შათირიშვილი:

# ახლა სააკაშვილი ახლობლებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე მტრებისთვის



დასასრული. დასაწყისი იხ. №28

**ეროვნული კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობაზე საუბრისას ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა არცთუ მოულოდნელი, მაგრამ ძალიან არასასურველი რეალობა აღნიშნა: „სიტუაცია არის აბსოლუტურად ჩიხური, რევოლუცია უკვე შეუძლებელია იმიტომ, რომ ნიჰილიზმის ტალღაა, არავის არავისი არ სჯერა. ნდობა არ არსებობს. მაგრამ ვითარების შეცვლა არჩევნების გზითაც შეუძლებელია“. ასე დასრულდა ინტერვიუს პირველი ნაწილი, რომელიც წინა ნომერში გამოქვეყნდა. ბუნებრივია, ეს მოსაზრება განსჯისთვის განგაწყობთ — როგორც ამბობენ, გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც მას ვერ პოულობენ. ჩვენს შემთხვევაშიც უნდა არსებობდეს გამოსავალი. სად ხედავს ხსნას ცნობილი ფილოსოფოსი? საუბარიც ამ თემით განვაგრძეთ.**

**— ბატონო ზაზა, გამოდის, რომ გამოსავალი აღარ არსებობს...**

— ამას სჭირდება დრო, ასეთი რეჟიმების მაქსიმუმი არის 30 წელი, როგორც ეგვიპტის მაგალითი გვეუბნება. 8 წელი გავიდა, დარჩა სადღაც 22 წელი. მაგრამ შეიძლება უცებ მოხდეს რაღაც, რადგან ჩვენთან ტირანული რეჟიმია.

არსებობს სამი ტიპის მმართველობა: პრეზიდენტი, რომელიც ასრულებს ხალხის ნებას; მეფე, რომელიც ასრულებს ღვთის ნებას, და ტირანი, რომელიც ასრულებს თავის ნებას. პლატონი აღნიშნავს, რომ ტირანი თითქოს ძილში ცხოვრობს და სიზმარშია, რადგან მას ყველაფერი შეუძლია. და ყველაფერი რომ შეუძლია, ეს ძალიან ჰგავს ინცესტუალურ სიტუაციასო. იგი ტირანის ყოფას ინცესტში ყოფნას ადარებს და ამით გვეუბნება, რომ ტირანი არის აბსოლუტურად უკანონო მოვლენა, რადგან ინცესტი აკრძალულია ადამიანისთვის.

აქედან გამომდინარე, ტირანზე შენ უშვებ ყველაფერს, ყველანაირი მითოლოგია არსებობს. შეიძლება აკეთებს იმას, რასაც მიაწერენ, შეიძლება არც აკეთებს, მაგრამ ის იმდენად არალეგიტიმურია, იმდენად უკანონოა, რომ ყველაფერს მიაწერენ. მაგალითად, სვეტონიუსის „12 კეისრის ცხოვრება“ გავიხსენოთ. აქ ასახულია, ხალხი როგორ უყურებს იმპერატორებს — ტიბერიუსს, კალიგულას, ნერონს. ყველაფერს ამბობენ მათზე — ინცესტი, დედასთან ეძინა, მამასთან ეძინა... ხალხი მათზე ყველაფერს უშვებს. აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

**— მაგრამ იგივე ხალხი ითმენს...**

— არა, არ ითმენს, რაღაც მომენტში ჯანყდება. ნერონი იმდენად გაგიჟდა, რომ გარემოცვას დაერია და ბოლოს გარემოცვამ მოკლა. კალიგულასაც იგივე დაემართა. მათთვის ყველაზე საშიში იყო გარემოცვა. სხვათა შორის, შეგვიძლია პარალელიც გავავლოთ.

**— ჩვენს შემთხვევაში ვისთან — ნერონი, კალიგულა...**

— მთავარი ის კი არ არის, რა ხდება რეალურად, მთავარი არის აღქმა. თუ შენ ყველაფერს უშვებ მმართველზე, მაშინ საქმე მართლაც ტირანიასთან გვაქვს.

**— საქართველოში ყველაფერი დაშვებულია პრეზიდენტთან დაკავშირებით, არავის არაფერი უკვირს უკვე.**

— შევარდნაძეზე ხომ ვუშვებდით რაღაცებს, მაგრამ რაღაც ვერ წარმოგვედგინა. მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ყველანაირი ამბავი ვრცელდება.

**— ანუ ჩვენ უკვე გვაქვს ტირანია...**

— ჩვენ გვაქვს ის, რაც აღწერილია სვეტონიუსთან. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ, სვეტონიუსი რასაც კალიგულაზე ან ნერონზე წერს, 100 პროცენტით მართალია, მაგრამ რომის მოქალაქეები ასე ფიქრობდნენ.

**— საქართველოს მოქალაქეებიც ასე ფიქრობენ.**

— ესე იგი, დამთავრებულია ყველაფერი. **აქ ლეგიტიმურობაზე კი აღარ არის ლაპარაკი, არამედ — საღ აზრზე. სწორედ პლატონისეულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც ის ტირანს აღწერს, როგორც ინცესტში მყოფ ადამიანს. ეს უკვე, იცით, რას ნიშნავს? — ეს სახელმწიფოც აღარ არის! ეს არის მართლაც რაღაც სიზმარი.** წარმოიდგინეთ, ამერიკაში მინისტრად არ დაამტკიცეს ადამიანი, რომელმაც თავის მეგობარ ქალს — გერლფრენდს, რაც ჩვეულებრივი მომენტია, საჯარო სივრცეში ხელი გადაუსვა. ჟურნალისტებმა ტყავი გააძრეს, როგორ შეიძლება, შენ რა მაგალითს აძლევ ახალგაზრდობას და ა. შ. სხვათა შორის, ამერიკა ძალიან პურიტანული ქვეყანაა. იქ ტელესივრცეში იმის მეასედს ვერ ნახავ, რასაც — საქართველოში.

**— მაშინ საქართველოს მოსახლეობას დარჩა ორი გზა: აჯანყდეს ტირანის წინააღმდეგ და მოიშოროს ის გარემოცვიანად ანდა გარემოცვამ მოიშოროს ტირანი, რათა თავი გადაირჩინოს.**

— როგორც ჩანს, ჩვენ მივდივართ სწორედ იქითკენ, როდესაც რეჟიმი თვითონ დაამხობს საკუთარ თავს. გავიხსენოთ პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“. საქართველოსთვის ეს არის ზედგამოჭრილი ნაწარმოები. როგორც კი საქართველო რჩება კულტურული კონტექსტის გარეშე, — ან ბიზანტიიდან ამოვარდა, ან სპარსეთიდან, ან რუსეთის იმპერიიდან, ან ევროპული სივრციდან — და როდესაც ის რჩება მარტო, ყოველთვის მოდის ყვარყვარე თუთაბერი. ეს არის ყველაზე საინტერესო.

**— მაგრამ ყვარყვარე ცოტათი საყვარელი ტიპაჟიც არის...**

— ამიტომ აქ საჭიროა კალიგულასა და ყვარყვარეს სინთეზი, რაც რეალობაში განხორციელდა. 26 მაისისა და ფოტოგრაფების საქმის შემდეგ სააკაშვილმა შეიძლება ყველაფერი გააკეთოს.

**— რატომ ემორჩილება მისი გარემოცვა, ნუთუ არავის აქვს გააზრებული, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს?**

— რამდენიმე ფაქტორია, ადამიანთა უმრავლესობა არის კონფორმისტი და კარგი ხელფასის გამო ადამიანი ბევრ რამეს გააკეთებს. მაგრამ არსებობს ზღვარი. ახლა სააკაშვილი ახლობლებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე მტრებისთვის.

**— ბატონო ზაზა, რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიღებულ კანონზე რას ფიქრობთ, როგორ აფასებთ იმ პროცესებს, რაც ამ კანონის მიღებას მოჰყვა? წმინდა სინოდმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. რასთან გვაქვს საქმე — შიშთან ტირანის წინაშე თუ ქვეყნის გადარჩენასთან, რადგან ტირანი ყველაფერზეა წამსვლელი და შეუძლია სისხლიც დაღვაროს?**

— ეს ყველაფერი იმას მიანიშნებს, რასაც მარადიული ბიზანტიზმი ჰქვია. ბიზანტიური მოდელი ელემენტარულია. აღმოსავლეთში ეკლესიები ყოველთვის ემორჩილებოდა ხელისუფლებას. ხელისუფალი, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა — კონსტანტინოპოლის პატრიარქს გადააყენებდა და ახალს დანიშნავდა, რუსეთშიც ასე იყო. საქართველოში დავით აღმაშენებელმა ზუსტად ასეთი რამ გააკეთა. ეს არის ბიზანტიური მოდელი და სოსო თოფურიძე სინოდში — ეს არის მარადიული ბიზანტია.

დაახლოებით ოთხი წლის წინათ ინტერვიუ მივეცი, რომელსაც დაარქვეს „ბიზანტიური გეტო“. ვამბობდი, რომ სინამდვილეში სააკაშვილი და ბოკერია აგრძელებენ ამ ბიზანტიურ მოდელს. მე თვითონაც არ ვიცოდი, რამდენად მართალი ვიყავი. **საოცარი რაღაცაა — ადამიანი ლაპარაკობს ლიბერალიზმზე, დემოკრატიაზე, სეკულარიზაციაზე — სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფაზე და მონაწილეობს სინოდის სხდომაში და აკონტროლებს მას. თუ ვინმეს აქვს ყური მოსასმენად, უნდა გავიგოთ ერთი რაღაც, რომ ეს მოდელი მუშაობს უკვე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. არ მუშაობდა, სხვათა შორის, გრიგოლ ხანძთელის დროს. ზუსტად იმ დროს, სქიზმამდე, ეს მოდელი არ მუშაობდა, რადგან საქართველო და ქართული ეკლესია 861 წელს, როცა გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა, მსოფლიო ეკლესიის ნაწილი იყო. მაგრამ როცა ჩვენ ამას საბოლოოდ მოვწყდით, და ეს მოხდა XV საუკუნის შემდეგ, შევქმენით ბიზანტიური მოდელი. გინდა კომუნისტი იყოს ხელისუფალი, გინდა დემოკრატი და გინდა ლიბერტარიანელი, ყველა აკონტროლებს ეკლესიას. და თუ ეკლესიას აკონტროლებ, ესე იგი შენ არა ხარ სეკულარული სახელმწიფო, შენ არა ხარ დემოკრატიული სახელმწიფო, შენ არა ხარ ევროპული სახელმწიფო!**

**— მუდმივად საუბრობენ ხელისუფლების იდეოლოგები, რომ ეკლესია არ უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეებში.**

— სამაგიეროდ, სახელმწიფო ერევა ეკლესიის საქმეებში.

**— რისთვის სჭირდება მას ეკლესიის საქმეებში ჩარევა?**

— იმისთვის, რომ აკონტროლოს ყველაფერი. ტირანია ნიშნავს ყველაფრის კონტროლს. ეკლესიაც კმაყოფილია — კომპრომისის შედეგად მას აქვს ქონება. არანაირი პროტესტი არ არის სხვათა შორის. მოდი რეალურად შევხედოთ ამ ყველაფერს.

**— ანუ მე, სახელმწიფომ, რაც უნდა გავაკეთო, რამდენი ხალხიც უნდა დავხოცო, შენ არ უნდა ჩაერიო, თუ არ გინდა პრობლემები შეგიქმნა შენს ქონებასთან დაკავშირებით.**

— **დიახ, არ უნდა ჩაერიო, ჯიპები ხომ აიღე, ფული ხომ აიღე... რატომ ყვავის ეკლესია? ეკლესიის მესვეურები ამბობენ, ამდენ ეკლესიას ვაშენებთ და ამდენი ქონება გვაქვსო.**

**— მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებიც აშენებენ ამ ეკლესიებს.**

— რა თქმა უნდა, და სწორედ ეს არის ბიზანტიური მოდელი. არ გაგიკვირდეთ, გიგა ბოკერია რომ ნახოთ, როგორც ქტიტორი, ხელში რომელიმე ტაძრით. ეს ჩვეულებრივი მომენტია.

**— ანუ ისინი თავიანთი მიზნების მისაღწევად ეკლესიასაც იყენებენ.**

— **ეკლესია არის ან ავტონომიური და მას ჰყავს თავისი მეთაური და ის არის მართლაც უნივერსალური, ან ემორჩილება სახელმწიფოს, იღებს სახელმწიფოსგან დაფინანსებას და, ვინც იძლევა ფულს, მუსიკასაც ის უკვეთავს. როცა ფულს მოგცემენ და იმ ფულს აიღებ, მერე აუცილებლად სინოდსაც გაგიკონტროლებენ.**

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**



**«სოსო თოფურიძე სინოდში, — ეს არის მარადიული ბიზანტია... არ გაგიკვირდეთ, გიგა ბოკერია რომ ნახოთ, როგორც ქტიტორი, ხელში რომელიმე ტაძრით»**





„მინდა პარლამენტის იმ მოღვაწეებს შევეკითხო, რომლებიც თავს დებენ მართლმადიდებლობაზე — ბატონებო და ქალბატონებო, რამდენად ზნეობრივია, როცა თქვენივე სულიერი მამის — პატრიარქის თხოვნას: „ამ საკითხში არ ავჩქარდეთ, ყველაფერი გავიაზროთ, გამოვიკვლიოთ“, არაფრად აგდებთ... იცით თუ არა, ეკლესიის დაუკითხავად, ეკლესიისთვის სასარგებლო კანონის მიღებაც კი დიდი უზნეობაა!“

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მამა თეოდორე (გიგნაძე):

# ჩვენი საზოგადოება სიძვისა და გარყვნილების მდგომარეობაშია!

**რატომ არიან ასე განსხვავებული კაცი და ქალი? რა სოციალური და ბიოლოგიური ფუნქცია აკისრიათ მათ? რა მიზნით ცდილობენ, განსაკუთრებით დღეს, მათ შორის არსებული განსხვავების წაშლას? გვესაუბრება თბილისის ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე.**

## ეკლესიის დაუკითხავად, ეკლესიისთვის სასარგებლო კანონის მიღებაც კი დიდი უზნეობაა!

**— მამაო, კითხვა, რომელსაც ახლა დაგისვამთ, ორიგინალური ნამდვილად არაა თავისი „მარადიული“ აქტუალურობის გამო. ნაცნობმა ქალებმა მთხოვეს, მასზე პასუხი, მაინც და მაინც, თქვენ გასცეთ.**

— ყურადღებით გისმენთ.

**— რატომ არ შეიძლება ქალისთვის ეკლესიაში ყოფნა თავსაბურავის გარეშე და რატომ უკრძალავენ ქალს შარვლით ტაძარში შესვლას?**

— როდესაც ქრისტიანობა გვასწავლის, თუ როგორ ვისწრაფოთ ცოცხალი ღმერთისაკენ, გვასწავლის, მიგვანიშნებს, გვმოძღვრავს, გვახსენებს, რომ ჩვენი ცხოვრების მიზანი მარადიული სიცოცხლეა, რომ ღმერთი ჩვენთან ადამიანად მოვიდა, ჩვენ გვერდზე ჩვენთვისვე იცხოვრა, რითაც ადამიანური ბუნება წმინდა სამების წიაღში — მარადისობაში შეიყვანა, ამ დროს ზოგიერთებს აწუხებს რაღაც სისულელეები და იბრძვიან, რომ როგორმე პატარაში, მცირედში მაინც გამოიჩინონ ურჩობა! მათ ავიწყდებათ უფლის სიტყვები: მცირედსა შინა ერთგული იყავი და დიდსა ზედა დაგადგენო.

ადამიანებო, თუ მცირედში ურჩნი ხართ, „დიდსა ზედა“ როგორღა დაგაყენებენ?!

**— მამაო, რით ახსნით ხალხის მიერ ამ მეორეხარისხოვანი საკითხებით დაინტერესებას?**

— ადამიანს დაცემული ბუნება აქვს, რაც ნიშნავს, რომ მასში პირუტყვული და დემონური საწყისი ჭარბობს: დემონური — სულში, ხოლო პირუტყვული — ხორცში. ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგან ამ დაცემულობამ არ იმარჯვოს ჩვენს პიროვნულ არჩევანზე; რომელიც ასე ჟღერს: „ღმერთო, მე შენთან მინდა“, და არა ძვირფასი დროის ხარჯვა ამ გაუთავებელ: „რატომ შეიძლება ეს მამაკაცისათვის და არ შეიძლება ქალისათვის...“

**მეტად ცუდ, მძიმე დროს ვცხოვრობთ. დღეს ევროკავშირში, ვითომდა მამაკაცის და დედაკაცის თანასწორობის ეგიდით, ძალზე სერიოზულად ცდილობენ, მოახდინონ სქესის ნიველირება. მაგალითად, არსებობს სპეციალური პანსიონატები, ლიცეუმები, სკოლები, სადაც ბავშვებს ფსიქიკას უმახინჯებენ. ბიჭებს სათამაშოდ აძლევენ თოჯინებს, ასწავლიან ქალურ სინაზეს, ხოლო გოგონებს „ამარაგებენ“ ბიჭის სათამაშოებით, მოკრივის ხელთათმანებით და ჩხუბსაც ასწავლიან! თუმცა რაზეა ლაპარაკი, როცა ამ უკუღმართობის სულისჩამდგმელნი — ეს გონებამოშლილი ხალხი — თვით ბიბლიის რევიზიასაც ახდენენ!**

**— როგორ, მამაო?!**

— ბიბლიის ბეჭდვის დროს, სქესის აღმნიშვნელ ყველა სიტყვას იღებენ! ხედავთ, რა საშინელება ხდება, აქ კი „თავსაფრის“ პროლემით „იტანჯებიან“...

**— და, მაინც, მამაო, რა სიმბოლოა ამ თავსაფარში?**

— ცნობილია, ყოვლად წმიდა სამება — ღმერთი არც კაცია და არც ქალი. აი, გეკითხებით — სამების მერე, იერარქიულად, ვინ დგას?

**— ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი მარიამი!**

— ანუ ქალი და არა კაცი! კიდევ გეკითხებით: გინახავთ რომელიმე ხატზე ღვთისმშობელი თავსაბურავის გარეშე? ასეთი ხატი არ არსებობს! მერე, ის თქვენი ნაცნობი ქალბატონები, თავს მართლმადიდებლებად რომ თვლიან, პატივი არ უნდა სცენ დედაღვთისმშობელს?! არ უნდა ისწრაფოდნენ, რომ მას დაემსგავსონ?! შემდეგ, ღმერთი დედამიწაზე მოგვევლინა მამაკაცად — იესო ქრისტედ, ხომ ასეა? ამიტომ, **ლოცვის დროს, ხაზს ვუსვამ, ლოცვის დროს, ქალს თავსაფარი რომ აფარია, ამით აღიარებს, რომ გვერდზე მდგომი მამაკაცი მისთვის ქრისტეს ხატია!**

**— მამაო, კაცს თავზე არაფერი რომ არ აფარია, ეს რას ნიშნავს?**

— ნიშნავს იმას, რომ კაცი უშუალოდ დგას ღვთის წინაშე და ამით ადასტურებს, რომ ის პასუხისმგებელია ქრისტეს წინაშე. ეს პასუხისმგებლობა კი, მეტად მძიმეა.

**— მამაო, თანამედროვე ქალბატონებს არ მოსწონთ სიტყვები: ცოლს ეშინოდეს ქმრისო. ეს, მათი აზრით, ქალის დისკრიმინაციაა.**

— მაგ შემთხვევაში, სიტყვა „შიში“ არ იგულისხმება შიში კაცის ფიზიკური ძალის წინაშე, ან სოციალური ჩაგვრის შიში, არამედ სხვა შიში — შიში იმისა, რომ მეუღლის ღირსება, როგორც ქრისტეს ხატისა, არ იქნას შეურაცხყოფილი...

**— ეს შიში ქმრისადმი იგივეა, რაც შიში ხატისადმი?**

— დიახ. აქ შიში — კრძალვის სინონიმია. ჩვენ ხატს ხომ კრძალვით ვექცევით? მართალია, ის ფიცარი და საღებავია, მაგრამ მისდამი უდიერად მოპყრობა ნიშნავს მასზე გამოსახული პირველსახის შეურაცხყოფას.

**— მამაო, რა არის საფუძველი ცოლის კრძალვისა ქმრისადმი?**

— უპირველეს ყოვლისა, ქმრის თავგანწირული სიყვარული ცოლისადმი! პავლე მოციქული ამბობს: ისე უყვარდეს ქმარს თავისი ცოლი, როგორც ქრისტემ ეკლესია შეიყვარაო! ანუ გვეუბნება თავგანწირულ სიყვარულზე. სხვა ადგილას წმინდა მოციქული ბრძანებს: დაემორჩილონ ერთმანეთსო. ასევე, გვმოძღვრავს: ცოლო, არ გეკუთვნის შენი ხორცი შენ, არამედ — ქმარს და იქვე აგრძელებს: ქმარო, არ გეკუთვნის შენი ხორცი შენ, არამედ — ცოლს; და კიდევ: ღვთის წინაშე არ არის მამაკაცება და დედაკაცება. აი, ესაა თანაბრობის უმაღლესი საფეხური!

მაგრამ თანაბრობაში არის ქალსა და კაცს შორის განსხვავებულობა, რომელიც ცხოვრებას, კაცობრიობას ალამაზებს. თუ რამე მშვენიერებაა შექმნილი, მათი უდიდესი უმრავლესობა მამაკაცისა და დედაკაცის ურთიერთობიდანაა ამოზრდილი, რომელიც მართლაც უპირველესია სხვა მშვენიერებისა და სიყვარულისა!

**— მამაო, რაში ვლინდება ეს განსხვავებულობა?**

— ვლინდება ქცევაშიც, თვისებებშიც და ბუნებაშიც. ქალი ნაზია, მამაკაცი — ფიზიკურად ძლიერი. ქალს უხდება კდემამოსილება, მორჩილება; კაცს — რაინდობა, ასევე, უხდება, რომ ქალს მფარველობდეს და მისი დასაყრდენი კლდე იყოს. ქალს უხდება, რომ კაცს მიენდოს და მისი მფარველობა აღიაროს. ეს ნამდვილად ალამაზებს ქალს!

**— მოვისმინე, მამაო, ერთი ფემინისტი დედაკაცის ჩივილი: რატომ შეიძლება ქმარმა უღალატოს ცოლს, ხოლო ცოლმა არაო. რით ანუგეშებთ მას?**

— ღვთის წინაშე ღალატი თანაბრად მძიმეა! როცა უფალმა მოგვცა მცნება „არ იმრუშო“, მას არ უთქვამს — კაცმა იმრუშოსო, ხოლო ქალმა — არა. სხვათა შორის, ძველ აღთქმაში მრუშობა სასტიკად ისჯებოდა. თუ მამაკაცსა და დედაკაცს წაასწრებდნენ ამ სამარცხვინო დანაშაულზე, ორივეს ქვებით ქოლავდნენ. ეს იყო კანონი! ასე რომ, კაცის ღალატიც სიმახინჯეა! მაგრამ ამ სიმახინჯის გამოსწორება უნდა ხდებოდეს ლოცვით, ვედრებით, რომ გონებადაბნელებული კაცი გონს მოეგოს, გახდეს პატიოსანი, ოჯახის ერთგული და არა სკანდალებით, ჭურჭლის მსხვრევით და, არავითარ შემთხვევაში იმით, რომ ქალი თავად გახდეს მოღალატე, როგორც კაცი!

**— მაგრამ, მამაო, ფსიქოლოგიურად, და არა მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში, არამედ ყველა კულტურაში, ქალის ღალატი შეუდარებლად მძიმედ აღიქმებოდა და აღიქმება. რატომ?**

— მართლაც ასეა და ამ დამოკიდებულებას ვერსად გავექცევით. ეს ქალის ფიზიოლოგიიდან გამომდინარეობს. მისი ფიზიოლოგიური თავისებურება განაპირობებს იმას, რომ ქალი უფრო ბინძურდება... **არადა, ქალი დედა უნდა იყოს, ანუ ის წმინდა ჭურჭელი, საიდანაც ახალი ადამიანი იბადება! მხოლოდ ამიტომ ქალის ღალატი უფრო ამაზრზენი ხდება, თუმცა ღვთის წინაშე ორივენი თანაბრად დამნაშავეები არიან...** აქვე მინდა დავამატო, ქართველი ქალი (და ამაში, ვინც ისტორია მეტნაკლებად იცის, დამეთანხმება) საოცრად კდემამოსილი იყო. მისი შესამოსელიც ამას უსიტყვოდ ადასტურებს. მამაკაცისთვისაც კდემამოსილება ბუნებრივია!

**— მამაო, რამდენად ბუნებრივია ახლა გაბატონებული მცნებები: „მამამარჩენალი ქალი“, „მშოვნელი ქალი“ და ასე შემდეგ?**

— მე კერძო დასახლებაში ვცხოვრობ და არა ერთხელ მინახავს გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როცა ეზოებში სამუშაოებია, დილიდან საღამომდე როგორ შრომობენ ქალები, კაცები კი ნიავდებიან „ბირჟაზე“, თანაც — შორტებში, ფეხიფეხგადადებულნი... დაიმალე, კაცო, სირცხვილისაგან! ზიხარ უსაქმურად, შენი ცოლი კი წელებზე ფეხს იდგამს. ეს, ხომ შენი ღირსების შემლახველია!

**— გამოდის, მამაო, კაცების ბრალია?**

— ეს თავისთავად ცხადია! მაგრამ, თუ ქალი მსხვერპლია — შეგეცოდება და თანაუგრძნობ, ხოლო, თუ ქალმა ეს როლი გაითავისა, მოეწონა და კაცს არ უთმობს, მაშინ ქალიც დამნაშავე ხდება!

**— მამაო, ჩვენში დიდ რეკლამას უწევენ ე. წ. წარმატებულ ქალბატონებს, რომლებიც ჩაფლულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ოჯახი კი, როგორც ჩანს, მიტოვებული ჰყავთ.**

— ქალი საფუძველთა საფუძველია ოჯახისა და მომავალი თაობის აღზრდისა! გარეთ მოღვაწე ქალის ბავშვი ან მარტოა, ან, უკეთეს შემთხვევაში, ძიძასთანაა. ასეთი ბავშვი არაჯანსაღ მდგომარეობაშია და, აქედან, არასრულყოფილი იზრდება. **დედის სითბოს მოკლებული ბავშვი სიყვარულს ძნელად სწავლობს. შემდგომში მას ძალზე უჭირს სხვა ადამიანის მიმართ სიყვარულის გამოხატვა; და თუ მასობრივად ასეთი ხალხი წამოვა, რომლებსაც სიყვარულის გამომჟღავნების, აღქმის, განცდის უნარი არ ექნებათ, მერე ამ ადამიანთა მართვა ძალიან ადვილი ხდება. მათში უზნეობის ჩანერგვაც არ გაჭირდება. საბოლოო ჯამში, ასეთი ადამიანებისაგან და ერებისაგან ადვილია შექმნა კონგლომერატი, რომელსაც თავის გემოზე, ჭკუაზე ერთი ადამიანი მართავს.** უეჭველად, ამის უკან ბოროტი სული დგას, რომელიც ღვთის ხატებით დასახლებულ ამ მასას, თაყვანს აცემინებს ერთ ადამიანს, რომელშიც იქნება სატანის სრული ძალაუფლება. ეს არის ეშმაკის ბრძოლა ღმერთის წინააღმდეგ! ის ადამიანი კი, რომელიც, მეტ-ნაკლებად, აი, ამ ფერხულშია ჩაბმული — პატარა ანტიქრისტე, რომელიც ღმერთს ზურგს აქცევს და დედამიწაზე ეშმაკის საქმეს აკეთებს! საინტერესოა, გარდაცვალების შემდეგ, ღვთის წინაშე თავს რით გაიმართლებს?!

**— როგორ თუ რით, მამაო? ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს რომ შეეკითხო, რატომაა იგი ხაზინის ქურდი, რატომ აჩანაგებს ქვეყანას, რატომაა სამშობლოს მოღალატე და ა.შ., გიპასუხებს, რომ ამ სისაძაგლეებს სჩადის არა პირადი კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავისი შვილების ნათელი, უზრუნველი ცხოვრებისათვის მომავალში.**

— ეს გამართლება კი არა, პირიქით, ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელი ფაქტორია. ასეთი „მოაზროვნე“ შვილებს მომავლის გარეშე ტოვებს! ამ ხალხს უნდა ახსოვდეს, რომ მათ შვილებს თავად ღმერთი მოუვლის და მფარველობასაც გაუწევს, საკუთარი სულის გადარჩენაზე იფიქრონ!

**— დაბოლოს, მამაო! თქვენ განმარტეთ თავსაფრის მნიშვნელობა, მაგრამ, რატომ ეკრძალებათ ქალებს ეკლესიაში შარვალში გამოწყობილებს შესვლა, არ გითქვამთ.**

— უფალი ბრძანებს: წყეული იყოს დედაკაცი, რომელიც მამაკაცის სამოსით შეიმოსება და წყეული იყოს მამაკაცი, რომელიც დედაკაცის სამოსით შეიმოსებაო. ვისი ტანსაცმელიც გაცვია, იმ სქესის თვისებებით, ასე ვთქვათ, იმუხტები. ქალს, რომელსაც, ძირითადად, შარვალი აცვია, კარგავს დამამშვენებელ სინაზეს და თანდათანობით უხეშდება; ანუ ის არა მარტო არასრულფასოვანი ქალი ხდება, არამედ მამაკაცის კარიკატურადაც იქცევა! მაგრამ დღეს შარვალს ვინლა ჩივის, ქალები კოლგოტშემოტმასნული დაიარებიან ქალაქში! მეძავური უნიფორმა მოირგეს! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათში მეძავური სული შევიდა; ეს სული მათზე ბატონობს!

**ქალმა, რომელიც გამომწვევად იცმევს, შესაძლოა, სოციუმში თავისი მდგომარეობის გამო, ვერ გაბედოს, ფიზიკურად აღასრულოს სქესობრივი აქტი, მაგრამ შინაგანად მას აქვს მზაობა მეძავობისკენ და, თუ ამ დედაკაცს შესაბამისი პირობები შეექმნება, ის ამას აღასრულებს! დღეს, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება სიძვისა და გარყვნილების მდგომარეობაშია!..**

მე ყველას ვუსურვებ, რომ ცხოვრების მიზანი და საზრისი გაეცნობიერებინოს და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია და აქ მხოლოდ დროებით ვართ. ადამიანს, რომელსაც ეს ახსოვს და შესაბამისად ცხოვრობს, სინდისი არ მისცემს საშუალებას, რომ გაშიშვლდეს და სხვის მაცდუნებლად იქცეს. შერცხვება!

**სირცხვილის გრძნობა დაიკარგა. სირცხვილის გრძნობა, რომელიც ღვთისაგანაა ჩადებული — ითრგუნება. დღეს ეს რეალობაა!**

**— და ბოლოს. მამაო, 5 ივლისს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალით სხვადასხვა კონფესიები იურიდიული სტატუსით გაათანაბრეს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მართალია, დღევანდელი საუბრის თემა სხვაა...**

— ყველაფერი ერთმანეთზე გადაბმულია და ეს საკითხიც თავსდება ჩვენს საუბარში. **მე მინდა პარლამენტის იმ მოღვაწეებს შევეკითხო, რომლებიც თავს დებენ მართლმადიდებლობაზე: ბატონებო და ქალბატონებო, რამდენად ზნეობრივია, როცა თქვენივე სულიერი მამის — პატრიარქის თხოვნას: „ამ საკითხში არ ავჩქარდეთ, ყველაფერი გავიაზროთ, გამოვიკვლიოთ“, არაფრად აგდებთ... იცით თუ არა, ეკლესიის დაუკითხავად, ეკლესიისთვის სასარგებლო კანონის მიღებაც კი დიდი უზნეობაა!** აი, ესაა ჩემი პასუხი.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გავიხსენოთ, რა გააკეთეს სერბეთში, როგორ ჩამოაჭრეს ქვეყანას სერბი ხალხის მართლმადიდებლობის აკვანი და ძირძველი კუთხე — კოსოვო; რა გააკეთეს საბერძნეთში, წმინდა სინოდი იძულებული გახდა, განცხადება გაეკეთებინა, რომ მათ ქვეყანას უცხო ძალები მართავენ. იგივე ანომალიები ხდება საქართველოშიც და არანაკლებ მძაფრ განცხადებებს აკეთებს ჩვენი საპატრიარქო.**

**დანამდვილებით ვიცი, რომ კუდის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კრების დროს საპატრიარქოში იმყოფებოდა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა წმინდა სინოდის კრება. საპატრიარქოს შენობაში იმყოფებოდნენ ხელისუფლების, მათ შორის, უშიშროების მაღალჩინოსნებიც, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, მოვლენებს აკვირდებოდნენ და ყველაფერს აფიქსირებდნენ: იწერდნენ შემოგარენში მოძრავი ყველა მანქანის ნომერს, შიფრავდნენ ყველა შემოსულ და გასულ პიროვნებას, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი, რატომ იმყოფებოდნენ იქ იმ კონკრეტულ მომენტში და ა.შ. სწორედ ამ პირობებში მიღებული განჩინების ტექსტი აღიქმება სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიაზე ზეწოლად.**

დეკანოზი დავით ისაკაძე:

# მორწმუნე ადამიანი საკუთარ ხალხს ტერორს არ უწყობს

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ამჯერად წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავით ისაკაძე ესაუბრა.**

**— პირველ რიგში, უწმინდესის კიევში ვიზიტზე მინდა გკითხოთ: რა შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ეს სვლა?**

— უწმინდესი ძალიან ბრძენი ადამიანია, ეს ნაბიჯი ორ ეკლესიას, ორ ხალხს — ქართველებსა და რუსებს შორის მეგობრული ურთიერთობის მომტანი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ რუსებსა და ჩვენს ხალხს შორის დღემდე უამრავი დაპირისპირება ყოფილა, მათთან ურთიერთობის აღდგენა მაინც აუცილებელია. ბოლოს და ბოლოს, ცივი ომი უნდა დასრულდეს. სწორედ ამას ემსახურება პატრიარქის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი. ჩვენი პატრიარქი არა მარტო რუსებთან, სხვა ქვეყნების ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობს, მათ შორის ბელგიის, სერბეთის, ბულგარეთის და ა.შ.

ეს არის ერთი რიგის სივრცე, რომელსაც მართლმადიდებლური სამყარო ჰქვია და რომელთანაც ურთიერთობა აუცილებელია.

**— მამაო დავით, არ ვიცი, თქვენთვის რამდენად ცნობილია, მაგრამ კონკორდატის გაუქმებაზე დღეს სასულიერო პირებიც საუბრობენ, თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— კონკორდატი ეს არის ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულება, უმაღლესი დონის შეთანხმება. მისი გაუქმება განსაკუთრებით კატასტროფა იქნება, მაშინ, როცა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე დაიწყო საუბარი. კონკორდატის გაუქმებით ეკლესია ხელისუფლებისაგან მართული გახდება, რაც დაუშვებელია. ვინც კონკორდატის გაუქმების მომხრეა, ის ეკლესიის მტერია, თუნდაც სასულიერო პირი იყოს.

ზუსტად ამ კონსტიტუციური ხელშეკრულების უხეშ დამრღვევად გვევლინება დღეს ხელისუფლება. მას უფლება არ ჰქონდა, ეკლესიასთან მსჯელობისა და შეთანხმების გარეშე, სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსი მიენიჭებინა, მითუმეტეს **კანონის მიღებამდე საპატრიარქომ არაერთხელ გააკეთა განცხადება, თუ ეს კანონი ძალაში შევა, დანაშაულად ჩაითვლება ეკლესიისა და ერის წინაშეო. პატრიარქმა პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენება ურჩია, თუმცა ეს მოთხოვნაც უგულებელყოფილი იქნა. მთელმა საქართველომ იცის, როგორ პირობებში ჩატარდა სინოდის კრება. სწორედ ზეწოლის გამო იყო წმინდა სინოდის განჩინება სუსტი, რომელსაც საზოგადოება ნამდვილად არ ელოდა.**

**— ზეწოლაში რას გულისხმობთ, ანუ მოარული ხმები იმის შესახებ, რომ სინოდის კრება კუდის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ოთახში შევარდნით ჩაშალა რეალობაა?**

— ოთახში შევარდნას რამდენად ჰქონდა ადგილი, ჩემთვის ცნობილი არაა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ კუდის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კრების დროს საპატრიარქოში იმყოფებოდა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა წმინდა სინოდის კრება. საპატრიარქოს შენობაში იმყოფებოდნენ ხელისუფლების, მათ შორის, უშიშროების მაღალჩინოსნებიც, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, მოვლენებს აკვირდებოდნენ და ყველაფერს აფიქსირებდნენ: იწერდნენ შემოგარენში მოძრავი ყველა მანქანის ნომერს, შიფრავდნენ ყველა შემოსულ და გასულ პიროვნებას, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი, რატომ იმყოფებოდნენ იქ იმ კონკრეტულ მომენტში და ა.შ.

სწორედ ამ პირობებში მიღებული განჩინების ტექსტი აღიქმება სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიაზე ზეწოლად. არადა, ყოვლად დაუშვებელია, წმინდა სინოდს სამღვდელოება, ერის ადამიანი ან მთავრობა დაუპირისპირდეს. მითუმეტეს მაშინ, როცა წმინდა სინოდში ასეთი ღირსეული პატრიარქი და მღვდელმთავრები გვყავს.

ჩვენი ამჟამინდელი მცდელობაა, ეკლესიამ იმ შინაარსის განცხადებები გააკეთოს,



რისი საშუალებაც სინოდის კრებას არ მიეცა აღნიშნული ზეწოლის პირობებში. ეკლესიამ უნდა თქვას, რომ იგი საერთოდ არ სცობს ამ კანონს და რომ პარლამენტი ვალდებულია, კანონი გააუქმოს.

**— გასაგებია, რომ საპატრიარქო ამ კანონის წინააღმდეგია, თუმცა კონკრეტული არგუმენტები, რატომ არის წინააღმდეგი, არ გვსმენია...**

— უკვე დიდი ხანია, რაც ამ უკანონობასთან გვაქვს შეხება, ვგულისხმობ საქართველოში სხვადასხვა სალოცავების მშენებლობას. მაგალითად, ქავთარაძის ქუჩაზე უკანონოდ ააშენეს უზარმაზარი კათოლიკური ეკლესია, ბოლნისისა და მარნეულის ტერიტორიაზე კი დღემდე მეჩეთი მეჩეთზე შენდება, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტის გარეშე. ჩვენ — მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა და მრევლმა — არაერთხელ მოვითხოვეთ ამ მშენებლობების საბუთების წარმოდგენა, თუმცა, რაც არ ჰქონდათ, რას წარმოგვიდგენდნენ. მიღებული კანონის საფუძველზე კი, ყველა ეს უკანონო მშენებლობა კანონიერად ჩაითვლება. აქამდე რამდენს ბედავდნენ და, ხომ წარმოგიდგენიათ, კიდევ რამდენი მეჩეთი და კათოლიკური ეკლესია შეემატება საქართველოს, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების იურიდიულ პირად დარეგისტრირების შემდეგ.

ამ კანონის მიღებამდე როგორ კაბალურ პირობებში გვაგდებდნენ მართლმადიდებლებს, ცნობილია და დიდი ფილოსოფია არ სჭირდება, რას მოიმოქმედებენ მომავალში, როცა კანონი მათ სარგებლოდ მეტყველებს. უნდა ნახოთ, საინგილოში, ბოლნისში, მარნეულში რა აგრესიით გვხვდებიან მართლმადიდებელ სასულიერო პირებს, თითქოს უცხოტომელები ვიყავით საკუთარ მიწაზე. საინგილოში წირვა-ლოცვის ჩატარების უფლებას არ გვაძლევენ, იქაურ ქართველებს პირჯვარი ვერ გადაუწერიათ პრობლემების გარეშე. კათოლიკებმა ვატიკანის ფინანსებით უამრავი ადამიანის გადაბირება, უამრავი ადამინის სულის ყიდვა მოახერხეს, ჩვენ კი ჩვენს პატარა საქართველოში ვერ შეგვინარჩუნებია მართლმადიდებლობა. ამას იმ ხალხის მისამართით ვამბობ, ვისაც ქვეყანაში გარკვეული დამცავი ბერკეტების შექმნა ევალება, რათა მართლმადიდებლების სულიერი და ფიზიკური ანექსია შეწყდეს საქართველოში.

უკვე სომხებიც არაერთ (650) ეკლესიას გვეცილებიან მართლმადიდებლებს, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ეკლესიაში მარტო სასულიერო პირები არ მოიაზრებიან, ეკლესია სასულიერო პირებისა და მრევლის ერთობაა, ამიტომ ხმა თითოეულმა მართლმადიდებელმა უნდა აღიმაღლოს ამ უმსგავსობის წინააღმდეგ. ბოროტი გამძვინვარებულია. **გავიხსენოთ, რა გააკეთეს სერბეთში, როგორ ჩამოაჭრეს ქვეყანას სერბი ხალხის მართლმადიდებლობის აკვანი და ძირძველი კუთხე — კოსოვო; რა გააკეთეს საბერძნეთში, წმინდა სინოდი იძულებული გახდა, განცხადება გაეკეთებინა, რომ მათ ქვეყანას უცხო ძალები მართავენ. იგივე ანომალიები ხდება საქართველოშიც და არანაკლებ მძაფრ განცხადებებს აკეთებს ჩვენი საპატრიარქო. ვფიქრობ, საპატრიარქო დროულად რეაგირებს ხელისუფლების ყველა უმსგავსო ქმედებაზე.**

**— ალბათ, რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მოხდება, სომხეთში მცხოვრებ ქართველებს რომ ეჩმიაძინის წინააღმდეგ შეეტანა სარჩივარი ან იქ მართლმადიდებლური ეკლესიები აეგო...**

— რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდაც კუმურდოს ინციდენტი, როცა იქ მართლმადიდებლური ტაძრის რესტავრაციის გამო სტუდენტები ჩავიდნენ, სომხებმა მათ ქვებით ჩაქოლვა დაუპირეს. ახალგაზრდებმა ძლივს დააღწიეს თავი მათ აგრესიას.

დღეს კი ვინმე სტეფანიანი და მისი თანამოაზრეები ქსენოფობიასა და არმენოფობიაზე საუბრობენ, ვინ გამოდის დისკრედიტირებული — სომხები თუ ჩვენ, მართლმადიდებლები, თან საკუთარ მიწა-წყალზე?! მიმაჩნია, რომ მათი მხრიდან ეს ქმედება ეთნო და რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობას ემსახურება. აქამდე სომხები და აზერბაიჯანელებიც საქართველოში კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, მაგრამ წარმოიშვა თუ არა რელიგიური თემა, მაშინვე დაძაბულობა დაიწყო, ესე იგი ქართველი თუ საკუთარ ქვეყანაში ხმას ამოიღებს (რატომ უნდა ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ინციდენტებიო), ქსენოფობები არიან?! მე რომ ქსენოფობი ვყოფილიყავი, მეყოლებოდა მრევლში იმდენი სომეხი, აზერბაიჯანელი, ამერიკელი და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი?! რა მნიშვნელობა აქვს, რომელ რასას განეკუთვნები, მთავარია, რა იდეოლოგიის მატარებელი ხარ.

**— ცნობილია ის ფაქტიც, რომ ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სამღვდელოება არაერთსულოვანი იყო, ზოგმა კანონის მიღებასაც კი მოაწერა ხელი...**

— სამღვდელოების ნაწილს სწორი პოზიცია ნამდვილად არ გაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა საპატრიარქოს განცხადება, რომ ეს კანონი ერისა და ეკლესიის წინააღმდეგაა მიმართული, ნადვილად იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე ზოგიერთი არამყარი მღვდელმთავრის პოზიცია. ამ მღვდელმთავრების ვინაობა არამარტო ჩვენთვისაა ცნობილია, არამედ მრევლისთვისაც, თუმცა ჯერჯერობით მათი ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ. იმის დროც დადგება, რომ მათ სახელებს მთელი ერი გაიგებს, მეტიც — პატრიარქმა ერთ-ერთ ბოლო ქადაგებაში აღნიშნა, ვინც ეკლესიას ებრძვის, ის დაისჯებაო.

მართალია, ყველას აქვს ადამიანური სისუტე, მაგრამ სხვა საკითხია, ეკლესიას უპირისპირდებოდე სწავლებით, ცნობიერებით, აზროვნებით და ა.შ. ეს სისუსტე კი არა, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაა, გინდაც სასულიერო პირი გერქვას.

**— კულუარული ინფორმაციით, სამღვდელოების ის გჯუფი, რომელიც რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებულ კანონს დაეთანხმა, თქვენ — აღნიშნული „კანონის“ მოწინააღმდეგეებს — ერთხმიანი საგალობლების გამო გიპირისპირდებათ, მას შემდეგ რაც თქვენი პოზიცია დააფიქსირეთ...**

— ეს არის ფარული დაპირისპირება. სამღვდელოების ეს კონკრეტული ჯგუფი საგალობლის მოტივს ჩვენზე სამაგიეროს გადახდის საბაბად იყენებს. ამით ჩვენი დასჯა სურთ, რადგან მათ მიერ მოწონებული და ხელმოწერილი კანონი ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. მსოფლიოში მისაღებია, როგორც პოლიფონიური, ასევე ერთხმიანი გალობა. ჩვენ არც ერთ მათგანს არ ვეწინააღმდეგებით. ეპისკოპოსები, რომლებიც ერთხმიანი გალობის წინააღმდეგ გამოვლენ, უფლისა და ერის მტრებად ჩაითვლებიან.

**— ამ ფონზე რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ის, რომ სამღვდელოების ნაწილი შესაძლოა უშიშროებასთანაა შეკრული და მათ აღსარების საიდუმლოს გაცემაც ევალებათ?**

— რაც შეეხება კონრეტულად აღსარების საიდუმლოს გაცემას, მე ჯერ მსგავსი ფაქტი არ მსმენია. ვთვლი, რომ ეს თემა ხელისუფლების მიერაა პროვოცირებული, რათა ეკლესიისადმი არსებული ნდობა და სიყვარული საზოგადოებას შეურყიონ. უნდა აღინიშნოს, რომ სამღვდელოების ნაწილი ნამდვილადაა შემჩნეული ანტიეკლესიურ და უზნეო ქცევაში, თუმცა ჩვენ ამის გამოსწორებაზე ვმუშაობთ. არსებობს ორი მცნება, რომლის გამოც მოძღვარი უნდა დატოვოს ადამიანმა: პირველი – ანტიეკლესიური, მწვალებლური სწავლება და მეორე – უზნეობა. ამასთან დაკავშირებით სინოდის ბოლო კრებაზე ზნეობრივი კომისიაც კი შეიქმნა, რომელსაც რამდენიმე ღირსეული ეპისკოპოსი ხელმძღვანელობს. თუ რომელიმე სამღვდელო პირი მსგავს ქმედებაში იქნება შემჩნეული, ეს კომისია მის დასჯასთან დაკავშირებით შესაბამის დადგენილებას გამოიტანს. ▶

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲠᲔᲓᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ. ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲗ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲕᲘᲖᲘ“.

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შეიძლება ზოგიერთი მღვდელმთავარი მართვადი იყოს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეკლესია ვერ იქნება გარედან მართული. უფალი ამბობს, ეკლესია იქნება მეორედ მოსვლამდე და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.

**— როგორ ფიქრობთ, სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებით ხელისუფლებამ შეგნებულად გამოუცხადა ბრძოლა მართლმადიდებლობას თუ ეს, უბრალოდ, გაუთვლელი, უგუნური სვლა იყო მათი მხრიდან?**

— როცა საკითხის შესწავლა სურთ, მას კომპეტენტურ პირებთან არკვევენ ხოლმე, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ კანონით მართლმადიდებლურ ეკლესიას ბრძოლა გამოუცხადეს. ამას ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. მე, უბრალოდ, მებრალება ყველა ის ადამიანი, რომლებმაც ამ კანონის მიღებას მოაწერეს ხელი. სხვათა შორის ხელისუფლებაშიც მოიძებნებიან პიროვნებები, რომლებიც მსგავსი გადაწყვეტილებების გამო შეწუხდნენ, თუმცა პილატეც წუხდა, როცა იესო ქრისტეს ასამართლებდნენ, მაგრამ რა? თუკი ხელისუფლება ეკლესიასთან დაპირისპირებას გააგრძელებს, მათი მხრიდან ეს იქნება ანტიქრისტეს საქმის კეთება. ორ ბატონს ერთად ვერ ემსახურება ადამიანი.

**— ანუ ჩვენი ქვეყნის პირველი პირი, ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც რელიგიურ დღესასწაულებზე პატრიარქის წირვას ესწრებიან, ფარისევლობენ და ზურგს უკან მას მტრობენ?**

— არ მინდა პირდაპირ ფარისევლები ვუწოდო მათ, მაგრამ ვიტყოდი, რომ მორწმუნე ადამიანი ეგრე არ იქცევა.

მორწმუნე ადამიანად ითვლება ის, ვინც აღსარებას აბარებს, ეზიარება, ლოცულობს და არა ის, ვინც ხუთი წუთით შევარდება ეკლესიაში, არ იცის, სად დადგეს, რა გააკეთოს, სანთელი როგორ დაიჭიროს და ა.შ.

**ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ. ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲪᲝᲓᲕᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ ᲛᲝᲫᲛᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲨᲔᲦᲔᲑᲔᲡ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲝᲕᲛᲐ ᲛᲝᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲡᲪᲔᲛᲓᲐ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲚᲚᲣᲛᲖᲔ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲘ? ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲤᲔᲮᲡ ᲘᲛ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲓᲒᲐᲛᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲣᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲛ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐ. ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲬᲧᲠᲝᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲐ. ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲯᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜ — ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ.**

**— მინდა ყბადაღებულ თემასაც შევეხოთ, საზოგადოებას სასულიერო პირებზე საჩუქრად გადაცემული ძვირადღირებული ჯიპები აღიზიანებს, მაშინ, როცა მრევლში უამრავი გაჭირვებული ადამიანია...**

— როცა ასეთ ძვირადღირებულ და ფუფუნების საგანზეა საუბარი, შეიძლება ეს საჩუქარი არც მიიღო, მაგრამ, როდესაც საქმე ელემენტარულად გადაადგილების საშუალებას ეხება, სახელმწიფო ვალდებულიც კი არის, სასულიერო პირებს ამის საშუალება მისცეს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ადგილებში გვიწევს მრევლთან მისვლა. ვფიქრობ, ხელისუფლებამ ეს ჯიპები იმიტომ დაარიგა, რომ შემდეგ სასულიერო პირებისთვის ანტიპიარი გაეკეთებინა, მღვდელმთავრები განცხრომაში იმყოფებიანო. არადა, ჩვენ, სასულიერო პირებს, ხელფასებიც კი არ გვაქვს, არც ტარიფებს ვაწესებთ (თუ ვინმე აწესებს, ეს მისი პიროვნული ცოდვაა). ჩვენი ოჯახები შემოწირულობებით ცხოვრობს, თუმცა ჩვენ რას გავცემთ, ამ შემოწირულობის სანაცვლოდ, ეს არავინ იცის. არ ვაკეთებთ იმის აფიშირებას, რომ ზოგიერთ გაჭირვებულ მრევლთან სახლში მისვლისას (წესის ასაგებად, ნათლობისთვის თუ ა.შ.), საფასურის აღების ნაცვლად, იქეთ ვტოვებთ შემოწირულობას. არ ვყვირით იმას, რომ ჩვენი მრევლისთვის — თითოეული მათგანისთვის ღამეებს ვათევთ და ვზრუნავთ შეძლებისდაგვარად, ამიტომაც გვყავს ამხელა მრევლი.

მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლებამ ხელფასები კიდეც რომ დაგვინიშნოს, ჩვენ კატეგორიულად არ მივიღებთ, რადგან სანაცვლოდ მათ დაქვემდებარებაში ყოფნა მოგვიწევს.

მინდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლებას აქეთ აქვს ეკლესიის ვალი, აქეთ აქვს დასაბრუნებელი კომუნისტების მიერ მიტაცებული მიწები, საეკლესიო ნაგებობები, რომლებსაც დღეს ეს ხელისუფლება განკარგავს, ასევე ბოლშევიკების დროს მიტაცებული სიწმინდეები, სხვადასხვა ღირებულების მქონე ნივთები, პირველ რიგში, დაპატიმრებული ხატები, რომლებიც მუზეუმებში გამოამწყვდიეს. თუკი ხელისუფლება იტყვის, რომ ეკლესია ამ სიწმინდეებს ვერ დაიცავს და ამის გამო არ აბრუნებს, იგი ვალდებულია, ეკლესიების დაცვა უზრუნველყოს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით. რატომ არ იღებს ხმას საზოგადოება ამ თემებზე? ვიმეორებ, ეკლესიაში მხოლოდ სასულიერო პირები არ მოიაზრებიან. ანტიქრისტეს მოსვლის არსიც ისაა, რომ ეკლესიას მრევლი ჩამოაშოროს, მართლმადიდებლებს ფიზიკური გენოციდი მოუწყოს. ასე რომ, ერთად დგომა გვმართებს ნებისმიერი პრობლემის დროს. ჩვენ არ ვიცით, როდის იქნება მეორედ მოსვლა და ანტიქრისტეს გამოჩენა, ამას თავისი წინაპირობები აქვს, მაგრამ უკვე ამ პერიოდს რომ ვუახლოვდებით, ფაქტია.

**ეკა რობაქიძე**

რატომ სტუმრობს თანამოაზრეებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა რეგიონს და რისთვის ემზადება 30 აგვისტოს, ასევე, საკუთარი გეგმების შესახებ მამა ელიზბარი (დიაკონიძე) თავად გვესაუბრება.



## მამა ელიზბარი:

# ᲛᲘᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲫᲛᲔᲑᲡ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲕᲮᲔᲓᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲓᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔ ᲕᲗᲮᲝᲕᲝ, ᲠᲝᲛ ᲝᲓᲔᲡᲚᲐᲪ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲕᲔᲡᲠᲝᲚᲔᲗ

**— მამაო ელიზბარ, რა მიზნით სტუმრობთ საქართველოს რეგიონებს და ვისთან მართავთ შეხვედრებს?**

— საკუთარ თანამოზარეებთან ერთად, მთელი საქართველოს შემოვლას ვაპირებ. ჩემთან ერთად არიან „წმინდა გიორგის სადროშოს“ წევრები და მისი თავმჯდომარე გიორგი სუბელიანი. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვხვდებით როგორც ქართველ, ისე არაქართველ მოსახლეობას, რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან ჩვენ მიმართ. ჩვენი სადროშოს კარი ყველასთვის ღიაა, მთავარია, მართლმადიდებელი იყოს.

ჩვენი ვიზიტის მიზანია, ერთი დროშის ქვეშ რაც შეიძლება მეტი თანამოაზრე, მეტი გულანთებული პატრიოტი შევკრიბოთ, ვინაიდან წმინდა გიორგის დროშის ქვეშ უნდა გავერთიანდეთ და მართლმადიდებლობისა და ქვეყნის მტრებს ერთად ვებრძოლოთ. ჩვენ გვინდა, საქართველოში ქართული საქმე კეთდებოდეს და მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაცია შეწყდეს. უნდა აღვნიშნო, რომ ეს აქცია სწორედაც რომ პატრიარქის მხარდასაჭერად იმართება, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის მისი უწმინდესობის მხარდამხარ ვიბრძოლებთ. ეკლესიის ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი დევიზი.

ორი მიზნით ვაგროვებთ ხელმოწერებს: გვსურს წმინდა გიორგის ვითომდა ძეგლის დემონტაჟი და საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიური კონფესიების შესახებ მიღებულ კანონპროექტში ცვლილებების განხორციელება.

შიშის ფაქტორი, რა თქმა უნდა, მოსახლეობაში არსებობს, მაგრამ ხალხი მაინც მოდის ჩვენთან და გვიერთდება. ჩვენ ხომ ამ შემთხვევაში არანაირი პოლიტიკური მოტივი არ გვამოძრავებს. ყველა კარგად ხვდება, რომ მართლმადიდებლობას დღეს დაცვა სჭირდება. ხალხს სურს, რომ საქართველოში ქართული საქმე ქართული ხელით კეთდებოდეს და არა სოროსისა და მისი „ხელის ბიჭების“ მეშვეობით იმართებოდეს პროცესები. ვხვდებით სასულიერო პირებსაც, რომლებიც მხარს გვიჭერენ, თუმცა შეიძლება აშკარად ვერ გამოხატავენ ჩვენს მხარდაჭერას. 30 აგვისტოს, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა მართლმადიდებელს მოვუწოდებთ, მოვიდნენ ჩვენს აქციაზე და ერთად გადავწყვიტოთ ყველაფერი. ჩვენ რა, ამ ქვეყნის მოქალაქეები არ ვართ? თუ, რადგან მართლმადიდებლები ვართ, უნდა დავისაჯოთ? თუ სხვის უფლებას იცავს ხელისუფლება, ჩვენიც დაიცვას, არავის არ უნდა მივცეთ ჩვენი დაჩაგვრის უფლება.

**— თუმცა წმინდა სინოდმა იმსჯელა და საპატრიარქომ ხელისუფლებასთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია. რას შეცვლის თქვენ მიერ შეგროვებული ხელმოწერები?**

— ჩვენ ხომ ამ კანონის გაუქმებას არ ვითხოვთ? ჩვენ ვაპირებთ 30 000 ხელმოწერის შეგროვებას, რათა აღნიშნული საკითხი პარლამენტმა განსახილველად მიიღოს და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს. რას იზამენ, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა პარლამენტს ჭეშმარიტად ქართული საქმის გაკეთების საშუალება მივცეთ.

**— 2008 წლის აგვისტოს ომიდან სამი წელი გავიდა. ამ ომმა საქართველოს დაკარგული ტერიტორიები და მსხვერპლი მოუტანა. ამაზე საზოგადოებაში დღეს ბევრს მსჯელობენ. შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება?**

— ომის თავიდან აცილება ყოველთვის შეიძლება და მითუმეტეს ამ კონფლიქტის.

ომიდან სამი წელი გავიდა და მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით, ომში დაღუპულ გმირთა ოჯახებს სამძიმარი გამოვუცხადო. ჩვენი მიზანია, როცა თავისუფლების მოედანზე, ამ, ვითომდა წმინდა გიორგის ძეგლს აიღებენ, იმ ადგილზე ომში დაღუპული გმირების ქანდაკება აღიმართოს.

**— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის პატრიარქ კირილს შეხვდა, როგორ ფიქრობთ, რა პოზიტიურ შედეგს შეიძლება ველოდოთ?**

— ეს იყო ეპოქალური მნიშვნელობის შეხვედრა. მართალია, არც აქამდე ეპარებოდა ვინმეს ეჭვი მისი უწმინდესობის, ჩვენი პატრიარქის სიბრძნეში, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა.

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲐᲛᲐᲢᲐ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ, ᲗᲣ ᲛᲔᲪ ᲗᲐᲜ ᲒᲔᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗᲝ. ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ, ᲡᲐᲔᲠᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ ᲡᲣᲚᲔᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲛᲖᲐᲓᲐᲐ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲔᲐᲮᲚᲝᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.**

მე ბედნიერი ვიქნები, თუ ეს მოხდება. დიდი სურვილი მაქვს, „წმინდა გიორგის სადროშოსთან“ ერთად მოვილოცო აფხაზეთი. აფხაზეთის ომის დროს, მე არ ვიყავი სასულიერო პირი და თავად გახლდით ომის მონაწილე, ამიტომ ჩემი ძმების, აფხაზების, მიმართ სირცხვილის გრძნობაც კი მაქვს და პატრიარქის ვიზიტი ამ სირცხვილთან მიახლოების საშუალებას მაძლევს. მინდა ჩვენს ძმებს, აფხაზებს, თვალებში ჩავხედო და შენდობა პირველმა მე ვთხოვო, რომ ოდესღაც ერთმანეთს ვესროლეთ.

**— სომხური სათვისტომოს დამფუძნებელი არნოლდ სტეფანიანი არმენოფობიურ განცხადებებში გადანაშაულებდათ და თქვენ წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებდა. თქვენი დაპირისპირება პრესის ფურცლებიდან გრძელდება...**

— ეგ ერთი საცოდავი კაცია, პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ის სპეცსამსახურების მიერ „დავერბოვკებული“ ყოფილა. ჩვენც გქონდა ეს ინფორმაცია, მაგრამ სახალხოდ აქამდე არ ვამბობდით და არ გაჩერდა. ყველანაირი ფობიითაა დაავადებული და ახლა სასულიერო პირებსაც უჩივის, მაგრამ მე სტეფანიანის ნათქვამმა ერთმა ფრაზამ გამაოცა. „ჩვენ საპატრიარქოში უკვე პარტნიორი გვყავსო,“ — ახლახან განაცხადა. რას ნიშნავს ეს სიტყვები? წარმოგიდგენიათ, სასულიერო პირებს უჩივის რომელიღაცა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და თან აცხადებს, რომ დასაყრდენი თურმე საპატრიარქოში აქვს.

ესაუბრა
**ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲪᲘᲕᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**«ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲘᲐᲗ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲘ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ»**



# ᲐᲨᲨ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲔᲜ

**აშშ და რუსეთი უახლოეს პერიოდში სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ახალ შეთანხმებას გააფორმებენ.** ამის შესახებ ჟურნალისტებს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილემ ვიაჩესლავ ძირკალნმა განუცხადა. მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში რუსეთი და აშშ თანამშრომლობისთვის იპოვიან სხვა თემებსაც, რომლებიც ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება.

ჩელიშია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლიბერალურად მოაზროვნეთა ფრთაში აღმოჩნდებიან ხოლმე ის სამღვდელო პირები, რომლებიც განათლებას ან დასავლეთში, ევროპაში, იღებენ ან მანამდე არასოდეს ჰქონიათ წიგნი წაკითხული, არც საქართველოს ისტორია და ქართველი თუ უცხოელი მწერლები იცოდნენ, მერე უცებ ნახეს განათლებული ადამიანები და „გადაეშვნენ ამ დასავლურ ცოდნაში“, მეორე უკიდურესობისაკენ დაიწყეს სწრაფვა. არასოდეს დაავიწყდეთ მათ, ვინც განათლებულია და ბოლოს ლიბერალური აზროვნება ეწყება, „ეკლესიის მხილება“, რომ ვითომ ეკლესია სავსეა უსწავლელი ადამიანებით, ურჩევნიათ, თავიანთი ცოდნა ბოლომდე ეკლესიას მოახმარონ“.**



# ღმერთმა «წაახდინა» არსენა ოძელაშვილი

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება წმინდა სამების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი თეიმურაზ თათარიშვილი.**

**— მამაო, თქვენ აღნიშნეთ, რომ ეკლესია არასოდეს გადახედავს თავის დოგმატებს, იმას, რაც I საუკუნიდან დღემდე არსებობს, მაგრამ, როდესაც ე. წ. ლიბერალურად მოაზროვნე ფრთა ეკლესიას აკრიტიკებს, ამ მიდგომების „მოძველებულობასთან“ ერთად, არგუმენტად მოყავს ის, რომ დღეს საქართველოს ეკლესიაში განსწავლული, განათლებული სასულიერო პირების ნაკლებობაა...**

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ტერმინისა „ლიბერალურად მოაზროვნე ფრთა“, რადგანაც არსებობს და ყოველთვის იყო ეკლესიაში რაღაც გარკვეული ორიენტირის მქონე დაჯგუფებები, გაიჩნია, ვინ რას ჩადებს ამ სიტყვებში... **გულისტკივილით ვიტყვი ამ ლიბერალური ფრთის სამღვდელოების წარმომადგენელთა გასაგონად, რომელთაგანაც ზოგიერთმა, სამწუხაროდ, დატოვა მღვდელმსახურთა რიგები: ის თავიანთი ცოდნა (უცხო ენის ცოდნა იქნებოდა ეს, თეოლოგიის თუ ფილოსოფიის, რომელიც ჰქონდათ და რომლითაც მათ თავი ესოდენ მოსწონდათ) რატომ ბოლომდე არ ჩააყენეს ეკლესიის სამსახურში? რატომ მოახმარეს მხოლოდ პირად განდიდებას? თუ დასავლეთში ნახეს „განათლებული ადამიანები და სასულიერო პირები“ და მერე, აქ რომ ჩამოვიდნენ, აღარ მოეწონათ სოფლებში ხელდასმული „გაუნათლებელი“ მღვდლები, რომელთაც „წიგნი არ წაუკითხავთ და საცეცხლურის ჭერის მეტი არაფერი შეუძლიათ“? მაგრამ თვითონ ხომ ჰქონდათ არაერთი, არამედ ზოგიერთს, როგორც თვითონ ამბობენ, ასობით წიგნი წაკითხული? რატომ ერთი და ორი მაინც არ გაბრწყინდა „თავისი განათლებით?** უძველეს პერიოდში განა ასე არ იყო?

ბასილი დიდის დროს რამდენი ეპისკოპოსი იყო კესარია-კაბადოკიაში? ის იყო მიტროპოლიტი ამ მხარისა და უგანათლებულესი ადამიანი, კაცი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა წარმართთა სიბრძნეც, მაგრამ რამდენი ეპისკოპოსი იყო მის დროს ისეთი, რომელთაც არაფერი იცოდნენ წმინდა წერილის გარდა? **ლიბერალურად მოაზროვნეთა ფრთაში აღმოჩნდებიან ხოლმე ის სამღვდელო პირები, რომლებიც განათლებას ან დასავლეთში, ევროპაში, იღებენ ან მანამდე არასოდეს ჰქონიათ წიგნი წაკითხული, არც საქართველოს ისტორია და ქართველი თუ უცხოელი მწერლები იცოდნენ, მერე უცებ ნახეს განათლებული ადამიანები და „გადაეშვნენ ამ დასავლურ ცოდნაში“, მეორე უკიდურესობისაკენ დაიწყეს სწრაფვა. არასოდეს დაავიწყდეთ მათ, ვინც განათლებულია და ბოლოს ლიბერალური აზროვნება ეწყება, „ეკლესიის მხილება“, რომ ვითომ ეკლესია სავსეა უსწავლელი ადამიანებით, ურჩევნიათ, თავიანთი ცოდნა ბოლომდე ეკლესიას მოახმარონ.**

ძალიან მიჭირს ამ თემაზე საუბარი, რადგან მეტ-ნაკლებად ეს ჩემი, როგორც პიროვნების, როგორც მღვდელმსახურის სუსტი წერტილიც შეიძლება იყოს... შეიძლება მეტ-ნაკლებად ჩვენც განვიცდიდეთ ინტელექტუალურ შიმშილს სამღვდელოებასთან ურთიერთობისას, ეკლესიის წიაღში ყოფნისას, მაგრამ მე, პირადად, როგორც მღვდელმსახური, მადლობას ვწირავ საქართველოს ეკლესიას იმისათვის, რომ თუნდაც ის საერო თუ სასულიერო ცოდნა, რომელიც მივიღე, არ დაკარგა და ჩამაყენა თავის სამსახურში. დღეს მღვდელმსახური ვარ და მაქვს ქადაგების უფლება, ვასწავლი რამდენიმე სასულიერო და საერო სასწავლებელში, თავადაც ვწერ, ვარ რამდენიმე წიგნის ავტორი. არც ეკლესია და არც ერთი მღვდელმთავარი თავის ეპარქიაში არ დაკარგავს იმ სასულიერო პირს, რომელსაც წიგნისკენ აქვს მიდრეკილება, თუკი ის დაინახავს, რომ მას თავისი ცოდნა პირადი განდიდებისთვის კი არა, ეკლესიისთვის სჭირდება და გულით ემსახურება უფალს. ამიტომაა, რომ ხშირად გაბოროტებულად და უსაფუძვლოდ მიმაჩნია ის კრიტიკა, რომ ვითომ ეკლესია სავსეა უწიგნური ადამიანებით. ჩვენ უმთავრესი გვავიწყდება, რომ მღვდელმსახურისთვის უპირველესი მადლი ზნეობაა და მერე მოდის წიგნი! მე რომ მაქვს ათასი წიგნი წაკითხული და იმ სხვას ერთიც არა, ღვთის წინაშე ჩვენ ორივე თანასწორნი ვართ! ჯვრისწერის საიდუმლოს დროს მეც იმავე მადლს ვაძლევ წყვილს, რასაც ის! კარგია, თუ აქვს წაკითხული; თუ არ აქვს, გაგიკვირდებათ, მაგრამ მაინც გეტყვით — ისიც იმდენად გემრიელ სულიერებაშია, რომ მასთან ყოფნა გაცილებით უფრო დიდი სიხარული შეიძლება იყოს!

განათლებული და თან წიგნიერებისკენ მიდრეკილი მღვდელმსახურის წინაშე სრულიად სხვა, არც თუ ისე ადვილად დასაძლევი პრობლემები იჩენს თავს — ეს შეიძლება იყოს მძაფრი ეგზისტენციალური გრძნობები, მარტოობის განცდაც და მიდრეკილებაც განმარტოებისკენ, სამღვდელოებისაგან ე. წ. თავის დაცვის სურვილი, უფრო თავის ნაჭუჭში ჩაკეტვა, რომელიც შეიძლება სასულიერო პირისთვის დამღუპველი ცოდვის — ამპარტავნების დასაბამიც კი გახდეს...

**— ანუ ეშმაკი წიგნიერ მღვდელმსახურს მუდმივად ხიბლში აგდებს, არა, მამაო? ხიბლისგან განკურნება ძალიან ძნელია...**

— ძალიან დიდი საცდური არსებობს ამ შემთხვევაში... ასე რომ, ნებისმიერ დროს, ასე ვთქვათ, ცოდნის გზაზე და ცოდნისაკენ მიდრეკილი მღვდელმსახურის ცხოვრებაში ძალიან დიდი სულიერი კონტროლია საჭირო და კიდევ ერთი — ძალიან დიდი სულიერი მეგზური სჭირდება მოძღვრის სახით, რომელიც სწორ გეზს და მიმართულებას მისცემს მის ყველა ქმედებას..

**— მამაო, წირვაზე ნაყოფის შემომწირველნი ბარძიმში იხსენიება, რაც ეკლესიისთვის მათ მნიშვნელობას, ალბათ, კიდევ უფრო ხაზს უსვამს. ბევრი ამ „ნაყოფისშემომწირველის“ ქმედებაში ჩანს, რომ ჰგონია, მას ბევრი ცოდვა მიეტევება იმიტომ, რომ ფული აქვს, წავა, შესაწირს გაიღებს და ამით ჩამოირეცხავს ზოგჯერ სისხლიან ცოდვასაც კი.. ან ერთ ტაძარს ააშენებს და ერთგვარ „ინდულგენციას“ მიიღებს.. უფლისაგან განა ყოველთვის შეიწირება გაღებული „ნაყოფი?“ მახსენდება ამ ბოლო დროს მომხდარი ერთი ამბავი—„ძლიერნი ამა სოფლისანი“ერთი ცნობილი ტაძრის რესტავრაციას შეუდგნენ, მაგრამ მოვარდნილმა ღვარცოფმა ტაძარი დატბორა და თითქმის სულ„გადარეცხა“„ შეწირული ნაყოფი“, რაც მრევლმა ისე აღიქვა, რომ უფალმა მას ეს ღვაწლი არ შეუწირა. მამაო,როდის შეიწირება და როდის არა გაღებული ნაყოფი?**

— ნაყოფის შემომწირველი ზოგადად ყოველთვის მოიხსენიება ლიტურგიაზე, ეს, შეიძლება ითქვას, რომ ლიტურგიკული ტექსტის განუყოფელი ნაწილია. რა თქმა უნდა, მღვდელმსახურებმა უნდა გავარჩიოთ, ვინ არის ჭეშმარიტი ნაყოფის შემომწირველი, ვისას იწირავს უფალი, და ვისას არა! ისევე, როგორც ლოცვა ზოგჯერ შეწირულია და ზოგჯერ არა. მღვდელმსახურმა უნდა გამოიძიოს, მოწყალება, რომელსაც იგი შესაწირის სახით თავისთვის, ეკლესიისთვის თუ მრევლისთვის იღებს, რა წყაროთი აქვს ნაშოვნი ადამიანს. იგივე ის ლიბერალური ფრთა, რომელიც თქვენ ახსენეთ, ერთ-ერთს რასაც მუდმივად უკიჟინებდა ეკლესიას, იყო ის, რომ ეკლესიაში ძალიან კარგად გრძნობდნენ თავს კანონიერი ქურდები, „შავი გაგების ხალხი“. ძალიან ბევრი ასეთი ადამიანი „უცებ“ ძალიან კარგი გახდა, რადგან მან ეკლესია ააშენა. ბევრია ასეთი ადამიანი — „კანონიერი თუ უკანონო“ ქურდი, კანონიერი თუ უკანონო „რეკეტი“ ძალიან კარგ, მეგობრულ დამოკიდებულებაში იყვნენ მღვდელმსახურებთან... დიდ იერარქებთანაც კი. **ერთხელ მე და ერთ მღვდელმსახურს ერთი ქუთაისელი მღვდელი შეგვხვდა და, რომ გაიგო, რომ ჩემი მხლებელიც ქუთაისელი იყო, სიხარულით შვიდი თუ რვა „ქურდი“ ჩამოუთვალა, თუ იცნობო... წარმოგიდგენიათ? მღვდელმა მღვდელს ის კი არ ჰკითხა — ვთქვათ, იოანე ოქროპირის ქადაგებები გამოვიდა და თუ ნახე ან ერთმა მღვდელმა მეშვიდე პოეტური კრებული გამოსცა და თუ ღირს წაკითხვადო, არამედ უფრო „მნიშვნელოვანი და საამაყო“ მისთვის ქურდებთან ახლობლობა იყო!**

...თქვენს კითხვაზე პასუხი ცალსახა და ნათელია — ფარისევლობა და ღვთის გმობაა ეს ყველაფერი, არ შეიწირავს უფალი! არ შეიწირავს! გაიხსენეთ არსენას ლექსი — როგორი ბანალურია და არასწორი ერთი ფრაზა—„მდიდარს ართევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა?“ ღმერთმა კი „წაახდინა“ არსენა ოძელაშვილი... მე ვიტყოდი, რომ სამარცხვინოდ მოკვდა კაცი, რომელიც გზაზე ხვდებოდა მდიდრებს, ვაჭრებს, ართმევდა ხურჯინით საჭმელს, სასმელს, ფულს და გაჭირვებულებს ურიგებდა მარაბდისა და ქვემო ქართლის სოფლებში. ხოლო კასპში სიკვდილის წინ რაც დაუბარა კუჭატნელს, კარგად ვიცით — ფული მიდევსო და „ღარიბსა და არასმქონესა მიეცეს და მოხმარდესო“. როგორც ერთმა მღვდელმა ამ ლექსის გარჩევის დროს კარგად თქვა ერთხელ — არაკაცი იყო, საძმოდან ფულს „ტეხავდა“ და ცალკე ინახავდაო! შეიწირა არსენა ოძელაშვილის გაკეთებული მოწყალება ღმერთმა? პირდაპირ ვიტყვი, არსენა მარაბდელის თაყვანისმცემლების გასაგონად (პოსკრიპტუმ აქვე აღვნიშნავ, ლირიული გადახვევით, რომ ძალიან მიყვარს მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, ეს არ არის სოციალური რომანი, ეს არის ზენაციონალისტური რომანი, სულ სხვა ასპექტით დაწერილი და ნამდვილმა მკითხველმა ეს კარგად იცის): არსენას ძღვენი და მოწყალება არ შეიწირა უფალმა იმიტომ, რომ შენი საქმე არ არის, ვის მისცა ღმერთმა სიმდიდრე; მდიდარმა თვითონ, თავისი სურვილით უნდა გასცეს, შენ ყველა შემთხვევაში ქურდი, ყაჩაღი ხარ, როცა ართმევ მას, რა მნიშვნელობა აქვს, ვის ახმარ? რეკეტით იშოვე ფული, თუნდაც სახელმწიფო გაძარცვე, წახვედი და ტაძარი ააშენე? დიდება უფლის ტაძარს! იმ ტაძარში სულიწმინდის მადლი მაინც დაივანებს, რა თქმა უნდა, მაგრამ შენს სულში არ დაივანებს! თავი არავინ მოიტყუოს! და უფლის წინაშე ვერ გამართლდებიან ის მღვდელმსახურები, რომელნიც ასეთი ადამიანისგან შესაწირს მიიღებენ. თქვენ წეღან მხილება ახსენეთ — აქ უნდა იყოს მღვდელმსახური მამხილებელი! ამ დროს იგი სწორედაც რომ მამხილებელია და არა განმკითხველი!

**— მამაო, თქვენ ძალიან დიდი მრევლი გყავთ, მათ შორის ახალგაზრდების, „თინეიჯერების“სიმრავლეცაა. არაერთ სასწავლო დაწესებულებაში კითხულობთ მსოფლიო რელიგიების ისტორიას, წლების განმავლობაში კითხულობდით ძველ აღთქმას და ფილოსოფიის ისტორიას, უშუალო კონტაქტი გაქვთ ახალგაზრდა თაობასთან. რა სულიერი პრობლემების წინაშე დგას დღეს ეს თაობა?**

— ვცდილობ,რომ ამ ბავშვებთან, განსაკუთრებით თინეიჯერებთან მოვძებნო მათი ენა. არ დაველაპარკო მათ იმ ენით, რომელიც მათთვის ძალიან არქაულია და უკიდურესი მეტაფიზიკური მიჯნის შემქმნელი. ხანდახან ველაპარაკები ისე, როგორც მათი კლასელი, თანატოლი. ესეც ერთგვარი მეთოდია მათი რწმენაში განმტკიცებისა და მათი ინტეგრირებისა საეკლესიო სივრცეში.

**დღევანდელ დღეს ბავშვებში ყველაზე დიდ პრობლემად მაინც ამპარტავნება მიმაჩნია. ამ თაობის აბსოლიტურ უმრავლესობას ძა-** ▶

**რეკეტით იშოვე ფული, თუნდაც სახელმწიფო გაძარცვე, წახვედი და ტაძარი ააშენე? დიდება უფლის ტაძარს! იმ ტაძარში სულიწმინდის მადლი მაინც დაივანებს, რა თქმა უნდა, მაგრამ შენს სულში არ დაივანებს! თავი არავინ მოიტყუოს! და უფლის წინაშე ვერ გამართლდებიან ის მღვდელმსახურები, რომელნიც ასეთი ადამიანისგან შესაწირს მიიღებენ**

**ჩემზე ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინეს მსოფლიო ლიტერატურის ძალიან დიდმა კორიფეებმა, განსაკუთრებით რუსმა კლასიკოსებმა; შეიძლება ითქვას, რომ კარგი გაგებით შეძრწუნებული ვიყავი მათით, რომ დავდიოდი, ამ თემაზე ვლაპარაკობდი, სხვა თემაზე ვერ ვსაუბრობდი მაშინ, როცა ვკითხულობდი დოსტოევსკის, ტურგენევს, ტოლსტოის... ან XX საუკუნის რუს კლასიკოსებს — შოლოხოვს, ბუნინს, პასტერნაკს და სხვებს.. გაოგნებული ვიყავი რუსული მწერლობით — რუსულ მწერლობას მე ვუწოდე „მხატვრულ სიტყვაში განცხადებული მართლმადიდებლობა“...**

„დღევანდელ დღეს ბავშვებში ყველაზე დიდ პრობლემად მაინც ამპარტავნება მიმაჩნია. ამ თაობის აბსოლიტურ უმრავლესობას ძალიან უჭირს პატიება. თვითდამკვიდრებას უკიდურესად უხეში მეთოდებით ცდილობენ. მათთვის დამახასიათებელია სიუხეშე, რომელიც ვლინდება სხვადასხვა ფორმით, რაღაც არაჯანსაღი ხუმრობებით, არაჯანსაღი მეტყველებით, ბილწსიტყვაობით, რომელიც საბოლოო ჯამში მათ „განსაკუთრებულ მეობას და წინა პლანზე წამოწევას უსვამს ხაზს.“ ეს უნდა ჩაიცხროს აუცილებლად, ბავშვებმა უნდა ისწავლონ უბრალოება და ძალიან უშუალო ურთიერთობები, სანამ ამას არ მიაღწევენ, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ერის სულიერებაზე,ლაპარაკი ზედმეტია“.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა თეიმურაზი:

**როდესაც ახალი მღვდელი ვიყავი 2004 წელს და პირველი აღსარებები მოვისმინე, პირი ღია დამრჩა– ასე ვიფიქრე, რომ აქამდე რაც არ გამიგია, ალბათ, აწი უფრო და უფრო მეტ საშინელებას გავიგებ, თურმე რისი ჩადენა შეუძლია ადამიანებს-მეთქი, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ამ საშინელებიდან ადამიანები ნორმალურ ფსიქიკამდე უნდა მიმეყვანა და ამაში ჩვენ უძლურნი ვიქნებოდით, რომ არ ყოფილიყო უდიდესი მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

# ლიტერატურის ჭარბმა კითხვამ მოამწიფა ჩემში ურყევი სურვილი, რომ მღვდელმსახური გავმხდარიყავი

**ძალიან უჭირს პატიება. თვითდამკვიდრებას უკიდურესად უხეში მეთოდებით ცდილობენ. მათთვის დამახასიათებელია სიუხეშე, რომელიც ვლინდება სხვადასხვა ფორმით, რაღაც არაჯანსაღი ხუმრობებით, არაჯანსაღი მეტყველებით, ბილწსიტყვაობით, რომელიც საბოლოო ჯამში მათ „განსაკუთრებულ მეობას და წინა პლანზე წამოწევას უსვამს ხაზს.“ ეს უნდა ჩაიცხროს აუცილებლად, ბავშვებმა უნდა ისწავლონ უბრალოება და ძალიან უშუალო ურთიერთობები, სანამ ამას არ მიაღწევენ, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ერის სულიერებაზე,ლაპარაკი ზედმეტია.**

ძალიან ბევრი ნაკლოვანება გავრცელებული ერში, ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვცდილობთ, რომ ბავშვები ტაძარში მოვიყვანოთ და როდესაც ისინი მოდიან, მათთვის თითქმის გაუგებარ ენაზე, ფასეულობებზე ველაპარაკებით ამბიონიდან! ბავშვებს ვესაუბრებით ეროვნულობაზე და ამ დროს მათ დედის გინებისთვის ჯერ თავი ვერ დაუნებებიათ. მათ ვერ ესმით ეს, რადგან შიგნით, პიროვნულად უჭირთ... ადამიანის სული ეს არის საიდუმლოთა ფარული ოკეანე და ერთადერთი ხსნა არის მხოლოდ უფალი! მასთან მისასვლელი ერთადერთი გზა კი ეკლესიისკენ მიდის. ვცდილობ, ეს დავანახო მათ, ამაში დავარწმუნო. თვითონ ადამიანში არსებობს სინდისის ხმა, რომელიც ამ ადამიანს ბოლომდე აიძულებს, რომ თავისი ნამდვილი პიროვნული „მე“ სრულყოს! ეს კი, მერწმუნეთ, მხოლოდ ეკლესიაში ხდება.

**— მამაო თეიმურაზ, მინახავს, წიგნის ბაზრობიდან მხოლოდ ერთ დღეს თითქმის ასი წიგნით დაბრუნებულხართ, თქვენი, როგორც მღვდელმსახურის, ცხოვრებაში რა როლს ასრულებს ლიტერატურა?**

— მადლობა ამ შეკითხვისთვის, სამღვდელმსახურო მოღვაწეობის განმავლობაში პირველად მიწევს პასუხის გაცემა ასეთ შეკითხვაზე, რამეთუ ასეთი შეკითხვით მღვდელმსახურთან არავინ არასოდეს მიდის. მაძლევთ შესაძლებლობას, ვილაპარაკო იმაზე, რაც ჩემთვის ესოდენ ახლობელია და რის გარეშეც ჩემი ცხოვრება ფაქტობრივად წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ლიტერატურის წაკითხვა მიწევს თეოლოგიაში, განსაკუთრებით მსოფლიო რელიგიებში, რადგანაც ამ კურსს ვკითხულობ თბილისის სასულიერო აკადემიაში, აგრეთვე, ვკითხულობ ლექციებს ფილოსოფიის ისტორიაშიც, რაც ჩემგან ბევრ ცოდნას მოითხოვს. მაგრამ არ არსებობს ჩემს ცხოვრებაში არც ერთი დღე და არც ერთი საათი მხატვრული ლიტერატურის გარეშე. ასე ვიყავი ბავშვობიდან. თავის დროზე მხატვრულმა ლიტერატურამ განმამტკიცა რწმენაში, მეტსაც გეტყვით, ლიტერატურის ჭარბმა კითხვამ მოამწიფა ჩემში ურყევი სურვილი იმისა, რომ მომავალში მღვდელმსახური გავმხდარიყავი. მღვდლობის სურვილი ჩემში გააჩინა არა წმინდა მამათა კითხვამ, თუმცა მათაც უზომოდ ვკითხულობდი და დიდება მათ სახელს, არამედ (კარგად გაიგოს დაე მკითხველმა), ლიტერატურის ჭარბმა კითხვამ, რამეთუ ლიტერატურაში უამრავ საინტერესო გმირს ვნახულობდი, ვნახულობდი ადამიანებს თავიანთი ნაკლოვანებებით, თავიანთი შინაგანი სამყაროთი, თავიანთი ბრძოლებით, თავიანთი გაორებებით...

**ჩემზე ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინეს მსოფლიო ლიტერატურის ძალიან დიდმა კორიფეებმა, განსაკუთრებით რუსმა კლასიკოსებმა; შეიძლება ითქვას, რომ კარგი გაგებით შეძრწუნებული ვიყავი მათით, რომ დავდიოდი, ამ თემებზე ვლაპარაკობდი, სხვა თემებზე ვერ ვსაუბრობდი მაშინ, როცა ვკითხულობდი დოსტოევსკის, ტურგენევს, ტოლსტოის... ან XX საუკუნის რუს კლასიკოსებს — შოლოხოვს, ბუნინს, პასტერნაკს და სხვებს.. გაოგნებული ვიყავი რუსული მწერლობით — რუსულ მწერლობას მე ვუწოდე „მხატვრულ სიტყვაში განცხადებული მართლმადიდებლობა“...**

..რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარდა და მიყვარს დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, აზიელი, ამერიკელი მწერლები — ყველას ერთდროულად ვკითხულობდი, უამრავს. ძალიან დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე ლათინური ამერიკის მწერლებმა— მარკესმა, ბორხესმა, კორტასარმა, ლიოსამ. განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ჩემზე უდიდესმა ყირგიზმა მწერალმა ჩინგიზ აითმათოვმა, რომლის გარდაცვალებაც საოცრად განვიცადე და გამოსათხოვარი წერილიც მივუძღვენი..

**— მამაო, საუბარში ძალიან ხშირად გითქვამთ, რომ დოსტოევსკიმ როგორც მღვდელს ბევრი რამ გასწავლათ, რადგან იგი ადამიანის სულის სწორედ იმ კუნჭულებში ჩადიოდა, სადაც ხანდახან ძნელი ჩასაღწევია... თქვენი მოძღვრობის მანძილზე ყოფილა შემთხვევა, რომ ადამიანის სული სწორ ყალიბში ვერ მოგიქცევიათ, ან პირიქით, უფლისთვის მადლობა შეგიწირავთ, რომ ადამიანის სულის ყველაზე უფრო რთულ ლაბირინთში ჩაგიღწევიათ და ამ ლაბირინთიდან თქვენ,როგორც მოძღვარი, და ის,როგორც სულიერი შვილი, გამარჯვებული გამოსულხართ?**

— დოსტოევსკი მართლაც დიდი მხატვარია. სხვათა შორის ჩემს მრევლში, კარგი გაგებით, მე ავტეხე „დოსტოევსკომანია“. ბავშვები, რომელთაც არ ჰქონდათ წაკითხული ეს დიდი რუსი კლასიკოსი, შეიძლება ითქვას, შევაჯიბრე ერთმანეთს, განსაკუთრებით ყველას მოეწონა მისი „ძმები კარამაზოვები“, „დანაშაული და სასჯელი“... დოსტოევსკი ჩემთვის ძალიან ახლობელია, ვკითხულობ არა მარტო მის რომანებს და შემოქმედებას, არამედ ყველა იმ გამოკვლევას, რაც კი მასზე ოდესმე დაწერილა — ბერდიაევიდან დაწყებული, ცვაიგით დამთავრებული. მაგრამ დღეს თომას მანის ცნობილ ფრაზას — „დოსტოევსკი — ოღონდ ზომიერად!“ — უფრო ვემხრობი. დოსტოევსკი იყო ის მწერალი, რომელმაც მართლა გვიჩვენა ის, რომ ადამიანის სულში არსებობს ბნელი კუნჭულები, ბნელი კუთხეები, რომელსაც სააშკარაოზე იგი ვერასოდეს გამოიტანს! მაგრამ როდესაც გაბედავს და გამოიტანს, ვისთან გამოაქვს თუ არა მღვდელმსახურთან და მოძღვართან? აი, საიდუმლო ამოვხსენით—მღვდლის წინაშე შიშვლდება ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, იმაზე, რაზეც ვერ დაელაპარაკება ვერც დედას, ვერც მამას, ვერც ცოლს, ვერც შეყვარებულს, ვერც ქმარს, ვერც შვილს, ვერც მეგობარს ჩემთან საუბრობს!

ალბათ, მღვდლისგან სწორად აღიქვამთ, თუ კონკრეტულად არ ვიტყვი ჩემი, როგორც მღვდელსახურის მიერ ადამიანის სულის ბნელ კუნჭულებთან ბრძოლაში დამარცხებისა და გამარჯვების მაგალითებს, რამეთუ არ მინდა, ამით, უხილავადაც კი, იმ ადამიანების საიდუმლო გავცე... თუმცა ჩემი, როგორც მოძღვრის ცხოვრებაში უამრავი ასეთი მაგალითი ყოფილა. **როდესაც ახალი მღვდელი ვიყავი 2004 წელს და პირველი აღსარებები მოვისმინე, პირი ღია დამრჩა— ასე ვიფიქრე, რომ აქამდე რაც არ გამიგია, ალბათ, აწი უფრო და უფრო მეტ საშინელებას გავიგებ, თურმე რისი ჩადენა შეუძლია ადამიანებს-მეთქი, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ამ საშინელებიდან ადამიანები ნორმალურ ფსიქიკამდე უნდა მიმეყვანა და ამაში ჩვენ უძლურნი ვიქნებოდით, რომ არ ყოფილიყო უდიდესი მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.** მხოლოდ ღმერთი გვეხმარება იმაში, რომ ადამიანებს დავეხმაროთ. მე ხშირად სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში არა მარტო თეოლოგიის, არამედ ლიტერატურის კითხვაც გამომდგომია. ბავშვობაში ვწერდი. ახლაც შენახული მაქვს IV-V კლასებში დაწერილი პატარა ნოველის მსგავსი ჩანახატები, ერთი ვრცელი მოთხრობაც, რომელსაც ძალიან დიდი გულისყურით ვინახავ. ახლა, რა თქმა უნდა, მეცინება იმ უამრავ შეცდომაზე, უზუსტობაზე, რომლებიც იქ მაქვს, მაგრამ 10 წლის ბავშვი სხვანაირად ვერ დაწერდა, ისიც კი მახსოვს, რა პერიოდში დავწერე, იმდენს ვკითხულობდი, რომ არ შეიძლებოდა, მეც არ დამეწერა! მაგრამ სიმართლე მინდა გითხრათ და ამ საიდუმლოს პირველად თქვენი გაზეთის ფურცლებზე გავამხელ —დღემდე, 32 წლის ასაკშიც არ მასვენებს და მომყვება ბავშვობისდროინდელი სურვილი, რომ ვწერო. ეს სურვილი მღვდლობაშიც არ გამქრალა, მაგრამ ბევრი მიზეზის გამო, რომელზედაც გპირდებით, რომ სხვა დროს ისევ თქვენთან ვილაპარაკებ, ჩემს ნაწერებს მზის სხივი ჯერ არ უნახავთ. არ ვამბობ, რომ მე მუდმივად ვწერ, მაგრამ წერის ჟინი დროდადრო მომივლის ხოლმე და ვფიქრობ, რომ, თუ ოდესმე გავბედე გამოქვეყნება, არა მგონია, ამითი რამე ვავნო ან ჩემს დედაეკლესიას და ან ჩემს თავს, ერს და ან ეროვნულ მწერლობას... მღვდელიც ჩვეულებრივი ადამიანია... ამ შემთხვევაში მე განვაზოგადებ მღვდელს, როგორც ქრისტიან მღვდელს ზოგადად, ვისზეც არა ერთი შედევრია შექმნილი მსოფლიოში, გავიხსენოთ ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდება“, დე კეიროშის, ცნობილი პორტუგალიელი მწერლის რომანი „პადრე ამაროს დანაშაული“, ლევ ტოლსტოის საუკეთესო მოთხრობა „მამა სერგი“... და გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მღვდელმსახურებაშიც არსებობს ნაკლოვანებები, გარკვეული პრობლემები, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთი მღვდელმსახური, რომელიც შემოქმედებითად იღვწის, ამ მხრივ მით უმეტეს არ არის გასაკიცხი. არ შეიძლება ის მღვდელმსახური, რომელიც ქურდებისაგან არასწორი გზით ნაშოვნ ფულს იღებს და რაღაც საშინელებებს სჩადის და ის, რომელიც პატიოსნად ასრულებს თავის მოძღვრულ მოვალეობას და მისი „დანაშაული“ მხოლოდ ისაა, რომ შვიდი პოეტური კრებულის ავტორია, ერთნაირად განვსაჯოთ; აი, კიდევ ზღვარი მხილებასა და განკითხვას შორის! ამას მე, როგორც მღვდელმსახური ვგმობ და როგორც გენებოთ, ისე გამიგეთ, მაგრამ მე ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს! ძალით ვერავინ დაწერს, მაგრამ ყველა იმ მღვდელმსახურმა, ვისაც ამის ნიჭი გააჩნია, ვფიქრობ, რომ უნდა განავითაროს ეს ნიჭი. მაპატიეთ, კარგი გაგებით, მე მკაცრი იერარქიული მორჩილების მომხრე ვარ, და მორჩილება და კურთხევის აღება უპირველესია ეკლესიაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ისეთი საკითხია, რომ ამაზე კურთხევის თხოვნა ნამდვილად არ მიმაჩნია სწორად. ეს ისეთივე შინაგანი მოთხოვნილებაა, როგორიცაა ჭამა, დალევა. რამეთუ სულიწმინდისაგან გაქვს ეს ნიჭი და ეს ნიჭი აუცილებლად უნდა გამოვლინდეს. ყველა ასეთ მღვდელმსახურს წარმატებას ვუსურვებ. დაე, უფალმა გამოკვეთოს ჩვენი გზა, ყველასი..

**— მამაო, დიდი მადლობა საინტერსო საუბრისთვის... მაგრამ არის რამე ისეთი, რაც არ გითქვამთ, მაგრამ გინდათ, რომ თქვათ?**

— როგორც ადამიანის სულის მცოდნე (და ყველა მღვდელი მცოდნეა), ვფიქრობ, რომ გაზეთის ფურცლებზე სათქმელი მაინც არ ითქმის ბოლომდე იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც ადამიანს შეიძლება სურდეს. ამ მხრივ თუნდაც იგივე ლიტერატურა საუკეთესო გამოსავალია..

**— დაგვლოცეთ..**

— უფალმა დაგლოცოთ.. თქვენ პირადად გისურვებთ ჭეშმარიტად, გულწრფელად იმ წარმატებას, რომელიც სათნო იქნება უფლისთვის, სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის, ადამიანებისთვის.

ხოლო თქვენს გაზეთს, იცით, რა მინდა ვუსურვო? როდესაც ადამიანი გადაშლის რელიგიურ რუბრიკას, მისგან ჭეშმარიტი სულიერი საზრდო მიიღოს და პასუხი იმ გაუცემელ კითხვებზე, რომლებიც, ვინ იცის, რამდენ ხანს აწვალებდა... მთლიანად თქვენი გაზეთი კი მინდა სავსე იყოს ფარისევლობისაგან, სიცრუისაგან დაცლილი ინფორმაციით, რითაც, სამწუხაროდ, ასე მდიდრები ვართ საქართველოში...

გაკურთხოთ და დაგლოცოთ უფალმა! ამინ!

**თვითონ ადამიანში არსებობს სინდისის ხმა, რომელიც ამ ადამიანს ბოლომდე აიძულებს, რომ თავისი ნამდვილი პიროვნული „მე“ სრულყოს! ეს კი, მერწმუნეთ, მხოლოდ ეკლესიაში ხდება**

ესაუბრა
შორენა სიხარულიძე

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლაურ მანაგაძე უროლოგიის მამამთავარს პირადად არ იცნობდა, რადგან, როცა ალექსანდრე წულუკიძე გარდაიცვალა, იგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე კურსზე სწავლობდა. არასოდეს შეხვედრია, მაგრამ მის მიმართ ისეთი მოწიწებით იყო გამსჭვალული, რომ უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნის (1985 წელს) შემდეგ კარგა ხანს თავს უფლებას არ აძლევდა, ამ დიდი პიროვნების სავარძელში ჩამჯდარიყო და მისეულ მაგიდაზე ემუშავა.**



ლაური მანაგაძე:

# ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში რა დარგიც წარმატებულია, რა საჭიროა უცხოეთიდან სპეციალისტის ჩამოყვანა?!

**პოლიტიკაში ან ავგიები მიდიან, ან ნეხვის ჭიები — იმდენად ბინძური საქმეა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ხელისუფლების სათავეში მოსული იქსი წინამორბედი იგრეკის ლანძღვითა და გინებით იწყებს „რეფორმატორულ“ მოღვაწეობას.**
**და აგრძელებს.**
**მედროვეთა ტრადიციული მეთოდია.**
**ამიტომ — შორს პოლიტიკიდან! მით უფრო, რომ „უჰალსტუხო საუბარი“ ბატონ ლაურ მანაგაძესთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორთან, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემის წევრ-კორესპონდენტთან, უროლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორთან პოლიტიკას ორგანულად ვერ ეთავსება.**
**და კიდევ იმიტომ, რომ ბატონი ლაური თავისი წინამორბედის, ქართული უროლოგიის მამამთავრის — ალექსანდრე წულუკიძის გახსენებით იწყებს ჩვენს აპოლიტიკურ შეხვედრას.**

— იგი ქართულ მედიცინაში სრულიად გამორჩეული პიროვნება იყო, ჭეშმარიტად დიდი მედიკოსი. მან, იმ დროისთვის უკვე კარგმა ქირურგმა, პირველმა ამოიცნო, რომ უროლოგია დამოუკიდებელ დარგად განვითარდებოდა და თავისი მოღვაწეობაც ამ მიმართულებით წარმართა. მოიარა მთელი ევროპა, გაეცნო გერმანიის, საფრანგეთის წამყვანი სამედიცინო წრეების საქმიანობას იმ დროს, როცა ეს სივრცე ჩვენთვის დახურული იყო, და დასავლური მიმართულების ექიმად ჩამოყალიბდა.

ასეთადვე დარჩა.

მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული უროლოგიის პირველი ნაბიჯები — განყოფილების, კათედრის გახსნა (პირველის — საბჭოთა კავშირში), თბილისისა და საქართველოს უროლოგთა საზოგადოებების დაარსება, უროლოგიის ინსტიტუტის დაფუძნება თბილისში 1959 წელს (პირველი — საბჭოთა კავშირში), 1966 წელს მეორე ინსტიტუტი გაიხსნა კიევში, 1979 წელს — მოსკოვში. 1963 წელს მოსკოვთან სინქრონულად თბილისში პირველი ხელოვნური თირკმლის, ჰემოდიალიზის კაბინეტი გახსნა. მსოფლიოში მსგავსი განყოფილებები მხოლოდ ორი წლით ადრე ამუშავდა. საბჭოთა კავშირში პირველი უროლოგიური განყოფილება მისი ხელდასმით თბილისში 1964 წელს ამუშავდა.

**პროფესორი წულუკიძე სტალინის პირადი უროლოგი იყო. თავისი მოღვაწეობის ამ სფეროზე მას არასოდეს სიტყვაც არ დასცდენია. არადა, რა საინტერესო იქნებოდა! საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის უროლოგებისთვის იგი იმდენად გამორჩეული პიროვნება იყო, რომ თავადად მოიხსენიებდნენ — „КНЯЗЬ“. ხოლო პირადი შეხვედრების დროს ასე მიმართავდნენ: „პატერ ნოსტერ“ (ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „მამაო ჩვენო“).**

ამ დიდი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრ საყურადღებო მომენტზე ისაუბრა ბატონმა ლაურიმ, მაგრამ თხრობის მდინარებამ შეიძლება შორს გაგვიტაცოს...

ჩემი მასპინძელი უროლოგიის ეროვნული ცენტრის მესამე დირექტორია, ინსტიტუტის დამფუძნებლის შემდეგ. მის კაბინეტში, გამორჩეულ ადგილზე, „თავადის“ ბიუსტი დგას.

საქართველოს სამედიცინო ცენტრების წინ ყველგან ხელუხლებელია მედიცინის კორიფეთა ძეგლები — ეგნატე ფიფიასი, ივანე თარხნიშვილის, გიორგი მუხაძის, ნიკოლოზ ყიფშიძის, ოთარ ღუდუშაურის, ლუარსაბ შარაშიძისა და სხვათა კიდევ.

**ძეგლებთან მებრძოლთა ინფექციამ, გნებავთ, ვირუსმა ექიმთა სფეროში ვერ შეაღწია. მედიკოსები განსაკუთრებული კასტაა. პოლიტიკურ მოღვაწეთაგან განსხვავებული,** მაგრამ, მოდით, აქაც დავამუხრუჭოთ, რადგან შეიძლება აპოლიტიკურობის ლიანდაგიდან გადაგვივარდეს „ზეპარტიული მატარებელი“ და მერე, მიდი და ეძებე მეისრე, ვისაც შეიძლება დააბრალო კატასტროფა.

ლაურ მანაგაძე უროლოგიის მამამთავარს პირადად არ იცნობდა, რადგან, როცა ალექსანდრე წულუკიძე გარდაიცვალა, იგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე კურსზე სწავლობდა. არასოდეს შეხვედრია, მაგრამ მის მიმართ ისეთი მოწიწებით იყო გამსჭვალული, რომ უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნის (1985 წელს) შემდეგ კარგა ხანს თავს უფლებას არ აძლევდა, ამ დიდი პიროვნების სავარძელში ჩამჯდარიყო და მისეულ მაგიდაზე ემუშავა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართულმა უროლოგიამ მისი ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, გაბედა და დაარღვია საკუთარი თავისთვის დაწესებული ტაბუ — ვაშინერს!

თაობათა ზნეობრივი ურთიერთობის თემა დავამთავროთ იმით, რომ ინსტიტუტში დღესაც მუშაობენ ხანდაზმული ადამიანები, ვინც იქ წულუკიძის დროს მივიდა.

— ეს შეიძლება ძალიან არათანამედროვე მიდგომად ჩამითვალონ, მაგრამ ასეთია ჩემი ცხოვრების წესი, — ამბობს რესპონდენტი და ასკვნის, — ბატონი ალექსანდრეს სული დღესაც აქ ტრიალებს. მისი თანამედროვენი იხსენებენ, რომ, როგორც კი მოადგებოდა კლინიკას მანქანით, ამას კი აუცილებლად შენიშნავდა ვინმე, ყველაფერი სხვაფერდებოდა, ყველანი იცვლებოდნენ — იგი ძალიან ძლიერი და უშეღავათო ხელმძღვანელი იყო, რაც ჩემში არ არის — ზედმეტად დემოკრატიულად ვმოქმედებ.

## რატომ უროლოგია და არა სხვა?

**— უროლოგიის სპეციალობა ჩვენს ახალგაზრდობაში, ვერ ვიტყვი, რომ პოპულარული იყო. თქვენ რატომ აირჩიეთ მაინც და მაინც ეს დარგი?**

— ლეო ბოკერია მოსკოვში ჩემზე ორი კურსით წინ იყო. საერთო საცხოვრებელში კარის მეზობლები ვიყავით. ვმეგობრობდით. სწავლა ჩემთვის პრობლემა არ იყო. წარმატებულ სტუდენტად ვითვლებოდი. ლეო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო. შემომთავაზა სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მისვლა, რომელსაც აკადემიკოსი კოვანოვი ხელმძღვანელობდა. მივედი და იქ მეცადინეობამ გამიტაცა, ტრანსპლანტაციამ — პირველ რიგში. მაშინ, შეიძლება ითქვას, იფეთქა ადამიანის ორგანოთა გადანერგვის პრაქტიკამ, რაც ჩემი ინტერესის სფერო გახდა. გამიმართლა და 1975 წელს ბედის უცნაურობის გამო აღმოვჩნდი აღმოსავლეთ ბერლინში აკადემიკოს მებელთან, გერმანელ ებრაელთან, რომლის ოჯახიც ფაშისტურ რეჟიმს რუსეთში გამოექცა და 1938-დან 1958 წლამდე იქ ცხოვრობდა. ისწავლა რუსეთში, გახდა უროლოგი და გდრ-ში დაბრუნდა. დღესაც ცოცხალია და ჯანზეა, 89 წლის არის. ვიმუშავე მის კლინიკაში, რომელიც მსოფლიო უროლოგიის დონეს არ ჩამოუვარდებოდა, აღჭურვილი იყო უახლესი ტექნიკური საშუალებებით.

მებელმა დამიბარა და მითხრა, რომ ვინაიდან იგი კარგად იცნობდა საბჭოთა კავშირს, არ მირჩევდა ძირითად სპეციალობად ტრანსპლანტაციის არჩევას, რადგან საამისო „სამუშაო ფრონტი“ საქართველოში ფრიად უმნიშვნელო იქნებოდა, ამიტომ ან მოსკოვში დაბრუნება მიჯობდა, სადაც დიდი მასშტაბების გამო შეიძლება უკეთესი სიტუაცია ჩამოყალიბებულიყო, ან ამერჩია უროლოგია. დამარწმუნა ამაში და მეც დავყევი მის რჩევას. მე მგონი, გამიმართლა.

**— პირველი დისერტაცია?**

— მოსკოვში დავიცავი აკადემიკოს კოვანოვის ხელმძღვანელობით 1970 წელს, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ. პრობლემა თირკმლის გადანერგვას ეხებოდა. კოვანოვმა ინსტიტუტში დარჩენა შემომთავაზა. ბინაც მომცეს და მე და ჩემი მეუღლე ლეგალური მოსკოველები გავხდით. მაგრამ გავიდა ორი თუ სამი წელიწადი და მივხვდი, რომ თუ გავაგრძელებდი აქაურ ლაბორატორიაში მუშაობას, ძალიან დიდი დროის განმავლობაში დავრჩებოდი სხვისი ჩანაფიქრების განმახორციელებლად. იერარქიული განსხვავებულობა აქ მყარად იყო გამჯდარი: უფროსი თაობის მკვლევარები ჩაიფიქრებდნენ რაღაც იდეას, რომლის რეალიზება მე უნდა მომეხდინა. ეს ხელს არ მაძლევდა და ამიტომ გადმოვედი თბილისში, ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც სრული დამოუკიდებლობის პირობები შემიქმნეს, ჩამაბარეს ექსპერიმენტული ლაბორატორია, პატარა კლინიკური განყოფილება მომცეს.

**— საინტერესოა, ვინ გიპატრონათ მოსკოვში, ვინ ამოგიდგათ მხარში? თუ დაგრჩათ სასიამოვნო მოგონებები?**

— რა თქმა უნდა, დამრჩა. მაგრამ კონტაქტები არც ახლა გამიწყვეტია. კარგი დრო იყო... საკვანძო ადამიანებზე თუ მეკითხებით, ვინც ჩემი ბედის განსაზღვრაში გარკვეული როლი ითამაშა, გიპასუხებთ, რომ, რასაკვირველია, ასეთი ლეო ბოკერია იყო. როგორც ვთქვი, პირველად მან მიმიყვანა სტუდენტურ სამეცნიერო წრეში, ხოლო როცა ინსტიტუტი დაამთავრა და წავიდა, სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ მის ნაცვლად მე ამირჩიეს. აკადემიკოს კოვანოვზეც ვილაპარაკეთ. მან მიშუამდგომლა ასპირანტურაში ჩასაბარებლად და გავხდი ერთადერთი არამოსკოველი ასპირანტი მეცნიერებათა აკადემიის ხაზით. ისიც უნდა ვთქვა, რომ, როცა კოვანოვს თბილისში დაბრუნების შესახებ ვუთხარი, ოღონდ ინსტიტუტში დავრჩენილიყავი, ორწლიანი სტაჟირება შემომთავაზა საფრანგეთში, სადაც მეუღლესთან ერთად მიმავლენდნენ.

**— ასეთი შემოთავაზებები, შესანიშნავი პერსპექტივა და მნიშვნელოვანი კონტაქტები სამეცნიერო წრეებში... რატომ გამორბოდით თბილისში?**

— გულის ძახილი, მიწის ყივილი, დაბრუნების სურვილი და დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა. თორემ **მოსკოვში, პირდაპირ გეტყვით, აღიარება არ მაკლდა. არც ერთ ქართველ ექიმს, ვინც პერიფერიაზე საქმიანობდა, არც ერთ ქართველ მკვლევარს, ვინც ბიოლოგიასა და მედიცინაში მუშაობდა, არ ჰქონია რუს მეცნიერებთან ერთად გამოცემული წიგნი, სადაც იგი პირველი ავტორი იქნებოდა. მე მაქვს ასეთი წიგნი და ეს ჩემთვის დიდი პატივია. ახლა მეორე წიგნს ვამზადებთ.**

**— ბატონი ლეო ბოკერია დღეს პირველ კაცადაა აღიარებული.**

— მთლიანად მედიცინაში. არა მარტო გულის და სისხლძარღვთა ქირურგიაში, სადაც მოღვაწეობს, მთელ რუსულ მედიცინაში იგი გამოკვეთილად პირველი კაცია.

## კიბით, რომელიც მაღლა ადის

**— სადოქტორო დისერტაცია 1981 წელს დაიცავით, საკანდიდატოდან 11 წლის შემდეგ. თითქოს ხანგრძლივი პაუზაა.**

— თუ იმ სამუშაოს მოცულობას გავითვალისწინებთ, რომელიც ამ პერიოდში შევასრულე, ასე არ გამოჩნდება. ექსპერიმენტული ნაწილი საქართველოში გავაკეთე. ჩვენს ქვეყანაში დღესაც ვეებერთელა პრობლემაა გადასანერგი თირკმლის მოძიება. თუმცა გადანერგვის ოპერაციებს რეგულარულად ვაკეთებთ.

**— ამიხსენით, თუ შეიძლება.**

— გადასანერგ თირკმელს მშობლებისგან, და-ძმებისგან ვიღებთ. გვამური ტრანსპლანტაცია დღემდე საქართველოში გამოყენე- ▶



პროფესორი წულუკიძე სტალინის პირადი უროლოგი იყო. თავისი მოღვაწეობის ამ სფეროზე მას არასოდეს სიტყვაც არ დასცდენია. არადა, რა საინტერესო იქნებოდა! საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის უროლოგებისთვის იგი იმდენად გამორჩეული პიროვნება იყო, რომ თავადად მოიხსენიებდნენ — «КНЯЗЬ». ხოლო პირადი შეხვედრების დროს ასე მიმართავდნენ: «პატერ ნოსტერ» (ლათინურიდან ითარგმნება, როგორც «მამაო ჩვენო»).

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უწინ მეუბნებოდნენ, რომ დასავლეთში ექიმები ავადმყოფებს არ უმალავენ მათ დაავადებას, რომ აქვს კიბო. ეს საჭიროაო იმისთვის, რომ დაალაგოს თავისი დარჩენილი სიცოცხლე — მოაგვაროს პრობლემები, დაამთავროს დაწყებული საქმე. მიამიტურად აღვიქვამდი ამას, დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი დასავლეთში პროგრესულები არიან. მაგრამ ახლა ვიცი, რომ მათი ეს მეთოდი მცდარია.**

# ბატონი ლეო ბოკერია პირველ კაცადაა აღიარებული არა მარტო გულის და სისხლძარღვთა ქირურგიაში, სადაც მოღვაწეობს, მთელ რუსულ მედიცინაში იგი გამოკვეთილად პირველი კაცია



**გვყავს არჩილ ჩხოტუა, ამიკო პერტია, უძლიერესი უროლოგი, ზაზა მეზვრიშვილი, შალვა მშვილდაძე, გიორგი მანაგაძე, ჩემი ვაჟი — ერთი თაობის ექიმები. ისინი უკეთ აკეთებენ ოპერაციებს, რასაც მე ავადმყოფებთან არასოდეს ვმალავ. ვთვლი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გამიკეთებია, არის ის, რომ ეს თაობა აღვზარდე.**

◀ბული არ არის და საამისო პერსპექტივას ვერც ვხედავ. ამან მიბიძგა, მეძებნა სხვა გზა.

არსებობს სიცოცხლესთან შეუთავსებადი სიმახინჯეები, რომლებიც ამოცნობადია დაბადებამდე. მაგალითად, შეიძლება ნაყოფი იყოს უთავო. ექოსკოპიით ამის დაფიქსირება ძალიან ადვილია. ჩემი იდეა იყო, ამ გზის გამოყენება გადანერგვისთვის. გავაკეთეთ ექსპერიმენტები საქართველოში, რომლებიც მინიმუმ ძალიან საინტერესო და იმედის მომცემი იყო. ჩემს მასწავლებელთან, მებელთან რომ ჩავედი ბერლინში და შესრულებული სამუშაოს შესახებ რომ ვესაუბრე, მან მთხოვა ამ ექსპერიმენტების გამეორება ღორებზე.

**— იმიტომ, რომ ადამიანთან ღორია ყველაზე ახლოს?**

— ორგანიზმის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა. გადანერგვის ექსპერიმენტები იქაც გავაგრძელეთ და, როცა დავრწმუნდით, რომ შედეგი რეალური და დადებითია, ოპერაციები ადამიანებსაც გავუკეთეთ.

იდეის ავტორი ვიყავი მე და სადოქტორო დისერტაციაც ამ პრობლემაზე მე დავიცავი.

**— სხვადასხვა დარგის გამოჩენილ ექიმებთან საუბრისას, ყურადღება მივაქციე, რომ ყველანი თავ-თავიანთ მიმართულებებს მსოფლიოში და საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებულად მიიჩნევენ. თუ ადგილების მიხედვით გრადაცია არის შესაძლებელი, უროლოგიურ დაავადებებს რომელი ადგილი უკავია?**

— უროლოგია არის სრულიად განსაკუთრებული სპეციალობა — მეც მათსავით ვსაუბრობ — და აგიხსნით რატომაც არის. დღეს უკვე ნაყოფზე ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში კეთდება უროლოგიური ჩარევები, ცხადია, ახალშობილობის პერიოდშიც და, ამასთან ერთად, უროლოგები ოპერაციებს უკეთებენ სრულიად ხანდაზმულებს. ადამიანის სიცოცხლის ნებისმიერ მონაკვეთში საჭიროა უროლოგია, რასაც ყველა სხვა სპეციალობაზე ვერ იტყვი. უროლოგიის ავადმყოფები კაციც არის და ქალიც.

ონკოლოგები იჩემებენ, რომ სიკვდილიანობის მიზეზი ყველაზე ხშირად კიბოა, კარდიოლოგები ამტკიცებენ, რომ სისხლძარღვთა დაავადება კატასტროფულად საშიშია.

მე სხვაგვარად ვუყურებ საკითხს: ავადმყოფისთვის, რომელიც „კედელთანაა მიყენებული", მნიშვნელობა არ აქვს, მისი დაავადება რამდენადაა გავრცელებული და რომელ ადგილზე დგას.

**— სტატისტიკა ნაკლებად აინტერესებს.**

— რა თქმა უნდა. სიკვდილიანობის ყველაზე ხშირი მიზეზი უროლოგიური დაავადებები არ არის, მაგრამ, ვთქვათ, პროსტატის კიბო მამაკაცებში ფილტვების კიბოს შემდეგ მეორე ადგილზეა. სტატისტიკიდან ყველას შეუძლია მისთვის მომგებიანი მონაცემების ამოკრეფა.

## ვინ ასწავლის ახალ თაობას?

**— მოწაფეები გყავთ?**

— იცით, მე სხვაგვარად დავსვამდი საკითხს. ყოველთვის არ ხდება ისე, რომ პირადად ასწავლო, მაგრამ იცი, ვის შეუძლია, რომ ასწავლოს. უთანხმდები შენს უცხოელ კოლეგას, რომ უგზავნი ახალგაზრდას კონკრეტული მიზნით — აითვისოს ამა თუ იმ დარგის უახლესი მიღწევები, რათა დაბრუნების შემდეგ შეძლოს მისი, ამ დარგის, აქსელერაცია, განვითარება. ჩვენ გვყავს ბრწყინვალე ბავშვთა უროლოგი ზაზა ჭანტურია, რომელმაც სამიდან ექვს თვემდე იმუშავა დასავლეთის სახელგანთქმულ კლინიკებში და დღეს ევროპაში ცნობილი ექიმია.

**— ხანდაზმული კოლეგების მიმართ თქვენს ჰუმანურ დამოკიდებულებაზე ვისაუბრეთ. ახალგაზრდებთან ურთიერთობაზე რას იტყვით?**

— არ ვმალავ, რომ ახლა 67 წლის ვარ. რომ 37 წლის, ან 47 წლის ასაკში მანუალურად უკეთესი ქირურგი ვიყავი, ვიდრე დღეს ვარ. ყველა ასეა, მაგრამ შეიძლება ყველა ხმამაღლა არ აღიარებს, რომ ასეა.

მე გავზარდე უძლიერესი უროლოგები, რომლებიც ამ შენობაში, ჩვენს ცენტრში მუშაობენ. ერთ-ერთია არჩილ ჩხოტუა, რომელიც, არაერთი წელიწადია, ზეწარმატებულად აკეთებს თირკმლის გადანერგვას. მან სამი წლის განმავლობაში მოიარა ისრაელი, იტალია, გერმანია და შემდეგ დაგვიბრუნდა. იგი ჩემზე უკეთ აკეთებს ოპერაციებს. ეს არ ნიშნავს, რომ მე მას აღარ ვჭირდები: იგი ცდილობს, ოპერაცია არ გააკეთოს, თუ მე შენობაში არა ვარ. იმიტომ, რომ ზოგჯერ გამოცდილება არის საჭირო, მხარში მდგომი დაგჭირდება... ამ როლში, ისე მგონია, რომ ჯერ კიდევ ვვარგივარ.

გვყავს ამიკო პერტია, უძლიერესი უროლოგი, ზაზა მეზვრიშვილი, შალვა მშვილდაძე, გიორგი მანაგაძე, ჩემი ვაჟი — ერთი თაობის ექიმები. ისინი უკეთ აკეთებენ ოპერაციებს, რასაც მე ავადმყოფებთან არასოდეს ვმალავ. ვთვლი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გამიკეთებია, არის ის, რომ ეს თაობა აღვზარდე. ახლა მოდის შემდეგი თაობა, მაგალითად, — 35 წლის დათო ნიკოლეიშვილი.

არის ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი ჩვენს დარგში — ლაპარასკოპული უროლოგიური ოპერაციები — გაჭრის გარეშე, დიდი განაკვეთების გარეშე. დღეს უროლოგია უამისოდ უკვე წარმოუდგენელია. დათო ნიკოლეიშვილი ლაიპციგში ბატონ შტოლცენბურგთან, მსოფლიო მასშტაბის უროლოგთან, დაოსტატდა, ისე შეისწავლა ამ ოპერაციების კეთება, რომ დღეს იგი ძალიან წარმატებული ქირურგი გახდა. აღარ არის საჭირო მაინც და მაინც საზღვარგარეთ წასვლა ასეთი ოპერაციის გასაკეთებლად.

ახლა უკვე გვჭირდება მეორე დათო ნიკოლეიშვილი, რადგან ძალიან მალე მხოლოზით რიცხვში სპეციალისტის ყოლამ შეიძლება პრობლემები შეგვიქმნას, ვიწრო ადგილი შეიძლება წარმოგვექმნას.

**— ინტუიცია და ექიმი — როგორ უყურებთ ამ პრობლემას? ტექნიკურმა პროგრესმა გამორიცხა ინტუიცია?**

— ჩემი შეხედულებით, არა, არ გამორიცხა. მრავალჯერ დადასტურდა ეს. ჩვენ ძალიან სახიფათო დარგში ვმუშაობთ. მოულოდნელობანი ხშირად ხდება. ამიტომ საჭიროა, რომ ღმერთი იყოს შენთან, რადგან ეშმაკი მუდამ იქ ტრიალებს, სადაც სიავის გაკეთება შეუძლია.

**გამოცდილებამ დამანახა, რომ ერთია, როცა პაციენტი არის ექიმი ან საზოგადოდ ცნობილი პიროვნება და სულ სხვაა პათოლოგიურად მშიშარა ადამიანი, რომელიც, როგორც გოლგოთაზე, ისე მიდის საოპერაციოდ.** ამ უკანასკნელ შემთხვევაში მე უფრო დაძაბული ვარ, ვიდრე ჩვეულებრივი, ყოველდღიური მუშაობის დროს. ასეთ შემთხვევაში ინტუიცია ხშირად გიკარნახებს, როგორი მოულოდნელობისთვის უნდა იყო მზად. ინტუიცია, პროფესიონალიზმი და გამოცდილება ერთი მთლიანობაა, თუ შეიძლება ითქვას, ხელიხელჩაკიდებულნი დადიან.

**— პაციენტის ნდობა ექიმისადმი, მისი ყოვლისშემძლეობის რწმენა არ უნდა იყოს უმნიშვნელო ფაქტორი დადებითი შედეგის მისაღწევად.**

— რომანტიკული პერიოდი მედიცინაში, საუბედუროდ, დამთავრდა. ჩემი საექიმო მოღვაწეობის პირველი ორისამი ათწლეულის ჟამს ჩვენ — ექიმსა და პაციენტს ერთმანეთი გვიყვარდებოდა, ჩვენი მეგობრობა წლობით გრძელდებოდა, ოჯახებითაც კი. მოკვდა ის დრო. **უწინ მეუბნებოდნენ, რომ დასავლეთში ექიმები ავადმყოფებს არ უმალავენ მათ დაავადებას, რომ აქვს კიბო. ეს საჭიროაო იმისთვის, რომ დაალაგოს თავისი დარჩენილი სიცოცხლე — მოაგვაროს პრობლემები, დაამთავროს დაწყებული საქმე. მიამიტურად აღვიქვამდი ამას, დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი დასავლეთში პროგრესულები არიან. მაგრამ ახლა ვიცი, რომ მათი ეს მეთოდი მცდარია.**

ავადმყოფები დღეს წარუმატებლობის მიზეზებს ეძებენ არა დაავადებაში, არამედ ექიმში. ამიტომ დღეს ექიმი იძულებულია, ავადმყოფს უთხრას, რაც სჭირს, რადგან კედელთანაა მიყენებული. უფრო მეტიც, ჩვენთან, საქართველოში ჟურნალისტებს რატომღაც სურთ, რომ ეს თემა ყოველთვის დაძაბულად ტრიალებდეს მასმედიაში, გამწვავებული იყოს. თან ისეთ სისულელეებს აქვეყნებენ, გაოცდები კაცი. აი, ერთი ფაქტი: ქუთაისში ავადმყოფს, რომელსაც სისხლი გადაუსხეს, დაემართა შიდსი. ამ ფაქტს ყველა არხზე ატრიალებდნენ, იმეორებდნენ ისე ხშირად, თითქოს მსოფლიოში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამ დროს ეს ხიფათი სისხლის გადასხმის ნებისმიერ შემთხვევაში დევს. დასავლეთში წინასწარ გაწერინებენ ხელს, საქმის კურსში გაყენებენ, რომ ასეთი საფრთხე გამორიცხული არ არის.

**— კი, მაგრამ გადასასხმელ სისხლს, დონორებს ხომ წინასწარ იკვლევენ და ამოწმებენ?**

— ასეა. მაგრამ, თუ შიდსი აქვს დონორს, საწყის სტადიაში იმუნოდეფიციტი ამოცნობადი არ არის. დაავადებულია, მაგრამ ამის გაგება შეუძლებელია.

ასე მოხდა ქუთაისში. ამათ კი დაანგრიეს ქვეყანა. ამიტომ ყველა პაციენტს, რომელსაც სისხლის გადასხმა სჭირდება, უნდა მოაწერინო ხელი იმაზე, რომ იგი საქმის კურსშია ჩაყენებული შესაძლო საფრთხის შესახებ.

ცხოვრება გაიძულებს.

მასმედია თითქოს ჩასაფრებულია, „დანაშაულის" საპოვნელად და სკანდალის ასაგორებლად. ერთხელ ჩემთან ჟურნალისტი გოგონა მოვიდა, ალბათ, 25 წლისა, და როგორც პროკურორმა დაკითხვა მომინწყო. ვუთხარი:

— შვილო, თუ კონტროლის პალატიდან ან პროკურატურიდან ხართ, მაშინ ჩემი პასუხი იქნება — მიბრძანდით ბუღალტერიაში და გაგარკვევენ. თუ ჟურნალისტი ხართ, ნუთუ არ გაინტერესებთ, სად მოხვედით, რას ვაკეთებთ, რას ვმკურნალობთ?

ეგ არ მაინტერესებსო. თქვენ და ჩემ შორის განსხვავება არ არის, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, თქვენ — თქვენსას.

ჭკუა დამარიგა.

**— უსუსური მცდელობაა მიკრო „ექიმთა საქმის" — გასული საუკუნის ცნობილი პროვოკაციის აგორების, საზოგადოებისთვის იმ აზრის ჩაგონების, რომ ექიმები, როგორც ძველი ფორმაციის ყველა სპეციალისტი, „ჩასარეცხები", „მავნებლები" და „ხალხის მტრები" არიან. რა ნდობაზე შეიძლება ასეთ ვითარებაში ლაპარაკი?!**

— მე არ ვუყურებ ქართულ ტელეარხებს, მხოლოდ შემეცნებით პროგრამებს ვრთავ. მაგრამ მასმედია, ეტყობა, იმით ხელმძღვანელობს, რომ მასას მაინც და მაინც სკანდალური ამბების მოსმენა სურს.

**ეს მცდარი და მავნე პოლიტიკაა, რადგან ამ შემთხვევაში ყველაზე ცუდ დღეში ავადმყოფები ვარდებიან, არ იციან, ვის ენდონ და ენდონ კი ექიმებს საერთოდ? ამას კი უამრავი უბედურება მოჰყვება, როგორც წესი.**

**— ექიმი თავის ჯანმრთელობაზე ზრუნავს?**

— თუ ჩემზეა ლაპარაკი, არა. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს დამიმუხრუჭებია. ამ ნიშნით ფატალისტი ვარ: რაც მოსახდენია, მოხდეს! წელს ვიყავი ლაიფციგში, სადაც ჩემი გული გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ ის უფრო უკეთესია, ვიდრე უწინ იყო. ექიმს ვკითხე: სიგარეტს ვეწევი, როგორ მოვიქცე-მეთქი? ჩემთვის და თქვენთვის სიგარეტისთვის თავის დანებება უკვე გვიანააო. ინფარქტი რომ გადავიტანე, სტენტირება გამიკეთეს და მეორე დღეს ოპერაციაზე ვიყავი. არც შვებულებაში გავსულვარ, არც დამისვენია.

**კონკურენცია ძალიან გამძაფრდა. აშენდა ახალი კლინიკები, მასობრივად ინერგება ახალი ტექნოლოგიები. ჩემი სიმდიდრე ისაა, რომ ჩვენ რომ გვყავს, ასეთი გუნდი არსად არ არის. არ მერიდება ამის თქმა.** შარშან საიუბილეო კონფერენცია რომ ჩავატარეთ, საკუთარ თავს ვუთხარი: მოკვდა ის დრო, როცა მოხსენებებს კითხულობდნენ. ამას „ცოცხალი ქირურგია" სჯობია. ჩვენ აქ გვაქვს ექვსი საოპერაციო, საიდანაც „მეტეხის" კონფერენცდარბაზში რეალურ დროში გადაიცემოდა ოპერაციები, რომლებსაც ჩვენი ქირურგები აკეთებდნენ. მათთან დამყარებული იყო ორმხრივი კავშირი, კონფერენციის მონაწილეებს შეეძლოთ ოპერაციის მსვლელობისას შეკითხვით მიემართათ ჩვენებისთვის და პასუხიც ოპერატიულად მიეღოთ.

ფანტასტიური ოპერაციები გაკეთდა და არც ერთი მე არ გამიკეთებია. რამდენიმე უცხოელს წინადადება მივეცი, თვითონ გაკეთებინათ ოპერაციები.

უშიშარი კაცი ვარ, მაგრამ ერთადერთი, რისიც მეშინია, არის ის, რომ ჩემი არავინ წავიდეს ახალ კლინიკებში.

**— იყო ამის მცდელობა?**

— ერთადერთი ქალბატონი წავიდა ჰემოლიზის განყოფილებაში. გულდასაწყვეტი იყო. მაგრამ იგი ჩვენთვის, ასე ვთქვათ, თანმდევი პროდუქტი იყო. ყველა წამყვანი სპეციალისტი ადგილზეა.

**— ესე იგი, ვერავინ მოგერიათ.**

— ვერ მოგვერია, მაგრამ ვიცი, რით ცდილობენ მორევას. ძალიან წარმატებულად აკეთებს ჩხოტუა თირკმლის გადანერგვას. კონკურენტები აპირებენ, გერმანიიდან ჩამოიყვანონ ქირურგი, რომელიც მათთან გააკეთებს მსგავს ოპერაციებს. ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში რა დარგიც წარმატებულია (ამაზე მინდა მინისტრს ვესაუბრო), რა საჭიროა მაინც და მაინც უცხოეთიდან სპეციალისტის ჩამოყვანა?! ამით თქვენ ებრძვით ადგილობრივ კადრებს, ხელს არ უწყობთ მათი ავტორიტეტის ამაღლებას.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

P.S. არ დამავიწყდეს, ბატონი ლაური მანაგაძის სამეცნიერო ტიტულებს შორის ერთი სრულიად გამორჩეულია:

— დამაფასეს და ამირჩიეს ევროპის უროლოგთა ასოციაციის საპატიო წევრად, — მორიდებით მითხრა მან.

**გამოცდილებამ დამანახა, რომ ერთია, როცა პაციენტი არის ექიმი ან საზოგადოდ ცნობილი პიროვნება და სულ სხვაა პათოლოგიურად მშიშარა ადამიანი, რომელიც, როგორც გოლგოთაზე, ისე მიდის საოპერაციოდ**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეთანხმება, რომელსაც კონგრესმა ვალის ზედა ზღვრის გაზრდასთან დაკავშირებით, ძირითადად, ობამასა და დემოკრატების სისუსტის წყალობით მიაღწია, სინამდვილეში გაუაზრებელი იდეებისა და თვითდისკრედიტირებადი თეორიების ძალზე ნიშანდობლივი კომბინაციაა.**




# ერთი ნაბიჯი აბსოლუტურ ქაოსამდე

## გაფრთხილებულნი



**დიმიტრი მედვედევი, რფ-ის პრეზიდენტი:**

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა სასწრაფოდ უნდა გაატაროს რეფორმები, შეურიგდეს ოპოზიციას, აღადგინოს ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობა და შექმნას თანამედროვე სახელმწიფო. თუ ის ამ ყველაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს, სამწუხარო ბედი ელის.

*inotv.rt.com*



**ვლადიმერ პუტინი, რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

ამერიკის ეკონომიკა დოლარის მონოპოლიზმით პარაზიტობს. კმაყოფილი ვარ იმით, რომ აშშ-მა მიიღო საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, აეწია სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი და თავი დაეღწია დეფოლტისგან. საერთო ჯამში, ამაში კარგი არაფერია, ამან მხოლოდ გადაავადა უფრო სისტემური გადაწყვეტილებების მიღება.

*ng.ru*



**უგო ჩავესი, ვენესუელის პრეზიდენტი:**

ვეთანხმები იმას, რაც ჩვენმა მეგობარმა, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ბრძანა: ამერიკა მსოფლიო ეკონომიკის ჭეშმარიტი პარაზიტია! ახლა სტრატეგიული ბოლივარიანული წინადადება სუკრეს, როგორც ახალი ვალუტის შექმნის შესახებ, უმაღლეს ღირებულებას იძენს. ძირს დოლარის დიქტატურა!

*rosbalt.ru*



**ჰილარი კლინტონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**

სირიის მოქმედმა ხელისუფლებამ, უკვე დიდი ხანია, სირიელთა თვალში ლეგიტიმურობა დაკარგა. ჩვენ ვხედავთ, რომ ასადის რეჟიმი განაგრძობს და აძლიერებს სამხედრო მოქმედებებს თავისივე ხალხის წინააღმდეგ. ჩვენი გათვლით, ხელისუფლების სინდისზე დაახლოებით ორი ათასი ადამიანის სიცოცხლეა.

*newsland.ru*



**დიმიტრი როგოზინი, რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ნატოში:**

დარწმუნებული ვარ, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უკვე დაგეგმა სამხედრო ოპერაცია სირიის წინააღმდეგ. ეს შეიძლება გახდეს იმ ცეცხლოვანი და საინფორმაციო ოპერაციების ლოგიკური დასასრული... ევროპას ომი არ სურს, გარდა ცალკეული ქვეყნებისა, მაგალითად საფრანგეთისა.

*vz.ru*

**ამერიკის პრეზიდენტის კარიკატურა პირველად მაშინ ვნახე, როდესაც ქვეყანას ბილ კლინტონი მართავდა. რესპუბლიკელები მას თავაშვებულ, არაფრის მაქნის უსაქმურად გამოსახავდნენ. მოგვიანებით ვიხილე დემოკრატების კარიკატურა ჯორჯ ბუშზე, რომელიც სულელ და მეომარ რელიგიურ უტვინოს ჰგავდა. ცხადია, ეს კარიკატურები სინამდვილეს სრულად არ შეესაბამებოდა და ვერც ასახავდა, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანწილად დასამახსოვრებელიც აღმოჩნდა და ეფექტურიც, თანაც — სწორედ სიმართლესთან მიახლოებულობის გამო — ბილ კლინტონი მართლაც სარგებლობდა წარმატებით სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის, ჯორჯ ბუში კი მართლაც წაიშტერებდა.**







ბარაკ ობამას კარიკატურა, როგორც უკომპრომისო იდეოლოგის, შეშლილი გამოხედვის მქონე რადიკალის, რომელმაც მტკიცედ განიზრახა, ამერიკის შეერთებული შტატები ანომალიურ სოციალისტურ ანტიუტოპიად აქციოს, საკმაოდ სულელურად გამოიყურება, უკანასკნელი მოვლენების შემდეგ კი საერთოდაც გადასაგდებია. **პოლიტიკური და სამართლებრივი მანევრირების იმ შავბნელ დეტალებში ჩაუღრმავებლად, რითაც ვაშინგტონი მთელი ზაფხულის განმავლობაში იყო დაკავებული, შეიძლება ითქვას, ობამამ დაუთმო დიდებულ ბებერ პარტიას და მისცა მას გამარჯვება, რომელიც იმდენად იოლი, დრამატული და დამანგრეველი აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკელები ამ დრომდეც ვერ უჯერებენ საკუთარ თვალებს.**

სენატის უმცირესობის ლიდერი, კენკუტელი მიჩ მაკკონელი, რომელმაც ცუდად შენიღბული სიხარულით მიიღო ცნობა მიღწეული შეთანხმების შესახებ, ამბობს: **„ჩვენ მივაღწიეთ საუბრის მიმართულების სრულად შეცვლას. ჩვენ მივაღწევინეთ ამ გამოფიტულ ადმინისტრაციას ხარჯების შემცირებასა და გადასახადების გაუზრდელობამდე. ოცნებაც კი არავის შეეძლო იმაზე, რომ მხოლოდ ერთი პალატის კონტროლირებითა და სენატში უმცირესობით ჩვენ შევძლებდით გვეიძულებინა ლიბერალური პრეზიდენტი, დათანხმებოდა დანახარჯების შემცირებას 3 ტრილიონი დოლარით, გადასახადების გაზრდის გარეშე. არავინ ფიქრობდა, რომ ეს საერთოდ შესაძლებელია".**

მაკკონელის ეს ფრაზები მხოლოდ პარტიული ბაქიაობა არაა. დემოკრატების დამარცხების მასშტაბები მართლაც ძნელი წარმოსადგენია, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რომ მათ ეკუთვნის პრეზიდენტის სავარძელიცა და სენატიც და რომ რესპუბლიკური ფრაქცია, მიუხედავად რკინისებური დისციპლინის მოჩვენებითობისა, შიდა კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით იხლიჩება. ჩვეულებრივ, ამ კონფლიქტებს შეიძლება არც მიექცეს ყურადღება, ვიდრე პრობლემები პერიფერიული ხასიათისაა და დიდებული ბებერი პარტიის დამფინანსებელი მდიდარი კორპორაციების ინტერესებს არ ეხება. **რესპუბლიკელებს შეუძლიათ პერიოდულად მსუბუქად დაიჩივლონ ერთსქესიანი ქორწინებების გამო, მოითხოვონ გადასახადების შემცირება ან აგიტაცია გაუწიონ ახალ სამხედრო ინტერვენციას. მათ ამ ყველაფრის კეთება იმიტომ შეუძლიათ, რომ აღნიშნული საკითხები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს კორპორატიული მთავრობისთვის და განსაკუთრებული ინტერესების იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც კონსერვატორების კოალიციას შეადგენენ. მაგრამ, როდესაც საუბარი ეხება ამერიკული სახელმწიფოს ფუძემდებლურ საფინანსო-საბიუჯეტო სტაბილურობას, ჩაის პარტიელები უმალ მხოლობით რიცხვში რჩებიან — რესპუბლიკური პარტიის სპონსორებს ოდნავაც არ ადარდებთ აბსტრაქტული იდეები. ისინი საკუთარი სიმდიდრისა და ძალაუფლების შენარჩუნებაზე ზრუნავენ. ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის განადგურება მათი გეგმების ნაწილს არ წარმოადგენს.**

რესპუბლიკელთა რიგებში შიდა კონფლიქტები, წინააღმდეგობები ჭეშმარიტ მორწმუნეებსა და კარიერისტებს, ნახევრადშეშლილ იდეოლოგებსა და იმ ნაცრისფერ მუქთახორებს შორის, რომლებიც, როგორც წესი, საზოგადოებას ემალებიან, ლამის ზედაპირზე ამოიფრქვა გეიზერივით. რესპუბლიკელებთან მომუშავე რამდენიმე ადამიანი ირწმუნებოდა, რომ **ბოლო პერიოდში კონგრესში შექმნილი ატმოსფერო აბსოლუტურ ქაოსსა და ძლივს შეკავებულ მანიაკალურ აფეთქებას მოგაგონებდათ. მთელი გარეგნული კეთილგონიერება, ზომიერება და წესიერება სადღაც გაქრა.** ერთ მომენტში რამდენიმე ათეულმა კონგრესმენმა ისტერიულად მოითხოვა, სამსახურიდან გაეგდოთ ერთ-ერთი თანაშემწე, ვინაიდან გაირკვა, რომ ეს უკანასკნელი ელექტრონულ ფოსტას აგზავნიდა კონსერვატიული ამომრჩევლების ორგანიზაციებში და კანონპროექტის წინააღმდეგ გამოსვლისკენ მოუწოდებდა. ერთ-ერთი კონგრესმენი, რომლის ხმასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, იმდენად იყო შეშინებული, ჩაის პარტიის კანდიდატს არ დაემარცხებინა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში თავისი მაგიდის უკან იმალებოდა, რომ არავის დაენახა და ჯონ ბენარს კედელთან არ მიემწყვდია. **გადაჭარბებული არ იქნება, ითქვას, რომ რესპუბლიკელები უკვე მზად იყვნენ დანებებულიყვნენ, როდესაც მოულოდნელად დემოკრატებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს.**

**ისტორიკოსები სწორედ ამას დაიმახსოვრებენ. ისინი არ დაწერენ იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ისმოდა რესპუბლიკელების ბანაკში დანების ალესვის ხმა და არც იმ არეულობაზე, რომელიც წუთიწუთზე დაიწყებოდა კონსერვატორული მოძრაობის რიგებში, დემოკრატებს რომ თავიანთი პოზიცია არ დაეთმოთ. სამაგიეროდ, ისინი დაწერენ იმ შოკისმომგვრელ სიმსუბუქეზე, რომლითაც ობამამ ლამის შემთხვევით დაუთმო გამარჯვება თავის ყველაზე შეურიგებელ მტრებს.**

და რა იქნება ახლა? საით წავა ამერიკის შეერთებული შტატები დანახარჯების მკვეთრად შემცირებისა და გადასახადების გაუზრდელად სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის გაზრდის შემდეგ; გადასახადებისა, რომლებიც საერთო შიდა პროდუქტთან მიმართებაში უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულზეა? იმისათვის, რომ ამ კითხვაზე პასუხი მივიღოთ, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ ბრიტანეთის ბოლოდროინდელ გამოცდილებაზე, რამაც უმკაცრესი ეკონომიის საკუთარი ექსპერიმენტით გზა გაკვალა ზრდის სტიმულირებისკენ. ძალზე მხეცურად გამოიყურება აზრი იმის შესახებ, რომ განია რეცესიისას დანახარჯების მკვეთრად შემცირება კერძო სექტორის „თავდაჯერებულობისა და ნდობის" ამაღლებას განაპირობებს და ის რაღაც მაგიური საშუალებებით უმალ უზრუნველყოფს უდიდეს ზრდას. დიახ, ეს იდეა აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლურ წესებთან და შედეგებიც უკვე სახეზეა:

**უკვე ზედიზედ მეხუთე თვეა, სამრეწველო წარმოება არ ამართლებს მოლოდინს. გასული ნახევარი წლის განმავლობაში ძირითადი პირობითი ინდექსი 12,5 პუნქტით დაეცა. ეს რეკორდული მაჩვენებელია, რომელსაც მხოლოდ 2008 წლის Lehman-ის კრახის პერიოდი ართმევს პირველობას... მიწოდების ჯაჭვში დროებითი ჩავარდნები, რამაც მაისში წარმოების შემცირება განაპირობა, შეწყდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ივლისის სუსტ მაჩვენებლებს შესაძლოა სტრუქტურული ხასიათი ჰქონდეს.**

**შეთანხმება, რომელსაც კონგრესმა ვალის ზედა ზღვრის გაზრდასთან დაკავშირებით, ძირითადად, ობამასა და დემოკრატების სისუსტის წყალობით მიაღწია, სინამდვილეში გაუაზრებელი იდეებისა და თვითდისკრედიტირებადი თეორიების ძალზე ნიშანდობლივი კომბინაციაა.** რაც მთავარია, ის არანაირად არ აგვარებს სტრუქტურული საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემას, იმიტომ, რომ ამ შეთანხმებაში წინასწარგანზრახულად არ ჩაიდო აბსოლუტურად არაფერი, რაც ხელს შეუწყობდა შემოსავლების გაზრდას. კი, ხარჯები შემცირდება, მაგრამ შემცირდება მხოლოდ ოდნავ და ეს უახლოეს და საშუალო ხანგრძლივობის პერიოდში მხოლოდ შეაჩერებს ეკონომიკურ ზრდას. ვალისა და საერთო შიდა პროდუქტის მოცულობათა თანაფარდობის სტაბილიზებისთვის კი ეს ცალსახად არაა საკმარისი. **ამ მასშტაბებით დანახარჯების შემცირება არამც თუ სასარგებლო, მავნებელიც კია, პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ მხრივ შეთანხმება პრაქტიკულად არავის მოექონება, მაგრამ ის უმაღლეს დონემდე მოსალოდნელ ზიანს მიაყენებს მილიონობით ადამიანს და ძალზე სიმბოლურად გამოიყურება იმ დროისა და ადგილისათვის, სადაც იქნა კიდეც მიღწეული — XXI საუკუნის ამერიკაში, რომელიც უკვე საგრძნობლად გაგიჟდა.**

inosmi.ru

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი ჩინოვნიკები არ უნდა ცდილობდნენ, დეტალურად აკონტროლონ მიმდინარე მოვლენები. ისინი არ არიან ღმერთები და არ არიან ვალდებულნი, ღელავდნენ ყველაფერზე, რაც ამ პლანეტაზე ხდება. მით უფრო, არ არიან ვალდებულნი, ილაპარაკონ იმაზე, რაშიც ვერ ერკვევიან.**

# ამერიკული საგარეო პოლიტიკის კრახი



**ობამას ადმინისტრაციას სურს, რომ იემენმა ჩამოაგდოს თავისი დიქტატორი, მაგრამ მხარს უჭერს დიქტატორს, რომელიც მეზობელ საუდის არაბეთს მართავს. რაც შეეხება სირიას, ვაშინგტონი აღარ მიიჩნევს, რომ მისი დიქტატორი ხელისუფლებაში უნდა დარჩეს, მაგრამ პირდაპირაც არ ამბობს, რომ უნდა წავიდეს. საინტერესოა, ნუთუ ამერიკელი ჩინოვნიკები მართლა ფიქრობენ, რომ დედამიწაზე ვინმეს აინტერესებს მათი გამუდმებით ცვალებადი აზრი იმის თაობაზე, თუ ვინ და სად უნდა მართავდეს ქვეყანას?!**



**რაღაც დოზით ვაშინგტონი შეიძლება რეჟიმის შეცვლას შეეცადოს, მაგრამ მხოლოდ რაღაც დოზით. სირიის ბედი კი საბოლოოდ მაინც სირიის ქუჩებში წყდება და არა აშშ-ში**

გულწრფელი რწმენა იმისა, რომ ყველა და ყველგან ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ვაშინგტონის აზრს უნდა ითვალისწინებდეს, ამერიკული საგარეო პოლიტიკის ყველაზე არამიმზიდველი მახასიათებელია. უცხოეთის არც ერთ ქვეყანას არ უნდა მოაკლდეს ვაშინგტონის ბრძნული რჩევები. არც ერთი უცხოური ეკონომიკა არ შეიძლება იყოს იმდენად აყვავებული და არც ერთი პოლიტიკური სისტემა იმდენად რთული, რომ ამერიკელმა ჩინოვნიკებმა მისი განკითხვა ვერ მოახერხონ. არ შეიძლება არსებობდეს იმდენად ჩახლართული პრობლემა უცხოეთში, რომ ამერიკის მთავრობამ მის მოგვარებას არ მოჰკიდოს ხელი.

**პოლიტიკური ხრიკები, რომლებიც ვაშინგტონმა არაბული გაზაფხულის პერიოდში განახორციელა, მართლაც მშვენიერი სანახაობა იყო.**

როდესაც ეგვიპტეში პროტესტები დაიწყო, ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ეგვიპტელ დიქტატორ ჰოსნი მუბარაქს ძვირფასი მოკავშირე უწოდა. როდესაც რეჟიმმა ნგრევა დაიწყო, ადმინისტრაციამ დემოკრატიაზე ეტაპობრივ გადასვლას დაუჭირა მხარი. როდესაც რეჟიმის აღსასრული მოახლოვდა, ამერიკელი ჩინოვნიკები მუბარაქის ჩამოგდებას მიემხრნენ.

სხვისთვის საკუთარი შეხედულებების თავსმოხვევის ამ დემონსტრაციული მცდელობებიდან არც ერთს ოდნავი გავლენაც კი არ მოუხდენია ქაიროში მიმდინარე მოვლენებზე. ხალხი ქუჩებში იმიტომ გამოვიდა, რომ დიქტატორისგან დაიღალა, და არა იმიტომ, რომ ვაშინგტონმა დემოკრატიას დაუჭირა მხარი. პირიქით, **აშშ-ის ადმინისტრაცია, თავისი უგადრუკი მცდელობებით, როგორმე დასწეოდა ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს, უბრალოდ, საცოდავად გამოიყურებოდა.**

**ახლა აშშ-ის ხელისუფლება ზუსტად ასეთ როლს თამაშობს იემენში.**

როდესაც ქვეყანაში პირველად იფეთქა პროტესტმა, თეთრმა სახლმა პრეზიდენტ ალი აბდალა სალეხს დაუჭირა მხარი. მესამე მსოფლიოს ტიპიურმა ბანდიტმა სალეხმა ვაშინგტონის კეთილგანწყობა იმის წყალობით მოიპოვა, რომ ჯიჰადისტებისა და მათ შორის „ალ ქაიდას“ ადგილობრივი განშტოების წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადყოფნა გამოხატა.

მაგრამ იემენში წინააღმდეგობა გამწვავდა, ქუჩებში სისხლი დაიღვარა, სალეხის ძალაუფლება შეირყა და ობამას ადმინისტრაციამაც უმალ შეცვალა პოზიცია. ამ თვეში ვაშინგტონმა პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო საქმეთა საკითხებში, ჯონ ბრენანი სალეხთან შესახვედრად გაამწესა. ბრენანმა განაცხადა: **„ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევს, რომ იემენში რეჟიმის შეცვლა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, რათა იემენის ხალხმა საკუთარი გეგმების ცხოვრებაში განხორციელება შეძლოს“.**

ბრენანმა სალეხს გადადგომა ურჩია, მაგრამ იემენის ლიდერს მისი სიტყვებისთვის ოდნავი ყურადღებაც კი არ მიუქცევია. მაშინ ბრენანი იემენში „რეჟიმის სწრაფი შეცვლის“ ორგანიზებას შეუდგა და მოსინჯა, ვიცე-პრეზიდენტი აბედ რაბო მანსურა ხადი დაერწმუნებინა, ხელისუფლება მიეტაცებინა, ცხადია, — მხოლოდ დემოკრატიის სახელით. ხადიმ უარი განაცხადა.

**ცხადია, სალეხს ამჟამად სულ არ აინტერესებს, რას აკეთებდა წარსულში ვაშინგტონი მისთვის. სალეხისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რას აკეთებს ვაშინგტონი მისთვის ახლა. ის, რომ ოდესღაც ამერიკის ხელისუფლებამ მისი რეჟიმის დასახმარებლად არ იძუნწა, ახლა აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. ჯერჯერობით სალეხის ძირითადი და ერთადერთი მიზანია, ხელისუფლება შეინარჩუნოს.**

**სირიასთან დამოკიდებულების მხრივ ზუსტად ისეთივე საპნის ოპერა გამოგვივიდა.**

როდესაც სირიაში ფესვგადგმული ასადების ოჯახის დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტი დაიწყო, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს „რეფორმატორი“ უწოდა. როგორც ჩანს, ეს ქალბატონი წარსულში ცხოვრობს. როდესაც წლების წინ სირიის სათავეში მამამისი ჩაანაცვლა, ზოგიერთი ანალიტიკოსი მართლა იმედოვნებდა, რომ ბაშარი ქვეყნის მოდერნიზაციასა და ლიბერალიზაციას განახორციელებდა. მაგრამ ეს მკვდრადშობილი ოცნებები აღმოჩნდა. საუკეთესო, რაც ასადის შესახებ შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ჯერჯერობით მას მამამისზე ნაკლები ხალხი ჰყავს დახოცილი. **როდესაც სირიელი ხალხი აჯანყდა, ობამას ადმინისტრაციამ სიფრთხილე გამოიჩინა და დაიწყო მოწოდებები ასადის რეჟიმის მისამართით, მიემართა დიალოგისთვის და არა ძალადობისთვის. ვაშინგტონმა უარი თქვა ვარაუდის გამოთქმაზეც კი, რომ ასადი უნდა წავიდეს.**

როგორც „ვაშინგტონ პოსტს“ სახელმწიფო დეპარტამენტიდან ანონიმურმა წყარომ განუცხადა, სახელმწიფო მდივანი კლინტონი **„თავიდან ფიქრობდა, რომ სწორი იქნებოდა, ასადისათვის მანევრირების სივრცე დაეტოვებინათ, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ იგი სულ უფრო მკაცრად უსწორდება საკუთარ ხალხს“.**

რა უცნაურია! დაუნდობელ დიქტატორს, რომელიც მამამისივით არაადამიანურად მართავს ქვეყანას, გამოსწორება არ სურს! ნუთუ ობამას ადმინისტრაციას ეს აკვირვებს?

**ჩნდება ძლიერი ცდუნება, ვივარაუდოთ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკას სულელები უდგანან სათავეში.**

შედეგად, რამდენიმე თვის შემდეგ პრეზიდენტმა ობამამ და სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა, ბოლოს და ბოლოს, აღიარეს, რომ პრეზიდენტი ასადი არც ისე კარგი ბიჭია. ამიტომ ახლა მათ სურთ, რომ ის წავიდეს, ან იქნებ არც უნდათ?!

პრეზიდენტმა ობამამ განმარტა: **„ჩვენ ვხედავთ, როგორ კარგავს პრეზიდენტი ასადი ლეგიტიმურობას საკუთარი ხალხის თვალში“.** სახელმწიფო მდივანმა კლინტონმაც რაღაც მსგავსი თქვა: **„არ ღირს პრეზიდენტ ასადის შეუცვლელად მიჩნევა და ჩვენ აბსოლუტურად არ მივისწრაფით იმისკენ, რომ ის ხელისუფლებაში დარჩეს,“** — დასძინა მან.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ასადი უნდა წავიდეს? თუ მას აქვს კიდევ ერთი, უკანასკნელი შანსი?

როგორც ჩანს, ადმინისტრაციამ ის, უბრალოდ, შემდეგი შობისთვის ურჩი ბავშვების სიაში შეიყვანა. გამოაცხადა რა, რომ ასადმა დაკარგა ლეგიტიმურობა, კლინტონმა უმალ უკან დაიხია და დაამატა, კვლავინდებურად ვიმედოვნებ, რომ ასადი პოლიტიკურ რეფორმებს დაიწყებსო. როგორც „ვაშინგტონ პოსტს“ ზემოხსენებულმა წყარომ განუცხადა: **„წავალთ თუ არა უფრო შორს, დამოკიდებულია ადგილზე მიმდინარე მოვლენებზე“.** ბოლოს და ბოლოს, **„კარგად უნდა მოვიფიქროთ, რას ვიტყვით“.**

სამწუხაროდ, რამდენად კარგადაც არ უნდა მოიფიქროს ადმინისტრაციამ საკუთარი განცხადებები, პრეზიდენტი ასადი ამ განცხადებებს, უბრალოდ, არ აქცევს ყურადღებას. ის კვლავაც პრეზიდენტია, მისი ძმა კვლავინდებურად აკონტროლებს სპეცსამსახურებს, სირიის მთავრობა კი კვლავაც მისიანებისგან შედგება. როგორც ჩანს, პრეზიდენტი ასადი მიიჩნევს, რომ მისი ლეგიტიმურობა დამოკიდებულია მისი ჯარისკაცების მზადყოფნაზე, ისროლონ და არა იმაზე, თუ რას ფიქრობენ ვაშინგტონში.

თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა მტკიცედ განაცხადა: **„დარწმუნებულნი ვართ, რომ სირიას წარსულში დაბრუნება არ შეუძლია“.** მაგრამ რა იქნება, თუ ასადის რეჟიმი დარჩება? მზადაა კლინტონი, რომ ამ შემთხვევაში რაიმე გააკეთოს? თუ არა, ჩვენს წინაშეა ცარიელი მუქარის ბრწყინვალე მაგალითი.

**ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ აშშ-ის ხელისუფლება თავის სახალხოდ გამოთქმული პოზიციის კომპრომეტირებას ახდენს. რაულ მარკ გერეხტი დემოკრატიის დაცვის ფონდიდან წერს: „სირიასთან მიმართებაში ადმინისტრაციის პოლიტიკა, როგორც ჩანს, ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას დაკარგულ უმთავრეს შესაძლებლობად იქცევა“.**

მაგრამ რეალურად ვაშინგტონს მოქმედების არც ისე ბევრი ვარიანტი აქვს — უკიდურეს შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციას არ სურს, კიდევ ერთი უსარგებლო ომი წამოიწყოს კიდევ ერთ მუსლიმანურ ქვეყანაში.

**რაღაც დოზით ვაშინგტონი შეიძლება რეჟიმის შეცვლას შეეცადოს, მაგრამ მხოლოდ რაღაც დოზით. სირიის ბედი კი საბოლოოდ მაინც სირიის ქუჩებში წყდება და არა აშშ-ში.**

გარდა ამისა, სირიელი დიქტატორის ჩამოგდება თავისთავად არაფრისმომცემია. ავტორიტარული სისტემის გატეხვა საკმარისი არაა. კიდევ საჭიროა მის ადგილას სრულფასოვანი ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოების შექმნა. **ახლა ეგვიპტე ჰოსნი მუბარაქის სამხედრო დიქტატურიდან ანონიმური ოფიცრების სამხედრო დიქტატურაზე გადასვლის საფრთხის წინაშე დგას.** სირიაში ისლამური ექსტრემიზმის განვითარებასთან დაკავშირებული შიშები ზედმეტადაა გაბერილი, თუმცა რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს უდავოდ აქვთ „დემოკრატიულ“ სირიაში საკუთარ მომავალზე ღელვის საფუძველი. **ეგვიპტისა და ერაყის გამოცდილება შეშფოთების საკმაო მიზეზს იძლევა.**

იმის ნაცვლად, რომ ატმოსფერო ცარიელი ლაყბობით გააჯერონ, ამერიკელი ჩინოვნიკები უნდა დადუმდნენ. როდესაც რომელიღაც ქვეყანაში მორიგი კრიზისი იწყება, მათ არაფერი ან თითქმის არაფერი უნდა თქვან.

ვაშინგტონი უნდა ცდილობდეს, სხვათა კონფლიქტებს გაემიჯნოს. აშშ-ის ხელისუფლება ხაზს უნდა უსვამდეს თავის პრინციპულობას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისადმი ერთგულების საკითხში. მაგრამ ამავე დროს **ამერიკელი ჩინოვნიკები არ უნდა ცდილობდნენ, დეტალურად აკონტროლონ მიმდინარე მოვლენები. ისინი არ არიან ღმერთები და არ არიან ვალდებულნი, ღელავდნენ ყველაფერზე, რაც ამ პლანეტაზე ხდება. მით უფრო, არ არიან ვალდებულნი, ილაპარაკონ იმაზე, რაშიც ვერ ერკვევიან.** ვაშინგტონს შეუძლია ინდივიდუალურად გასცეს სასარგებლო რჩევები ოპოზიციონერთათვის. ზოგიერთ უიშვიათეს შემთხვევაში, დახმარების დაპირება შესაძლოა რეფორმებს წაეხმაროს, მაგრამ **ამერიკელ ჩინოვნიკებს არ უნდა დაავიწყდეთ ის სავალალო გამოცდილება და საკუთარი უუნარობა იწინასწარმეტყველონ, მით უმეტეს — აკონტროლონ მოვლენები, რომლებიც საზღვარგარეთ ხდება.** ამგვარი დიფერენცირებული მიდგომა წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნებოდა ახლანდელ პოლიტიკასთან შედარებით.

ვაშინგტონს აქვს სავსებით გასაგები მიზეზები რეალური პოლიტიკის სფეროში საიმისოდ, რომ ირანულ ტირანიას საუდური არჩიოს, მაგრამ, თუ აშშ-ის წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში ქადაგებენ დემოკრატიას, ერთ რეჟიმს ბომბავენ, მეორეს — აკრიტიკებენ, ძნელი ასახსნელია, რატომ არ ადარდებს ვაშინგტონს ტირანების უღელქვეშ ტანჯული საუდის არაბეთისა და ბაჰრეინის ხალხი. გარდა ამისა, თუ უფრო მოკრძალებულად და ჩუმად იქნებიან, ამერიკელი ჩინოვნიკებისთვის გაცილებით იოლი იქნება, პრაქტიკულ რეალობას ისე მოერგონ, რომ ფუძემდებლური პრინციპები ასე აშკარად არ გაწირონ.

**როდესაც სადმე, რომელიმე სახელმწიფოში, მორიგი კრიზისი იწყება, პრეზიდენტმა თავაზიანად უნდა განაცხადოს, რომ ეს არაა ჩვენი საქმე. საუბარი არაა იმაზე, რომ ამერიკა სხვათა პრობლემებისადმი გულგრილი გახდეს, მაგრამ მისი არაგულგრილობა ავტომატურად არ უნდა გადადიოდეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში.**

ცხადია, ვაშინგტონისთვის ეს არაბუნებრივი რეაქცია იქნებოდა, მაგრამ მსგავსი სტრატეგია ბევრად უკეთესია, ვიდრე ის, რასაც ობამას ადმინისტრაცია საკუთარ საგარეო პოლიტიკას უწოდებს.

**The National Interest**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატომ ვერ შეაფასა ლიბიის ჯარების მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა. აშშ-ისა და ნატოს ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ კადაფის არმია პირველივე დარტყმების შემდეგ დაიშლებოდა და მასობრივად ტყვედ ჩაბარდებოდა, მაგრამ არმიამ შეინარჩუნა ბრძოლისუნარიანობა.**

# ლიბიური ჯოჯოხეთის ოთხი თვე



**ლიბიის წინააღმდეგ მიმდინარე ნატოს სამხედრო ოპერაცია, რომელსაც ძირითადად აშშ-ის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის არმიები აწარმოებენ, აჩქარებს საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სისტემის ჩამოყალიბებას. ამასთან ერთად, ომი წარმოგვიდგება როგორც პოლიგონი, სადაც რეალურ პირობებში გამოცდიან აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის სტრატეგიას აფრიკის ზონაში და სიახლეებს შეიარაღების სფეროში.**

**აშშ-ისა და ნატოს სტრატეგები შეცდნენ, როცა ივარაუდეს, რომ სამხედრო ოპერაცია რამდენიმე კვირაში დამთავრდებოდა. გაეროს უშიშროების საბჭოს №1973 რეზოლუციით, აიკრძალა ყოველგვარი ფრენები ლიბიის არაბეთის ჯამაჰირიის საჰაერო სივრცეში, დაწესდა ემბარგო შეიარაღების მიწოდებაზე, გაიყინა ლიბიის აქტივები.**

**ომი ლიბიაში რიგით მეხუთეა, რომელსაც აშშ ავღანეთში, ერაყში, პაკისტანსა და იემენში აწარმოებს.**

**რა მიზნები ამოძრავებთ ამერიკელებს, რატომ ესწრაფიან ფეხის მოკიდებას ლიბიაში? ექსპერტები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ აშშ-ს სურს, დასაჯოს კადაფი, რომელმაც უარი თქვა, შეერთებოდა აფრიკის ზონაში აშშ სამხედრო ძალების გაერთიანებულ სარდლობას, არ მისცეს რუსეთის ფლოტს ლიბიაში ბაზირების საშუალება, გაყაროს ამ ქვეყნიდან ჩინელები და გზა გადაუკეტოს ევროპელ პარტნიორებს ნავთობის მდიდარი საბადოებისკენ.**

## ომის სამხედრო-სტრატეგიული ასპექტები

**ომის 150 დღემ გამოამჟღავნა, რომ ნატოს ბლოკში ძალიან ცუდადაა დაყენებული პოლიტიკური და სამხედრო კოორდინაციის საქმე. სამხედრო ოპერაციის ინიციატორი საფრანგეთი მარტო ვერაფერს გააწყობდა ამერიკელების თვითმფრინავების, ფრთიანი რაკეტების, საწვავის მიმწოდებელი და სხვა ტექნიკის გარეშე.** ლიბიის წინააღმდეგ ათიოდე ბომბდამშენ-გამანადგურებლის — „ტორნადოს" გადასასროლად ინგლისელები იძულებული გახდნენ, თვითმფრინავების მარაგნაწილების გარეშე დაეტოვებინათ ავიაპარკის დიდი ნაწილი ინგლისში და შეეწყვიტათ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გამანადგურებლების ფრენა ქვეყანაში. ორიოდე თვეში ევროპელებმა იგრძნეს, რომ ელევათ საბრძოლო მასალები ამ ფრიად შეზღუდულ საომარ კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად.

**მაშ, როგორი ტიპის ომისთვის იყვნენ მზად?! ამ ომმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ევროპის სამხედრო მანქანის დონე და შესაძლებლობა.**

ლიბიის წინააღმდეგ ოპერაციის დაგეგმვას ხელმძღვანელობდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი აფრიკის ზონაში, რომელსაც გენერალი კ. ჰემი ხელმძღვანელობდა. ერთობლივი მოქმედების კოორდინაციისთვის შტაბში მივლინებულები იყვნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და კოალიციის სხვა ქვეყნების საჰაერო ძალების ოფიცრები. შემდგომი დაგეგმვა ნატოს ხელმძღვანელობას გადასცეს. მთავარ ამოცანად, როგორც ჩანს, დასახული იყო არა ლიბიის საჰაერო სივრცის ბლოკირება, არა ლიბიის ჯარების განადგურება, არამედ — ლიბიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მოსპობა.

**ნატომ ვერ შეაფასა ლიბიის ჯარების მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა. აშშ-ისა და ნატოს ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ კადაფის არმია პირველივე დარტყმების შემდეგ დაიშლებოდა და მასობრივად ტყვედ ჩაბარდებოდა, მაგრამ არმიამ შეინარჩუნა ბრძოლისუნარიანობა.**

ამრიგად, ნატომ და აშშ-მა ვერ მიაღწიეს დასახულ მიზნებს — ვერაფერი დააკლეს ლიბიის საბრძოლო ძლიერებას, ვერ დაამყარეს სრული კონტროლი ლიბიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და ქვეყნის დასავლეთ ნაწილზე.



**„კადაფისთან ჩვენ ბედნიერები არ ვიყავით, მაგრამ, როცა ჩვენ დავინახეთ ნატო, ჩვენს ყოფილ კოლონიურ ოკუპანტთან — იტალიასთან ერთად, ჩვენ დავფიქრდით...**

დასავლეთის კოალიციისთვის მოულოდნელად მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მუამარ კადაფის — 70 პროცენტი ჯამაჰირიის ლიდერის მხარეზე დგას ან ნეიტრალიტეტს იცავს. მთავრობის შეიარაღებულ ძალებთან ერთად იბრძვიან ადგილობრივი სახალხო თავდაცვის ფორმირებათა მეომრები და შეიარაღებული სახალხო მორიგეობის მოხალისეები. გამოდის, რომ **ლიბიის წინააღმდეგ მიმდინარე ოპერაციის ხელმძღვანელები „მშვიდობიან მოსახლეობად" მიიჩნევენ ამბოხებულ უმცირესობას და არა — კადაფისადმი ლოიალურად განწყობილ უმრავლესობას.**

მეორე მოულოდნელობა გახდა ის, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შემოგდებული სატყუარა ხალიფ ხაფტარი, ლიბიის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, რომელიც ქვეყნიდან 20 წლის წინათ გაიქცა და ამჟამად „რევოლუციონერთა" საბრძოლო დანაყოფებს ხელმძღვანელობს, ტომებს შორის ავტორიტეტით არ სარგებლობს. ყოფილი ამბოხებულების ერთი ნაწილი აცხადებს: **„კადაფისთან ჩვენ ბედნიერები არ ვიყავით, მაგრამ, როცა ჩვენ დავინახეთ ნატო, ჩვენს ყოფილ კოლონიურ ოკუპანტთან — იტალიასთან ერთად, ჩვენ დავფიქრდით... იგი დიქტატორია, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ჩვენ მასთან ერთად ვართ, 40 წელიწადზე მეტია, იგი ლიბიელი დიქტატორია, მაგრამ მან შეძლო ჩვენთვის შეექმნა ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე აფრიკაში".**

მესამე მოულოდნელობა — ახლა პროგნოზები იმის თაობაზე, რომ ქაოსის პირობებში „ალ ქაიდას" მრავალრიცხოვან ტერორისტულ დაჯგუფებათა მოთარეშეებს, რომლებიც ჩადში, ნიგერიაში, მალისა და მავრიტანიაში მოქმედებდნენ, შეეძლოთ გაეძარცვათ სამხედრო საწყობები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. „ბოევიკებმა" ხელთ იგდეს ხელყუმბარები РПГ-7, ტყვიამფრქვევები, კალაშნიკოვის ავტომატები, აგრეთვე, პერსონალური სარაკეტო-საზენიტო კომპლექსები. ლიბიიდან მალისა და ალჟირში იარაღის გადასატანად „ალ ქაიდამ" ისლამურ მაღრიბში (AQTM)" უკვე რამდენიმე ქარავნის ორგანიზება შეძლო.

## სამხედრო-ტექნიკური ასპექტები

**ლიბიაში სამხედრო მოქმედებების ერთ-ერთ თავისებურებად წარმოგვიდგა მართული იარაღის სისტემების მასშტაბური გამოყენება, რაც ხდება რეალურ დროში რადიოელექტრონული და ოპტიკური დაზვერვის კავშირის არხებით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით. მიზნის მითითების დიდმა სიზუსტემ შესაძლებელი გახადა, 85 პროცენტამდე გაეზარდათ მართული საბრძოლო მასალების გამოყენების წილი.**



„ქირურგიული" და „წერტილოვანი" დარტყმების კონცეფციის რეალიზაციისადმი მისწრაფება აისახა ტაქტიკური ფრთიანი რაკეტების — BGM-109 „ტომაჰავკების", ლაზერით მართული ამერიკული ბომბების — AG M-123, AGN-65 F Maverick რაკეტების, ჰაერი-ჰაერის კლასის რაკეტების, AASM ავიაბომბების, ავიაბაზირების ფრთიანი რაკეტებისა და სხვა ტიპის რაკეტებისა და ბომბების ფართოდ გამოყენებაში სამხედრო ოპერაციის დროს.

პირველად ლიბიის ომის პირობებში გამოიცადა წყალქვეშა Ohio-ს ტიპის რაკეტმზიდი Florida, ახალი ტიპის ტაქტიკური რაკეტა „ტომაჰავკი", აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავი EA-18G „გლოვერი", დიდი ბრიტანეთის მრავალმიზნიანი ავიაგამანადგურებელი Eurofighter Typhoon-ი, სახმელეთო დანაყოფების მხარდამჭერი მძიმე შეიარაღების თვითმფრინავი AC-130 u, უპილოტო ვერტმფრენი MQ-8B Fire Scout-ი. **აშშ-ისა და ნატოს ჯარება ლიბიაში გამოიყენეს ჯავშანსაწინააღმდეგო ურანის იარაღი და 2 ტონამდე წონის ვაკუუმური ბომბები.**

## „ომის ბიუჯეტი"

**2011 წლის 3 ივნისის მონაცემებით, ლიბიის ოპერაციის ხარჯმა მხოლოდ პენტაგონის ხაზით 715,9 მილიონი დოლარი შეადგინა. ამერიკელების ჰუმანიტარულმა დახმარებამ ერთი მილიონი დოლარი შეადგინა, კიდევ ერთი მილიონი ამერიკის სამხედრო უწყების რეზერვების შევსებას მოხმარდა. 30 სექტემბრამდე ლიბიის კომპანიისთვის დაიხარჯება დამატებით 400 მილიონი დოლარი. რაკეტები Storm Shadow და „ტომაჰავკი", რომლებთაც წყალქვეშა ნავებიდან უშვებენ, ღირს 1,1 მილიონი დოლარი და 800 ათასი ფუნტი სტერლინგი თითოეული.**

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ოპერაცია „გაერთიანებული თავდამცველი" საერთო დანახარჯიდან, რაც 53 მილიონ ევროს შეადგენს, საბრძოლო მასალაზე 3 მაისამდე დაიხარჯა 31,7 მილიონი ევრო (45 მილიონი დოლარი). მაღალი სიზუსტის მართული შეიარაღებისთვის დიდი ბრიტანეთის მიერ გაწეულმა ხარჯმა 8 მაისისთვის 43,77 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა (71,8 მილიონი აშშ დოლარი). ოთხი ბომბდამშენის — „ტორნადო GR4"-ის, სამი ევროგამანადგურებელ Typhoon-ის და უზრუნველყოფის თვითმფრინავების გაფრენის ორგანიზება დღეში 3,216 მილიონი ფუნტი სტერლინგი ჯდება. თვითფრინავ „ტორნადოს" ერთსაათიანი ექსპლუატაცია 33 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს (ეკიპაჟის სწავლების, საწვავისა და კაპიტალური ხარჯების ჩათვლით), Typhoon-ისა — 80 ათასი ფუნტი საათში. იტალიის თავდაცვის მინისტრმა იგნაციო ლა რუსმა უკვე განაცხადა, რომ ლიბიის ოპერაციაში მისი ქვეყნის ხარჯი ორჯერ და მეტად შემცირდება — 142-დან 60 მილიონ ევრომდე.

**ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ლიბიის წინააღმდეგ მიმდინარე საომარი ოპერაციის ხარჯები 30 სექტემბრისთვის 1,1 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

**ანატოლი ციგანოკი**

ანდრეს ბრეივიკის სასამართლო ევროპისთვის პოლიტიკური ცუნცვაგია:

საჯაროობა მისი იდეების პროპაგანდას ნიშნავს, სასამართლო პროცესის დახურულობა მას იდეისთვის შეწირულ ადამიანად აქცევს. არადა, მის გასამართლებაზე უარის თქმა შეუძლებელია.

თბილისი, დ. ბაქ



# ანდრეს ბრეივიკი — ტერორისტი თუ სპეცსამსახურების ბრმა იარაღი?!

**ანდერს ბერინგ ბრეივიკი XXI საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო ტერორისტად იქცა. იგი ყოველდღიურად სულ უფრო პოპულარული ხდება არა მარტო ევროპელი რადიკალების წრეებში, არამედ „წესიერ“ ადამიანთა შორისაც. ტრაგედია ოსლოსა და კუნძულ უტოიაზე №1 თემად იქცა მსოფლიო მედიაში და მნიშვნელოვნად გაუსწრო საბერძნეთში შესაძლო დეფოლტის საშიშროებას და აშშ-ის ტექნიკური დეფოლტის რისკს, ნატოს ძალების დანაშაულობებსა და ლიბიელ ამბოხებულთა მაროდიორობას ჩრდილოეთ აფრიკაში.**

## ეული სუპერმენი, რემბო და სუპერტვინი ერთ ადამიანში?

**ახალშობილი ნორვეგიელი ტერორისტი მარტოსული რომ ყოფილიყო, „ალ ქაიდას“ სპონსორებს მარილწაყრილი თავიანთი წინდები უმად უნდა ექამათ, რადგან ტექნიკურად ისე დაგეგმილი და საათივით აწყობილი შესრულებული სამუშაოთი, რომელსაც შედეგად მოჰყვა მაქსიმალური საზოგადოებრივი რეზონანსი მინიმალურად დახარჯული სახსრებით, ისტორიას ჯერ არ ახსოვს.**

**ჯერ ქრონომეტრაჟი განვიხილოთ:**

**15 საათსა და 25 წუთზე** აფეთქება ოსლოს ცენტრში, სამინისტროების რაიონში, ასაფეთქებელი მოწყობილობა — 100 კილოგრამამდე ტროტილის ეკვივალენტური. დეტონატორი არა მარტო ვერ აღმოაჩინეს, არამედ სპეციალისტებმა ვერ განსაზღვრეს მისი ტიპი;

**17 საათი და 00 წუთი** — ბოროტმოქმედი კუნძულ უტოიაზე საბორნე გადასასვლელზე მივიდა. ამ დროს კუნძულზე მუშათა პარტიის ახალგაზრდა პოლიტიკოსების შეკრება მიმდინარეობს (700 კაცამდე). კუნძული პირველი აფეთქების ადგილს 40 კილომეტრითაა დაშორებული, იქ მისასვლელად სახმელეთო (მანქანა) და საწყლოსნო (ნავი) ტრანსპორტი უნდა გამოიცვალო. ამ დროს (17.00 საათზე) ბანაკის სასადილოში მიმდინარეობს კრება, სადაც განიხილავენ ოსლოს ცენტრში მომხდარ მოვლენებს. „მარტოხელა“ ტერორისტი გარეთ იცდის და, როცა კრების მონაწილენი გამოსვლას იწყებენ, პოლიციელის ტანსაცმელში გამოწყობილი ბოროტმოქმედი სროლის დაწყებამდე განაცხადებს: **„გამოდით, ნუ გეშინიათ. თქვენ გადარჩენილები ხართ. მე პოლიციელი ვარ“ —** და იწყებს სროლას.

**17 საათი და 30 წუთი** — პოლიციაში რეკავენ, რომ კუნძულზე სროლაა;

**19 საათი და 00 წუთი** — პოლიციამ დააკავა ბოროტმოქმედი, რომელიც საათ-ნახევრის მანძილზე ადამიანებზე ნადირობდა!

**პოლიციელს, რომელსაც კუნძულის დაცვა ევალა, რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ პოულობენ. თუ ტერორისტმა მოკლა იგი, მაშინ როგორ მოახერხა მისი ისე დამალვა, რომ დღემდე ვერ პოულობენ? თუ არ მოკლა, სად გაქრა წესრიგის დამცველი?**

ჩნდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტერაქტის ორგანიზების გეგმა ბრეივიკმა გადმოსცა თავის 1518 გვერდიან „ეპოქალურ ნაშრომში“ — **„2083 წლის ევროპის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“,** რომელიც ქსელით გაავრცელა.

გამოდის, რომ 32 წლის ნორვეგიელი ბოროტი გენიოსი და ხელმარჯვე ოსტატი იყო: მაღალი კლასის ინჟინერი, ქიმიკოსი, მსროლელი, ამასთან, ინფორმაციის გავრცელების სპეციალისტი. პარალელურად იგი ახერხებდა მუშაობას, მეზობლებთან ისეთი ურთიერთობის დამყარებას, რომ არავინ დაეჭვებულა მის მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში, ანუ ამასთან ერთად შესანიშნავი კონსპირატორიც იყო. მის ბიოგრაფიაში მინიშნებაც კი არ არის, რომ იგი ოდესმე და სადმე გადიოდა სპეციალურ მომზადებას რომელიმე ზემოთ აღნიშნულ დარგში. ყოველივე ამის ახსნა იმით, რომ იგი არმიაში მსახურობდა და სტუმრობდა სასროლო კლუბს, სასაცილოა. **ტერორისტის მიერ დემონსტრირებული განსწავლულობა მიგვანიშნებს კადრის ოფიცრის მრავალწლიან მომზადებაზე დივერსიული ოპერაციების სპეციალიზაციის კუთხით. ასეთი საქმიანობის შეთავსება ჩვეულებრივ საოფისე მუშაობასთან რეალურად წარმოუდგენელია — ვარჯიშისთვის დრო არ ეყოფა.**

ქრონოლოგიით გამოდის, რომ პოლიციამ, რომელსაც „პირდაპირი დერეფნის“ ყველა შესაძლებლობა გააჩნია, კუნძულზე მისვლა შეტყობინებიდან მხოლოდ საათ-ნახევრის შემდეგ მოახერხა. მაშასადამე, 40 კილომეტრის გავლას ერთი საათი მოანდომა, ანუ იმდენივე დრო, რაც ბრეივიკს ჩვეულებრივი ტრანსპორტით მგზავრობისთვის დასჭირდა დანაშაულის ადგილამდე მისასვლელად.



## ოპერაცია „თვალში ნაცრის შეყრა“

**2011 წლის 22 ივლისს, ოსლოში მასობრივ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, ნატომ განახორციელა ტერორისტული აქტი ლიბიის წინააღმდეგ — ბომბები დააყარა წყალგაყვანილობის სადგურს ალ-ბრეგში.** დაიღუპა 6 თანამშრომელი, დაიჭრა იმ კომპანიის გენერალური დირექტორი, რომელიც წყალს აწვდიდა ლიბიის სახლების 70 პროცენტს და ამზადებდა უდაბნოში ირიგაციის სისტემისთვის საჭირო მილებს. მეორე დღეს, 23 ივნისს, შაბათს მიწასთან გაასწორეს წყალგაყვანილობის სისტემის შესაკეთებელი მილების მწარმოებელი ქარხანა... პარალელი თვალშისაცემია: **ტერაქტი ოსლოში შესაძლებელია დაგეგმილი იყო როგორც სპეცოპერაცია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების გადასატანად ლიბიაში ნატოს ტერაქტებიდან და საჰარის მცხოვრებთა გენოციდიდან ნორვეგიის ტრაგედიაზე. ძალიან ჰგავს „ბენ ლადენის განადგურებით“ ნატოს ძალების მიერ მუამარ კადაფის ვაჟისა და მცირეწლოვანი შვილიშვილების მკვლელობის გადაფარვის მცდელობას.** დაახლოებით იმავე დროს აშშ-ის კონგრესმა, სენატმა და პრეზიდენტმა ვერ მოილაპარაკეს ამერიკის ტექნიკური დეფოლტის თავიდან აცილების საკითხებზე. ოსლოს ტერაქტის ფონზე ამ საშიშროებამ შეუმჩნევლად ჩაიარა.

## ტერაქტის ინფორმაციული თანხლება

1. წარმოუდგენელი სისწრაფით დაიწყო ქსელით „2083 წლის ევროპის დეკლარაციის“ გავრცელება, რომელშიც ტერორისტი ტერაქტისთვის მზადებას დეტალურად აღწერს. **დაუყოვნებლივ რატომ არ ამოიღეს ქსელიდან ეს დოკუმენტი?** — ეს არის პირველი შეკითხვა, რომელზეც პასუხი ჯერ არ არის.

2. მსოფლიო მასმედიაში, თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით, პრაქტიკულად გაქრა ბოლო თვეების ყველა რეზონანსული მოვლენა: დეფოლტი საბერძნეთში, იტალიის პრობლემები, ომი ლიბიაში, დეფოლტის რისკი აშშ-ში და ა.შ. **რამ გამოიწვია ასეთი ინფორმაციული დისბალანსი?**

— მომდევნო პასუხგაუცემელი შეკითხვაა.

3. მასმედიაში პრაქტიკულად ვერ ნახავთ ინფორმაციას ტერაქტის დეტალებზე. **ყველაფერი მძაფრ ემოციებს ეფუძნება — აღშფოთებას, დაგმობას, მაგრამ რა და როგორ მოხდა, გაუგებარი რჩება. არც არავითარი შეფასებითი მომენტი.** წაიკითხავთ მადლობის სიტყვებს ასაფეთქებელ ნივთიერებათა სპეციალისტების მიმართ, მაგრამ არა იმას, თუ რა აფეთქდა და როგორ მართავდნენ ამ აფეთქებას.

## „ძალიან თანამედროვე ტერაქტი“

**ნორვეგიის სასაკლაოს ფაქტს სათავისოდ გამოიყენებს ყველა, ვისაც არ ეზარება. პირველთა შორის ევროკომისია აღმოჩნდა! ბრეივიკმა თავის ნაწერში დეტალურად აღწერა ბომბისთვის საჭირო ინგრედიენტებისა და იარაღის შეძენისთვის გაწეული ხარჯები. ამაზე დაყრდნობით, ევროკავშირი ოპერატიულად შეუდგა იმ ქიმიკატების გაყიდვის შეზღუდვის საკითხის განხილვას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ასაფეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად.**

ასეთი დირექტივის დაჩქარებული წესით მიღების შესახებ 26 ივლისს აცნობა ჟურნალისტებს ევროკომისიის წარმომადგენელმა მიკელე ჩერკონემ: **„ევროკომისიას განზრახული აქვს, დააჩქაროს ევროკავშირის ახალი დირექტივის პროექტის მიღება,“** — განაცხადა მან. ეს კი ნიშნავს, რომ ასეთი დირექტივა უკვე გამზადებული იყო (!) და ტერაქტმა მხოლოდ დააჩქარა მისი მიღება. რისი გაყიდვა აიკრძალება, ამაზე — არც ერთი სიტყვა. მაგრამ თავის „მანიფესტში“ ბრეივიკმა აღწერა, რომელი ქიმიკატები იყიდა პოლონურ ინტერნეტმაღაზიაში 2010 წელს. პოლონეთის შინაგანი უსაფრთხოების სააგენტოს წარმომადგენლის სიტყვით, ქიმიკატები, რომლებიც ბრეივიკმა შეიძინა, ლეგალურია და შესყიდულის ოდენობა ნორმას არ აღემატებოდა. მაისში ბრეივიკმა შეიძინა ქიმიკატების კიდევ ერთი პარტია — კომპანია Felleskjoepet Agri-ში იყიდა 6 ტონა სასუქი. კომპანიამ ახსნა, რომ ეს პატარა შეკვეთა იყო, „ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო მეწარმისთვის“. ამასთან, მინერალური სასუქების ზოგიერთი სახეობა შეიძლება გამოყენებული იქნას ფეთქებადსაშიშ ნივთიერებათა დასამზადებლად.

ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის დირექტივამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს ბალანსი სასუქების ბაზარზე, კერძოდ, კალიუმის სასუქებისა. ცნობილია, რომ კალიუმის სელიტრა არა მხოლოდ სასუქია, არამედ დენთის საწარმოებელი კომპონენტიცაა. ასე რომ, **„ნორვეგიელი ტერორისტის საქმემ“ სერიოზული დარტყმა შეიძლება მიაყენოს ევროპისა და მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოებას.**

ამას გარდა, ნორვეგიამ გადადგა ნაბიჯები თავის საზღვრებზე საპასპორტო კონტროლის აღდგენისთვის. მაგრამ ტერორისტი ხომ ნორვეგიელია? მაშასადამე, ლოგიკურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ქვეყანა თავს იცავს მეზობლებისგან, სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებისგან. სიტყვამ მოიტანა და გავიხსენოთ, რომ ნორვეგია **მეორე ქვეყანაა, რომელმაც თავის საზღვრებზე საპასპორტო კონტროლი შემოიღო. პირველი დანია იყო** (უპრიანია, აქ გავიხსენოთ, რომ საქართველო ამ შემთხვევაშიც არაადეკვატურია, რაზეც მეტყველებს უვიზო მიმოსვლის შემოღება ჩრდილოეთის (ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებთან) და სამხრეთის (ირანთან) მიმართულებით. — *მთარგმნ.*).

ბრეივიკის სასამართლო პროცესმა შეიძლება ხელი შეუწყოს მემარჯვენე რადიკალური იდეების პოპულარიზაციას. მისი მოქმედება ზუსტად ერწყმის და უპასუხებს ევროკავშირის პოლიტიკოსების განცხადებებს მულტიკულტურიზმის პოლიტიკის კრახის შესახებ. მაგალითად, ფრანგი მემარჯვენეების ლიდერი მარი ლე პენი აღნიშნავს: **„ე. წ. მულტიკულტურიზმს მულტიკონფლიქტებისკენ მივყავართ... მაგალითები — კოსოვო და ლიბანი... რაც მალე მოვიცილებთ ამ დონდროხას (ევროკავშირს), მით უფრო სწრაფად შევძლებთ ახალი ევროპის შექმნას, რომელიც განეფინება ბრესტიდან ვლადივოსტოკამდე და რომელიც იქნება ერთიანი, ამასთან, თითოეული ერი დაიცავს თავის ინტერესებს“.** ასეთია ფრანგი ნაციონალისტის პოზიცია.

**დღეს ევროპა ეძებს გამოსავალს ხაფანგიდან, რომელშიც საკუთარი მცდელობით აღმოჩნდა მომწყვდეული. ბრეივიკის სასამართლო პროცესის საჯაროობის მოჩვენებითობის უკან შეიძლება იმალებოდეს მისი აზრებისა და ქმედების პროპაგანდა.** და თუ სასამართლომდე ცოცხალმა ვერ მიაღწია, შეიძლება, ჩვენი დროის ერთგვარ ჰორსტ ვესელად — ცნობილ ნაციონალ-სოციალისტად იქცეს, რომელიც კომუნისტებმა მოკლეს, ფაშისტებმა კი გმირად შერაცხეს. **ანდრეს ბრეივიკის სასამართლო ევროპისთვის პოლიტიკური ცუნცვაგია** (ჭადრაკის პარტიაში შექმნილი მდგომარეობა, როცა ერთი (ან ორივე) მხარე იძულებულია, გააკეთოს არახელსაყრელი სვლა): **საჯაროობა მისი იდეების პროპაგანდას ნიშნავს, სასამართლო პროცესის დახურულობა მას იდეისთვის შეწირულ ადამიანად აქცევს. არადა, მის გასამართლებაზე უარის თქმა შეუძლებელია.**

**იური გავრილეჩკო,**
**უკრაინა**

ისტორია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ ამ პოლიტიკას ვერც ავცდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრესად გმირებს ბევრი ცდის ძებნისა და მსხვერპლის შემდეგ... უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდათ? ჩვენზე ცოტათი სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა? საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? საძებნი გზა ჩვენსავით დახშული როდი ჰქონდათ: უფლებაც სისრულით ხელთ ეპყრათ, ვისთანაც უნდოდა საქმე დაეკავებინათ, კავშირი შეეკრათ. ბრძანებისამებრ, მთელი ქვეყანა მიმოვლეს მათმა ელჩებმა, სამეფო არსად დარჩენიათ, რომელთანაც მოლაპარაკება არ გაემართათ, დაახლოება სახსნელად არ ეცადათ“.

# პოლიტიკური რეალიზმი გლობალური თვალსაზრისით

**თავისი ცნობილი წიგნის „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ პირველივე სტრიქონებიდან ზურაბ ავალიშვილი ყურადღებას ამახვილებდა ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციაზე და ორატორ აიეტის სიტყვებს იხსენებდა:**
**„მე ვისურვებდი, რომ საქართველოს დაბრუნებოდეს ძველი ძლიერება; არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნების დახმარება; და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისას და ომიანობის ჟამსაც...**
**მაგრამ რახან დროთა მდინარებით ანდა ბედის ტრიალით, ეგებ ორივეს გამოც, ისე დავუძლურდით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, იმის ნებას დავყვეთ, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი, და ვინც არასდროს ღალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას“.**
**გონიერი დიპლომატები ყოველთვის ითვალისწინებენ მსგავს მოსაზრებებს და პრაგმატულ-პოლიტიკურ სვლებს მიმართავენ ხოლმე.**



**ილია ჭავჭავაძე:**

**საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის თვითმყოფობით სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავის ვალი და ვახში არ დარჩენია...**

**ილია ჭავჭავაძის** პოლიტიკურ და ისტორიულ შეხედულებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. ილია მიუთითებს, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, მისი ისტორია ათასობით წელს ითვლის; ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ხალხმა საუკუნეობით დაიცვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ილია დაინტერესებულია იმის გამოკვლევით, თუ რა მიზეზმა გააძლებინა ქართველ ხალხს ისტორიის მთელ მანძილზე და რამ განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი და მისი დამოუკიდებლობის მოსპობა XVIII საუკუნის დასასრულს. ილიას აზრით, ქვეყნის დაუძლურების მიზეზთა შორის უნდა იქნეს დასახელებული: **„მძიმე გარეშე საპოლიტიკო ვითარება“, „მაჰმადიანი მომთაბარენი“, „ევროპულ ცხოვრებას მოწყვეტა“** და ბოლოს, **„ქვეყნის ეკონომიკური დაუძლურება უსწორ-მასწორო მიწის ისტორიულ მფლობელობაში“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობას კარგავდა, მან მაინც მისაღები და გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა სამხრეთის მტრული სახელმწიფოებისგან თავის დაღწევის მიზნით „ნაბიჯი გადადგა რუსეთისაკენ“. „საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის თვითმყოფობით სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავის ვალი და ვახში არ დარჩენია... სასოება გაღვიძებული მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, რუსეთის მფარველობის იმედით ფრთაშესხმული“. ისტორიის ავბედობით დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს სახელმწიფოებრიობა, აღნიშნავს ილია, გაქრა და მოისპო, მაგრამ რუსეთის დიდ სახელმწიფოში იქმნებოდა შესაძლებლობა „ქართველობის მამულის აღდგენისა“.**

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რუსეთის სახელმწიფოს თავისებურება ისაა, რომ მასში სხვადასხვა ტომის, ენისა და რჯულის ერები ცხოვრობენ, რომლებიც გაფანტული კი არაა რუს მოსახლეობაში, არამედ თავიანთ მამაპაპეულ მიწაზე არიან დასახლებული კომპაქტურად.

**ნიკო ნიკოლაძე** არ იყო თავწამკვდარი რადიკალი ეროვნულ საკითხში. უფრო მეტიც, ის ამ მხრივ ზოგჯერ საოცარ კონსერვატიზმსაც იჩენდა. მაგრამ მას ყოველთვის ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილებიდან გამოჰქონდა სათანადო დასკვნები და თავის პოლიტიკურ მრწამსს დიპლომატიური სვლებით და არგუმენტებით ამაგრებდა ეპოქის კვალობაზე. ამიტომ იყო, რომ ის თავის ხალხს არა მხოლოდ ეთიკის პოზიციებიდან ელაპარაკებოდა, არამედ დიპლომატიისა და ნამდვილი პოლიტიკის ენით.

**ნიკო ნიკოლაძის აზრით, თუ ოდესმე, მომავალში საქართველო რუსეთს გამოეყოფოდა, ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ მშვიდობიანი გზით, იმპერიის მთავრობის თანხმობითა და ნება-სურვილითაც. „როგორც რუსეთის, აგრეთვე, ევროპის ხალხში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდ ხალხად, იმისათვის, რომ პატივისცემის ღირსია მოქალაქეობრივი პატიოსნების და გონიერებისათვის“.**

ნიკო ნიკოლაძის აზრით, **„ჩვენ არასდროს არ უნდა ვილაპარაკოთ პოლიტიკური რომანტიზმის ენით, არამედ ვიყოთ პოლიტიკური რეალიზმის პატივისმცემელნი და შემფასებელნი“.**

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას ნიკო ნიკოლაძე როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ვითარებაში მეტად ფრთხილად და ფხიზლად, რეალისტი პოლიტიკოსისა და თეორეტიკოსი დიპლომატის თვალით ზომავდა. მან კარგად იცოდა, რომ ქართველ ხალხს არ ახასიათებდა არც ანტირუსული განწყობილება და არც ეროვნული შეზღუდულობისკენ მისწრაფება. ამდენად, იგი ცნება „ნაციონალიზმს“ ანტიცარისტული განწყობილების გამოსახატავად ხმარობს. ქართველი ხალხი ცარიზმს ებრძოდა თავის ეროვნულ უფლებათა დაცვა-გაფართოებისთვის. მაგრამ ამ ბრძოლის ყოველგვარი ფორმა და შედეგი ნიკო ნიკოლაძეს მისაღებად როდი მიაჩნდა.

**„ჩვენ არ გამოვეკიდებით,** — წერდა იგი, — **რუსეთის მთავრობისათვის, ისევე, როგორც საქართველოსათვის საინტერესო საკითხს, ეროვნულ მისწრაფებათა განვითარების საკითხს: ჩვენი მდგომარეობა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ უარი ვთქვათ ამ განმარტებაზე, რომელსაც ადვილად შეიძლება მოჰყვეს ინსინუაცია. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ჩვენის აზრით, ამ იდეის განვითარებას შეუძლია, საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენოს ქართველი ხალხის მატერიალურსა და გონებრივ განვითარებას. ნურაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია, მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამას წინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს და ჩრდილო კავკასიის მთიელებს... ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს და საქართველომ საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობა მოიპოვოს... ჩვენი ქვეყანა საკმაოდ დიდი ხნით დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრას გონიერი და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების (შექმნის) ის საკითხი, რომელიც მას აღელვებს. ნიკო ნიკოლაძის აზრით, შექმნილ სიტუაციაში საქართველო დასავლეთ ევროპის „მფარველობით“ ვერც ერთ მტკივნეულ საკითხს ვერ გადაჭრის, ქართველი ხალხი ვერ მოიპოვებს სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებას. ასეთი თავისუფლება „აქვე, ჩვენივე თავში“ უნდა ვეძიოთ.**



**ნიკო ნიკოლაძე:**

**პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენ ქეიფზე იყოს დამოკიდებული, არამედ ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება...**

რაკი ქართველ ხალხს ჯერ არ შეუძლია ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, იგი რუსეთის განახლების მოლოდინში, იმპერიის შემადგენლობაში უნდა დარჩეს... **„ამ შემთხვევაში იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ, ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებზეც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“.**

სადღეისოდ, თუ სამომავლო დიპლომატიისა და სტრატეგიის თვალსაზრისით, უაღრესად ფასეულია ნიკო ნიკოლაძის შემდეგი მსჯელობა: **„ქვეყნის პოლიტიკას, როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს, ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენ ქეიფზე იყოს დამოკიდებული, არამედ ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება...**

სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ ამ პოლიტიკას ვერც ავცდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრესად გმირებს ბევრი ცდის ძებნისა და მსხვერპლის შემდეგ... უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდათ? ჩვენზე ცოტათი სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა? საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? საძებნი გზა ჩვენსავით დახშული როდი ჰქონდათ: უფლებაც სისრულით ხელთ ეპყრათ, ვისთანაც უნდოდა საქმე დაეკავებინათ, კავშირი შეეკრათ. ბრძანებისამებრ, მთელი ქვეყანა მიმოვლეს მათმა ელჩებმა, სამეფო არსად დარჩენიათ, რომელთანაც მოლაპარაკება არ გაემართათ, დაახლოება სახსნელად არ ეცადათ. სანამ საბოლოოდ გზას დაადგებოდნენ, სანამ გვირგვინს ერის არსებობას შესწირავდნენ, ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღონისძიება იხმარეს, თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჰპირდნენ რომის პაპს და ფრიდრიხ დიდს. **უცრემლოდ ვერ გადაიკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის აღწერას მატიანეში. რაც ამდენს ამისთანა თაობას აუგია, აუცილებლად უცვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, ერთი თაობა ვერ შეცვლის, სანამ ოსმალოს, რუსისა ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასსა, ან მეფობა არ დაიჭერს საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს.**

რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდევები (ჩვენი წარსულის მეფე-პოლიტიკოსები) გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ მოვერევით... ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოდ და სასტიკად ისჯება“.

თითქოს ღრმა გულისტკივილი და უიმედობა მოსჩანს ამ სტრიქონებში, მაგრამ ნიკო ნიკოლაძის შეხედულება მაინც პოლიტიკურ რეალიზმს ემყარება. გლობალური თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური წინასწარხედვა მომავალში (თუნდაც დღეს, — რედ.) რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ადგილისა და როლის შესახებ ▶

**სანამ ოსმალოს, რუსი ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასსა, ან მეფობა არ დაიჭერს საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს**

**რუსეთის უპირატესობა კი ის არის, რომ მისი კოლონიები მასთან ერთად და ახლოს არის, ყველა რუსეთს ესაზღვრება და გეოგრაფიულად ერთი სხეულია... თუ რუსეთი ეკონომიკურ წარმატებაზე იზრუნებს, მაშინ იგი იცხოვრებს უმეტოქეოდ და უშიშრად. აშშ-იც ბუნებრივად მდიდარი ქვეყანაა, ახალგაზრდა და თავისუფალი; მათი ლოზუნგია „ამერიკა ამერიკელებისთვის“. მალე ისინი ევროპის ქვეყნებს ამერიკის კონტინენტიდან გააძევებენ. ეს უნდა გააკეთონ, თორემ სხვანაირად მათი ლოზუნგი ცარიელ სიტყვად დარჩება და საქმედ არ იქცევა. როგორც კი ეს მოხდება, აშშ ფაქტიურად მთელი კონტინენტის მფლობელი გახდება...**

ისტორია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მსოფლიო მასშტაბით. 1894 წელს იგი წერდა:

**„დღეს მსოფლიოში სამი დიდი სახელმწიფო არსებობს: დიდი ბრიტანეთი, აშშ და რუსეთი. ამ სამიდან დიდი ბრიტანეთია ყველაზე სუსტი. მისი კოლონიები დედამიწის სხვადასხვა კუთხეშია გაბნეული. მათი მართვა თანდათან ძნელდება და რთულდება. ამასთანავე ბევრი კოლონია თავად ბრიტანეთზე ბევრად დიდია ტერიტორიითა და მოსახლეობით. მალე დადგება დრო, როცა დიდი ბრიტანეთი მათ მართვას ველარ შეასრულებს და ისინი ლონდონის მმართველობისაგან განთავისუფლდებიან... რუსეთის უპირატესობა კი ის არის, რომ მისი კოლონიები მასთან ერთად და ახლოს არის, ყველა რუსეთს ესაზღვრება და გეოგრაფიულად ერთი სხეულია... თუ რუსეთი ეკონომიკურ წარმატებაზე იზრუნებს, მაშინ იგი იცხოვრებს უმეტოქეოდ და უშიშრად. აშშ-იც ბუნებრივად მდიდარი ქვეყანაა, ახალგაზრდა და თავისუფალი; მათი ლოზუნგია „ამერიკა ამერიკელებისთვის“. მალე ისინი ევროპის ქვეყნებს ამერიკის კონტინენტიდან გააძევებენ. ეს უნდა გააკეთონ, თორემ სხვანაირად მათი ლოზუნგი ცარიელ სიტყვად დარჩება და საქმედ არ იქცევა. როგორც კი ეს მოხდება, აშშ ფაქტიურად მთელი კონტინენტის მფლობელი გახდება... ერთი სიტყვით, ისტორიის მსვლელობა იმას მეტყველებს, რომ მე-20 საუკუნეში აშშ და რუსეთი იქნებიან კაცობრიობის მბრძანებლები“.**

მოტანილი მსჯელობა კომენტარს არ საჭიროებს და დიდხანს დარჩება ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგებისათვის სახელმძღვანელოდ.

თერგდალეულთა ისტორიულ კონცეფციაში **აკაკი წერეთლის** ნააზრევი, ასევე, ორიგინალური და ყურადსაღებია. შეიძლება ჩვენს მსჯელობას აკაკიზე სახელმძღვანელოდ წარვუმძღვაროთ მისი ზოგადპრაქტიკული და მოქნილი პოლიტიკურ-დიპლომატიური თვალსაზრისები, საქართველოს წარსულსა და აწმყოში არა ერთი შეცდომის გასწორებაში რომ წაგვადგება. აკაკის აზრით, **„მთელი ჩვენი ისტორიული გამოცდილება და თვით ისტორია დიპლომატიურად უნდა ვაქციოთ ახალ დროში... რაც უწინ შეგვეშალა და შეცდომა ვნახეთ, ის აღარ გავიმეოროთ“.**

აკაკი წერეთელი ხმარობს თავისი მსოფლმხედველობის სააზროვნო-პოლიტიკურ კატეგორიებს: **„დროისა და ადგილის ვითარების“, რაც სხვაგან მრავალჯერ აქვს მოხსენიებული „დრო და ვითარების“, „დროთა ვითარების“, „დროის მოთხოვნილების“, „სხვაგვარი გარემოების“, „ჩვენი ცხოვრების წყობილების“, „საზოგადო ნიადაგის“ ტერმინებით. მისი აზრით, „ადამიანი არის გაჩენილი ხატად და მსგავსად ღვთისა, თავისუფლად და არა მონად“... საერთოდ, ადამიანი, მისი გრძნობა-გონება, მთელი ცხოვრება დამოკიდებულია ადგილზე, დროსა და ვითარებაზე. „ყოველ საუკუნეს თავისი განსაკუთრებითი ჟამთავითარება უდგას და მაშასადამე, საკუთარი მოთხოვნილებაც აქვს, რომლისაც გვერდის ახვევა შეუძლებელია“... ამასთან, „რასაც დღესაც ვმსჯელობთ, ის სხვად საკმარისი არ არის ხოლმე, ამიტომ ყოველივე დრო და ადგილის გარემოების შეფერებით უნდა კეთდებოდესო“.**

აკაკი წერეთლის თქმით, XIX საუკუნის I ნახევრისთვის გამოსადეგი საადგილმამულო ბანკი შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩენილიყო იმავე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსათვის, რადგან:

**„ერთი პრუსიელი რომ დაჰკარგავდა ადგილ-მამულს, მეორე პრუსიელივე ყიდულობდა და მის ადგილს ჩადგებოდა ხოლმე, ამით პრუსია საერთოდ არა ჰკარგავდა... მაგრამ პრუსიელების მაგიერ ფრანცუზები რომ ჩამდგარიყვნენო... კეთილდღეობაში ჩავარდებოდნენ პრუსიელები, თუ ირლანდიელთა და ინდოელთა მსგავსად გალატაკდებოდნენ უცხო ქვეყნელთა მიერ მიწა-წყლის ჩამორთმევით“? „იგივე დაემართება ან დამართნია ქართველ ხალხს, თუ მისთვის შეუფერებელმა პოლიტიკამ მიწა-წყალი დააკარგვინა“,** — დასძენს აკაკი წერეთელი.

აკაკის მართებული განცხადებით, **„ჭეშმარიტების გასაგებად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ავი საქმე კარგსა ჰგავს შორიდან და კარგი ხანდახან ავის ფერს იღებს. საჭიროა მათი დაკვირვება, რიგიანი აწონვა, პოლიტიკური ალღო...**

ესეები ყველა ჭეშმარიტების პირველი ანაბანაა. ჭეშმარიტების და პოლიტიკის მკვლევარმა (მით უფრო მეტად) მოვლენებს ყოველის მხრით უნდა შეხედოს, თორემ ერთის მხრით შეუძლებელია, რადგან ყველაფერი არც მარტო ბიწიერებაა, არც მარტო უბიწოება“.

აკაკი წერეთელი პოლიტიკაში მომხრეა შეფარდებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების კავშირისა. **„ნამდვილი ჭეშმარიტება არასოდეს არ ძველდება. ყოველთვის იგივე ჭეშმარიტებაა, მხოლოდ მოჩვენებულ ჭეშმარიტებას ეღება ხოლმე ბოლო დროთა განმავლობაში. ამასთან, ამ ქვეყანაში სამუდამო არა არის რა“. იცვლება ბუნება, საზოგადოება, ადამიანი, მისი ცხოვრება, ისტორიული ვითარება, ქვეყნის გეოგრაფიული და პოლიტიკური წყობა. „ცივ ქვეყანაში შედგენილი რეცეპტი და იქ შეზავებული წამალი გამოსადეგი იქნება თუ არა ცხელი ქვეყნელებისათვის“. ამიტომ ხალხთა პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობის გარკვევისას მეტად აუცილებელია, რომ კერძოდ „ჩვენი საქართველო სხვა რომელიმე ქვეყანასავით გაშლილი არ იყოს, ის არის სხვადასხვა კუთხეებისაგან შეხამებულ-შეფერადებული, თვითოეულ ამ კუთხეს თავისი საკუთარი ფერ-ხორცი აქვს, მათი ხალხი თუმცა ტომით და ენით ერთნი არიან... ამ სხვადასხვა კუთხეებს სხვადასხვა შემთხვევები ჰქონიათ და სხვადასხვა გავლენის ქვეშ ყოფილან ხოლმე...“**

აკაკი არ ეთანხმება იმათ, ვინც ფიქრობს, რომ **„ერთ-ფერობა, ერთგვარობა და ერთხმოვანება აუცილებელი საჭიროება არის კეთილწარმატებისათვისო“** და სამაგალითოდ კვლავ ასახელებს საქართველოს, რომელიც, მისი თქმით, **„არის ჩონგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა და სხვ. თითოეულს ამათგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოდ თავის თავს არც ერთს არ აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ. მართალია, ამ მხარეებს თავისი საკუთარი ფერი და სული აქვთ... მაგრამ სულის მოძრაობა მრავალგვარობის შეთანხმებით უფრო დიდებული და უფრო მჭიდროა. საგანი ერთია, თუმცა მასალა მარად სხვადასხვანაირი, უფრო ნამდვილი და ნაციონალური“.**

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა შორის თავისი ისტორიული და პოლიტიკური კონცეფციით ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს **იაკობ გოგებაშვილს.**



**იაკობ გოგებაშვილი:**

**გაუვალი კედელი, რომელიც ამართა საქართველოსა და ევროპის შუა ოსმალეთმა შავ ზღვაზე, შემუსვრილ იქნა რუსეთის მძლავრის ხელით და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო განიერ გზასა საქართველოს ერის დაახლოებისთვის აყვავებულ ევროპის ერთა თანა.**



**აკაკი წერეთელი:**

**მთელი ჩვენი ისტორიული გამოცდილება და თვით ისტორია დიპლომატიურად უნდა ვაქციოთ ახალ დროში... რაც უწინ შეგვეშალა და შეცდომა ვნახეთ, ის აღარ გავიმეოროთ.**

XVIII საუკუნის უკანასკნელი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში იაკობ გოგებაშვილი გამარჯვებისა და მომავლის პერსპექტივას მაინც ქართულ ეროვნულ ფენომენში ეძებდა. იგი დაჟინებით მიუთითებდა ისტორიის ამ მონაკვეთში დაშვებული შეცდომების საბედისწერო ხასიათზე საქართველოს შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. იაკობის აზრით, **„ისტორიული ფაქტები გვიპასუხებენ, რომ მთელი ერი საქართველოსი, ყოველი მისი წოდება მეთვრამეტე საუკუნის დამლევს გრძნობდა ერთობის აუცილებელ საჭიროებას, მის დიდ სარგებლობას და მოწადინებული იყო, შეედგინა ერთი სახელმწიფო დაღესტნის საზღვრებიდან დაწყობილი ვიდრე შავი ზღვის კიდეებამდის“. „ევროპას,** — განაგრძობს იგი, — **მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება, რომ გაუვალი კედელი, რომელიც ამართა საქართველოსა და ევროპის შუა ოსმალეთმა შავ ზღვაზე, შემუსვრილ იქნა რუსეთის მძლავრის ხელით და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო განიერ გზასა საქართველოს ერის დაახლოებისთვის აყვავებულ ევროპის ერთა თანა.**

ეს კარგად ესმოდათ მაშინ ჩვენებს, კარგად ახსოვდათ ისიც, რომ უწინ, თამარ მეფის დროს, ერთობამ, ერთმთავრობამ საქართველო აღამაღლა“.

ამ მსჯელობის ლოგიკური გაგრძელებაა გოგებაშვილის ისტორიული ექსკურსი, რომელიც შეეხება 1790 წლის ცნობილ ისტორიულ ამბებს, როცა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს მოწინავე ფეოდალ-არისტოკრატები, ერეკლესთან მოწვეული დარბაზობაზე, დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას.

**„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებიდან“**

**დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს მოწინავე ფეოდალ-არისტოკრატები, ერეკლესთან მოწვეული დარბაზობაზე, დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას**



**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეოცე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ექსტრემალური ზოოპარკი

**ბუენოს-აირესიდან არც ისე შორს, ლუიანაში (არგენტინა), არის ყველაზე უცნაური ზოოპარკი, რომლის სტუმრობასაც სუსტი გულის მქონენი ნამდვილად ვერ გაბედავენ.** ამ დაწესებულების უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ სულ რაღაც 50 დოლარად ნებისმიერ მსურველს შეუძლია შევიდეს მტაცებლის გალიაში და მოეფეროს ან სურათი გადაიღოს მასთან. სანამ მსურველი ლომთან ან ვეფხვთან გალიაში შევა, პატარა პროცედურა უნდა გაიაროს: ხელწერილი უნდა დაწეროს, რომ, თუ ლომი შემთხვევით ხელს, თავს ან კიდევ რაიმეს მოაჭამს, მას ზოოპარკის ადმინისტრაცია პასუხისმგებლობას თავის თავზე არ იღებს.

# ყველაზე დაუნდობელი მკვლელი ქალები



## ჯეინ ტოპანი



**ჯეინი იყო ექთანი, რომლის გაზრდაზეც თავის დროზე გიჟმა მამამ უარი განაცხადა. ბავშვი ბოსტონის ბავშვთა სახლში გაიზარდა. სიღარიბემ და რამდენიმე ოჯახის გამოცვლამ ჯეინში მუდმივი სიბრაზე და ზიზღი დათესა. სწავლის დროს პროფესორებმა ისიც კი შეამჩნიეს, რომ ჯეინს არაჯანსაღი ინტერესი ჰქონდა გაკვეთის სურათების მიმართ. მიუხედავად ამისა, მან სწავლა დაამთავრა და დაიწყო მუშაობა — პაციენტების მოვლა.**

ზოგიერთი ამ ქალს სასიამოვნო პიროვნებად მიიჩნევდა და ზედმეტსახელად „მხიარული ჯეინი" შეარქვეს. სინამდვილეში ექთანი სიკვდილის პირას მყოფი ავადმყოფების ტანჯვით სექსუალურ სიამოვნებას განიცდიდა.

ტოპანმა თავისი სექსუალური ექსპერიმენტები 1885 წელს დაიწყო და მანამ აგრძელებდა, სანამ არ დააპატიმრეს.

იგი 11 მკვლელობის გამო გაასამართლეს, მან კი აღიარა, რომ სულ 31 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. სასამართლომ ჯეინ ტოპანს სიცოცხლის ბოლომდე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნა მიუსაჯა.



## ბელა სორენსონ გინესი (შავი ქვრივი)

**ეს ქალი არის სერიული მკვლელი, რომელიც დაუნდობლად კლავდა ადამიანებს საკუთარი სიამოვნებისა და სიხარბის გამო. იგი ნორვეგიაში დაიბადა, შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ცოლად გაჰყვა ჩიაკაგოელ ბიზნესმენს.**

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბელამ საკუთარი შვილები დაზღვევის გულისთვის მოკლა. ოფიციალური ვერსიით, ბავშვები კოლიტის სიმპტომებით დაიღუპნენ, მაგრამ ეს სიმპტომები მოწამვლის შედეგებსაც ჰგავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა მისი ქმარიც. ბელამ, რა თქმა უნდა, ქმრის დაღუპვის შემდეგაც მიიღო სადაზღვევო თანხა. ამ ფულით მან ფერმა იყიდა.



ქმრის ნათესავებმა რაღაც იეჭვეს და ბელა საკუთარი ქმრის მკვლელობაში დაადანაშაულეს, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ სასიყვარულო წერილებითა და განცხადებებით ბელა საკუთარ ფერმაში იტყუებდა შუახნის მამაკაცებს, რომლებიც ვერც კი ხვდებოდნენ, რომ მისი მომხიბლველი გარეგნობის მიღმა საშინელი მონსტრი იმალებოდა.

შემდგომში ცნობილი გახდა, რომ ეგრეთ წოდებულმა შავმა ქვრივმა 42 მამაკაცი მოკლა. ბელამ სიცოცხლე თავადაც ტრაგიკულად დაამთავრა — მისი სხეული თავმოკვეთილი და დამწვარი იპოვეს სადღაც ტყეში.



## როზმარი ვესტი

**იგი ასევე ცნობილი სერიული მკვლელის, ფრედი როზმარის პარტნიორი იყო. ფრედი და როზი ხალხის ნდობით სარგებლობდნენ და საკუთარ სახლში უამრავ ადამიანს ეპატიჟებოდნენ.**

როზი, რომელსაც 8 შვილი ჰყავდა, სექსუალური სადისტი იყო. იგი ტკივილისაგან იღებდა სიამოვნებას. როგორც ცნობილია, როზიმ თავის ქმართან ერთად 10 ადამიანი, მათ შორის საკუთარი გოგონა ჰიზერიც, მოკლა. მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა დღემდე ცნობილი არ არის, თუმცა ფრედიმ დაკავების შემდეგ საუბარში აღნიშნა, რომ შესაძლებელია მათ მსხვერპლთა რაოდენობა 20-საც აჭარბებდეს.

## გრაფინია ელისაბედ ბატორი

**იგი „სისხლიანი გრაფინიას" სახელითაა ცნობილი. გრაფინია ბანაობდა ახალგაზრდა ქალების სისხლში და ეგონა, რომ ამით ახალგაზრდობას შეინარჩუნებდა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მსხვერპლი ფიზიკურად ლამაზი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ელისაბედი სისხლის აბაზანებისთვის ქალებს საგულდაგულოდ არჩევდა. ამ ყველაფერში გრაფინიას მეუღლეც მონაწილეობდა. მან ციხესიმაგრეც კი აჩუქა მეორე ნახევარს თავიანთი ბნელი საქმეების განსახორციელებლად.

## ეილინ კაროლ უორნოსი

**ეილინს საშინელი ბავშვობა ჰქონდა, რამაც მასში საზოგადოებისა და განსაკუთრებით მამაკაცების მიმართ ზიზღი გამოიწვია.**



ძალიან ადრეულმა სექსუალურმა გამოცდილებამ ცუდი გავლენა მოახდინა მასზე. 13 წლის ასაკში დაორსულდა, 15 წლისა კი სახლიდან გამოაგდეს. იგი სულით ავადმყოფი იყო, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდა, არღვევდა კანონებს, ძარცვავდა მაღაზიებს და ცოლადაც კი გაყვა 70 წლის მოხუცს, რომელსაც ფიზიკურად უსწორდებოდა.

ბოლოს ამ მოხუცმაც მიატოვა. მალე ეილინმა გაიცნო ლესბოსელი ტაირა, თავის სარჩენად კი მეძავობა დაიწყო. თავისი ლესბოსელი საყვარლის შესანახად ეილინი გზებზე იდგა. ეს სახიფათო საქმე იყო და ერთხელაც, მორიგ ხიფათში გახვეულს, ადამიანი შემოაკვდა. ამ შემთხვევას კიდევ 7 მსხვერპლი მოჰყვა. ქალი მამაკაცებს კლავდა და ძარცვავდა.

## 1852 წლის მენიუ



**ცენტრალურ ბერლინში, მდინარე შპრეის ნაპირებთან მდებარე ახლადგახსნილი კაფე Konditorei Buchwald-ი კლიენტებს 150 წლის წინანდელ მენიუს სთავაზობს.**

ამ მენიუთი კაფე სტუმრებს ზუსტად 150 წლის წინათ უმასპინძლდებოდა. იმ წლებში ცნობილი კონდიტერი გიუსტავ ბუშვალდი ამზადებდა ბეჭდის ფორმის ტორტს, რომელიც ცომის უამრავ ფენას შეიცავდა. ეს ტორტი Konditorei Buchwald-ის ყველაზე ცნობილი დესერტია. პოპულარობით სარგებლობს შოკოლადის ნატეხებიც. კაფეში ტორტების ფართო არჩევანია. აქ მხოლოდ გერმანიაში ტრადიციადქცეული ტკბილეულის შეძენაა შესაძლებელი.

## უძველესი ტორტი

**გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს ყველაზე ძველი ტორტი მსოფლიოში, რომელიც 1898 წელს გამოაცხვეს.** 113-წლიანი ტორტი, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ბომბის აფეთქების შედეგად „დაიბზარა" მშვენივრად არის შენახული. საკონდიტრო, რომელშიც დაამზადეს საქორწილო ტორტი, 1964 წელს დახურეს. ხილის ტორტი კი ინახებოდა კონდიტერის სხვენში. ტორტის შიგთავსი სველია. ეს რელიქვია კონდიტერის ქალიშვილმა გადასცა Willis-ის მუზეუმს, სადაც უნიკალური ექსპონატის ნახვა ყველა მსურველს შეეძლება.






ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მინუს 19 წელი



**ბრიტანელმა 34 წლის ნაომი ჯეიკობსმა ერთ დღეს გაიღვიძა მტკიცე რწმენით, რომ 15 წლის ასაკშია, წინ გამოსაშვები გამოცდები ელის და თავისი თანაკლასელი უყვარს. ექიმების თქმით, ქალმა იშვიათი ფორმის ამნეზია გადაიტანა.** სარკესთან მისულმა ნაომიმ დაინახა „უცხო ქალის" ანარეკლი, რომელსაც თვალების ქვეშ ნაოჭები ჰქონდა, შემდეგ კი მეზობელი ოთახიდან ბიჭი გამოვიდა და „დედა" დაუძახა. მედიკოსების აზრით, ტრანზიტორული გლობალური ამნეზია ნაომი ჯეიკობსს სტრესის გადატანის შემდეგ განუვითარდა. ნაომის რეაბილიტაციას 8 კვირა დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ახლობლები და მეგობრები მას დავიწყებული 19 წლის აღდგენასა და გახსენებაში ეხმარებოდნენ. ქალს თავიდან ასწავლეს მობილური ტელეფონისა და ინტერნეტის გამოყენებაც. ხანმოკლე ამნეზია 100 000 ადამიანიდან ხუთს ემართება. ყველაზე ხშირად ეს დაავადება 56-75 წლამდე ასკის ადამიანებს აწუხებს. ასეთი ამნეზიის შედეგად ემოციური მოგონებები დავიწყებას ეძლევა.

# გაბერილი შედევრები

**პროფესიით მხატვარმა ლარი მოსმა მსოფლიო შედევრებად აღიარებული ტილოების საკუთარი ვერსიები ფერადი ბუშტების გამოყენებით შექმნა. მხატვარმა ბუშტებით ბოტიჩელის, და ვინჩის, უისტლერის, ვუდსისა და უორჰოლის ნამუშევრების ასლები ააწყო.** მოსი ამბობს, რომ ეს ძალიან სახალისო საქმიანობაა. თავად ლარის საკუთარი ნამუშევრებიდან ყველაზე მეტად და ვინჩის „მონა ლიზა" მოსწონს, იმის მიუხედავად, რომ მას, სხვა ნამუშევრებთან შედარებით, სიზუსტე აკლია. ლარის ბუშტებით ჯოკონდას ხელების გაკეთება გაუჭირდა.









## ყველაზე ძვირადღირებული არაკომფორტული სახლი

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ სახლად 1,75 აკრ მიწაზე გადაჭიმული რანჩო დაასახელეს. მისი ღირებულება 106 მილიონი აშშ დოლარია.** სახლის ღირებულებას მისი კომფორტის ხარისხი არ განსაზღვრავს. ასეთი ფასი სახლს მხოლოდ უნიკალური ხედის გამო აქვს — სახლის გარშემო ყველა მხრიდან საოცარი სილამაზის მთებია გადაჭიმული. უძრავი ქონების აგენტის, ჯონათან პირსის აზრით, ეს ადგილი უზარმაზარი დასასვენებელი კომპლექსის ასაშენებლად გამოდგება, ამიტომ ის მსხვილი ინვესტორების მიზიდვას ცდილობს.



## ველოსიპედი ნაყინის ჯოხებისაგან

**ჩინელმა სან ჩაომ ნაყინის ჯოხებით ველოსიპედი ააწყო. მას ამისთვის ნაყინის 10 ათასი ჯოხი და 4 თვის განმავლობაში მუყაითი შრომა დასჭირდა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ველოსიპედი მუშა მდგომარეობაშია.**

35 წლის ოსტატის თქმით, ასეთი ველოსიპედის შექმნაზე ის 12 წელი ოცნებობდა. მანამდე მან ნაყინის ჯოხებით ააწყო ნავის მცირე ზომის მოდელი, რომელიც შეყვარებულს აჩუქა. სანმა განაცხადა, რომ 10 ათასი ცალი ნაყინი მხოლოდ ჯოხების გამო შეიძინა. ჩინელმა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებს წერილი მისწერა და იმედოვნებს, რომ რეკორდსმენი გახდება. მომავალში სანი ნაყინის ჯოხებით ავტომობილების აწყობას გეგმავს.



## ტურიზმის დამანგრეველი ძალა

**ტურიზმის როლი მსოფლიო ეკონომიკაში ფასდაუდებელია, თუმცა ეს სფერო არც უარყოფითი მხარეების სიმცირეს განიცდის.**



იორდანიაში წმიდა პეტრეს ტაძრის ნანგრევებთან მიახლოებისას კლდეში ამოკვეთილ წარწერას დაინახავთ. წარწერა ისე გამოიყურება, თითქოს საუკუნეების წინ იყოს შექმნილი. ის შეეძლოთ ამოეკვეთათ მეფე ჰეროლდის ჯარისკაცებს, რომლებიც აქ იყვნენ დატყვევებულნი, მაგრამ უახლესი კვლევები გვამცნობს, რომ ის სულაც არ არის უძველესი. წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „შეინი და ვენდი იყვნენ აქ 1996 წლის 16 აპრილს".

**წმიდა პეტრეს ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინა შვედმა მეცნიერმა 1810 წელს. უახლესი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ის დიდი საფრთხის წინაშე იმყოფება ტურისტების შეუწყვეტელი ნაკადის გამო. წმიდა პეტრეს ტაძარს დღის განმავლობაში 4000-ზე მეტი ტურისტი სტუმრობს და მრავალი მათგანი „შემთხვევით" კვეთს კლდეში საკუთარ სახელს.**

ნგრევისა და განადგურების საფრთხის წინაშე მხოლოდ წმიდა პეტრეს ტაძარი როდი დგას. მსოფლიო მასშტაბით, 600 მილიონზე მეტი ადამიანი მოგზაურობს და მათ უმეტესობას სურს, ყველაზე ცნობილი და საინტერესო ადგილები იხილოს, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, ტაჯ-მაჰალი ან კენიის ნაციონალური პარკი და სხვ. ტურისტული ინდუსტრია თანამედროვე ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია.

ხმელთაშუას ზღვისპირეთის მკვიდრი მოსახლეობა 130 მილიონს შეადგენს. საკურორტო სეზონზე ეს რაოდენობა 230 მილიონამდე იზრდება. ეს კიდევ არაფერია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობით, ტურისტების რაოდენობა 2025 წელს 760 მილიონს მიაღწევს. ესპანეთში, საფრანგეთსა და საბერძნეთის უმეტეს ნაწილში არ არსებობს აუთვისებელი სანაპირო. ხმელთაშუა ზღვა კი ყველაზე ბინძური ზღვაა მსოფლიოში.

1981 წელს უკვე შევსებული იყო 8-წლიანი რიგი ხალხისა, ვისაც სურდა, მოენახულებინა კოლორადოს კანიონი და დაკავებულიყო რაფტინგით.

საცოდავი ვენეცია! ამ საოცრად მომხიბვლელ ადგილს საკუთარი სილამაზე ღუპავს. 1987 წლის ერთ დღეს ქალაქს ტურისტების ისეთი რაოდენობა მოაწყდა, რომ იგი დროებით ყველა ტურისტისთვის დახურეს.

ბარბადოსსა და ჰავაიზე ერთი ტურისტი 10-ჯერ მეტ წყალსა და ელექტროენერგიას იყენებს, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრები. ადგილობრივები აცნობიერებენ, რომ ეს უსამართლობაა და დიდი ზიანიც მოაქვს მათთვის, მაგრამ ვერ უძლებენ იმ ცდუნებას, რაც, ეკონომიური თვალსაზრისით, ტურისტებს მოაქვთ.

**საფრანგეთში, ლიასკაში არსებული გამოქვაბული ცნობილია მასში არსებული პრეისტორიული ნახატებით. ეს ადგილი დაზიანდა იმ 200 000 ტურისტის სუნთქვისა და ბაქტერიებისაგან, რომლებიც ესტუმრენ გამოქვაბულს წელიწადის განმავლობაში. დღესდღეობით გამოქვაბული საზოგადოებისთვის დახურულია. ფრანგებმა გონებამახვილობა გამოიჩინეს და ააშენეს მისი ზუსტი ანალოგი, რომელიც არანაკლები პოპულარულობით სარგებლობს.**



ლევან ლვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**წარმოიდგინეთ, თქვენო აღმატებულებავ, მე და თქვენ და კიდევ ახუნდოვი, ასლანიდი, შევჩენკო, სოკოლოვი, ბროევი, მირზოიანი, ხარებოვი, ცისკარიშვილი, მარშანია, ჯეირანიშვილი, გოგიტიძე, მემიშიში, ფარეულიძე და დადეშქელიანი — 16 და-ძმა (შეიძლება მეტიც!) ვყავართ დედას! განა რომელსამე ჩვენგანს აქვს უფლება, თქვას, რომ დედა მას ეკუთვნის? თუ ჩვენ ყველანი ვეკუთვნით დედას? იქნებ ასეთი დამოკიდებულება ჯობდეს, როცა მისი თითოეული მოქალაქე ეკუთვნის საქართველოს და არა — პირიქით?**

# ვის ეკუთვნის საქართველო, ანუ არის თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირი?

**„პრეზიდენტი" ლათინური სიტყვაა (praesidens) და „წინ (თავში) მჯდომს" ნიშნავს.** მის მოდელზეა „მოჭრილი" ჩვენში დღეს უკვე ფართოდ გავრცელებული **„თავმჯდომარე",** რომელიც მნიშვნელობითაც და აგებულებითაც ზუსტად იმეორებს მის ლათინურ „წინაპარს", მაგრამ ცოტათი უკან თუ გავიხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ხსენებული სიტყვის ჩვენებური ვერსია ბევრად უფრო ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, ვიდრე მისი უცხოური შესატყვისი: დაწყებული **„კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან"** და დამთავრებული **„უზენაესი (უმაღლესი) საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარით".**

ლათინური **„პრეზიდენტი"** კი უცხო ქვეყნების, მეტწილად **რესპუბლიკური სახელმწიფოს მეთაურს** აღნიშნავდა და სახელმწიფო სტრუქტურებში ჩვენში შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, როგორიც იყო და არის, მაგალითად, **„მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი"** და ზოგიც სხვა.

უფრო ხშირად იხმარებოდა იგი სპორტის სამყაროში — ამა თუ იმ სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელის ან რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავკაცის აღსანიშნავად.

დღევანდელ საქართველოში სიტყვა **„პრეზიდენტი"** ლამის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ხოლო ორ ათეულ წელზე მეტია, რაც იგი **ქვეყნის პირველი პირის,** ჩვენი **სახელმწიფოს მეთაურის** აღმნიშვნელ ტერმინადაც დამკვიდრდა (მოგეხსენებათ, **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის [1918-21 წწ.] პირველი პირი პრეზიდენტად არ იწოდებოდა).**

მე კი გამოვიყენე, **„პრეზიდენტის"** მნიშვნელობით, გამოთქმა **„ქვეყნის პირველი პირი",** რომლის პარალელურად და რომელთან ერთადაც ასევე გავრცელდა და დამკვიდრდა შესიტყვება **„ქვეყნის პირველი ლედი",** რაც, მოგეხსენებათ, **პრეზიდენტის მეუღლის აღმნიშვნელი ტერმინია,** მაგრამ თვით **პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი,** როგორც ჩანს, რამდენადმე განსხვავებულად ფიქრობს.

კერძოდ, **მას მიაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში — ანუ საქართველოში პრეზიდენტი არ არის პირველი პირი: „მე მინდა დღეს განვახორციელო მორიგი აქტი ასეთი პირდაპირი სახალხო დემოკრატიის და გადავცე რამდენიმე ჩვენს თანამოქალაქეს პირადობის მოწმობა, რომელიც არ შეხვდა პრეზიდენტს, იმიტომ, რომ ის ამ ქვეყანაში არ არის ნომერ პირველი.**

**ნომერ პირველი არიან ჩვენი მოქალაქეები, ჩვენი სტუდენტები, ჩვენი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, ჩვენი სოციალურად დაუცველები, ჩვენი ქართველები უცხოეთიდან, ერთი სიტყვით, ის** (ცხადია, აქ ჯობდა — **„ისინი"** და არა — **„ის"** — ლ.ლ.), **ვისაც ეკუთვნის საქართველო".**

ღმერთო კი მომკალი! ეს რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა 2011 წლის პირველ აგვისტოს ბათუმის იუსტიციის სახლში **პრეზიდენტის** გამოსვლისას?! მე **„პირველი"** არა ვარო, რომ თქვა, ჯერ ვიფიქრე: ალბათ, მოჩვენებითი თავმდაბლობა თუ ალაპარაკებს, თორემ **როგორ შეიძლება ქვეყნის „პირველი ლედის" ქმარი, სახელმწიფოს პირველი პირი ქვეყანაში საკუთარ ადგილს ვერ ხედავდეს?** თურმე, ნუ იტყვით და, ელექტრონული პირადობის მოწმობა არ შეხვდა ქვეყნის **„პრეზიდენტს** იმიტომ, რომ **ის ამ ქვეყანაში არ არის ნომერი პირველი"?!**



კი, მაგრამ **პრეზიდენტის სასახლე ხომ შეგხვდა მხოლოდ შენ? საპრეზიდენტო რეზიდენციებიც ხომ მხოლოდ შენია? შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიც ხომ შენა ხარ? საპრეზიდენტო თვითმფრინავი, უთვალავი ავტომანქანა და დაცვაც ხომ მხოლოდ შენია? განუსაზღვრელი ძალაუფლება ხომ მხოლოდ შენია?** და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ და ასეთ ვითარებაში მეუბნები — პირველი მე კი არა ვარ, არამედ სოციალურად დაუცველი **თამარ ბერიძეა,** აგრეთვე, სტუდენტი **იაგო შავიშვილი** და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები — ბატონი **ვიდადი ახუნდოვი** და მოსწავლე **ანჟელიკა კოლესნიკოვა** ან ჩვენი თანამემამულე ქალბატონი **ნინა გნდოლიანი** საფრანგეთიდანო?

ჯერ მინდა ბოდიში მოგიხადოთ, **თქვენო აღმატებულებავ,** რომ **„შენობით"** მოგმართეთ. იმედია, მიმიხვდით, რომ ეს უბრალო რიტორიკული ხერხია, თორემ, მერწმუნეთ, ეთიკური ნორმების დარღვევის უფლებას ჩემ თავს ნამდვილად არ მივცემ, მიუხედავად იმისა, რომ **„შენობით"** დალაპარაკება, ცხადია, ადრესატის პიროვნული ღირსების დაკნინებას სულაც არ ნიშნავს. გახსოვთ, ალბათ, **ავთანდილი** რომ ეუბნება **მეფე როსტევანს: „შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ"**-ო.

თქვენ რამდენიც არ უნდა იძახოთ, მე საქართველოში პირველი პირი არა ვარო, **ამას ხუთი წლის ბალღიც არ დაგიჯერებთ,** მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა და ისიც კარგად გვახსოვს, რომ **ერთმა დიდმა მოძღვარმა საკუთარ მოწაფეებს ერთ მშვენიერ დღეს ფეხებიც კი დაბანა,** მაგრამ დავიჯეროთ, თქვენთვის არ შეუხსენებიათ, რომ ახალი პირადობის მოწმობები, რომლებსაც ჩვენი ჟურნალისტები ყოვლად გაუმართლებლად **„აიდი ბარათებს"** ეძახიან, **მოქალაქეებს ახლიდან კი არ ნომრავს, არამედ ჩვენ დიდი ხანია, უკვე დანომრილები ვართ და ეს ნომრები უცვლელად გადადის ახალ მოწმობებში?**

მაშასადამე, თქვენ მიერ პირველებად მონათლული პირები, თანაც ხუთივე ერთდროულად, პირველი ნომრები ვერაფრით ვერ იქნებიან.

ან ის მაინც თუ იცის ვინმემ, ასი ათასობით ღარიბ-ღატაკთა სახელით, რა ნიშნით გამოარჩიეს ერთი სოციალურად დაუცველი ქალბატონი (**თამარ ბერიძეს,** რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვუხდი, ამ კონტექსტში რომ მიწევს მისი ხსენება, ასევე უკაცრავად ვარ დანარჩენ ოთხ მოქალაქესთან)? ათი ათასობით სტუდენტიდან — ერთი **იაგო შავიშვილი?** ან ლამის მილიონზე მეტი არაქართველისგან — ერთი **ვიდადი ახუნდოვი** და სხვები?

**ნუთუ თქვენი ქვეყნის მოქალაქეები, თქვენო აღმატებულებავ, იმდენად ბრიყვები გგონივართ, რომ ამ ყოვლად გაცვეთილ და უნიჭო რიტორიკულ ხრიკს გულწრფელ ღაღადისად ჩამოგართმევთ?**

რატომაა **გაცვეთილიო,** თუ მკითხავთ, დაუზარებლად შეგახსენებთ, რომ იმ კომუნისტურ ეპოქაში, რომელშიც თქვენც გაატარეთ თქვენი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების ნახევარზე მეტი მაინც და მე, ცხადია, — კიდევ უფრო ბევრი, **ყოველი საჯარო პარტიული ღონისძიება ამ სტანდარტით ტარდებოდა.** სიტყვით გამომსვლელთა ან დასაჯილდოებელთა შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო: **ერთი სტუდენტი** (მეტწილად, ლამაზი გარეგნობის გოგონა, ამაშიც თქვენი გემოვნება არაფრით ჩამოუვარდება კომუნისტებისას), **ერთი მეჩაიე,** ერთი **მწველავი,** ერთი **ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი** (თუ გვყავდა, ჯობდა — **რუსი,** თუ არადა — ნებისმიერი სხვა), **ერთი პედაგოგი** ან **მეცნიერი,** აუცილებლად **ერთიც მწერალი** ან **ხელოვანი.**

მაგრამ მაშინაც კი, **თქვენო აღმატებულებავ,** იმ გაქანებულ **„მუშათა და გლეხთა კლასებისა და ფენა — ინტელიგენციის"** ქვეყანაში არასოდეს არავის არ წამოსცდენია, ესენი არიან პირველებიო, რადგანაც ზედმიწევნით კარგად იცოდნენ, ამ პროპაგანდისტულ „ტრიუკს" ხალხი როგორც მიიღებდა და ზედმეტ ქირქილსა და ნიჰილიზმის გაღვივებას ერიდებოდნენ.

**ყველაზე უფრო გამაოგნებელი იყო თქვენი გამოსვლის ამ მონაკვეთის ფინალი, როდესაც ჩამოთვალეთ ჩვენი „ნომერ პირველი" მოქალაქეების ხუთი ქვეჯგუფი,** მაგრამ აქაც გაიპარა ცალკეული უზუსტობანი; მაგალითად, **თქვენ** ბრძანეთ: **„ნომერ პირველი არიან ჩვენი მოქალაქეები (1), ჩვენი სტუდენტები (2), ჩვენი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები (3), ჩვენი სოციალურად დაუცველები (4), ჩვენი ქართველები უცხოეთიდან (5). ერთი სიტყვით ის, ვისაც ეკუთვნის საქართველო".**

აქამდე მეგონა, რომ **„ნომერი პირველი"** არის რიგითობის მაჩვენებელი სიტყვათშეხამება და, ამდენად, ის ერთადერთია, როგორც სიყვარული, რომელიც შეიძლება ათჯერ გეწვიოს, მაგრამ ათივე პირველი ვერასგზით ვერ იქნება. ამიტომ **„ნომერ პირველი არიან"** — მცდარი შესიტყვებაა, აქ ან ზმნა უნდა იყოს მხოლოობით რიცხვში, ან სიტყვა **„პირველი"** — მრავლობითში (**„პირველები არიან"**).

ბოლოშიც **„ის"** ნაცვალსახელიც მრავლობითი რიცხვის ფორმით უნდა გეხმარათ და მაშინ წინადადება მიიღებდა ასეთ სახეს: **„ერთი სიტყვით, ისინი** (რაკი **ხუთი** ჯგუფი ჩამოთვალეთ, და არა — **„ის",** ანუ ერთი — ლ.ლ.), **ვისაც ეკუთვნის საქართველო".**

თუ კარგად ჩავუკვირდებით, აქაც რამდენადმე უხერხული **დაპირისპირება გამოვიდა ქვეყნის პრეზიდენტსა** და მის მიერვე ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის: მე კი არ შემხვდა ნომერ პირველი მოწმობაო, რადგან მე **(პრეზიდენტი)** ამ ქვეყანაში არა ვარო პირველიო, არამედ პირველები არიან ესენიო (და ჩამოთვალა), შემდეგ კი დასძინა: **„ერთი სიტყვით, ის (ისინი** — ლ.ლ.), **ვისაც ეკუთვნის საქართველო"**-ო.

**ბატონო პრეზიდენტო, თქვენო აღმატებულებავ** და **თქვენო მაღალკეთილშობილებავ,** გულწრფელად ვიზიარებ თქვენს საჯარო აღიარებას იმის შესახებ, რომ, როგორც თქვენ ამ- ▶

## როგორ შეიძლება ქვეყნის «პირველი ლედის» ქმარი, სახელმწიფოს პირველი პირი ქვეყანაში საკუთარ ადგილს ვერ ხედავდეს?



**რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...**
**წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..**

*გრიგოლ ორბელიანი*

ლევან ღვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბობთ, **საქართველო თქვენ არ გეკუთვნით,** ამაში ცამდე მართალი ხართ, მაგრამ ასეთივე ენთუზიაზმით ვერ გავიზიარებ თქვენს მეორე მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველო ეკუთვნის თქვენ მიერ ჩამოთვლილ ჯგუფებს. თორემ რა გამოდის: **ეს ჩვენი დედასამშობლო შავიშვილს** ეკუთვნის, **ბერიძეს** ეკუთვნის, **ახუნდოვსა** და **კოლესნიკოვას** ეკუთვნით და **ღვინჯილიას** და **სააკაშვილს** არ ეკუთვნით?

წარმოიდგინეთ, **თქვენო აღმატებულებავ, მე** და **თქვენ** და კიდევ **ახუნდოვი, ასლანიდი, შევჩენკო, სოკოლოვი, ბროევი, მირზოიანი, ხარებოვი, ცისკარიშვილი, მარშანია, ჯეირანიშვილი, გოგიტიძე, მემიშიში, ფარეულიძე** და **დადეშქელიანი — 16** და-ძმა (შეიძლება მეტიც!) ვყავართ დედას! **განა რომელსამე ჩვენგანს აქვს უფლება, თქვას, რომ დედა მას ეკუთვნის? თუ ჩვენ ყველანი ვეკუთვნით დედას? იქნებ ასეთი დამოკიდებულება ჯობდეს, როცა მისი თითოეული მოქალაქე ეკუთვნის საქართველოს და არა — პირიქით?**

**სამშობლო მარადიული და უკვდავია** (თუკი ულირს შვილთა უნიათობით არ შეწყვიტა არსებობა), ხოლო თითოეული ჩვენგანი (მათ შორის, **მეცა** და **თქვენც, ბატონო პრეზიდენტო!)** ამქვეყნად ერთი სიცოცხლის ხანგრძლივობითა ვართ მოსულნი და არ შეიძლება ჩვენ გვეკუთვნოდეს ის, ვინაც ჩვენ დაგვბადა, ამაში კი ვგულისხმობ არა თავად უზენაეს განგებას **(„ვინც დამბადა, შეძლებამაც მანვე მომცა ძლევად მტერთად; ვინ არს ძალი უხილავი, შემწედ ყოვლთა მიწიერთად"),** არამედ **დედასამშობლოსა** და **მშობელ ერს,** ვისაც ეკუთვნის თითოეული ჩვენგანი, და არა — პირიქით, როგორც თქვენ გიყვართ ხოლმე თქმა, **ბატონო პრეზიდენტო!**

მკითხველს, ერთი შეხედვით, შეიძლება მოეჩვენოს, რომ ჩვენი დღევანდელი საუბარი, თითქოს, გასცდა ენობრივ საკითხებს და სადღაც სხვაგან გადავიჭერით. მინდა აქვე განვმარტო, რომ **ენა არის აზრის გამოხატვის უმთავრესი საშუალება, ანუ იარალი აზროვნებისა** და **იგი გამსჭვალავს ადამიანის მთელს შინაგან სამყაროს** — **ცნობიერსაც და ქვეცნობიერსაც. ამიტომ დიახაც არ არის სულერთი, ადამიანი რა ენობრივი საშუალებებით, ხერხებითა და ინტონაციებით, როგორი ქვეტექსტებით გადმოსცემს თავის ნააზრევს, რამდენადაც, ამ პროცესში რელიეფურად იკვეთება თვით ორატორის შინაგანი სამყარო და მისწრაფებანი, მისი ხასიათისა და უნარჩვევათა ნიუანსები.**

ასეთ ვითარებაში შედარებით ნაკლებადმნიშვნელოვანია, მაგალითად, ისეთი უზუსტობა, როგორიც **პრეზიდენტ სააკაშვილს** მოუვიდა პირადობის მოწმობების „დასაჯილდოებელ პირველთა" ჩამოთვლისას, როცა მან ხუთეულის პირველ ნომრად ახსენა — **„ჩვენი მოქალაქეები" (1),** რასაც მოაყოლა: **„ჩვენი სტუდენტები" (2), „ეთნიკური უმცირესობები" (3), „სოციალურად დაუცველები"„(4) და „უცხოელი ქართველები" (5).**

ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, აქვს ორმაგი მოქალაქეობა, თორემ საქართველოს

**მიხეილ სააკაშვილი:**
**ამასწინათ, სხვათაშორის, ერთი ძაან მნიშვნელოვანი ქვეყნის ლიდერი, რომელიც ჩამოვიდა აქ, ვუყვებოდი, რომ აი, ამ ბათუმის საბაჟო ტერმინალზე განბაჟება ტვირთების ხდება 5-დან 7 წუთში, ნუ, მაქსიმუმ ერთ საათში**



ბათუმი, 2011 წლის 1 აგვისტო

მოქალაქის პირადობის მოწმობას როგორღა მიიღებდა, მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ პირველ ჯგუფში (**„ჩვენი მოქალაქეები"**) შედის დანარჩენი ოთხი, რამდენადაც ყველა მათგანი ისედაც **„ჩვენი მოქალაქეა".**

ამიტომ შეიძლებოდა აგვერჩია (პირობითად) ერთი **სომეხი** (ან სხვა ეროვნების) **სოციალურად დაუცველი, ორმაგი მოქალაქეობის მქონე სტუდენტი** და მთელი ეს **ხუთსუბიექტიანი** სამოქალაქო რიტუალი დავიდოდა **ერთადერთი „აიდი ბარათის"** გადაცემის ოფიციალურ ცერემონიამდე.

ბარემ ვისარგებლებ შემთხვევით და ორიოდე სიტყვით აქვე მოგახსენებთ ამ აბრევიატურა **ID (აიდი)**-ის შესახებაც: **არის საშიშროება, რომ თვალსა და ხელს შუა შემოგვეპაროს კიდევ ერთი, ყოვლად უსარგებლო ბარბარიზმი — ID (აიდი).** სასურველია, იუსტიციის სახლების ხელმძღვანელობამ (იქნებ, პირადად მინისტრის მოადგილემ, **ბატონმა გიორგი ვაშაძემ**) გააკონტროლოს ეს პროცესი და მაქსიმალურად შეუშალოს ხელი სიტყვა **„აიდის" („აიდი ბარათი")** დამკვიდრებას, რაც ჩვენი ისედაც გაპარტახებული ენის ლექსიკურად გამდიდრების მაგალითი სულაც არ არის, უფრო კი — პირიქით!

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, თუ კიდევ ერთხელ შევახსენებთ **პრეზიდენტ სააკაშვილის** გამოსვლის ერთ ფრაგმენტს: **„ჩვენ ყველაფერი გვინდა ხალხისთვის და არაფერი არ გვინდა მთავრობისთვის. მთავრობა არის ხალხისთვის და არა ხალხი მთავრობისთვის და ეს სიმბოლურად დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდება".**

როგორ დამტკიცდა „ეს სიმბოლურად", ჩვენ აგერ ახლახან ვნახეთ. **„კიდევ ერთხელ"** კი იმას ნიშნავს, რომ მსგავსი რამ სხვა დროსაც მომხდარა და დღეს ეს (რაც ადრეც მომხდარა) ხდება „კიდევ ერთხელ".

**უკაცრავად კი ვარ პირდაპირობისთვის, მაგრამ ეს არის მტკნარი სიცრუე.** იქნებ კეთილს ინებებდა ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი (**ამისთვის თვით მისი აღმატებულება** რომ არ შევაწუხოთ) და მოიყვანდა თუნდაც ერთადერთ მაგალითს იმისას, როდესაც **ხელისუფლებამ რამე დაიკლო ხალხის სასარგებლოდ;**

სულ ერთია, ეს იქნება ყოვლად დაუმსახურებლად აღებული გაორმაგებული ხელფასიდან (ვითომ, ნახევარს პრემიას რომ ეძახიან) **ლეიკემიით ან სხვა მძიმე სენით დაავადებული რომელიმე ბავშვის სამკურნალოდ გაღებული დახმარება, თუ ანალოგიური სხვა რამ.**

განა ჩვენ იმ უბედური ქვეყნის შვილები არ ვართ, „ვის უნდა 20.000?"-ო რომ გავიძახით ეკრანიდან და გაჭირვებით მოგროვილი (ხალხის მიერ შეწირული) თითო ლარით ვცდილობთ ცრემლებად დაღვრილი ახალგაზრდა დედის საცოდაობას მცირეოდენი ნუგეში მაინც ვსცეთ, ამ დროს კი **ჩვენი „ძვირფასი" ხელისუფლება უცხოელ კინოვარსკვლავთან სუფრაზე მოსახვედრი ერთი ბილეთისთვის 10-15 ათას დოლარს იხდის?**

დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურად ყველა ბავშვს, რომელიც გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას საჭიროებს (აქაურ თუ უცხოეთის რომელსამე კლინიკაში), ვიმეორებ, **აბსოლუტურად ყველას გადავარჩენდით და ამით უდიდეს ბედნიერებას მივანიჭებდით არამარტო მათ გულდამდუღრულ მშობლებს, არამედ მთელ ერს, თუკი ერთადერთ, ყოვლად უსარგებლო და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის" „გასაპიარებლად" გამიზნულ კონცერტს მოვიკლებდით ან ერთი რომელიმე მილიონებად ღირებული, მაგრამ არცთუ სასწრაფოდ ასაშენებელი და აუცილებელი ნაგებობის აშენებას გადავდებდით რამდენიმე წლით.**



**პრეზიდენტი** კი წარბშეუხრელად გვიცხადებს: **„ჩვენ ყველაფერი გვინდა ხალხისთვის და არაფერი არ გვინდა მთავრობისთვის"-ო.**

**წელიწადზე მეტია, თითქოს ქადაგად ვარ დაცემული და ყოველკვირეულად ლამის ხმის ჩახლეჩამდე გავყვირი იმ დანაშაულებრივ დაუდევრობათა შესახებ, რასაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება იჩენს სახელმწიფო ენის მიმართ.**

„ხალხზე ზრუნვით" გათანგული მთავრობა კი ისეა ქანცგაწყვეტილი, რომ ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის. ესაა „ხალხზე ზრუნვა"? თუ, თქვენი აზრით, **ენის აბუჩად აგდება ერზე** (თქვენ რომ „ხალხს" ეძახით) **ზრუნვის გამოხატულებაა** და ჩვენ ამას ვერ ვხვდებით?

იმისათვის, რომ პირველ აგვისტოს **ბათუმის** იუსტიციის სახლში **პრეზიდენტის** მიერ წარმოთქმულ სიტყვას მეტად აღარ მივუბრუნდეთ, ბარემ აქვე კიდევ ერთ მონაკვეთს შემოგთავაზებთ შესაბამისი კომენტარებითურთ.

**„ამასწინათ, სხვათაშორის, ერთი ძაან** (ჯობდა — **„ძალიან"!** — ლ.ღ.) **მნიშვნელოვანი ქვეყნის ლიდერი** (უნდა იყოს — ლიდერს, როგორც გაუსწორებიათ კიდეც პრესრელიზში. — ლ.ღ), **რომელიც ჩამოვიდა აქ, ვუყვებოდი (**შდრ. „ლიდერს... ვუყვებოდი და არა — **ლიდერი,** როგორც ითქვა — ლ.ღ.), **რომ აი, ამ ბათუმის საბაჟო ტერმინალზე განბაჟება ტვირთების ხდება 5-დან 7 წუთში, ნუ, მაქსიმუმ ერთ საათში** (ხუთი-შვიდი წუთის საშუალო არითმეტიკულია — 6 წთ. ხოლო „მაქსიმუმ ერთი საათი" ამას აღემატება 10-ჯერ. ცოტა ბევრი ხომ არ არის? — ლ.ღ.) **და, თუ ერთ საათზე მეტია, მებაჟე შეიძლება გაანთავისუფლონ სამსახურიდან.**

**მას გაეცინა და თქვა, რომ სად იპოვით ასეთ მებაჟეებს, რომლებიც ამ პირობით დაგთანხმდებათ მუშაობაზე** (გული მიგრძნობს, ეგ სტუმარი თურქეთის პრემიერ-მინისტრი **რეჯებ ერდოღანი** უნდა იყოს, მაგრამ, რაკი **პრეზიდენტი** არ ასახელებს, ჩვენც თავი დავანებოთ,— ლ.ღ.), **ე.ი. იგულისხმებოდა, რომ მებაჟე, თუ თავისი მარცხენა შემოსავალი არა აქვს, რომ სხვა ადამიანი დაამციროს** (ეს ადგილი ცოტა გაუგებარია, მაგრამ, ჯანდაბას! — ლ.ღ.), **ის არ იმუშავებს.**

**მე გამეცინა** (მანამდე **„მას** გაეცინა" — ლ.ღ.), **მე უთხარი: ჩვენ 7 წელი უყურებდით ასეთ მებაჟეებს, მე თვითონ ერთი ოთხჯერ-ხუთჯერ მარტო სარფის საბაჟოს თანამშრომლები გავუშვი სახლში და მერე გადავწყვიტეთ"...**

აქ მე აუცილებლად უნდა გავწყვიტო ციტირება ტექსტისა, რომელიც სტენოგრაფიული სიზუსტით მაქვს ჩაწერილი და ხმამაღლა მოგიწოდოთ: **ყურადღება! ყურადღება! ნახეთ, რა გადაწყვიტეს პრეზიდენტმა და მისმა თანამოსანგრეებმა** (ვაგრძელებ ციტირებას): **„(გადავწყვიტეთ) რომ საბაჟო ტერმინალში უნდა იმუშაონ, ძირითადად, არა მებაჟეებმა** (ანუ, მებაჟეები უნდა იყონ ცოტანი — ერთი-ორი, ან უფრო ნაკლები; — ლ.ღ.), **არამედ, სამოდელო სააგენტოს გოგოებმა, რომლებიც იქ არიან იმისთვის, რომ გაიღიმონ** (აბა, კაცი — კაცს ხომ არ გაუღიმებს, ბოლოსდაბოლოს! — ლ.ღ.). **შემოვა, ვთქვათ, სიტყვაზე, გაუპარსავი ტრაილერის მძღოლი** („გაუპარსავ ტრაილერზე", აბა, რა მოგახსენოთ, ისედაც ყველაფერი ნათელია, ცხადია, პრეზიდენტის პრესცენტრმა უმალვე იგრძნო ეს უხერხულობა და სიტყვა **„გაუპარსავი"** პრესრელიზში **„მძღოლის"** წინ გადასვა. — ლ.ღ.), **გადმოკვეთს საზღ-** ▶

# ვის ეკუთვნის საქართველო, ანუ არის თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირი?

**ვარს** (რაო? — ჯერ **„შემოვა“** და საზღვარს მერე **„გადმოკვეთს“** — ლ.ღ.), **მივა იქ** (აბა, სად წავა? — ლ.ღ.), **მიესალმონ მას ინგლისურად, თურქულად** (თუ ეს „გაუპარსავი ტრაილერის მძღოლი“ **ბერძენია** ან სულაც **არაბია,** თურქული მისალმება უშველის? — ლ.ღ.), **გაუღიმონ, ტვინი დაუბნელონ** (აქ ცოტა გრამატიკა აირია, მაგრამ არა უშავს, ხდება ხოლმე ზეპირი მეტყველების დროს. მოგვიანებით ამასაც პრესცენტრი „გაასწორებს“ — ლ.ღ.), **მაგრამ შვიდ წუთში გაუშვან, რომ სხვა არაფერზე ფიქრის დრო არ დარჩეთ“.**

**„სხვა არაფერზე“**-ში რას გულისხმობთ, **თქვენო აღმატებულებავ?** თქვენ რა იფიქრეთ?

იქნებ სამოდელო სააგენტოს გოგონამ 5 წუთში დაურტყა შტამპი, კიდევ 2 წუთი ხომ რჩება იმისათვის, რომ **მძღოლმა ერთი რაინდული ქათინაური უთხრას და სააგენტოს ყოფილმა მოდელმაც Thenk you very much („თენქ იუ ვერი მაჩ“)-ო მიუგოს, ან სულაც Cok tesekkur ederim („ჩოქ თეშექქურ ედერიმ“)-ო უაქცენტოდ მიუთურქულოს?**

რატომაა ეს აკრძალული? **იქნებ ეს ბიჭი სულაც არ იყო გაუპარსავი** (მართლა ტრაილერი ხომ არაა? ბოლოსდაბოლოს ახალგაზრდა კაცია, თანაც უცოლო!), **„მერსედესის“ ფირმის ტვირთმზიდის კონდიცირებულ კაბინაში იჯდა კენზონაპკურები და ერთი სული ჰქონდა, როდის მოაღწევდა ულამაზესი ტოპმოდელებით გადავსებულ სარფის საბაჟომდე, თქვენ** კი მას **„გაუპარსავ ტრაილერს“** ადარებთ და თანაც მოდელებისთვისაც დაგივალებიათ, რომ ისედაც ალეწილ ახალგაზრდას **ჯერ გაუღიმონ, მერე კი „ტვინი დაუბნელონ“!**

რატომ, თქვენო აღმატებულებავ, რატომ განეწყვეთ ასე აგრესიულად უცხოელი მძღოლებისადმი? თანაც იმ ქალაქის მისადგომებთან, **სადაც ალისა და ნინოს სიყვარულის ისტორიას ასე ამაყად და თავმომწონედ უყვებით ხოლმე თქვენს არანაკლებ მომხიბლავ სტუმარ მანდილოსნებს: მახსოვს ქსენია სობჩაკსა და მის კოლეგას — ქსენია სოკოლოვას როგორი გამჭოლი მზერითა და მრავლისმეტყველი ჟესტიკულაციით მასპინძლობდით იმავე ბათუმში.**

იმის წინ რომ ბრძანეთ, **„დაცინვა არ არის ჩემ სტილშიო“,** კი დაგიჯერეთ, მაგრამ ამ **„გაუპარსავი ტრაილერების მძღოლებს“** ასე ამრეზით რატომ უყურებთ და რატომ გაწირეთ ისინი **„ტვინის დასაბნელებლად?“**

ღმერთმანი, ვერაფერს მიგიხვდით! არადა, დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ **„ეს არის საქართველოს განსაკუთრებულობა, არსად მსოფლიოში ასე არ არის“**-ო.

თქვენ რას გერჩით და, ამ სიმართლით იაროს ჩემმა მტერმა და ორგულმა! **რაც მე „მთელ მსოფლიოში“ საბაჟოებზე ყურებამდე გაღიმებული მებაჟე გოგონები მინახავს, იმდენი საქართველოს განთავისუფლება იმ შავი ჭირისგან — „ნაცმოძრაობა“ რომ ჰქვია და მე რომ „სიყვარულით“** პოლიტიკურ **„წალენჯილეხს“** ვეძახი, რაკი **წალენჯიხიდან** წამოვიდა!

ვაგრძელებ ციტირებას: **„ეს არის ტექნოლოგია, ეს არის სახელმწიფოს ნება, რომ იქ არ იყოს კორუფცია, იქ არ იყოს დარჩენილი სივრცე იმისათვის, რომ ასევე ლიპიანმა** (რატომ **„ასევე“? —** აკი მძღოლები არ იყვნენ **ლიპიანები**, ეს კარგად მახსოვს — ლ.ღ.), **გაუპარსავმა და ჭკუაარეულმა მებაჟემ დაამციროს ჩვენი მოქალაქე, ან თუნდაც უცხო ქვეყნის მოქალაქე. აი, ეს არის საქართველოს განსაკუთრებულობა“.**

სამოდელო სააგენტოს გოგოების ალტერნატივა ნამდვილად შთამბეჭდავია, ოღონდ ერთი რამ ვერ გავიგე: **„გაუპარსავი ტრაილერის მძღოლი“** რომ ჭკუაარეულია **(„ტვინი დაუბნელეს“)**, ეს ჩვენი მებაჟე გოგონების „დამსახურებაა“, მაგრამ ჩვენივე **ასევე გაუპარსავი** და **ლიპიანი** მებაჟე მამრები რატომღა იყვნენ **„ჭკუაარეულები“?**

ამათ ხომ არ ჰქონიათ არანაირი შეხება სამოდელო სააგენტოს გოგოებთან: **ესენი** რომ მოვიდნენ, **ისინი** წასულები იყვნენ და ჭკუა რამ აურიათ?

ახლა კი დავრწმუნდი, რა ძნელი ყოფილა საბაჟოზე მუშაობა, **თქვენო აღმატებულებავ!**

მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ საბაჟოებზე და სხვაგანაც ბევრი ლამაზი ან თუნდაც ნაკლებად ლამაზი, მაგრამ სანდომიანი ქალბატონი მუშაობდეს. ეს თვალსაც ახარებს და არც საქმე იზარალებს, თუკი უმართივეს რამეს გავითვალისწინებთ, რომ **პური გამოაცხოს მეპურემ** — ანუ სა**ბაჟოზე იმუშაონ არა მოდელებმა, არამედ მოდელებივით მოხდენილმა პროფესიონალმა მებაჟეებმა** და **კლიენტებისთვის „ტვინის დაბნელება“, როგორც სპეცსამსახურის დავალება, არ შეითავსონ ძირითად საქმიანობასთან.**

წეღან მოგახსენეთ, **პური გამოაცხოს მეპურემ**-მეთქი, ეს ანდაზა რომ შევატრიალოთ, თითქოს აზრი არც კი იცვლება, მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით.

აბა, თავად ნახეთ: **„მეპურემ გამოაცხოს პური“** — თუ პირველი (**პური — მეპურემ**) იმას ნიშნავს, რომ **საქმე აკეთონ სპეციალისტებმა, მეორეში ხაზგასმულია, რომ სპეციალისტმა** (**მეპურემ**) **აკეთოს ის საქმე, რაც იცის** — ანუ სულ არაა აუცილებელი, **მეპური** დაინიშნოს, მაგალითად, **მინისტრად,** თუკი მას საამისო ცოდნა არ აქვს.

სამწუხაროდ, **ჩვენს მთავრობაში უპირატესობა ენიჭებათ სამოდელო სააგენტოს გოგოებს არამარტო საბაჟოებზე, არამედ, მინისტრებადაც კი, სხვა პოსტებზე რომ არაფერი ვთქვათ.**

რაც შეეხება **ლიპსა** და **წვერის გაპარსვას,** ნამდვილად არადამაჯერებელი, ზერელე არგუმენტებია, რასაც ადვილად აქარწყლებს **ულიპო და დაბანილ-გაპარსულ-დავარცხნილი პატრული;** ამდენად, **ასეთი ზერელე, მოუმზადებელი და ლინგვისტურადაც გაუმართავი საჯარო გამოსვლა ქვეყნის პირველ პირს არ ეკადრება, თუნდაც საქვეყნოდ იძახდეს, პირველი არ ვარო!**


ბათუმი, 2010 წლის სექტემბერი


ალი და ნინო


ქსენია სოკოლოვა და ქსენია სობჩაკი

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net